

იდომების სტრუქტურა და სემანტიკა ქართულში
(შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი: ინგლისური, ახალი
ბერძნული და რუსული ენების მასალის საფუძველზე)

ირინა ლოზჟანიძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ენათმეცნიერების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი შუქია აფრიდონიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2012

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირინა ლობჯანიძე

15/03/2012

აბსტრაქტი

იდომების სტრუქტურა და სემანტიკა ქართულში (შედარებით- შეპირისპირებითი ანალიზი: ინგლისური, ახალი ბერძნული და რუსული ენების მასალის საფუძველზე)

კვლევის მიზანს წარმოადგენს იდიომური გამოთქმების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ქართულ ენაში და მოპოვებული მასალის შეპირისპირება რუსულის, ახალბერძნულისა და ინგლისურის სათანადო მასალასთან. გამოკვლევა ორი ნაწილისაგან შედგება: თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისაგან. იდიომების სტრუქტურულ-სემანტიკურ კანონზომიერებათა გამოვლენას საფუძველად უდევს ბ. ფრეიზერის მიერ შემოთავაზებული დახარისხების სისტემა და იდიომის ტრანსფორმაციულ შესაძლებლობათა შესწავლა წარმომშობი გრამატიკის ქრილში.

ჩვენი დეფინიციით, იდიომი შესიტყვების ფორმისა და ერთიანი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ერთეულია. ქართულში იდიომი, შემადგენელი კომპონენტების გრამატიკული ბუნებიდან გამომდინარე, თავისი მორფოსინტაქსით კომპოზიტური ბუნებისაა. ამდენად, მნიშვნელოვანია და შესაძლებელი იდიომების 'მდგრადობის' ხარისხის შეფასება და განსაზღვრა.

ნაშრომის თეორიული მხარე შეიცავს მოპოვებული მასალის ანალიზს, რომელიც განხორციელდა სტრუქტურული და წარმომშობი გრამატიკების ფარგლებში დამუშავებული მასალის საფუძველზე. აღნიშნული მიმართულების შერჩევა განპირობებული იყო იმ მოსაზრებით, რომ იდიომი ქართულში მორფოსინტაქსური თვისებების თვალსაზრისით კომპოზიტურია, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს შემადგენელი კომპონენტების სემანტიკურ ერთიანობასა და სინტაქსურ ტრანსფორმაციაზე. შესაბამისად, არჩეული მიმართულების გათვალისწინებით, ყურადღება გავამახვილეთ პროცირების დონეებზე, ბრუნების ფილტრსა და თეტა-კრიტერიუმზე ქართული ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული სტრუქტურის ფარგლებში.

ნაშრომი შედგება ხუთი ნაწილისაგან:

პირველი ნაწილი შეიცავს საკვლევი საკითხების ისტორიულ მიმოხილვას ქართულ, რუსულ, ინგლისურსა და ახალბერძნულ ენათმეცნიერებაში, კერძოდ, იმ თეორიების განხილვას, რომლებიც მნიშვნელოვანია კონკრეტული ენის, ჩვენს შემთხვევაში, ქართული იდიომური გამოთქმების თეორიული და პრაქტიკული საკითხების საკვლევად, კერძოდ – დასახელებულ ენებზე იდიომთა ადეკვატური თარგმანის მისაღებად.

მეორე ნაწილი მოიცავს იდიომური გამოთქმების მონაცემთა ბაზის ანალიზს სტრუქტურული თვალსაზრისით. მასში განხილულია იდიომური გამოთქმების დიფერენციული ნიშნები, ხოლო ამ მონაკვეთის კომპონენტური ანალიზის საფუძველს წარმოადგენს იდიომთა სხვადასხვაგვარი – ორ-, სამ-, ოთხ- და ხუთკომპონენტიანი სტრუქტურა, რომლის თითოეული კომპონენტი განსაზღვრულია მორფოსინტაქსური ნიშან-თვისებებით ხასიათდება.

მესამე ნაწილში შესწავლილი იდიომების მორფოსინტაქსურ ანალიზთან ერთად განხილულია რამდენიმე ისეთი საკითხი, როგორიცაა იდიომთა გრამატიკული და ლექსიკური ასპექტები, კონვერსიისა და ბენეფაქტიური სტრუქტურის თავისებურებანი ენათა კროს-ლინგვისტურ ჭრილში, ყოფნა ზმნის ფუნქცია იდიომური გამოთქმის შემადგენლობაში და იდიომების მდგრადობის ხარისხთა იერარქია.

მეოთხე ნაწილში წარმოდგენილია იდიომების სემანტიკური ანალიზი, რომლის საფუძველს მეტწილად თარგმნის თეორია და პრაქტიკა წარმოადგენს. გამოვლენილი კროსლინგვისტური კავშირები აისახება შემდეგი სქემების სახით: 1)

$$X(L_1) \rightarrow X(L_2...L_4) ; 2) X(L_1) \begin{matrix} \nearrow Y(L_2) \\ \searrow X(L_3...) \end{matrix} ; 3) X(L_1) \rightarrow Y(L_2...L_4) ; 4) X(L_1) \rightarrow Z(L_2...L_4) ,$$

სადაც L_1 – ასახავს წყარო-ენას (ე. ი. ქართულს), $L_2...L_4$ კი – სამიზნე ენას (მაგ.: ინგლისურს, ახალ ბერძნულს, რუსულს), $X(L_1)$ – წყარო-ენის ელემენტია, $X(L_2)$, $X(L_3)$ ანდა $X(L_4)$ – სამიზნე ენების ლექსიკური დონის იდიომური ელემენტები, $Y(L_2)$, $Y(L_3)$ ან $Y(L_4)$ – სამიზნე ენების სემილექსიკური დონის იდიომური ელემენტები, ხოლო $Z(L_2)$, $Z(L_3)$ ან $Z(L_4)$ – სამიზნე ენების პოსტლექსიკური დონის იდიომური ელემენტები და წარმოდგენილია სამი დონე: ლექსიკური, სემილექსიკური და პოსტლექსიკური.

ნაშრომის უკანასკნელი – მეხუთე ნაწილი მოიცავს იდიომური გამოთქმების დახასიათებას ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხები განხილულია იდიომური გამოთქმების ქართულ-ახალბერძნული ლექსიკონის მაგალითზე.

კვლევისას გამოყენებული პრაქტიკული ნაწილის საფუძველს შეადგენს 12460 ქართული იდიომი, ამოკრეფილი თ. სახოკიას (1950–1955), ქეგლ-ისა (1950-1964, 2008) და ალ. ონიანის (1966) ლექსიკონებიდან; ეს მასალა წარმოადგენს აღნიშნული გამოკვლევის დანართს. ლექსიკონში შეტანილ ერთეულთა რაოდენობა შეადგენს 11801 გამოთქმას. პრაქტიკული ნაწილის დამუშავებისას გამოვიყენეთ TextSTAT-ის პროგრამაში შედგენილი ქართული ტექსტების კორპუსი (386 ერთეული) და ბერძნული ნაციონალური კორპუსი (ΕΘΕΓ); ამასთანავე, კვლევამ მოითხოვა ბრიტანული ნაციონალური კორპუსისა (BNC) და რუსული ნაციონალური კორპუსის (RNC) მოშველიებაც.

ძირითადი საძიებო სიტყვები: იდიომი, მდგრადობის ხარისხთა იერარქია, იდიომური გამოთქმების ქართულ-ახალბერძნული ლექსიკონი.

Abstract

Structure and Semantics of Idiomatic Expressions in Georgian Language (Comparative Analysis based on English, Modern Greek and Russian Data)

The scope of research is to provide structural-semantic analysis of idioms in Georgian language and, as far as possible, to compare the material obtained with idioms in Russian, Modern Greek and English languages. The research is subdivided into theoretical and practical parts. The structural semantic description of idioms is based on the Fraser's classification and the study of their transformational possibilities within the framework of generative grammar.

We think that in spite of semantic unity Georgian idiom can be considered as a composite according to its morphosyntactic features. Thus, it is possible to assess and determine the degree of its "frozenness".

The theoretical part of research includes analysis of material obtained within the framework of structural and generative grammars. The mentioned attitudes has been conditioned by the idea that Georgian idiom can be considered as a composite unit according to its morphosyntactic features, which have an influence on the semantic independency of its constituents and syntactic transformation. Thus, we paid attention to the projection levels, case filter and theta-criterium, which characterize grammatical structure of Georgian language.

The research consists of five parts:

The first part includes historical description of research issues in Georgian, Russian, English and Modern Greek linguistics, especially, of those theories, which are important from our view-point.

The second part includes the structural analysis of idiom database. This chapter covers differential features of idioms based on their two-, three-, four- and five- word-constituents. Every constituent can be characterized by the defined morphosyntactic features.

The third part covers the structural analysis of idioms and other issues as grammatical and lexical aspect, peculiarities of conversion and benefactive structures from cross-linguistic view-point, function of the verb *to be* and, ‘frozenness’ hierarchy of idioms.

The fourth part includes semantic analysis of idioms. This chapter is, generally, based on the theory and practice of translation studies. The developed cross-linguistic links can be

represented as follows: 1) $X(L_1) \rightarrow X(L_2...L_4)$; 2) $X(L_1) \begin{matrix} \nearrow Y(L_2) \\ \searrow X(L_3...) \end{matrix}$; 3) $X(L_1) \rightarrow Y(L_2...L_4)$; 4)

$X(L_1) \rightarrow Z(L_2...L_4)$, where L_1 – is a source language (i.e. Georgian), $L_2...L_4$ – target languages (i.e. English, Modern Greek, Russian etc.), $X(L_1)$ – idiom of source-language, $X(L_2)$, $X(L_3)$ or $X(L_4)$ – lexical level idioms of target languages, $Y(L_2)$, $Y(L_3)$ or $Y(L_4)$ – semi-lexical level idioms of target languages, and $Z(L_2)$, $Z(L_3)$ or $Z(L_4)$ – post-lexical level idioms of target languages. This chapter describes idioms of Lexical (LL), Semi-Lexical (SL) and Post-Lexical (PL) levels.

The last chapter – **the Fifth part** includes description of idioms from lexicographic view-point. The mentioned issues are described on the basis of Georgian-Modern Greek Dictionary of idioms.

The attached practical part is based on 12460 Georgian idioms picked from Georgian Dictionaries: T. Sakhokia (1950-1955), KEGL (Arn. Chikobava 1950-1964, 2008) and Al. Oniani (1966). The dictionary includes 11801 units. During the reseach, we have used Georgian Text Corpus (386 units) created in TextSTAT, Hellenic National Corpus (ΕΘΕΓ), British National Corpus (BNC) and Russian National Corpus (RNC).

Key Words: idioms, frozenness hierarchy, Georgian-Modern Greek Dictionary of Idioms.

მადლობა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ყველა კოლეგას, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლინგვისტურ კვლევათა ცენტრის ყველა თანამშრომელს, ჩემს ყველა პედაგოგს, რომელიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მასწავლიდა. დიდი მადლობა მინდა მოვახსენო პატივცემულ ოპონენტებსა და რეცენზენტებს შენიშვნებისა და სურვილებისათვის. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს ქ-ნ შუქია აფრიდონიძეს, რომელმაც მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდა მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას და მთელი ამ ხნის განმავლობაში მისგან ვიღებდი საინტერესო შენიშვნებსა და მნიშვნელოვან რჩევებს. ასევე, დიდ მადლობას მოვახსენებ ლინგვისტურ კვლევათა ცენტრის დირექტორს ნინო დობორჯგინიძეს, რომლის მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობ.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს მისი ფინანსური მხარდაჭერისათვის, რადგანაც კვლევის დანართს წარმოადგენს იდიომური გამოთქმების ქართულ-ახალბერძნული მონაცემთა ბაზა, რომლის შექმნა შესაძლებელი გახდა Y-04-10 პროექტის ფარგლებში.

და, საბოლოოდ, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მშობლებს სტანისლავ ბერიკაშვილს და ნათელა ლოხუანიძეს მათი მუდმივი მხარდაჭერისათვის.

სარჩევი

სარჩევი.....	ix
ცხრილების ჩამონათვალი	xii
გრაფიკების ჩამონათვალი.....	xiii
აბრევიატურების ჩამონათვალი.....	xiv
დამატებითი აბრევიატურების ჩამონათვალი	xv
1. შესავალი	1
1.1. იდიომური გამოთქმების შესწავლის წინაპირობა	1
1.2. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის: თეორია და პრაქტიკა.....	5
1.2.1. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის ინგლისურ ენათმეცნიერებაში	5
1.2.2. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის ქართულ და რუსულ ენათმეცნიერებაში.....	11
1.2.3. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის ბერძნულ ენათმეცნიერებაში	20
1.2.4. "იდიომის" ცნებისა და ტერმინის საკითხისათვის	24
2. იდიომური გამოთქმების მონაცემთა ბაზის სტრუქტურული ანალიზი.....	31
2.1. ქართული ენის იდიომური გამოთქმების დიფერენციული ნიშნები და კომპონენტური ანალიზი	31
2.2. ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები	38
2.2.1. ორკომპონენტური სახელური იდიომური გამოთქმები.....	38
2.2.1.1. $NP = a(N) + b(N)$ და $NP = b(N) + a(N)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები	41
2.2.1.2. $NP = a(ADJ) + b(N)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები	43
2.2.1.3. $NP = a(NUM) + b(N)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები	45
2.2.1.4. $NP = a(PRO) + b(N)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები	47
2.2.2. ორკომპონენტური ზმნური იდიომური გამოთქმები	50
2.2.2.1. $VP = a(N) + b(V)$ ან $VP = b(V) + a(N)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები	53
2.2.2.2. $VP = a(ADJ) + b(V)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები	72
2.2.2.3. $VP = a(NUM) + b(V)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები	74
2.2.2.4. $VP = a(ADV) + b(V)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები	75

2. 2.2.5. $VP = a(PRO) + b(V)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები	76
2. 2.2.6. $NP = a(N) + b(VN)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები	79
2. 2.2.7. $NP = a(N) + b(PART)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები	82
2.3. სამკომპონენტური იდიომური გამოთქმები	89
2. 3.1. $a(N) + b(N) + c(V)$ სტრუქტურის მქონე სამკომპონენტური იდიომური გამოთქმები	99
2. 3.2. $a(ADJ) + b(N) + c(V)$ სტრუქტურის მქონე სამკომპონენტური იდიომური გამოთქმები	102
2. 3.3. $a(PRO) + b(N) + c(V)$ სტრუქტურის მქონე სამკომპონენტური იდიომური გამოთქმები	105
2. 3.4. $a(N) + b(V) + c(N)$ სტრუქტურის მქონე სამკომპონენტური იდიომური გამოთქმები	109
2. 3.5. $a(N) + b(N) + c(VN)$ სტრუქტურის მქონე სამკომპონენტური იდიომური გამოთქმები	110
2.4. ოთხკომპონენტური და ხუთკომპონენტური იდიომური გამოთქმები	114
2.5. დასკვნები	116
2.5.1. სახელური იდიომური გამოთქმები	116
2.5.2. ზმნური იდიომური გამოთქმები	117
3. ქართული ენის იდიომური გამოთქმების მორფო-სინტაქსური ანალიზი	119
3.1. ქცევის კატეგორიისათვის ზმნურ იდიომურ გამოთქმებში	119
3.1.1. ნეიტრალური ქცევის კატეგორია ზმნურ იდიომურ გამოთქმებში	121
3.1.2. სასუბიექტო ქცევის კატეგორია ზმნურ იდიომურ გამოთქმებში	124
3.1.3. საობიექტო ქცევის კატეგორია ზმნურ იდიომურ გამოთქმებში	127
3.2. ასპექტის კატეგორიისათვის ზმნურ იდიომურ გამოთქმებში	130
3.2.1. იდიომური გამოთქმები და გრამატიკული ასპექტი	130
3.2.2. იდიომური გამოთქმები და ლექსიკური ასპექტი	146
3.3. იდიომური გამოთქმების კონვერსიისა და ბენეფაქტიური სტრუქტურის შესახებ	157
3.3.1. კონვერსიის კროსლინგვისტური წინაპირობები	159
3.3.2. კონვერსიის სემანტიკურ-სინტაქსური საფუძველი	173
3.3.3. მიცემითბრუნვითი ირიბი ობიექტის გადანაცვლება იდიომური გამოთქმის ფარგლებში	179
3.4. 'ყოფნა' ზმნის ფუნქცია იდიომურ გამოთქმებში	192
3.5. გრამატიკული სინონიმისათვის იდიომებში	196
3.6. იდიომური გამოთქმის გაქვავების ხარისხთა იერარქია	203
4. იდიომური გამოთქმების სემანტიკური ანალიზი	219
4.1. იდიომების ლექსიკური დონეები	235
4.2. იდიომების კომპონენტთა ლექსიკური ანალიზი	245
5. ლექსიკოგრაფიული საკითხები	272
ბიბლიოგრაფია	276
ლექსიკოგრაფიული წყაროები	297

წყაროების შემოკლებათა განმარტება	299
პერიოდული გამოცემები	303

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1: ორკომპონენტიანი სახელური იდიომების სტრუქტურა	48
ცხრილი 2: უარყოფითი ნაცვალსახელთა მქონე ორკომპონენტიანი იდიომური გამოთქმები	79
ცხრილი 3: ორკომპონენტიანი ზმნური იდიომების სტრუქტურა.....	85
ცხრილი 4: ორკომპონენტიანი სახელური იდიომური გამოთქმების ($NP = a + b$) კომპონენტური შემადგენლობა	86
ცხრილი 5: ორკომპონენტიანი ზმნური იდიომური გამოთქმების ($VP = a + b$) კომპონენტური შემადგენლობა	87
ცხრილი 6: სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმის შექმნა ახლოს მდგომი სიტყვების მიზიდვის გზით	91
ცხრილი 7: სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების სტრუქტურა.....	112
ცხრილი 8: სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების კომპონენტური შემადგენლობა.....	113
ცხრილი 9: სრულ/უსრულასპექტიანი ფორმების მქონე იდიომები რუსულ ენაში ...	134
ცხრილი 10: სრულ/უსრულასპექტიანი ფორმების მქონე იდიომები ინგლისურ ენაში	135
ცხრილი 11: სრულ/უსრულასპექტიანი ფორმების მქონე იდიომები ბერძნულ ენაში	136
ცხრილი 12: არსებითი სახელი + მარტივი ზმნისწინის მქონე ზმნა.....	144
ცხრილი 13: არსებითი სახელი + რთული ზმნისწინის მქონე ზმნა.....	144
ცხრილი 14: სომატური იდიომების კომპონენტების სია.....	246
ცხრილი 15: ქართული სომატური იდიომები და მათი თარგმანი	260
ცხრილი 16: სიტყვა-სტატიის ნიმუში.....	274

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1: სინტაქსური მიმართებანი კომპონენტებს შორის.....	34
გრაფიკი 2: ბირთვიანი სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების სემანტიკური კავშირები	89
გრაფიკი 3: ბირთვიანი სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების შიდამიმართებანი.....	98
გრაფიკი 4: ზმნური კომპონენტების პოზიცია სახელური კომპონენტების მიმართ (ა-ბ)	103
გრაფიკი 5: მარტივი წინადადების სტრუქტურის მქონე იდიომური გამოთქმები	109
გრაფიკი 6: ბენეფაქტიური სტრუქტურის მახასიათებლები ევროპულ ენებში	172
გრაფიკი 7: ზმნური შესიტყვების სინტაქსური ასახვა	180
გრაფიკი 8: სინტაქსური სტრუქტურების სქემატური ასახვა.....	182
გრაფიკი 9: შენაცვლების პრინციპისათვის იდიომურ გამოთქმებში	194
გრაფიკი 10: გრამატიკული სინონიმის შესაძლო ვარიანტები	201
გრაფიკი 11: ზმნურ კომპონენტთან სუბიექტ-ობიექტის შეწყობა	208
გრაფიკი 12: პროეცირების პირველი დონე	210
გრაფიკი 13: პროეცირების მეორე დონე (ა).....	211
გრაფიკი 14: პროეცირების მეორე დონე (ბ)	212
გრაფიკი 15: პროეცირების მეორე დონე (გ)	213
გრაფიკი 16: პროეცირების მესამე დონე.....	214
გრაფიკი 17: პროეცირების მეოთხე დონე	216

აბრევიატურების ჩამონათვალი

ADJ	ზედსართავი სახელი
ADV	ზმნიზედა
adv	ვითარებითი ბრუნვა
aor	აორისტი
CASE	ბრუნვა
CLASS	ბრუნების ტიპი
cons	თანხმოვანფუძიანი სახელები
cxn	კონსტრუქცია
dat	მიცემითი ბრუნვა
DEM	ჩვენებითი ნაცვალსახელი
DO	პირდაპირი ობიექტი
erg	მოთხრობითი ბრუნვა
fut	მყოფადი
gen	ნათესაობითი ბრუნვა
imperf	იმპერფექტი
ind	თხრობითი კილო
ins	მოქმედებითი ბრუნვა
INT	კითხვითი ნაცვალსახელი
IO	ირიბი ობიექტი
IP	ფლექსიის აღმნიშვნელი სტრუქტურა (ფლექსიური შესიტყვება): $I \rightarrow I' \rightarrow IP (=I')$
ipfv	უსრული ასპექტი
MID	საშუალო გვარი
MORPH	მორფოლოგია
N	სახელი
N'	სახელური კომპონენტის პროეცირების მეორე დონე
NEG	უარყოფითი ნაცვალსახელი
nom	სახელობითი ბრუნვა
NP	სახელური შესიტყვება: $N \rightarrow N' \rightarrow NP (=N')$
NUM	რიცხვითი სახელი
NUMBER	რიცხვი
NV	საარვისო (ნეიტრალური) ქცევა
N	სახელი
OV	სასხვისო (საობიექტო) ქცევა
PART	მიმღეობა
PERS	პირის ნაცვალსახელი
pfv	სრული ასპექტი
PHON	ფონოლოგია
pl	მრავლობითი რიცხვი
POSS	კუთვნილებითი ნაცვალსახელი
POST	თანდებული

prf	პერფექტი
PRO	ნაცვალსახელი
prs	აწმყო
PTC	ნაწილაკი
RECP	ურთიერთობითი ნაცვალსახელი
S	წინადადება
SEM	სემანტიკა
SERIES_I	I სერია
SERIES_II	II სერია
SERIES_III	III სერია
sg	მხოლოდობითი რიცხვი
SUB	სუბიექტი
SV	სათავისო (სასუბიექტო) ქცევა
SYN	სინტაქსი
TRANS	გარდამავალი ზმნა
V	ზმნა
V'	ზმნის პროექციების მეორე დონე
vAPPL	აპლიკატიური კონსტრუქციის საწყისი ელემენტი
VI	გარდაუვალი ზმნა
VI _{1/2}	ერთპირიანი ან ორპირიანი გარდაუვალი ზმნა
VN	საწყისი
voc	წოდებითი ბრუნვა
vow	ხმოვანფუძიანი სახელები
VP	ზმნური შესიტყვება: $V \rightarrow V' \rightarrow VP (=V')$
VT _{2/3}	ორპირიანი ან სამპირიანი გარდამავალი ზმნა

დამატებითი აბრევიატურების ჩამონათვალი

$\exists$	არსებობს
e	მაერთებელი ერთეული
ARG_{ext}	გარე არგუმენტი
$\wedge$	და
DO	ქმნა
$CAUSE$	მიზეზი
$BECOME$	გადაქცევა
$\pi_n(\alpha_1, \dots, \alpha_n)$	რელაციური ალგებრის პროექცია, რომელიც გულისხმობს, რომ კოკონრეტულ თვისებათა წყება ზღუდავს კონკრეტულ ერთეულს. დისერტაციაში გამოყენებულია დოუტის ლექსიკური ასპექტის თეორიის ფარგლებში, ასპექტის ლექსიკური თვისებების ასახვის მიზნით (Dowty 1979, 123-124)

1. შესავალი

1.1. იდიომური გამოთქმების შესწავლის წინაპირობა

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს იდიომური გამოთქმების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი მათი თავისებურებების განხილვა და შესაძლო კანონზომიერებათა გამოვლენა. თითოეული განსახილველი საკითხი საჭიროებს თავის მეთოდურ კვლევას. ამის მიხედვით გამოკვლევა ორი ნაწილისაგან შედგება: თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისაგან.

თავისი შედგენილობითა და არსით იდიომი რთული ერთეულია. იდიომების სტრუქტურულ-სემანტიკურ კანონზომიერებათა გამოვლენას საფუძვლად უდევს როგორც ბ. ფრეიზერის მიერ შემოთავაზებული დახარისხების სისტემა, რომლის ამოსავალი დებულების მიხედვით, იდიომის სემანტიკური ინტერპრეტაცია არ გულისხმობს მისი შემადგენელი კომპონენტების კომპოზიტურ მნიშვნელობათა ჯამს, ასევე, იდიომის ტრანსფორმაციულ შესაძლებლობათა შესწავლა წარმომშობი გრამატიკის ქრილში.

შეპირისპირებითი კვლევის ძირითადი სირთულე უკავშირდება იმას, რომ იდიომის ნიშან-თვისებები და, შესაბამისად, ქცევა მოიცავს სხვადასხვა დონის თავისებურებას: მორფოსინტაქსურს და სემანტიკურს – როგორც სინქრონიულად, ისე დიაქრონიულად. მეცნიერები დღემდე დაობენ იმაზე, თუ რას წარმოადგენს იდიომური გამოთქმა. ჩვენი აზრით, იდიომის განხილვა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული დონის ქრილში საკმარისი არ არის: იგი უნდა განიხილებოდეს კომპლექსურად, ენაში არსებული ყველა რესურსის – როგორც სემანტიკური სპეციფიკის, ისე ფორმოზრივი საშუალებების გათვალისწინებით.

მიგვაჩნია, რომ იდიომი, მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით ერთიანია, რაკი მისი მნიშვნელობა არ უკავშირდება ცალკეულ კომპონენტთა სემანტიკურ მნიშვნელობას და ხშირ შემთხვევაში ქმნის საერთო ველს, ხოლო შემადგენელი კომპონენტების გრამატიკული ბუნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს კომპოზიტს თავისი მორფოსინტაქსით. შესაბამისად, შესაძლებელია მისი 'გაქვავების' ხარისხის შეფასება და განსაზღვრა.

ქართულში როგორც ზმნური, ასევე სახელური იდიომური კომპონენტების მორფოსინტაქსური თავისებურების გამოვლენა შესაძლებელია, რადგანაც ქართული ძირითადად აგლუტინაციურ ენათა რიგს განეკუთვნება და კომპონენტების მორფემული შემადგენლობა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, საკმაოდ გამჭვირვალეა. და მაინც, აღნიშნული დახარისხება ზოგჯერ რთულდება სწორედ ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბუნებიდან და ევროპული ენებისათვის განსხვავებული მორფოსინტაქსური თავისებურებებიდან გამომდინარე.

თემის მიზანდახულებამ მოითხოვა პარალელების გავლება ქართული იდიომური გამოთქმებისა სხვა ტიპის, კერძოდ, ინდოევროპულ ენების იდიომებთან; ამ ენათაგან შევარჩიეთ ახალბერძნული, ინგლისური და რუსული ენები, რომელთა შედარება გამოავლენდა იმას, თუ რამდენად არის შესაძლებელი იდიომური გამოთქმების კროსლინგვისტური თავისებურებების განსაზღვრა და რამდენად სისტემატურია იდიომების ტრანსფორმაციები სხვადასხვა ენაში.

ნაშრომი შედგება ხუთი ნაწილისაგან:

პირველი ნაწილი შეიცავს საკვლევი საკითხების ისტორიულ მიმოხილვას ქართულ, რუსულ, ინგლისურსა და ახალბერძნულ ენათმეცნიერებაში, კერძოდ, იმ თეორიების განხილვას, რომლებიც მნიშვნელოვანია კონკრეტული ენის, ჩვენს შემთხვევაში, ქართული იდიომური გამოთქმების შესასწავლად.

მეორე ნაწილი მოიცავს იდიომური გამოთქმების მონაცემთა ბაზის ანალიზს სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით. მასში განხილულია იდიომური გამოთქმების დიფერენციული ნიშნები, ხოლო ამ მონაკვეთის კომპონენტური ანალიზის საფუძველს წარმოადგენს იდიომთა სხვადასხვაგვარი სტრუქტურა – ორ-, სამ-, ოთხ- და ხუთკომპონენტური შედგენილობა, რომელშიც თითოეული კომპონენტი იდიომის შემადგენლობაში განსაზღვრული მორფოსინტაქსური ნიშან-თვისებებით ხასიათდება.

მესამე ნაწილში შესწავლილი იდიომების სტრუქტურულ ანალიზთან ერთად განხილულია რამდენიმე ისეთი საკითხი, როგორიცაა გრამატიკული და ლექსიკური ასპექტი, კონვერსიისა და ბენეფაქტიური სტრუქტურის თავისებურება ენათა კროს-ლინგვისტურ ჭრილში, მეშველი ზმნის ფუნქცია იდიომური გამოთქმის შემადგენლობაში და, აგრეთვე, იდიომების გაქვავების ხარისხთა იერარქია.

მეოთხე ნაწილში წარმოდგენილია იდიომების სემანტიკური ანალიზი. აღნიშნული ნაწილის საფუძველს მეტწილად თარგმნის თეორია და პრაქტიკა წარმოადგენს. გამოვლენილი კროსლინგვისტური კავშირები აისახება შემდეგი

სქემების სახით: 1) $X(L_1) \rightarrow X(L_2...L_4)$; 2) $X(L_1) \begin{matrix} \nearrow Y(L_2) \\ \searrow X(L_3...) \end{matrix}$; 3) $X(L_1) \rightarrow Y(L_2...L_4)$; 4)

$X(L_1) \rightarrow Z(L_2...L_4)$, სადაც L_1 – ასახავს წყარო-ენას (ე.ი. ქართულს), $L_2...L_4$ კი – სამიზნე ენას (მაგ.: ინგლისურს, ახალ ბერძნულს, რუსულს და ა.შ.), $X(L_1)$ – წყარო-ენის ელემენტია, $X(L_2)$, $X(L_3)$ ან $X(L_4)$ – სამიზნე ენების ლექსიკური დონის იდიომური ელემენტები, $Y(L_2)$, $Y(L_3)$ ან $Y(L_4)$ – სამიზნე ენების სემილექსიკური დონის იდიომური ელემენტები, ხოლო $Z(L_2)$, $Z(L_3)$ ან $Z(L_4)$ – სამიზნე ენების პოსტლექსიკური დონის იდიომური ელემენტები და წარმოდგენილია სამი დონე: ლექსიკური, სემილექსიკური და პოსტლექსიკური.

ნაშრომის უკანასკნელი – მეხუთე ნაწილი მოიცავს იდიომური გამოთქმების დახასიათებას ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხები განხილულია იდიომური გამოთქმების ქართულ-ახალბერძნული ლექსიკონის მაგალითზე.

კვლევისას გამოყენებული პრაქტიკული ნაწილის საფუძველს შეადგენდა 12460¹ ქართული იდიომი, ამოკრეფილი თ. სახოკიას (1950–1955), ქეგლ-ის (ჩიქობავა 1950-1964, 2008) და ალ. ონიანის (1966) ლექსიკონებიდან, და ეს მასალა წარმოადგენს აღნიშნული გამოკვლევის დანართს. იდიომების ქართულ-ახალბერძნული ლექსიკონის შედგენა ეფუძნებოდა თანამედროვე კორპუსული ლექსიკოგრაფიის მიდგომებს (ბ. ატკინსი, 2008, ჯ. სინკლერი, 1996, ვ. ოოი, 1998). ლექსიკონში შეტანილ ერთეულთა რაოდენობა შეადგენს 11801 ერთეულს. პრაქტიკული ნაწილის დამუშავებისას გამოვიყენეთ TextSTAT² -ის პროგრამაში შედგენილი ქართული ტექსტების კორპუსი (386 ერთეული) და ბერძნული ნაციონალური კორპუსი (ΕΘΕΓ)³, ამასთან ერთად, კვლევისას დაგვჭირდა ინგლისური ნაციონალური კორპუსისა (BNC)⁴ და რუსული ნაციონალური კორპუსის (RNC)⁵ გამოყენებაც.

¹ იდიომური გამოთქმების ქართულ-ახალბერძნულ ლექსიკონში შევიდა 11801 ერთეული.

² <http://neon.niederlandistik.fu-berlin.de/textstat/>

³ <http://hnc.ilsp.gr/find.asp>

⁴ <http://www.natcorp.ox.ac.uk/>

თარგმნის თვალსაზრისით იდიომური გამოთქმების გადმოცემა უცხო ენაზე საკმაოდ რთულია, ამიტომაც ქართულ-ახალბერძნული მონაცემთა ბაზის შედგენისას ბერძნულენოვანი ეკვივალენტები შეირჩა ე. დემირი-პროდრომიდის (1983), გ. ბაბინიოტისის (1998), ს. ვლახოპულოსის (2007) და ს. შამანიდის (2009) ლექსიკონების მიხედვით სხვადასხვა მთარგმნელობითი ხერხის გამოყენებით, კერძოდ, ნასესხები სიტყვების მოშველიებით, ლექსიკის სპეციფიკური შენაცვლებით მათ შორის – ნეიტრალიზაციით (იგულისხმება ჩანაცვლება უფრო ნეიტრალური სიტყვებით) თუ მხატვრული თარგმანით, გამოტოვებით თუ გავრცობით, ანდა პარაფრაზირებით მსგავსი ან განსხვავებული სიტყვების გამოყენების გზით პ. ნიუმარკის მთარგმნელობით თეორიაზე დაყრდნობით.

ნაშრომის თეორიული მხარე მოიცავს მოპოვებული მასალის ანალიზს, რომელიც განხორციელდა სტრუქტურული და წარმომშობი გრამატიკების ფარგლებში დამუშავებული მასალის საფუძველზე. აღნიშნული მიმართულების შერჩევა განპირობებული იყო იმ მოსაზრებით, რომ ქართული იდიომა მორფოსინტაქსური თვისებების თვალსაზრისით კომპოზიტურია, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს შემადგენელი კომპონენტების სემანტიკურ დამოუკიდებლობაზე და სინტაქსურ ტრანსფორმაციაზე. შესაბამისად, არჩეული მიმართულების გათვალისწინებით, ყურადღება გავამახვილეთ პროექტირების დონეებზე, ბრუნების ფილტრსა და თეტა-კრიტერიუმზე ქართული ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული სტრუქტურის ფარგლებში.

კვლევისას გამოვიყენეთ აგრეთვე, ერთი მხრივ, ფრაზეოლოგიური ანალიზის, კომპონენტური თუ სტრუქტურული ანალიზისა და სემანტიკური ანალიზის, მეორე მხრივ კი – შედარებით-შეპირისპირებითი და ტიპოლოგიური ანალიზის მეთოდები.

⁵ <http://www.ruscorpora.ru/en/search-main.html>

1.2. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის: თეორია და პრაქტიკა

1.2.1. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის ინგლისურ ენათმეცნიერებაში

XX საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა ენათმეცნიერულ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ მოვლენას, რომ სხვადასხვა ენაში, გარდა სიტყვათა საკმაოდ ვრცელი მარაგისა, არსებობს ე.წ. მყარი შესიტყვებები, რომლებიც განსაკუთრებული მხატვრულობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა. მართალია, აღნიშნული შესიტყვებების არსებობის შესახებ ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ მანამდე მათ არ განიხილავდნენ, როგორც ლინგვისტური კვლევის საგანს. ფრაზეოლოგიის ფუძემდებლად გვევლინება ფრანგი ლინგვისტი შარლ ბალი(Bally 1909), რომელიც ფრაზეოლოგიურ ერთეულებს განიხილავდა სემასიოლოგიური თვალსაზრისით და გამოყოფილი ჰქონდა შესიტყვებათა ოთხი ჯგუფი: ა) თავისუფალი შესიტყვებანი; ბ) ჩვეულებრივი შესიტყვებანი; გ) ფრაზეოლოგიური რიგები და დ) ფრაზეოლოგიური ერთიანობანი. აღნიშნულ ჯგუფებს შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ორ ჯგუფს, კერძოდ, ფრაზეოლოგიურ რიგებს (*séries phraséologiques*), რომლებიც წარმოადგენს თითქმის საერთო მნიშვნელობის მატარებელ სიტყვათა რიგს (აღნიშნული ჯგუფის კომპონენტებს თავისუფლად შეუძლიათ მოძრაობა) და, ფრაზეოლოგიურ ერთიანობებს (*unités phraséologiques*), რომელთა კომპონენტებს დაკარგული აქვთ თავ-თავისი სემანტიკა და ერთიანდებიან საერთო მნიშვნელობით. აღნიშნულ ჯგუფებს და შესიტყვების ფრაზეოლოგიზაციას ბალი უკავშირებდა, უპირველეს ყოვლისა, ე.წ. იდენტიფიკატორს. ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ დღეს შარლ ბალის მიერ შემოთავაზებული თეორიები შეიცვალა და განვითარების სხვა საფეხურზეც გადავიდა, იგი ითვლება ფრაზეოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად და მისი შრომები გასათვალისწინებელია.

ბუნებრივია, ინგლისური იდიომატიკაც დაახლოებით იმავე პერიოდს ეკუთვნის, რაც შარლ ბალის ნაწარმოებები. თუმცა, ინგლისურ ფრაზეოლოგიაზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ მასში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია იდიომურ გამოთქმაზე და იდიომურობაზე, მაშინ როცა რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში "ფრაზეოლოგიის" ცნება განიხილებოდა მისი შემდგომი თეორიული ტრანსფორმაციით იდიომატიკაში. ბუნებრივია, რომ ინგლისურ

ენათმეცნიერებაში დღემდე მიმდინარეობს ფრაზეოლოგიის და არა იდიომატიკის, როგორც ენათმეცნიერული დარგის ჩამოყალიბება (Norrick 2007).

ინგლისური ფრაზეოლოგიის ფუძემდებლად შეიძლება ჩავთვალოთ **ლ. სმიტი** (Smith 1923-1925), რომელიც ცდილობდა იდიომური გამოთქმების ეტიმოლოგიური საფუძვლის ახსნას. იდიომების კონკრეტული ეტიმოლოგიური ჯგუფების გამოვლენისას **ლ. სმიტმა** ჩამოაყალიბა სხვადასხვა სემანტიკური ველის მრავალფეროვანი ჯგუფები⁶. ამავე პერიოდის შრომებს ეკუთვნის **ფ. ვიზეტელის** ნაშრომი (Vizetelly 1923), რომელშიც ინგლისური იდიომატიკის კვლევის ისტორიაში პირველად არის ზედმიწევნით ზუსტად ჩამოყალიბებული იდიომის ცნება. **ფ. ვიზეტელი** უკავშირებს იდიომს მის საერთო სემანტიკას და აღნიშნავს, რომ იდიომური გამოთქმის მნიშვნელობა არ შეესაბამება მასში შესული სიტყვების მნიშვნელობებებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაშრომის ცენტრალურ საკვლევ ობიექტს იდიომი წარმოადგენს, მასში რეალურად აღწერილია სხვა კონკრეტული ფრაზეოლოგიური ერთეულებიც. აქედან ჩანს, რომ იმ პერიოდისათვის იდიომის ცნება ინგლისურ ფრაზეოლოგიაში უფრო ვრცელი მნიშვნელობის მატარებელი იყო.

ზემოხსენებულ შრომას მოჰყვა **უ. მაკ-მორდის** 1935 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი (McMordie 1935), რომელშიც არაფერია ნათქვამი ფრაზეოლოგიაზე როგორც დარგზე, მაგრამ ვრცლად არის დახასიათებული იდიომი. ამ ავტორის აზრით, იდიომს ახასიათებს როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკური, ან ერთდროულად გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებანი. ავტორის თქმით, იდიომი არის თავისებური სიტყვის ან თავისებური ფრაზა თუ გამოთქმის თავისებური გამოყენება, რომელიც ხანგრძლივი გამოყენების გამო ინგლისურ ენაში სტერეოტიპად იქცა (McMordie 1935, 13).

უ. მაკ-მორდის ეულმა იდიომის ცნების ინტერპრეტაციამ გაგრძელება პოვა **ე. პატრიჯის** (Patridge 1940), **ე. შააპის** (Schaap 1955) და სხვათა შრომებში, ოღონდ ერთი განსხვავებით: მათი აზრით, ენის ნებისმიერი გრამატიკული ან ლექსიკური

⁶ აღნიშნულმა ნაშრომმა გარკვეული ზეგავლენა იქონია **ქ. კანდელაკის** მონოგრაფიულ ნაშრომზე, რამდენადაც მეტაფორული იდიომების დაჯგუფებისას იგი ხელმძღვანელობდა უშუალოდ სმიტის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციით, თუმცა ქართველმა ავტორმა აღნიშნული კლასიფიკაცია გაამარტივა, ხოლო ზოგიერთი სემანტიკური ჯგუფი გააერთიანა: «Приведенная нами ниже этимологическая группировка, в основном, совпадает с группировкой Л. Смитта. Только мы сочли нужным объединить некоторые этимологические типы в один, а некоторые - разъединить». (Канделаки 1955, 64)

თავისებურება შეიძლება იყოს იდიომი და, ამასთანავე, რაკი ამა თუ იმ ენის თავისებურებების გადმოცემა უცხო ენაზე კონკრეტულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, იდიომის ძირითად პრაქტიკულ პრინციპად მისი უთარგმნელობა წარმოადგენს.

1944 წელს გამოქვეყნდა მ. რობერტსის ნაშრომი “The Science of Idiom”, რომელშიც იდიომი რამდენადმე უჩვეულო კუთხით განიხილებოდა, კერძოდ, ავტორის აზრით, იდიომი არის ისტორიის მენტალური ძეგლი (Roberts 1944, 297), რომელიც იქმნება ეთნოსის, ხალხის მიერ, და თვით გრამატიკაც კი უნდა განიხილებოდეს იდიომურობის ჭრილში.

1952 წელს პირველად ჩატარდა კონფერენცია სათარგმნი მანქანების შესახებ. მის ორგანიზატორს იეშუა ბარ-ჰილელს წარმოდგენილი ჰქონდა მოხსენება იდიომების დამუშავების შესახებ მანქანური თარგმნის პერსპექტივების გათვალისწინებით. ამ ნაშრომში მკაფიოდ არის წარმოჩენილი ის პრობლემები, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას იდიომის უცხო ენაზე გადმოცემისას. ავტორის აზრით, ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში საკმარისი რაოდენობის იდიომების დეფიციტის მთავარი საფრთხე მდგომარეობს არა იმაში, რომ სიტყვასიტყვითი თარგმანი გაუგებარი იქნება, არამედ იმაში, რომ ასეთი თარგმანის მხოლოდ ნაწილს ექნება მნიშვნელობა - თანაც, არასწორი მნიშვნელობა, რის გამოც რედაქტორს არ ექნება ამ შეცდომების ამოცნობის საშუალება (Bar Hillel 1952). აღნიშნული შეხვედრა დღემდე ითვლება მანქანური თარგმანის პირველ სამეცნიერო კონფერენციად, თუმცა კონფერენციის მასალების გამოქვეყნება ვერ მოხერხდა.

მიუხედავად ზემოხსენებული ნაშრომებისა, ინგლისურენოვანი იდიომატიკის პირველ ანალიტიკურ შრომას ჩ. ჰოკეტის 1956 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი წარმოადგენს, რომელშიც გვხვდება იდიომის ცნების შემდეგი განმარტება: ”იდიომი არის გრამატიკული ფორმა – ცალკეული მორფემა ან კომპოზიტიური ფორმა, რომლის მნიშვნელობაც არ მომდინარეობს მისი სტრუქტურისაგან” (Hockett 1956, 222). მოგვიანებით იგი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი გრამატიკული ფორმა, რომლის მნიშვნელობაც არ არის დამოკიდებული მის სტრუქტურაზე, შეიძლება განიხილებოდეს როგორც იდიომი (Hockett 1958, 172). შესაბამისად, თუ გადავხედავთ ჰოკეტის მიერ შემოთავაზებულ თეორიას, მივაღწეოთ საკმაოდ ზოგად დასკვნამდე: იდიომურობა შეიძლება შეგვხვდეს აბსოლუტურად ყველგან, ანუ

ნებისმიერ შესიტყვებას ისევე, როგორც მთელ წინადადებას, შეიძლება ჰქონდეს იდიომურობის ნიშნები.

1963 წელს იდიომური გამოთქმების განხილვა დაიწყო ტრანსფორმაციულ-წარმომქნელი გრამატიკის ჭრილში. **ჯ. კატცისა და პ. პოსტალის** აზრით, იდიომური გამოთქმის მთლიანი მნიშვნელობა და ნებისმიერი წინადადების მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს ზოგადად იდიომურ შრეს, არ არის იდიომის ჩვეულებრივი გრამატიკული ნაწილების მნიშვნელობათა კომპოზიტური ფუნქცია (Katz 1963, 275). კატცი და პოსტალი განარჩევენ ლექსიკურ და ფრაზულ იდიომებს (lexical idioms, phrase idioms) და ცდილობენ იმის გარკვევას, თუ როდის გამოიყენება იდიომის ძირითადი და მეტაფორული მნიშვნელობა. მათი კვლევის ახალ კუთხედ გვევლინება ორი მოსაზრება: ა) ლექსიკონის ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ-იდიომურ ნაწილებად დაყოფისა და ბ) არაკომპოზი-ტურობის კრიტერიუმის შესახებ.

1967 წელს ჩამოყალიბდა ახალი მიდგომა იდიომის ცნებისადმი, რომლის ავტორიც **კენეტ პაიკი** იყო. პაიკის თეორია განსხვავდება ჰოკეტის თეორიისაგან იდიომების სტრუქტურული შედგენილობის საკითხში. ფრაზეოლოგიურ ერთეულად იგი მიიჩნევდა ჰიპერმორფემას, რომელიც შედგება ორი ან მეტი მორფემის განსაზღვრული რიგისაგან. პ. პაიკი იდიომურ გამოთქმაში გულისხმობს ჰიპერმორფემის ქვესიმრავლეს და აღნიშნავს, რომ ჰიპერმორფემის სემანტიკური კომპონენტი შეიცავს მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა (ნავარაუდებ) ჯამს, რომელსაც, თავის მხრივ, შეიძლება ჰქონდეს დამატებითი ან ზემორფემული (ჰიპერმორფემული) მნიშვნელობა (ან იდიომური მნიშვნელობა), რომელიც არ გამომდინარეობს მასში შესული კომპონენტების მნიშვნელობიდან (Pike 1967, 427). ჰიპერმორფემის აღსანიშნავად პაიკი ერთმანეთს უდარებს ორ სხვადასხვა (სპეციალური და ხატოვანი) მნიშვნელობის მქონე ერთეულს: to step on the gas (≈ აჩქარება) და to step on a worm (≈ ზედ გადავლა) და აღნიშნავს, რომ "ცალკეულ იდიომურ ფრაზას შეიძლება ჰქონდეს იმ ტიპის ლექსიკური ერთიანობა, რომელიც განსხვავდება სხვა ლექსიკური ერთეულებისაგან, მსგავს გრამატიკულ სტრუქტურას რომ ავლენენ" (Pike 1967, 578). ფაქტობრივ, თავისი ნაშრომით პ. პაიკმა შემოიტანა კულტურული ფაქტორის ცნება ლინგვისტურ თეორიაში, რითაც გადადგა ნაბიჯი კულტუროლოგიის მეცნიერული კვლევისაკენ. პ. პაიკის თეორიას ჰიპერმორფემების შესახებ მის ტაგმემურ თეორიასთან შედარებით ნაკლებად იზიარებენ.

იდიომისა და იდიომურობის შემდგომ მკვლევრად გვევლინება ალან ჰილი, რომლის მოსაზრებაც, პაიკის თეორიის მსგავსად, განეკუთვნება ნაკლებად აღიარებულ თეორიათა რიგს (Kavka 2004, 62). ჩ. ჰოკეტის თეორიისაგან განსხვავებით, ჰილი უარს ამბობს იდიომურობის ფართო ცნებაზე. მისი გაგებით, იდიომი არის მორფემების ან სიტყვების ნებისმიერი ჯგუფი, რომლის მნიშვნელობაც არ არის დამოკიდებული მისი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობაზე (Healey 1968, 71). აღნიშნული დებულების მიხედვით, ა. ჰილი უარს ამბობს მონომორფემული ლექსემების იდიომებად აღიარებაზე, დანარჩენ ნაწილში კი იგი ემხრობა ჰოკეტს. შემდგომში ავტორი ავითარებს იდიომური გამოთქმების კულტურულ-ისტორიული და ენობრივი შექმნის თეორიას და განიხილავს იდიომური ენების ლექსიკონების შექმნისა და სწავლების საკითხებს; მათი კვლევისას ავტორი გვთავაზობს იდიომური გამოთქმების კლასიფიკაციას – მათი სინტაქსური ფუნქციიდან გამომდინარე. შემდგომში მის მიერ შემოთავაზებულ 21-კატეგორიან სისტემას ვხვდებით ა. მაკაისთან.

ჰილის თეორიამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ა. ბალინტის თეორიაზედაც. მაგრამ მასთან პირველად ვხვდებით იდიომის როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულის განმარტებას (Balint 1969, 3). ა. ბალინტი ძირითადად ემხრობა პაიკისა და ჰილის მოსაზრებებს მონომორფემულ ლექსემებთან დაკავშირებით.

1972 წელს გამოდის ა. მაკაის ფუნდამენტური ნაშრომი ინგლისური იდიომის სტრუქტურის შესახებ (Makkai 1972). მისი იდეები და მოსაზრებები ძირითადად მიჰყვება მისსავე სტრატეგიკაციულ თვალსაზრისს. ა. მაკაის თეორია არსებითად ემყარება ორი ტიპის იდიომების არსებობას: ლექსემური და სემემური იდიომებისას. პირველი ტიპის იდიომები მოიცავს გამოთქმებს, ხოლო მეორე ტიპის იდიომები – მთელ წინადადებებს. ავტორის აზრით, ინგლისური ენის ყველა იდიომი შეიძლება განაწილდეს ექვს შრეს შორის. ეს შრეებია: ჰიპერსემემური (hypersememic), სემემური (sememic), ლექსემური (lexemic), მორფემური (morphemic), ფონემური (phonemic) და ჰიპოფონემური (hypophonemic). ლექსემური და სემემური იდიომები ნაწილდება ორ ველს შორის, რომელთა შრეებიც, თავის მხრივ, განეკუთვნება ლექსოლოგიას და სემიოლოგიას.

გარდა ზემოხსენებული ნაშრომისა, 1972 წელს გამოვიდა ურიელ ვაინრაიხის ნაშრომი (Weinreich 1972), რომელშიც ვხვდებით კატცისა და პოსტალის თეორიების

გაუმჯობესებულ ვარიანტს ტრანსფორმაციულ-წარმომქმნელი გრამატიკის ჭრილში. ამასთანავე, უ. ვაინრაიხი იყო პირველი ამერიკელ ლინგვისტებს შორის, რომელიც იდიომს განიხილავდა ყოფილ საბჭოთა კავშირში შემოთავაზებული ფრაზეოლოგიის ჭრილში. მას შემუშავებული აქვს შემდეგი ტიპის ტერმინოლოგია: იდიომი არის ფრაზეოლოგიური ერთეულის ქვესახეობა. ავტორი იდიომის ნიშნებს განსაზღვრავს, როგორც ”კონტექსტური სემანტიკური სპეციალიზაციის განსაკუთრებულ მაგალითს” (Weinreich 1969, 40). თავის ნაშრომში იგი ასხვავებს თავისუფალ შესიტყვებებს, ფრაზეო-ლოგიურ ერთეულებსა და იდიომებს და ასკვნის, რომ ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც შედგება ორი პოლისემიური კომპონენტისაგან და რომელშიც წარმოდგენილია ქვემნიშვნელობის შესაბამისი კონტექსტური ვარიანტი, არის იდიომი (Weinrich 1969, 42) .

ამავე პერიოდში უ. ჩეიფმა (Chafe 1968) შექმნა სხვა, საპირისპირო თეორია იდიომური გამოთქმების შესახებ. იგი აკრიტიკებდა ვაინრაიხსაც, კატცსაც და პოსტალსაც, და ამტკიცებდა, რომ მათი თეორიები არ შეესაბამება ტრანსფორმაციულ-წარმომქმნელი გრამატიკის პრინციპებს. მისი აზრით, იდიომური გამოთქმა უნდა განიხილებოდეს არა სინტაქსურ, არამედ სემანტიკურ ჭრილში. აღნიშნულ სემანტიკურ თეორიაზე დაყრდნობით, იდიომის წარმოქმნა უკავშირდება ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს სემანტიკური მნიშვნელობის წარმოქმნას. ავტორის აზრით, არსებობს სხვაობა იდიომატიზაციისა და სიტყვასიტყვით გაგებას შორის (Chafe 1968, 121). იდიომის ცნების განსაზღვრისას იგი აღნიშნავს შემდეგ ნიშან-თვისებებს: ა) მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობაზე; ბ) ტრანსფორმაციის უუნარობა და გ) უმართებულო სინტაქსური გაფორმება; დ) თუ რომელიმე იდიომი სინტაქსურად სწორად არის გაფორმებული და მოეპოვება სიტყვასიტყვითი ასლი, იგი მაინც გამოიყენება იდიომის მნიშვნელობით.

კატცისა და პოსტალის თეორიის მიმდევართა შორის ასევე აღსანიშნავია **ბრუს ფრეიზერი**. მის ნაშრომში ასევე გამოყოფილია ლექსიკური იდიომები (ე.წ. შერწყმული ლექსიკური ერთეულები, ანუ პოლიმორფებული ლექსიკური ერთეულები) და ფრაზეული იდიომები (ე.წ. მონომორფებული ლექსიკური ერთეულების უფრო რთული რიგი) (Fraser 1970, 41).

1973 წლიდან ყოფილ საბჭოთა კავშირში ფრაზეოლოგიის კვლევამ დიდ წარმატებას მიაღწია, განსაკუთრებით, ინგლისურენოვანი იდიომატიკისა და ფრაზეოლოგიის დარგში. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია ა. კუნინის, ი. მელჩუკის, ნ. ამოსოვას, ი. ანიჩკოვისა და სხვათა შრომები. როგორც აღინიშნა, საქართველოშიც იყო ინგლისურენოვანი იდიომური გამოთქმების შესწავლის ცდები⁷. უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ შრომებს შორის აღსანიშნავია გ. ზვიადაძის ინგლისური იდიომების კვლევა ამერიკული პროზის საფუძველზე (ზვიადაძე 1989).

დასასრულ, უნდა შევხებით გ. ნუნბერგის, ი. საგისა და თ. ვასოვის მიერ 1994 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს (Nunberg 1994), რომელსაც საფუძვლად დაედო 1981 წლიდან მათ მიერ ჩატარებული ერთობლივი კვლევის შედეგი იდიომების შესახებ. აღნიშნული ნაშრომით ავტორები ეწინააღმდეგებიან წარმომქნელი გრამატიკის ერთ-ერთ დებულებას იდიომურობის შესახებ, კერძოდ, მის არაკომპოზიტურობის კრიტერიუმს. იდიომური გამოთქმებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შესწავლით ავტორები ავლენენ განსაზღვრულ ასიმეტრიას იდიომური გამოთქმების გრამატიკულ და თემატურ როლებში.

ბოლო დროის ერთ-ერთ საფუძვლიან გამოკვლევას იდიომატიკის დარგში წარმოადგენს სიუზან რიმანის სადისერტაციო ნაშრომი კონსტრუქციული მიდგომის შესახებ იდიომებისა და სიტყვაწარმოებისადმი (Riehemann 2001). ავტორი განიხილავს გრამატიკის სხვადასხვა ასპექტს ძირითადად იდიომებისა და დერივაციული მორფოლოგიის თვალსაზრისით, კონსტრუქციულ მიდგომაში კი გულისხმობს იდიომებისა და მსგავსი დერივაციული სიტყვების როგორც ქვეკომპონენტების მქონე კომპლექსური ერთეულების განხილვას. ავტორის ძირითადი დებულება მიჰყვება ფილმორისა, კეისა (Fillmore 1988) და გოლდბერგის (Goldberg 1995) მიერ შემუშავებულ თეორიებს, ოღონდ მისეული მიდგომა უფრო ზოგადია მორფოლოგიასა და სინტაქსთან მიმართებაში.

1.2.2. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის ქართულ და რუსულ ენათმეცნიერებაში

რუსეთში XX საუკუნის შუა წლებიდან მიექცა განსაკუთრებული ყურადღება იმ მოვლენას, რომ არსებობს ე.წ. მყარი შესიტყვებები, რომლებიც განსაკუთრებული მხატვრულობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა. ყოფილ საბჭოთა სივრცეში

⁷ დაწვრილებით იხ. თავი 1.2.2

ფრაზეოლოგიის როგორც ცალკე ლინგვისტური დისციპლინის შექმნას უნდა ვუმაღლოდეთ რუსულ ენათმეცნიერებას და, განსაკუთრებით, ა. პოტეზნიას, ა. შახმატოვის, ფ. ფორტუნატოვისა და სხვათა შრომებს. ევროპულ და ამერიკულ ენათმეცნიერებაში აღნიშნული დარგის ჩამოყალიბება მოხდა მოგვიანებით და ფრაზეოლოგიაც მანამდე არ განიხილებოდა როგორც ცალკე დისციპლინა.

პირველად მყარი შესიტყვებების საკითხის განხილვის საჭიროებას რუსულ ენათმეცნიერებაში ვხვდებით ე. პოლივანოვთან, რომელმაც 1928 წელს სინტაქსის, მორფოლოგიისა და ლექსიკის განხილვისას გამოთქვა აზრი, რომ ფრაზეოლოგია მომავალში აუცილებლად ჩამოყალიბდება, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინა (Поливанов 1928).

მაგრამ უფრო საფუძვლიანად ფრაზეოლოგიის შესწავლა იწყება ვ. ვინოგრადოვის შრომებით (Виноградов 1977), რომელმაც, გაიზიარა რა ფერდინანდ დე სოსიურის "შვეიცარიული სკოლის" წარმომადგენლების ალბერ სემესა და შარლ ბალის მოსაზრებები ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა შესახებ, შეძლო ფრაზეოლოგიის თეორიული ბაზისის განვრცობა. მის შრომებში ფაქტობრივად ჩამოყალიბდა ფრაზეოლოგიის ძირითადი ამოცანები და კვლევის პრინციპები. რეალურად მის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად დამკვიდრდა ფრაზეოლოგიური ერთეულების სამი ტიპის ცნება, კერძოდ: ფრაზეოლოგიური შენაზარდები, ერთიანობანი და შესიტყვებები (фразеологические выражения, единства и сочетания); აღნიშნული ფორმები შეფასდა სემანტიკური ერთიანობისა და შიდა ფორმის არსებობის-არარსებობის თვალსაზრისით. რასაკვირველია, დღევანდელი თვალთახედვით, ვ. ვინოგრადოვის თეორია ფრაზეოლოგიური ერთეულების შესახებ ნამდვილად არ არის სრულყოფილი და უნდა ითქვას, რომ ამ თეორიამ შემდგომ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა.

დაახლოებით ამავე პერიოდიდან, უფრო ზუსტად, 1941 წლიდან საქართველოში ჩნდება გამოკვლევები, რომლებიც ეძღვნება ფრაზეოლოგიისა და, კერძოდ, იდიომატიკის საკითხებს. ამ მხრივ ერთ-ერთ პირველ შრომად უნდა აღინიშნოს თ. სახოკიას გამოქვეყნებული შრომა "ვეფხისტყაოსნის" ფიგურალური სიტყვანი და გამოთქმანი (სახოკია, "ვეფხისტყაოსნის" ფიგურალური სიტყვანი და გამოთქმანი 1938), რომელსაც მოჰყვა ა. ნეიმანის პრაქტიკული ხასიათის სტატია "ქართული იდიომები "კაცია-ადამიანის" მიხედვით და მათი რუსული

შესატყვისები” (ნეიმანი 1941). სტატიაში განხილულია მხოლოდ ის იდიო-მური გამოთქმები, რომლებიც გვხვდება ილია ჭავჭავაძის ”კაცია-ადამიანში”, ავტორი ცდილობს მათთვის შესაფერისი რუსული ეკვივალენტების მოძებნას. ამით იგი რეალურად უარყოფს მოსაზრებას, რომ იდიომი თავისი არსით წარმოადგენს ერთეულს, რომლის თარგმნა უცხო ენაზე თითქმის შეუძლებელია.

ცოტა მოგვიანებით კი, გამოიცა ა. ფრანგიშვილის სტატია ”გულ” სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა სემანტიკასთან დაკავშირებით” (ფრანგიშვილი 1944), რომელშიც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის განხილული ”გულის” სემანტიკური ველის მქონე იდიომური გამოთქმები. მაგრამ აღნიშნული შრომა მაინც ვერ მიიჩნევა ფრაზეოლოგიისა და იდიომატიკის საფუძვლიან კვლევად; მისი შეფასება უფრო ფსიქოლინგვისტიკის თვალსაზრისით თუ შეიძლება.

თუმცა რეალურად, ქართული ფრაზეოლოგიის საფუძვლიანი შესწავლა დაიწყო მას შემდეგ, რაც გამოიცა თ. სახოკიას ნაშრომი ”ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ (სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი I (1950); II (1954); III (1955), მაგრამ აღნიშნული ნაწარმოები ლექსიკოგრაფიული ხასიათისაა და არ მოიცავს იდიომატიკასთან დაკავშირებული თეორიული საკითხებს

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვ. ვინოგრადოვის თეორია ფრაზეოლოგიის შესახებ ნელ-ნელა იცვლებოდა და ახლებურ მიდგომას უკვე ვხვდებით ა. სმირნიცკისა და ო. ახმანოვას შრომებში, რომლებიც ფრაზეოლოგიზმებს განიხილავდნენ, როგორც ენის სტრუქტურულ ერთეულებს. ა. სმირნიცკის აზრით, ანდაზების, აფორიზმებისა და საერთოდ, სხვადასხვა ტიპის შესიტყვებების განხილვა შეიძლება როგორც ენობრივი ერთეულებისა. ამასთანავე, ა. სმირნიცკის ”ინგლისური ენის ლექსიკოლოგიაში” (Смирницкий 1956) განხილულია ორი ძირითადი ცნება: ფრაზეოლოგიური ერთეული და იდიომი. ყოველ შემთხვევაში, მის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციაში არსად გვხვდება ვინოგრადოვისეული ფრაზეოლოგიური შენაზარდები, ფრაზეოლოგიური შენაერთები და ფრაზეოლოგიური ერთიანობანი. მისი თეორიის თანახმად, ფრაზეოლოგიური ერთეული უშუალოდ დამოკიდებულია მნიშვნელობის მქონე სიტყვებზე.

ო. ახმანოვასეული თეორიის მიხედვით, გარდა ა. სმირნიცკის მიერ შემოთავაზებული ორი ძირითადი ერთეულისა, როგორიცაა ფრაზეოლოგიური ერთეული და იდიომი, გაერთიანებულია ანდაზები და ანდაზური თქმანი.

ამასთანავე, იგი იდიომურობის კრიტერიუმს მეორეულ მოვლენად თვლიდა და ფრაზეოლოგიური ერთეულის ძირითად პრინციპად "ნომინაციის ერთობლიობას" (Ахманова 1957) გამოყოფდა. ასევე, თავის ერთ-ერთ სტატიაში სიტყვის შესაძლო ეკვივალენტების განხილვისას იგი სადემარკაციო ხაზს ავლებს ზმნურ შესიტყვებებსა და იდიომებს შორის (Ахманова 1948). ყოველ შემთხვევაში, ორივე ავტორი განეკუთვნება ორმოცდაათიანი წლების სისტემატიზაციის ტენდენციას, რომელიც ფართოდ ვრცელდება იმდროინდელ საბჭოთა მეცნიერებაში.

ა. ნეიმანისა და ა. ფრანგიშვილის საქმის გამგრძელებლად გვევლინება გ. შალამბერიძე (შალამბერიძე 1956), რომელიც თავის ნაშრომში განიხილავს "კაცია-ადამიანში" წარმოდგენილ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ენათმეცნიერული თვალსაზრისით.

ამავე პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სპეციალური გამოკვლევაა ქ. კანდელაკის სადისერტაციო ნაშრომი ინგლისური მეტაფორული იდიომებისა და მათი ქართული ეკვივალენტების შესახებ. ნაშრომის ძირითად ბირთვს იდიომის ცნება წარმოადგენს. კვლევის შედეგად ავტორს გამოყოფილი აქვს იდიომების ორი ტიპი: ხატოვანი იდიომები და გაქვავებული იდიომები (Канделаки 1955, 56). ნაშრომში საფუძვლიანადაა განხილული მეტაფორული იდიომები და მოყვანილია ინგლისურ-ქართული ადეკვატურები, თუმცა ავტორის თქმით, აბსოლუტურად იდენტური იდიომური გამოთქმები ქართულსა და ინგლისურ ენებში ნაკლებად გვხვდება.

იდიომატიკის როგორც დარგის განვითარება რამდენადმე გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება და იწყება 1954 წლიდან, როცა გამოდის ა. ონიანის ნაშრომი "ქართულ-სვანური იდიომატიკის საკითხები" (ონიანი 1954), რომელშიც ზოგადთეორიულ საკითხებთან ერთად გვხვდება ქართული და სვანური ენების იდიომური გამოთქმების შედარებითი ანალიზი. მაგრამ რეალურად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველი შრომა, რომელიც ეხებოდა ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, იყო 1950 წელს გამოქვეყნებული თ. სახოკიას "ქართულ-ხატოვანი სიტყვა-თქმანი"-ს პირველი ტომი შოთა ძიძიგურის შესავალი სიტყვით (სახოკია 1950-1955, 1979), სადაც იგი განმარტავდა იდიომის ცნებას. თვითონ ლექსიკონი კი წარმოადგენს ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელოვან წყაროს. დაახლოებით ამავე პერიოდისაა ლ. ლეჟავას მოხსენება (ლეჟავა 1956) ფრაზეოლოგიურ ერთეულთა

შესწავლის საკითხების შესახებ, რომელშიც ავტორი განიხილავს ფრაზეოლოგიზმების დაჯგუფების ვარიანტებს.

XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან საქართველოში, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებშიც, თანდათან მატულობს როგორც მხატვრული, ასევე სამეცნიერო ლიტერატურის რუსული ენიდან და რუსულ ენაზე თარგმნის საჭიროება. ამ მხრივ ერთ-ერთ პირველ შრომას წარმოადგენს ნ. გამრეკელის "რუსულ-ქართული იდიომატიკა" (გამრეკელი 1956), რომელშიც მოცემული იყო რუსული იდიომური გამოთქმების კონტექსტური თარგმანი. აღნიშნულ კრებულს მოჰყვა ალ. კობახიძის სტატია "რუსული ფრაზეოლოგიზმების ქართულად გადმოცემისა და სწავლების საკითხისათვის" (კობახიძე 1958), რომელშიც ავტორი მსჯელობს ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნის შესახებ.

ასევე უნდა აღინიშნოს ამავე პერიოდის საკმაოდ საფუძვლიანი სამი შრომა: 1) "ინგლისური იდიომები სასაუბრო ენაში რუსული და ქართული ეკვივალენტებით" (პეტროვა 1952); 2) "გერმანული იდიომები და ფრაზეოლოგიური ქცევები ქართული და რუსული შესატყვისებით" (გამრეკელი 1953); 3) "ფრანგული იდიომები და მათი ეკვივალენტები ქართულ და რუსულ ენაში" (მიქაძე 1956). აღნიშნული ნაშრომები განიცდიდნენ რუსული სამეცნიერო ლიტერატურის ზეგავლენას. მათში ფაქტობრივად სამენოვანი მასალა იყო წარმოდგენილი. ამ შრომებს უფრო ლექსიკოგრაფიული დანიშნულება ჰქონდათ. მაშასადამე, ამ პერიოდში ქართული ენათმეცნიერების მთავარ ამოცანას უცხოენოვანი მასალის ათვისების პრაქტიკული დანიშნულება წარმოადგენდა.

სამოციანი წლებიდან რუსული ფრაზეოლოგია, როგორც სამეცნიერო დარგი, ავითარებს კვლევის ე.წ. ფრაზეოლოგიურ მეთოდებს, რომლებიც ეფუძნება ენობრივი მასალის სისტემურ ანალიზს. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს რამდენიმე ნაშრომი, კერძოდ, ვ. არხანგელის, ნ. ამოსოვას, ვ. ჟუკოვის, ა. კუნინისა და მ. ტაგიევის.

ვ. არხანგელსკის ნაშრომი მიეძღვნა რუსული ენისათვის დამახასიათებელ მყარ შესიტყვებებს და ეხება არა მხოლოდ შესიტყვებების პრობლემატიკას, არამედ ზოგადი ფრაზეოლოგიის ძირითად პრობლემებსაც (Архангельский 1964).

ნ. ამოსოვას ნაშრომებში ავტორმა ექვეყნა დააყენა ფრაზეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ცნება ფრაზეოლოგიური ერთეულისა და სიტყვის თანაფარდობის შესახებ და ამით გამოეხმაურა ვ. ვინოგრადოვის მოსაზრებას სიტყვათა კომპლექსის სიმყარე-

მდგრადობის შესახებ და აღნიშნა, რომ ვ. ვინოგრადოვის მოსაზრება ფრაზეოლოგიური ერთეულების პირობითობის შესახებ არ ეფუძნება რომელიმე კონკრეტულ ნიშანს (Амосова 1963, 7-9). ენის ლექსიკური შესწავლის თვალსაზრისით იგი განარჩევდა ფრაზეოლოგიური ერთეულების ორი ტიპს: ფრაზემასა და იდიომს, ხოლო სტრუქტურული თვალსაზრისით შემოიღო ნაწილობრივ პრედიკატული ფრაზეოლოგიზმის ცნება, რომლებშიც პრედიკატული ერთეული დამოკიდებულია მთავარ გრამატიკულ წევრზე – ანტეცედენტზე; ხოლო სრული პრედიკატული სტრუქტურის მქონე შესიტყვებები, როგორიცაა ანდაზები, მისი აზრით, ფრაზეოლოგიის კვლევის საგანს არ წარმოადგენენ.

ვ. ჟუკოვი თავის ნაშრომებში განიხილავდა ზმნური ფრაზეოლოგიური ერთეულების სინტაქსურ და მორფოლოგიურ ნიშან-თვისებებს. ავტორის კვლევათა თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს საკმაოდ ვრცელი კონცეფცია ფრაზეოლოგიური ერთეულების შესახებ, რომელშიც ჩამოყალიბებულია ფრაზეოლოგიზმის ძირითადი ნიშან-თვისებები, კერძოდ: ა) ფრაზეოლოგიზმების როგორც თანწყობითი და ქვეწყობითი შესიტყვებების ასახვა; ბ) სემანტიკური დაუშლელობა (იდიომურობა); გ) კომპონენტური შედგენილობა და დ) სიტყვასთან თანაფარდობა (Жуков 1975). ავტორისეული კვლევების პრაქტიკული დანიშნულება ნათლად აისახა მის მიერ შედგენილ ლექსიკონებში: რუსული ანდაზებისა და ანდაზური თქმების ლექსიკონი (შევსებული გამოცემა, 1991 წ.), რუსული ენის სასკოლო ფრაზეოლოგიური ლექსიკონი (1980 წ.) და რუსული ენის ფრაზეოლოგიური სინონიმების ლექსიკონი (1987 წ.). ასევე უნდა აღინიშნოს ავტორის მიერ შემოღებული კონტექსტუალური აპლიცირების მეთოდი⁸, რომელიც დღესაც გამოიყენება ფრაზეოლოგიურ კვლევებში.

ფრაზეოლოგიური და იდიომური გამოთქმების განხილვისას ერთ-ერთ წამყვან თეორიად დღესდღეობით ითვლება ა. კუნიჩის მიერ შემოთავაზებული თეორია. ავტორი გვთავაზობს ფრაზეოლოგიის სამ ძირითად მიმართულებას: იდიომატიკას, იდიოფრაზეომატიკასა და ფრაზეომატიკას (Куних 1970, 48). ავტორის აზრით, ფრა-

⁸ აღნიშნული მეთოდი შემოიღო ვ. ჟუკოვმა თავის სადოქტორო დისერტაციაში: "ფრაზეოლოგიზმი და სიტყვა", მაგრამ სრული სახით მისი წარმოდგენა შეძლო თავის მონოგრაფიაში "რუსული ფრაზეოლოგია". მეთოდი გულისხმობს ფრაზეოლოგიზმის პირობით შესაბამისობას თავისუფალ ეკვივალენტურ შესიტყვებასთან და მისი ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის შედარებას ამოსავალი ლექსემების მნიშვნელობათა სისტემასთან (Жуков 1975, 48).

ზეოლოგიის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ნებისმიერი მყარი შესიტყვება, რომლის მნიშვნელობა გართულებულია. შესაბამისად, ფრაზეოლოგიზმის ქვედა ზღვარს წარმოადგენს გართულებული სტრუქტურის (შესაძლებელია დამხმარე სიტყვის) მქონე შესიტყვება, ხოლო ზედა ზღვარს - მხოლოდ ანდაზის ფორმის მქონე რთული წინადადება. ავტორმა სამართლიანად აღნიშნა ფრაზეოლოგიური ერთეულების ანთროპოცენტრული ხასიათი და მეტაფორული წარმომავლობა. ა. კუნიჩის შრომების პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს მის მიერ შედგენილი ინგლისურ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი (1984 წ.).

მ. ტაგიევის შრომებში პირველად ვხვდებით მოსაზრებას ფრაზეოლოგიური ერთეულისა და გარე ობიექტის კავშირის შესახებ. ავტორმა შეიმუშავა ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზის მეთოდი გარემოს გათვალისწინებით. ამ მეთოდს სხვაგვარად დისტრიბუციის მეთოდს უწოდებენ. ავტორის აზრით, ზუსტად გარემო წარმოადგენს ინფორმაციის მატერიალურ მატარებელს შესიტყვების ფრაზეოლოგიურობის შესახებ, ფრაზეოლოგიურობის აღმნიშვნელ თვისებას (Тагиев 1966, 127). ა. კუნიჩს შემოთავაზებული აქვს ზმნური ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვაგვარი კონფიგურაციები, საიდანაც ნათლად ჩანს ზმნური ფრაზეოლოგიზმებისა და გარემოს ურთიერთობის საკითხი.

სამოციანი წლების ქართულენოვანი შრომებიდან, ნათლად ჩანს, რომ ხდება მოპოვებული ახალი მასალის ათვისება, გაანალიზება და თეორიული ბაზის განვითარება. სამოციანი წლების დასაწყისშივე გამოქვეყნდა ა. თაყაიშვილის ნაშრომი "ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები" (თაყაიშვილი 1961), რომელიც დღესაც ითვლება ქართული ფრაზეოლოგიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ შრომად. მასში განხილულია იმ დროისათვის არსებული თეორიები და მოცემულია ფრაზეოლოგიური შესიტყვებისა და იდიომის სემანტიკურ-გრამატიკული და ლექსიკურ-სტილისტიკური ანალიზი.

პრაქტიკული თვალსაზრისით კი, აღნიშნული პერიოდი ხასიათდება ლექსიკოგრაფიული მუშაობით: სამოციან წლებში ქვეყნდება ალექსანდრე ონიანის "ქართული იდიომები", შალვა ღლონტი ამზადებს "ვეფხისტყაოსნის" ფრაზეოლოგიურ ლექსიკონს (ღლონტი 1968) და გრძელდება ინგლისური იდიომური გამოთქმების შესწავლა (მესხიშვილი 1969).

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში კვლავ გრძელდებოდა ფრაზეოლოგიის თეორიული ბაზისის განვითარება, რომელიც გამოიხატება ფრაზეოლოგიური შემადგენლობის სისტემური ორგანიზაციის კვლევით. მსგავსი მიმართულების გამოკვლევებს ვხვდებით ი. ჩერნიშოვასა და ნ. შანსკის შრომებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ი. ჩერნიშოვას შრომებს, რომლებშიც მოცემულია გერმანული ფრაზეოლოგიის მრავალმხრივი დახასიათების ცდა. ავტორი ითვალისწინებს თითქმის ყველა დეტერმინატორს; კრიტერიუმები მას შემდეგნაირად წარმოუდგენია: 1. გრამატიკული სტრუქტურა: ა) შესიტყვება; ბ) პრედიკატული შესიტყვება და წინადადება; 2. წარმოების წესი: ა) კომპონენტების ცალკეული კავშირი; ბ) წარმოება მოდელის მიხედვით; გ) სერიული წარმოება; 3. მნიშვნელობა, როგორც სტრუქტურისა და მყარი შესიტყვებების კომპონენტურ შემადგენლობაში სემანტიკური ძვრების არსებობა-არარსებობის ურთიერთობის შედეგი: ა) მნიშვნელობა, რომელიც წარმოიქმნება კომპონენტების სემანტიკური გარდაქმნის შედეგად; ბ) მნიშვნელობა, რომელიც წარმოიქმნება საკუთარ ლექსიკურ მნიშვნელობათა საფუძველზე; გ) მნიშვნელობა, რომელიც წარმოიქმნება ტიპობრივი სტრუქტურის შედეგად (Чернышева 1970, 28). ამ კლასიფიკაციის საფუძველზე ავტორი ასკვნის ფრაზეოლოგიური ერთეულების ორი ტიპის არსებობას: 1) ლექსიკური ერთიანობანი და ნომინატიური ფრაზეოლოგიზმები; 2) ნომინატიურ-ექსპრესიული ფრაზეოლოგიზმები.

ნ. შანსკის მოსაზრებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი ძირითადად მიჰყვება ფრაზეოლოგიური ერთეულების ვ. ვინოგრადოვისეულ კლასიფიკაციას (ფრაზეოლოგიური შენაზარდები, ფრაზეოლოგიური ერთიანობები და ფრაზეოლოგიური შეხამებები). ცალკე ჯგუფად არის გამოყოფილი ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებშიც, ავტორის აზრით, უნდა გაერთიანდეს ციტატები, ანდაზები და ზოგიერთი ტერმინოლოგიური გამოთქმაც (Шанский 1969, 84).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდის თეორიებს შორის განხილვას იმსახურებს ს. გავრინის თეორია, რომელიც წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმების სემანტიკურ კვლევის შედეგს. მის შრომებში ყურადღება გამახვილებულია ფრაზეოლოგიზმების სემანტიკის ნომინატიურ ასპექტსა და ფორმათწარმოქმნის დინამიკაზე. ს. გავრინი განიხილავს ფრაზეოლოგიურ სისტემას მისი

ფუნქციონალურ-სემანტიკური სირთულის თვალსაზრისით. ამ სისტემაში გაერთიანებულია ყველა მყარი და პირობითად მყარი შესიტყვება. ავტორის აზრით, ფუნქციონალური ასპექტისა და გამოყენების თვალსაზრისით ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც იძლევა საშუალებას, ვიმსჯელოთ ასეთ ერთეულთა ფრაზეოლოგიის უფრო რთულ, ნახევრად ფუნქციონალურ კლასში გადასვლის შესახებ, რომელიც ემსახურება მეტყველების ლაკონიზაციას (Гаврин 1974, 38).

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ქართული ფრაზეოლოგიის კვლევა გრძელდება კვლავ თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გათვალისწინებით. კვლევის ობიექტად რჩება სხვადასხვა ენობრივი მასალა. მატულობს ტიპოლოგიური კვლევების რაოდენობაც.

ძირითად საკვლევ ობიექტს განეკუთვნება რუსული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულები. ამასთანავე, მნიშვნელოვან პარალელებს ვხვდებით ოსურსა (ქურდაძე 1987) და აფხაზურ (კასლანძია 1989) ენებთან. ამ პერიოდში შექმნილ ლექსიკონებს შორის ცალკე უნდა აღინიშნოს ლექსიკონები, რომლებიც ეფუძნება ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოებს, მაგ., 1988 წელს გამოქვეყნდა ნ. სუხიტაშვილის "იდიომების განმარტება მიხეილ ჯავახიშვილის რომანებში", ხოლო 2004 წელს გამოქვეყნდა თ. ზვიადაძის "დავით კლდიაშვილის ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკონი". როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ პერიოდის ქართულ ენათმეცნიერულ კვლევათა უმრავლესობას პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. გასათვალისწინებელია ორენოვანი ლექსიკონებიც (ბარნაბიშვილი 1996; აბაშიძე 2006; მამულაია 2006; სურგულაძე 2009 და სხვ.).

თეორიული თვალსაზრისით გასათვალისწინებელია შ. აფრიდონიძის სტატია "იდიომი და იდიომურობა", რომელშიც გვხვდება იდიომის შემდეგი განსაზღვრა: "იდიომი არის სემანტიკურად დაუშლელი და გრამატიკულად შეუზღუდული გამოთქმა, რომელიც შეიცავს ერთ აღმნიშვნელ სიტყვას მაინც და ამა თუ იმ ტერმინის სინონიმად იხმარება" (აფრიდონიძე 1986, 73).

1.2.3. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის ბერძნულ ენათმეცნიერებაში

ზემოთ ჩამოთვლილ ენებთან შედარებით, ახალი ბერძნული ენის ფრაზეოლოგია ნაკლებად შესწავლილ საკითხებს მიეკუთვნება. ეს ფაქტი მხოლოდ იმით თუ შეიძლება აიხსნას, რომ ახალი ბერძნული ენის ფრაზეოლოგიის შესწავლა მიმდინარეობდა მხოლოდ ლექსიკოგრაფიის ფარგლებში სხვადასხვა ლექსიკონების შედგენის მიზნით, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი ბერძნული ენის ფრაზეოლოგია ძირითადად ორიენტირებული იყო მის პრაქტიკულ დანიშნულებაზე. ახალი ბერძნული ენის იდიომატიკის, კერძოდ, იდიომური გამოთქმების შესწავლა იწყება მანოლის ტრიანდაფილიდისის “ახალი ბერძნული ენის გრამატიკით”⁹, რომელშიც ავტორს ნახსენები აქვს იდიომური გამოთქმების ორი ტიპი: მორფოსინტაქსური (ტყუპი ფორმულები) და სემასიოლოგიური (ანდაზები, აფორიზმები). ავტორის აზრით, ენაში ხშირად გვხვდება სხვადასხვა გამოთქმა, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტულ ენაში და რომელთაც აქვთ განსხვავებული მნიშვნელობა. აღნიშნულ ერთეულებს მ. ტრიანდაფილიდისი უწოდებს იდიომებს (Τριανταφυλλίδης 1988, 197). ავტორი წერს: “გვხვდება სხვადასხვა ტიპის იდიომები. განსაკუთრებით ხშირად დასტურდება ისეთი იდიომები, რომლებიც გვხვდება სიტყვაში იდეის, მსგავსების, სინონიმის ან ანტონიმის გამეორების მიზნით, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, იქმნება και (=და)-ს კავშირისა და για (=თვის) წინდებულის საშუალებით”(Τριανταφυλλίδης 1988, 198). მ. ტრიანდაფილიდისის ნაშრომში ვხვდებით შეხამებების სხვა მაგალითებსაც, კერძოდ: όσα όσα (იმდენად, რამდენადაც), έτσι κι έτσι (ისე რა), ίδια και ίδια (ისევ ის), πέρα για πέρα (სულ მთლად), αύριο μεθαύριο (ხვალ-ზევ). ბ. ფოჩუას მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის თანახმად, იდიომური გამოთქმების მსგავს ტიპს ვუწოდებდით “ტყუპ ფორმულებს”.

გარდა ზემოხსენებული შესიტყვებებისა, მ. ტრიანდაფილიდისს ნახსენები აქვს ე.წ. ანდაზური გამოთქმები, რომლებიც “...სტერეოტიპული გამოთქმები და ისეთი გამოთქმები, რომლებიც წარმოიქმნება ხოლმე ანდაზებისგან და რომლებიც

⁹ კვლევისას ვეყრდნობით: Τριανταφυλλίδης, Μ., Νεοελληνική Γραμματική (της Δημοτικής), 1988 წლის გამოცემას, მაგრამ უნდა აღინიშნოს მისი ადრინდელი გამოცემაც: Τριανταφυλλίδης, Μ., Νεοελληνική Γραμματική, Ανατύπωση της έκδοσης του ΟΕΣΒ 1941 με διορθώσεις, 1978, Αριστοτέλειο Πανεπιστήμιο Θεσσαλονίκης, Ίδρυμα Νεοελληνικών Σπουδών, Ίδρυμα Μανόλη Τριανταφυλλίδη.

მეტაფორულად, ხატოვნად ასახავენ იმას, რისი თქმაც სხვაგვარად სიტყვასიტყვით შეიძლება: წყნარი მდინარე (*σιγανό ποτάμι*), გიჟის თმა (*της τρελής τα μαλλιά*), სამი და გუგული (*τρεις κι ο κούκος*), მაღალი ნახტომი (*για ψύλλου πήδημα*)“ (Τριανταφυλλίδης 1988, 198). პირველად მ. ტრიანდაფილიდისთან ვხვდეთ ახალი ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი გამოთქმების კლასიფიკაციას. ამ კლასიფიკაციიდან აღსანიშნავია ე.წ. ”ნასწავლი” იდიომების, ანდაზებისა და გამოთქმების არსებობა. ავტორის აზრით, გარდა ხალხური იდიომური გამოთქმებისა, არსებობს ”ნასწავლი” იდიომების წყება. თუმცა ხშირად არ გამოიყენება და უკავშირდება ძველ შეხედულებებს, უფრო მეტიც – საეკლესიო შეხედულებებს. მსგავსი ტიპის იდიომების გრამატიკული გაფორმება ძირითადად არ ემთხვევა ახალი ბერძნული ენის დღევანდელ კანონზომიერებებს¹⁰.

იდიომატიკის დარგში მანოლის ტრიანდაფილიდისის საქმის გამგრძელებლად მიჩნეულია ე. დემირი-პროდრომიდუ, დ. ნიკოლაიდუ-ნესტორა და ნ. ტრიფონა-ანტონოპულუსი, რომლებმაც 1983-1985 წლებში გამოაქვეყნეს წიგნი ”იდიომებისა და გამოთქმების ენა“ (Δεμίρη-Προδριμιδίου 1983-1985). აღნიშნული ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, ფართო მკითხველისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია ახალი ბერძნული ენის იმ ნაწილის შესახებ ”...რომელიც შედგება ფრაზებისა და იდიომებისაგან და რომელიც ამდიდრებს და განსაკუთრებულ იერს სძენს ენას“ (Δεμίρη-Προδριμιδίου 1983-1985, 5). წიგნი წარმოადგენს ახალი ბერძნული ენის იდიომური გამოთქმების ლექსიკონს, რომელშიც ყოველ იდიომს ახლავს სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელი მაგალითები. ეს მაგალითები წარმოდგენილია დიალოგების სახით, რაც მეტად მნიშვნელოვანია უცხოელთათვის, რომლებსაც ამ გზით უადვილდებათ ყოველდღიური ენობრივი მასალის ათვისება. 1985 წელს გამოვიდა ამ წიგნის დანართი – სავარჯიშოთა რვეული, რომელშიც იდიომური გამოთქმები გაწყობილია ანბანის მიხედვით და განსაკუთრებული ყურადღება

¹⁰ მ. ტრიანდაფილიდისის მიერ მოყვანილ მაგალითებში (Τριανταφυλλίδης 1988, 200), კერძოდ, ზემოაღნიშნული იდიომების მაგალითებად ტრიანდაფილიდისის მოყვანილი აქვს შემდეგი ფრაზები: *εκ των προτέρων* (წინასწარ), *εκ των υστέρων* (მოგვიანებით), *κακήν κακώς* (უხეშად), *άρον άρον* (ოდესღაც), *εις οιασόν άριστον* (არ უნდა მიაქციო ყურადღება ცუდ ნიშნებს, მხოლოდ სამშობლოზე უნდა იფიქრო) და ა.შ., ნათლად ჩანს კატარევუსას და უფრო ადრინდელი პერიოდის ბერძნული ენის ზეგავლენა. თანამედროვე ბერძნულისათვის მსგავსი გრამატიკული ფორმების არსებობა უცხოა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გამოთქმები იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენება სასაუბრო ბერძნულშიც, მაგ.: *εκ γενετής*, *εκ' εν τάξει*.

გამახვილებულია დიალოგებზე, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის ძირითად საშუალებაზე.

თუ მ. ტრიანდაფილიდისის ნაშრომი ქმნის ახალი ბერძნული ენის თეორიულ ბაზისს, აღნიშნული ორი წიგნი წარმოადგენს ახალი ბერძნული ენის იდიომური გამოთქმების პირველ ლექსიკოგრაფიულ ცდას.

ენათმეცნიერ ირინი ფილიპაკი-ვარბურტონს თავისი თეორიული ენათმეცნიერების შესავალში მოკლედ აქვს განმარტებული იდიომის ცნება. აღნიშნული ცნების განხილვა მას მოუხდა სიტყვის მნიშვნელობასა და სიტყვის ცნებას შორის არსებული სხვაობის ფონზე. ი. ფილაფაკი-ვარბურტონი ასხვავებს გამოთქმებს, რომლებსაც აქვთ ზუსტი მნიშვნელობა (მაგ., $\tau\alpha \pi\acute{\iota}\nu\alpha\zeta\epsilon = \pi\acute{\iota}\nu\alpha\zeta\epsilon \kappa\acute{\alpha}\tau\iota$, *π.χ. τὰ χαλὰ*) (Φιλίππακη-Warburton 1992)¹¹ და იდიომურ გამოთქმებს, რომლებსაც აქვთ იდიომური და მეტაფორული მნიშვნელობა ($\tau\alpha \pi\acute{\iota}\nu\alpha\zeta\epsilon = \pi\acute{\epsilon}\theta\alpha\nu\epsilon$)¹². ავტორი უგულებელყოფს იდიომური გამოთქმების მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ თავისებურებებს; მისთვის იდიომური გამოთქმები წარმოადგენს მხოლოდ ფრაზებს, რომლებიც მოქმედებენ, როგორც მარტივი ლემები.

სხვა ბერძენი ენათმეცნიერი ელენი სელა თავის ნაშრომში აღნიშნავს იდიომურ გამოთქმებს, როგორც სინტაქსურ და მნიშვნელობით "გაყინვის" შედეგს, ე.წ. "გაყინულ" ფრაზებს, რომელთა საზღვრები საკმაოდ ბუნდოვანია. ზოგადად, ავტორის მოსაზრება ემთხვევა საერთაშორისო ენათმეცნიერებაში იდიომის მიღებულ განმარტებას. მისი აზრით, ეს არის "იმ ლექსიკურ ერთეულთა შენაზარდი, რომლებიც სინტაქსურად მოქმედებს, როგორც ერთი ერთეული და რომელთა სემანტიკური მნიშვნელობა არ უდრის იმ ერთეულთა მნიშვნელობათა ჯამს, რომლებისგანაც იგი შედგება" (Σελλά-Mάτζη 1993, 3). მ. ტრიანდაფილიდისის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციაში ნახსენებ ე.წ. "ნასწავლი" იდიომის ცნებას იგი განმარტავს, როგორც იდიომური გამოთქმების პარადიგმებს, რომლებიც შეიქმნა ისტორიულ მოვლენათა, საზოგადოებრივი ცხოვრების ძველი პლასტების ან რელიგიური მოვლენების ზეგავლენით¹³. უნდა აღინიშნოს, რომ სელას ნაშრომში

¹¹ გაჭიმა = გაჭიმე რამე, მაგ., ცუდი მდგომარეობის, (Φιλίππακη-Warburton 1992, 272)

¹² გაჭიმა (შდრ. *გეხები გაჭიმა*) = მოკვდა, (Φιλίππακη-Warburton 1992, 272)

¹³ (ζει σὰν) πασὰς στὰ Γιάννενα – (ცხოვრობს) როგორც ფაშა იანინაში (იგულისხმება: ძალიან კარგადაა მოწყობილი); μου ἔβγαλε τὴν πίστη (ἀνάποδα) – რწმენა დამაკარგვინა (ამომიტრიალა) (იგულისხმება: გადამარწმუნა)

განხილულია ის ძირითადი პრობლემა, რომელსაც ვაწყდებით იდიომური გამოთქმების თარგმნისას.

1994 წელს გამოვიდა იდიომური გამოთქმების ბერძნულ-გერმანული და გერმანულ-ბერძნული ლექსიკონი (Αντωνίδου 1994). აღნიშნული ლექსიკონის ავტორთა მოსაზრება სავსებით ემთხვევა ი. ფილიპაკი-ვარბურტონის მოსაზრებას იდიომური გამოთქმების შესახებ. მათი აზრით, იდიომი არის სტერეოტიპული გამოთქმა, რომლის მნიშვნელობაც არ მომდინარეობს მისი ცალკეული სიტყვების მნიშვნელობებისაგან, და მათი გაგება ძირითადად გართულებულია (Αντωνίδου 1994, 3). ავტორები იხრებიან იმ აზრისკენ, რომ იდიომების თარგმნა უცხო ენაზე სათანადო ენისათვის დამახასიათებელი იდიომებით შეუძლებელია, რის გამოც უნდა ხდებოდეს მათი განმარტება ან აღწერა.

ჩამოთვლილი შრომებიდან ყველგან, ინგლისურენოვანი ლიტერატურის მსგავსად, განიხილებოდა იდიომის ცნება. პირველი, ვისაც ბერძნულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში აქვს ნახსენები ტერმინი "ფრაზეოლოგიზმი", არის ვიქტორია მოტსიუ (Μότσιου 1983, 63). მისი ნაშრომის შეფასებისას ანასტასია პარიანუ აღნიშნავს, რომ მოტსიუს კვლევაზე ზეგავლენა მოახდინა მისმა ხანგრძლივმა მივლინებამ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და სწავლამ კიევისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში (Παριάνου 1998).

ყოველ შემთხვევაში ვ. მოტსიუსთან ვხვდებით ფრაზეოლოგიის ცნების ჩამოყალიბების პირველ ცდას; ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ძირითად ნიშნად იგი ასახელებს "ფორმალურ ერთიანობას, ანუ ანალიზის უუნარობას აღმნიშვნელის აბსტრაქტულ და პირობით ხასიათთან ერთად" (Μότσιου 1994). ამასთანავე, ავტორი ერთმანეთს უკავშირებს ფრაზეოლოგიზმებისა და კომუნიკაციის პრობლემატიკას და აღნიშნავს: "ამგვარად, ფორმისა და შინაარსის კავშირი, ასიმეტრიულის გარდა, არის აბსტრაქტული და პირობითი" (Μότσιου 1994, 62).

დასასრულ, განსახილველია აგრეთვე ა. პარიანუს ნაშრომი, რომელიც ეძღვნება იდიომური გამოთქმების შესწავლას პრაგმატოლოგიის კუთხით (Παριάνου 1998). მასში შესულია თანამედროვე ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი რელიგიური იდიომების თეორიული ანალიზი და მათი შედარება გერმანულენოვან მასალასთან. აღნიშნული იდიომების შესწავლა ხდება მათი გამოყენების პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე, მათი თარგმანის თავისებურებების

გათვალისწინებით. ავტორი აღნიშნავს, რომ «პრაგმატული იდიომები რელიგიური შინაარსით არის გამოთქმები, რომლებიც შეიცავს არააღწერით ინფორმაციას და რომელთა საშუალებითაც გამოიხატება გრძნობები, ცხოვრებისეული გამოცდილება, ინდივიდუალური მდგომარეობა, პიროვნული აზრები და შეფასებები» (Παρίανου 1998, 12).

ბოლო ხანებში ბერძნულენოვან იდიომურ გამოთქმებს იკვლევს ზოგიერთი რუსი მეცნიერიც, კერძოდ, უნდა აღვნიშნოთ ა. კიპრიანოვის საკანდიდატო დისერტაციაც (Киприянова 1999), მაგრამ მასში ძირითადი ყურადღება მაინც ფრაზეოლოგიური ერთეულების ზოომორფულ მახასიათებლებზეა გადატანილი.

1.2.4. "იდიომის" ცნებისა და ტერმინის საკითხისათვის

იდიომის ცნების განსაზღვრისას უპირველეს ამოცანას წარმოადგენს იმ ძირითადი კრიტერიუმის დადგენა, რომლის გამოყენებითაც შეიძლება იდიომების იდენტიფიკაცია ან განხილვა. ამდენა, უნდა შემოვიფარგლოთ იმ ძირითადი ნიშნებით, რომლებიც ასახავს იდიომის ბუნებას, და განვსაზღვროთ აღნიშნული ნიშნების თავისებურებანი.

ცნობილია იდიომის ცნების მრავალი დეფინიცია სემანტიკური ფაქტორიდან უთარგმნელობის კრიტერიუმამდე. მაგრამ მიუხედავად უამრავი ცდისა, იდიომისა და, უშუალოდ, იდიომურობის ცნება დღემდე ითხოვს დაზუსტებასა და დამატებით განსაზღვრას. თითქმის არც ერთი თეორია არ არის საბოლოოდ გაზიარებული. იდიომური გამოთქმების კვლევების თეორიული და ისტორიული საფუძვლები საკმაოდ კარგად და ნათლად არის ჩამოყალიბებული სხვადასხვა სამეცნიერო შრომაში¹⁴. ამასთანავე, ზოგიერთი მეცნიერი უბრალოდ თავს არიდებდა იდიომური გამოთქმების კვლევას, რადგანაც იდიომური გამოთქმა განიხილებოდა როგორც ენობრივი გამონაკლისი და არა კანონზომიერება, ამის ნათელ მაგალითს ი. მალკიელის შრომა წარმოადგენს, რომელშიც იგი გვარწმუნებს უარი ვთქვათ "ავად-სახსენებელ კატეგორიაზე", რომელსაც იდიომი ან ფრაზეოლოგიური ფორმულა ჰქვია (Malkiel 1959, 115).

¹⁴ წინა თავში ნახსენებ თითქმის ყველა შრომაში ვხვდებით იდიომური გამოთქმების კვლევებს სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების გათვალისწინებით.

შესაძლებელია აღნიშნული მიდგომა გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ იდიომი, თავისი არსით, შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი, კერძოდ, იგი შეიძლება წარმოადგენდეს როგორც უბრალო, ასევე საკმაოდ რთულ ერთეულს. მისი ფუნქციონირებაც წინადადებაში სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს და მისი შესწავლაც – განსაზღვრულ სირთულეებთან დაკავშირებული. ამასთანავე, ნებისმიერი იდიომი არის საერთო მნიშვნელობის მქონე ერთზე მეტი კომპონენტისაგან შემდგარი გამოთქმა, რომელსაც განსაზღვრული მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურება ახასიათებს. ერთ-ერთ ნიშნად ასეთ შემთხვევებში იდიომის "გაქვავების" ფაქტორი წარმოადგენს, მაგრამ ყველა იდიომი მაინცდამაინც გაქვავებულ ერთეულს როდი წარმოადგენს. იდიომის ყველა ზემოხსენებული და მრავალი სხვა თავისებურებები განაპირობებდა (და ზოგჯერ ახლაც განაპირობებს იმას, რომ იდიომური გამოთქმები არ შესწავლებოდა მაინცდამაინც სტრუქტურული და წარმომშობი ენათმეცნიერების კუთხით. არსებობდა სხვა ტიპის მოსაზრებაც, რომ თითქმის ნებისმიერი სიტყვა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც იდიომური გამოთქმა, თუ მისი მნიშვნელობა არ გამომდინარეობს მისი შემადგენილი ნაწილებისაგან. ც. ჰოკეტის მოსაზრებით, თუ გამოვიყენებთ Y-ს ნებისმიერი გრამატიკული ფორმის აღსანიშნავად, რომლის მნიშვნელობაც არ გამომდინარეობს მისი სტრუქტურისაგან – ნებისმიერი Y, თუ იგი არ წარმოადგენს უფრო დიდი Y-ის შემადგენელ ნაწილს, არის იდიომი. შესაბამისად ნებისმიერი ენის ნებისმიერი კომპოზიტი არის იდიომი (Hockett 1958, 172).

მრავალი მონოგრაფია თუ სტატია მიემდვნა იდიომურ თუ, ზოგადად, ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს, თუმცა ნაშრომთა უმრავლესობა ფრაზეოლოგიისა და მასთან დაკავშირებული იდიომატიკის შესახებ უპირატესად უკავშირდება რუსულ ენას და იმ პერიოდში ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ სხვა ენებს. ქართული ფრაზეოლოგიისა და იდიომატიკის თეორიული გააზრება დაახლოებით იმავე პერიოდში დაიწყო, კერძოდ, 50-იან წლებში, სავარაუდოდ, რუსული ფრაზეოლოგიის ზეგავლენით, თუმცა ორიგინალური ლექსიკოგრაფიული ბაზა ამ დროისათვის რუსულისაგან დამოუკიდებლად უკვე არსებობდა. ამიტომაც ქართულ ენათმეცნიერებაში (რუსული ენათმეცნიერების კვალზე) დამკვიდრდა და ერთმანეთს აშკარად გაემიჯნა ორი ტერმინი 'ფრაზეოლოგია' და 'იდიომატიკა'.

როგორც აღვნიშნეთ, ინგლისური იდიომური გამოთქმების კვლევა გასული საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადრინდელ ნაშრომებში ძირითადად გვხვდებოდა სხვადასხვა იდიომური გამოთქმის შეგროვებისა და ეტიმოლოგიური ახსნის ცდა. ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს უწოდებდნენ ენობრივ ანომალიებს, უფრო სწორად, ენობრივი ნორმისაგან ნებისმიერ გადახვევას უწოდებდნენ "ენობრივ ანომალიას" ან "საჯილდაო ქვას" (*stumbling block*) (Weinreich 1969, 23).

ამ მხრივ, ცალკე უნდა აღვნიშნოს უ. ვაინრაიხის ნაშრომი, რომელშიც ვხვდებით იდიომისა და იდიომურობის საბჭოური მიდგომის კრიტიკას, მისი აზრით: "ჩვენი საბჭოთა კოლეგების მიერ შესრულებული სამუშაოს უმეტესი ნაწილი არ იძლევა მისი თეორიული ბაზისის სიმყარისა თუ მისი შედეგების განზოგადების გარანტიას. ჩვენ მიერ მიკვლეული მაგალითების უმრავლესობა, ვფიქრობ, უფრო განიცდის სხვადასხვა ტიპის სინტაქსური შეუსაბამოების ზეგავლენას და ნაკლებად ეთმობა აღმოჩენების მოწესრიგების ცდას" (Weinreich 1969, 25).

შემდგომ, იდიომატიკის განვითარების კვალობაზე, ინგლისურენოვან სამყაროში აშკარად ხდება ორი ტერმინის – 'ფრაზეოლოგიისა' (და, შესაბამისად, ფრაზეოლოგიზმების) და 'იდიომატიკის' (და, შესაბამისად, იდიომების) აღრევა.

კვლევისას იდიომს (იდიომურ გამოთქმას) სხვადასხვაგვარად განმარტავენ: როგორც ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას, ფრაზეოლოგიურ ერთიანობას, რომლებიც შედგება ზოგადი, არამოტივირებული მნიშვნელობის მქონე ორი ან მეტი კომპონენტისაგან და ა.შ. ყველა განმასხვავებელი ნიშნის გათვალისწინებით, იდიომს, როგორც ტერმინოლოგიურ ერთეულს, და მისგან ნაწარმოებ დერივაციულ რიგს, ერთი საერთო ხაზი გასდევს, კერძოდ:

ა) ქართულში: იდიომ- (იდიომი, იდიომატიზმი, იდიომურობა, იდიომატიკა, იდიომური გამოთქმა, იდიომატური გამოთქმა);

ბ) ბერძნულში: ἰδιωμα- (ο ἰδιωτισμός, ο ἰδιωματισμός, το ἰδίωμα (τα ἰδιώματα), οι ἰδιωτικές εκφράσεις, οι ἰδιωματικές εκφράσεις, οι ἰδιωματιστικές εκφράσεις);

გ) ინგლისურში: idiom- (idiom, idiomacy, idiomacity, idiomaticity, idiomaticism, idiomatic expression);

დ) რუსულში: идиом- (идиом, идиома, идиоматичность, идиоматика, идиоматическое выражение).

თუ შევადარებთ ამ რიგებს, დავინახავთ, რომ სხვადასხვა ენაში აღნიშნულ ტერმინს სხვადასხვა დატვირთვა აქვს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ბერძნულსა და რუსულ ენებში გვხვდება ორ-ორი ტერმინი, კერძოდ: ‘ο ιδιωτισμός’, ‘ιδιωτισμός’ და ‘идиом’, ‘идиома’. ქართულში გვაქვს პარალელური ზედსართავები: *იდიომური* და *იდიომატური (გამოთქმა)*, ხოლო ინგლისურში – აბსტრაქტული სახელები: ‘*idiomacity*’ და ‘*idiomaticity*’¹⁵.

ნათელია, რომ ოთხსავე ენაში ტერმინი ‘*იდიომა*’ ძველი-ბერძნულიდან მომდინარეობს. მას კი, ძველ ბერძნულში, ისევე როგორც სხვა ენებში, შემდეგი მნიშვნელობები აქვს: ”1) განსხვავებული მახასიათებელი ნიშანი (მისი მეტყველების მახასიათებელი ნიშანია); 2) ადგილობრივი დიალექტი (მეტყველებს კრეტულ დიალექტზე)” (Υπερλεξικό της Νεοελληνικής Γλώσσας 1998-1999, 1297). მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ სიტყვას უკავშირდება ტერმინი ‘*იდიომა*’. მეცნიერთა ნაწილის აზრით, იგი უკავშირდება სიტყვას ‘*ιδίωμα*’, მეორე ნაწილი კი ამოსავლად მიიჩნევს სხვა ფორმას – ‘*ιδίωζ*’, რაც ნიშნავს ‘პირადს, კერძოს’ (Strässler 1982, 13). ამ ტერმინების შედარებისას უნდა ითქვას, რომ, სანამ ბერძნულ და, შესაბამისად, ინგლისურ ენებში ‘*იდიომის*’ ტერმინის გამოყენება დაიწყებოდა იდიომური გამოთქმის მნიშვნელობით, ეს ტერმინი აღნიშნავდა უფრო ენას ან დიალექტს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 1866 წელს ინგლისურად გამოქვეყნებული ძველი ბერძნული ენის სახელმძღვანელო “Jacobs’ Greek Reader, adapted to Bullions’ Greek Grammar, with an Introduction on the Idioms of the Greek Language, – Notes Critical and Explanatory – and an Improved Lexicon” (Bullions 1866). აქ ტერმინი ‘*იდიომა*’ ასე განიმარტება: ”ბერძნული იდიომა, ზუსტად, რომ ვთქვათ, არის ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი მეტყველების ფორმა. ტერმინი აქ გამოიყენება ყველაზე ფართო გაგებით, რომელიც განარჩევს ინგლისურისაგან

¹⁵ ტერმინ ‘*იდიომა*’ დაკავშირებულ დერივაციულ რიგში გვაქვს მსგავსი მნიშვნელობის მქონე ერთეულები: ‘*idiom*’, ‘*idiomatic expression*’, ‘*idiomaticism*’, ‘*idiomacy*’, ‘*idiomacity*’ და ‘*idiomaticity*’. მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ‘*იდიომურობის*’ აღმნიშვნელ ორ ტერმინზე (‘*idiomaticism*’ და ‘*idiomacity*’), ორივე უძველეს ერთეულს წარმოადგენს, მაგრამ თანამედროვე ინგლისურში პირველი ‘*idiomaticism*’ იშვიათად გამოიყენება – მას ორი საუკუნის წინათ იყენებდნენ იდიომური გამოთქმის მნიშვნელობით: ”Idiomat’icism. იშვიათად – 1, [f. prec. + -ISM.] იდიომური გამოთქმა. 1862 პარტენონი 26 ივლისი 397 ’ იშვიათად idiomaticisms \ ისეთ შემთხვევებში როცა საჭიროა სურვილის მხატვრულად გამოხატვა, მაგ.: we hope, be readily excused...” (Murray 1888, 21), ხოლო მეორე ‘*idiomacity*’ თანამედროვე ლექსიკონებში, ჩვეულებრივ, არ გვხვდება, სამაგიეროდ, ბოლო დროს მას აქტიურად იყენებენ როგორც ინტერნეტში, ასევე სამეცნიერო ლიტერატურაშიც ‘*იდიომურობის*’ მნიშვნელობით.

განსხვავებულ მეტყველების ფორმას, ან, ისეთი გაგებით, რომელშიც სიტყვასიტყვითი თარგმნით, ბრუნვების, დრო-კილოების, წინადადებების და ა.შ. ჩვეულებრივი ნიშნების ჩასმით ვერ შევექმნით სწორ ინგლისურ წინადადებას”(Bullions 1866, 7) . აღნიშნული სახელმძღვანელო წარმოადგენს ძველი ბერძნული ენის გრამატიკის მოკლე მიმოხილვას შესაბამისი ტექსტებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნათლად ჩანს, რომ ტერმინი ‘*იდოიმი*’ შემოვიდა და დამკვიდრდა ბერძნულიდან და თავდაპირველად მას ჰქონდა ენის, დიალექტის ან კილოკავის მნიშვნელობა (Tonnet 1995, 164).

ოთხივე ენაში არსებობს იდოი- ფუძისაგან ნაწარმოებ სიტყვათა დერივაციული რიგები, მაგ.:

ა) ბერძნულში – το ιδωσυμο (1. განსაკუთრებული კვალიფიკაციის დანაშაული; 2. საგანგებო კანონი), ιδωε (განსაკუთრებული), ιδωτεσ (1. პოლიტიკური მოღვაწეობის შეწყვეტა; 2. განმარტოება), ο ιδωτης (კერძო მესაკუთრე), ιδωτικος (1. კერძო, საკუთარი; 2. კერძოდ მომუშავე, დაქირავებული; 3. პირადი, არაოფიციალური) და ა.შ.;

ბ) ინგლისურში – idioadaptation (იდოიდაპტაცია), idiobiology (იდოიბიოლოგია), idiochromatic (იდოიქრომატული), idiogramma (იდოიგრამა) და ა.შ.¹⁶;

გ) რუსულში – идиосинкразия (იდოოსინკრეზია), идиот (იდოიტი), идиотизм (იდოიტიზმი), идиотский (იდოიტური) და ა.შ.;

დ) ქართულში არსებობს ნასესხები ტერმინები: იდიომორფიზმი (იდომორფული), იდიოსინკრეზია, იდიოტი (იდოტდება, იდიოტია, იდიოტიზმი, იდიოტობა, იდიოტური) და ა.შ.

აღნიშნული რიგების არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ამოსავალი უნდა იყოს ბერძნული სიტყვა ‘*ιδωε*’, რადგანაც თვით ბერძნულ ენაშიც დღემდე არსებობს დავა თუ კონკრეტულად რომელი ტერმინი უფრო ასახავს თვით იდიომის ბუნებას: ‘*ο ιδωτισμος*’ თუ ‘*ο ιδωματισμος*’¹⁷. ამასთანავე, თუ გადავხედავთ სიტყვა ‘*ιδωε*’ გზას

¹⁶ უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისური ენა ყველაზე უფრო მდიდარია იდოი- ელემენტით დაწყებული სიტყვებით. შესაძლებელია, რომ ინგლისურ ენაში მსგავსი სიტყვების ჩამოყალიბება ხდებოდა ლათინური და არა ბერძნული ენის ზეგავლენით.

¹⁷ ბერძნულ ენათმეცნიერებაში ეს ორი ტერმინი (‘*ο ιδωτισμος*’ და ‘*ο ιδωματισμος*’) ერთმანეთში ირევა, რასაც მოწმობს შემდეგი ციტატები: ”ყოველდღიურ ლაპარაკში ხშირად გამოიყენება სიტყვა ‘*ιδωματισμος*’, მაშინ როცა უგულებელყოფილია ტერმინი ‘*ιδωτισμος*’. ბევრი ჩემი ნაცნობი, როცა ვუბნებოდი, რომ ვაგროვებ იდიომურ გამოთქმებს (*ιδωτισμους*), მყისვე მისწორებდა და

ძველი ბერძნულიდან ახალ ბერძნულამდე ¹⁸, ვნახავთ, რომ მისი განხილვა შესაძლებელია, როგორც *ιδίω*- ასევე *ιδίω*- მქონე დერივაციული რიგებისათვის. შესაბამისად, საბოლოო დასკვნის გამოტანა, თუ რომელი სიტყვა უფრო უკავშირდება *ιδιωμα* ტერმინის წარმოქმნას – ‘*ιδίωμα*’ თუ ‘*ιδίω*’ – საჭიროებს უფრო გაღრმავებულ კვლევას, მაგრამ შესწავლილი მასალის საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ თავისი არსით სიტყვა ‘*ιδιωμα*’ უკავშირდება ‘*ιδίω*’-ს და არა ‘*ιδίωμα*’-ს¹⁹.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვიღებთ შემდეგ ინფორმაციას იდიომის შესახებ: *იდიომ-ი* (იდიომისა) [ბერძნ. idioma] ლინგვ. 1. ამა თუ იმ ენის თავისებური გამოთქმა, რომელიც, ჩვეულებრივ, სხვა ენაზე სიტყვასიტყვით არ ითარგმნება; მაგ., ქართული თვალი დაუდგება, ყურს დაუგდებს, ბოლო მოეღება, ტანს აიყრის, თავს დადებს და სხვ. 2. ძვ. კილოკავი (ჩიქობავა 1950-1964, ტ. 4, გვ. 599). აქვე გვხვდება, ტერმი-ნი ”იდიომატიზმი” და ”იდიომატური გამოთქმა” იდიომის მნიშვნელობით. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ძველ გამოცემაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ დროისათვის საქართველოში ფრაზეოლოგიისა და იდიომატიკის შესწავლა ჯერ კიდევ ფეხს იკიდებდა და ამიტომაც არ არსებობდა საბოლოოდ ჩამოყალიბებული პოზიცია იდიომის არც ცნებისა და არც ტერმინის საკითხზე. უფრო მეტიც, იდიომის პარალელურად არსებობდა ტერმინი ‘*იდიომატიზმი*’, რომელიც თანამედროვე ქართულში თითქმის არ გამოიყენება. ჩანს, რომ აღნიშნული ტერმინი აშკარად, შემოვიდა რუსული ენის ზეგავლენით, რომელშიც დღემდე არსებობს შემდეგი ტერმინები: ‘*идиома*’ და ‘*идиоматизм*’.

ამბობდა ”ალბათ გულისხმობ *ιδιωματισμ*“-სო“ (Βλαχόπουλος 2007, 11). გარდა ამისა, ამ ტერმინებს სხვადასხვა დანიშნულებაც აქვს, კერძოდ, ტერმინი ‘*ο ιδιωματισμός*’ ყველაზე უფრო ახლოსაა ტრადიციულ ისტორიულ მნიშვნელობასთან, იგი აღნიშნავს დიალექტს ან კილოს, მაშინ როცა ტერმინი ‘*ο ιδιωματισμός*’ ზუსტად იდიომურ გამოთქმას ნიშნავს: ”კარგი იქნებოდა, რომ განგვესხვავებინა ორი სიტყვა ‘*ιδιωματισμός*’ და ‘*ιδιωτισμός*’. ‘*Ιδιωματισμός*’ არის ენობრივი ერთეული (ფონეტიკური, გრამატიკული, სინტაქსური, ლექსიკოლოგიური”, რომელიც ეხება ბერძნული ენის ენობრივ იდიომს ან დიალექტს. [...] საპირისპიროდ, ‘*ιδιωτισμός*’ არის ბერძნული ენის ლექსიკოლოგიური ფრაზა, რომელიც წარმოადგენს ყველაზე ხშირად მეტაფორული მნიშვნელობის მქონე ფრაზას”(Μπαμπινιώτης 1998).

¹⁸ “ιδίως επιρρ. [<αρχ. ἰδίως , ἰδίος] προπάντων”. (Λεξικό 1988, 21); ზოგიერთ სხვა წყაროში მითითებულია მხოლოდ ძველი ბერძნული ἰδίος, მაგ.: ”ιδίως επιρρ.·κατὰ κύριο λόγο, προπάντων: τα αθροικνητικά ατυχήματα στις εθνικές οδοὺς εἶνα πλέον κάτι πολύ συνηθισμένο, ~ τις ημέρες των εορτῶν ΣΥΝ. κυρίως, κατ’ ἐξοχήν. ΣΧΟΛΙΟ λ. προηγουμένως. [ΕΤΥΜ. αρχ., ἰδίος]”. (Μπαμπινιώτης 1998, 776).

¹⁹ ”Η ετυμολογία του όρου «*idiom/Idiom*» προέρχεται από τον ελληνικό όρο «*ιδίωμα*»...” - ”ტერმინი ” *idiom/Idiom* ”-ის ეტიმოლოგია მომდინარეობს ბერძნული ტერმინისაგან ” *ιδίωμα*”. (Παριάνου 1998, 99)

რუსულში ტერმინი *‘ИДИОМАТИЗМ’* მთლიანად ნასესხებია ევროპული ენებიდან *“-at-изм”* მაწარმოებელ სუფიქსიანად. თავისთავად, რუსულ ენაში არსებობს აღნიშნული არსებითი სახელისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელი *‘Идиоматический’*, რომელშიც შენარჩუნებულია ლათინური *-at-* სუფიქსი და მას უკვე ემატება ზედსართავი სახელის მაწარმოებელი საკუთარი სუფიქსები.

ტერმინი *‘იდიომი’* ქართულში რომ უშუალოდ ბერძნულიდან შემოსულიყო, მაშინ ქართულ სიტყვაში არ იქნებოდა წარმოდგენილი *“-ატ-”* სუფიქსი და, შესაბამისად, შეიცვლებოდა დერივაციული რიგიც. კერძოდ, ქართულ დერივაციულ რიგში წარმოდგენილი იქნებოდა მხოლოდ შემდეგი ერთეულები: იდიომი, იდიომური, იდიომურობა, მათი ვარიაციების გარეშე. რუსული ენის ზეგავლენამ კი განაპირობა ქართულისათვის რამდენიმე უჩვეულო ვარიაციის შემოღება, როგორცაა იდიომატიზმი და იდიომატური გამოთქმა, რუსულის გზით რომანული ენებისათვის (უფრო კი - ფრანგულისათვის) დამახასიათებელი სუფიქსის ზეგავლენით.

მაშასადამე, აღნიშნულმა პარალელებმა გამოავლინა, რომ ტერმინ *‘იდიომის’* პირველადი მნიშვნელობა უკავშირდებოდა დიალექტს ან კილოკავს, მხოლოდ დროთა განმავლობაში, უშუალოდ ფრაზეოლოგიისა და, კერძოდ, იდიომატიკის საკითხის გაღრმავებული შესწავლის შედეგად, დაზუსტდა ამ ტერმინის მნიშვნელობა. თვით ტერმინი უკავშირდება ბერძნულ სიტყვას *‘ιδίωμα’*, რომელიც თითქოს სხვა ენებშიც უნდა გავრცელებულიყო, მაგრამ მისი პირველადი ვარიანტი შემორჩა მხოლოდ ბერძნულ ენას, დანარჩენ ენებში შემოღებული ტერმინი დაუკავშირდა ბერძნულ სიტყვას *‘ιδίωμα’*. ქართულში ტერმინი *“იდიომი”* იდიომური გამოთქმის მნიშვნელობით დამკვიდრდა რუსულის ზეგავლენით, რომელიც, ინგლისურის მსგავსად აქტიურად იყენებდა *-ატ-* სუფიქსს. შესაბამისად, ქართულ ენაშიც რუსულისა და დასავლეთ ევროპული ენების მიბაძვით გაჩნდა ტერმინი *‘იდიომატური’* ტერმინ *‘იდიომური’*-ს საპირისპიროდ, რომელიც ქართული ენისათვის უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რაკი უშუალოდ *‘იდიომ’*-ისაგან იწარმოება.

2. იდიომური გამოთქმების მონაცემთა ბაზის სტრუქტურული ანალიზი

2.1. ქართული ენის იდიომური გამოთქმების დიფერენციული ნიშნები და კომპონენტური ანალიზი

წინამდებარე დისერტაციის ერთ-ერთი მიზანია ქართული იდიომური გამოთქმების სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებების გამოვლენა და შესაძლო პარალელების გავლება ზოგიერთ ინდოევროპულ ენასთან (ახალბერძნულთან, რუსულსა და ინგლისურთან). წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ ენაში სტრუქტურული და, ხშირად, სემანტიკური პარალელები უკავშირდება ამა თუ იმ ენის გრამატიკული წყობის სხვადასხვა ასპექტს. კერძოდ, ქართული იდიომების კვლევა მიზანშეწონილია სხვადასხვა ენობრივი შრის შესწავლის გზით. იდიომური გამოთქმების ენობრივი შრეების შესწავლის შესაძლებლობა გულისხმობს შემდეგი ვარიანტების არსებობას:

ფონეტიკური ვარიანტები: ჩაილულის წყალი (სამუდამო დავიწყება, გაქრობა): “ერთი სამი წლით კიდევ გადროვებს, მერე კიდევ გამოაცვლევენებთ ვექსილს და ერთ დღეს შეიძლება კიდევაც ამ ვექსილს ჩაილულის წყალი დააღვინოთ!” (დ. კლდ., “სოლომან მორბელაძე”), ჩაილურის წყალი (სამუდამო დავიწყება, გაქრობა): “ფული ჩაილურის წყალმა გაიყოლა” (ა. გეგენ., “ორეული”);

გრამატიკული ვარიანტები: მოთმინების ფიალას აავსებს (მოთმინებიდან გამოიყვანს): “ბოლმა-ვარამმა, ჭირმა და ვაებამ აავსო სოფლის გული, იწყო დუღილი სოფლის გულმა და ფიალა მოთმინებისა აავსო” (ს. მგალ., “ჯორ-ზაქარა”), მოთმინების ფიალა აივსება (მოთმინებიდან გამოვიდა): “გავიდა ერთი დღე, ორი, სამი და მოთმინების ფიალა რომ აივსო, უჩამ იფეთქა” (ა. გეგენ., “ორეული”);

ლექსიკური ვარიანტები: გულისყურს აადევნებს (ყურადღებას მიაქცევს): “მე თვალგაფაციცებით გულისყურს ვადევნებდი დათიკოსა და გიტოს” (ილია, “გლახის ნაამბობი”), თვალ-ყურს აადევნებს (ყურადღებას მიაქცევს): “იმათ სულ იცოდნენ მისი ამბები და თვალ-ყურს ადევნებდნენ მის საქციელს შეუფერებელს” (ვ. ბარნ., “ტრფობა წამებული”);

სინტაგმატური ვარიანტები: რა პასუხია! (გამოხატავს გაკიცხვას, (ვისიმე) პასუხით უკმაყოფილებას): “ბიჭო ნიკოია, მაგ ცხენებს უნაგირები მოხადე და თივა ბლომად

დაუყარე!.. ირინე: რა პასუხია ეგ, ყმაწვილო?" (დ. კლდ., "ირინეს ბედნიერება"), **რა სიტყვის პასუხია!** (გამოხატავს, (ვინმეს) პასუხით, უკმაყოფილებას): "– არ გიახლებით, რა სიტყვის პასუხია! ჰა, დალიე, თორემ თავზე დაგასხამთ ღვინოს..." (ვაჟა, "ჩხიკვთა ქორწილი").

რასაკვირველია, შესაძლებელია ამა თუ იმ საფეხურის (ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური ან სინტაგმატურის) უფრო დაწვრილებით შესწავლა შესაძლო პარალელების გავლების გზით. ამ მიზნით ყურადღება გავამახვილეთ იდიომის გრამატიკულ ვარიანტებზე, რომლებიც განხილულია როგორც ფლექსიური, ისე დერივაციული ცვალების, წმინდა მორფოლოგიური თუ მორფოსინტაქსური კავშირების გათვალისწინებით; და იდიომთა გრამატიკული და ლექსიკური ვარიანტებიც უფრო ვრცლადაა განხილული იდიომის კომპონენტებზე დაყრდნობით.

კვლევის ძირითად მასალად გამოყენებულია ქართული იდიომური გამოთქმები (სულ 12460 ერთეული), ამოკრეფილი ქეგლ-იდან, თ. სახოკიას და ალ. ონიანის ლექსიკონებიდან, და მათი შესაბამისი ინგლისური, ახალი ბერძნული და რუსული ვარიანტები. გარდა ზემოხსენებული შრეებისა, მიზნად დავისახეთ იდიომის კომპონენტების კვლევა ა) სიტყვა-ფორმისა და, ბ) შესიტყვება-ფორმის შესწავლის გზით. სიტყვა-ფორმის კვლევა გულისხმობს ნებისმიერი სახის ორკომპონენტიანი, სამკომპონენტიანი, ოთხკომპონენტიანი და ხუთკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების კომპონენტთა შიდაქმედებისა და ურთიერთმიმართების კვლევას, ხოლო შესიტყვება-ფორმის კვლევა – ზემოხსენებული კონსტრუქციების ქმედებას წინადადებაში. შესაბამისად,

ა) სიტყვა-ფორმის შესწავლა გულისხმობს სახელური თუ ზმნური იდიომური გამოთქმის შესწავლას შესიტყვებაში შემავალი ერთეულების გრამატიკული კავშირებისა და შიდამიმართებების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებთ იმ მეტყველების ნაწილზე, რომელიც მართავს მეორეს, ე.ი. ითხოვს მისგან კომპონენტის გაფორმებას განსაზღვრული გრამატიკული კატეგორიების გათვალისწინებით, მაგ.:

(1) მიწის ხელი – მიწათმოქმედება: "მიწის ხელი მე არ ვიცი და ცულისა" (აკაკი, ქეგლ).

(2) ხელი შეეშლება – რაიმე დაბრკოლება შეექმნება, ხელს შეუშლიან: "ეს უბრალო ხელოვნება განა არ ამტკიცებს, რომ იმათ, თუ გარემოებას ხელი არ შეეშალა



მათთვის, თავისი საკუთარი რაფაელები და მიქელ-ანჯელოები ეყოლებოდათ?“ (აკაკი, “ჩემი თავგადასავალი”).

პირველი მაგალითი წარმოადგენს სახელურ იდიომს, ხოლო მეორე - ზმნურს, მაგრამ ორსავე შემთხვევაში იდიომის არსი უკავშირდება იდიომური გამოთქმის მთავარ კომპონენტს, რომელზედაც დამოკიდებულია მეორე კომპონენტი. კერძოდ, საჭირო ხდება მორფოსინტაქსური ფაქტორების გათვალისწინება. პირველ მაგალითში (1) ეს არის არსებითი სახელი (*ხელი, ფეხი...*), რომელიც მეორე კომპონენტისაგან ითხოვს კონკრეტულ გრამატიკულ კატეგორიას, კერძოდ, ნათესაობითი ბრუნვით გაფორმებულ მეორე კომპონენტს (*მიწ-ის, ეშმაკ-ის...*). მეორე მაგალითში (2) კი ეს არის ინვერსიული ზმნა (*ე-შლ-ებ-ა, შე-ე-შლ-ებ-ა...*), რომელიც მეორე კომპონენტისაგან ითხოვს სახელობითი ბრუნვით გაფორმებას (*ხელი, ფეხი...*).

ბ) შესიტყვება-ფორმის შესწავლა გულისხმობს იდიომის, როგორც მთლიანი ლექსიკური ერთეულის შესწავლას არა მასში შემავალი კომპონენტებისა და შიდამიმართებების განსაზღვრით, არამედ იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ხდება ამა თუ იმ წინადადებაში იდიომური გამოთქმის გაფორმება - მისი სინტაქსური თუ სემანტიკური კავშირების გათვალისწინებით, მაგ.:

(3) გულს აუმღვრევს – გააბრაზებს, ცუდ ხასიათზე დააყენებს, გუნებას წაუხდენს / გაუფუჭებს: “ჩადენილი საშინელებანი მერე გააბრაზებს კაცს // ჩადენილი საშინელებანი მერე აუმღვრევს გულს კაცს” (ვ. ბარნ.: აღ. ონიანი).

გრაფიკი 1: სინტაქსური მიმართებანი კომპონენტებს შორის

თავისუფალი შესიტყვება	იდიომური გამოთქმა
ჩადენილი საშინელებანი მერე გააბრაზებს კაცს.  [IP [NP ჩადენილი საშინელებანი][I' [I][VP [AdvP მერე]][V' [V გააბრაზებს][NP1 კაცს]]]]]	ჩადენილი საშინელებანი მერე აუმღვრევს გულს კაცს (ა. ონიანი 1966, 35).  [IP [NP ჩადენილი საშინელებანი][I' [I][VP[AdvP მერე]][V' [V' [V აუმღვრევს][NP1 გულს]][NP2 კაცს]]]]]

ზემოხსენებულ მაგალითებში ნათლად ჩანს სხვაობა თავისუფალი შესიტყვებისა და იდიომური გამოთქმის შემცველ წინადადებებს შორის, მიუხედავად მათი შინაარსობრივ-სტრუქტურული მსგავსებისა. თუ იდიომურ გამოთქმას განვიხილავთ ერთ მთლიან ერთეულად, მასში შემავალ კომპონენტებს შორის შიდა მიმართებათა გაუთვალისწინებლად და წინა პლანზე წამოიწევა მისი სემანტიკური მნიშვნელობა, რომელიც ისედაც არ არის დამოკიდებული მასში შემავალი კომპონენტების მნიშვნელობებზე, ვნახავთ, რომ შეიცვლება წინადადების სინტაქსური წყობა, ე.ი. თუ დავუშვებთ, რომ „აუმღვრევს გულს“ = შეაშფოთებს, მაშინ თვით იდიომური გამოთქმაც გრამატიკულად უნდა განიხილებოდეს, როგორც განსაზღვრული კატეგორიებითა და სინტაქსური ურთიერთობებით გაფორმებული ზმნა.

მაშასადამე, როგორც შეპირისპირებული მაგალითებიდან ჩანს, იდიომური გამოთქმის განხილვა ხდება ცალკეული კომპონენტების მორფოსინტაქსური

კავშირის გათვალისწინებით ან, პირიქით, იდიომური გამოთქმის, როგორც წინადადების ერთიანი წევრის (მიუხედავად მისი შიდაკავშირებისა) გათვალისწინებით. ერთიანი წევრის შემთხვევაში წინადადებაში არსებული სინტაქსური კავშირები იცვლება და შესაძლებელი ხდება ლოგიკურ ობიექტზე მსჯელობა.

ზოგადად, აღნიშნული ორი მიდგომა გულისხმობს იდიომური გამოთქმის სტრუქტურების შიდა და გარე მიმართებების შესწავლას არსებული გრამატიკული კავშირების დადგენის გზით.

იდიომური გამოთქმის განსაზღვრისას სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორთან ვხვდებით სხვადასხვა დიფერენციულ ნიშანს. აღნიშნული დიფერენციული ნიშნების განსაზღვრა ეფუძნება იდიომური გამოთქმების აღწერას და მათ შედარებას სხვადასხვა ენის ანალოგიურ მასალასთან სხვადასხვა გრამატიკული და ლექსიკური დონეების გამოვლენის გზით. სათანადო ენობრივი მასალის წარმოდგენა და ძირითადი მახასიათებელი დონეების რეალიზაციის ხარისხი განსაზღვრავს ზოგადად ამა თუ იმ ენის იდიომატიკისა და ცალკეული იდიომური გამოთქმების თავისებურებებს. მაგრამ თანამედროვე ენათმეცნიერებაში ამჟამად არსებული ორი ძირითადი მიმართულების გათვალისწინებით, რომელთა საფუძველზედაც იდიომური გამოთქმები შეიძლება განისაზღვროს: ა) როგორც დაუშლელი (Chomsky 1965), (Fraser 1970) და, ბ) როგორც დაშლადი ერთეულები (Nunberg 1994). ქართული ენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იდიომატიკისათვის დამახასიათებელი შემდეგი დიფერენციული ნიშნების გამოვლენა:

1) იდიომის სტრუქტურა, კერძოდ:

- ა) იდიომში შემავალი კომპონენტების მორფოსინტაქსური სტრუქტურა;
- ბ) იდიომის ლექსიკური სტრუქტურა და მისი კომპონენტების სემანტიკური ერთიანობის ხარისხი;

2) იდიომის გრამატიკულ-სემანტიკური მოდელი.

ქართულ იდიომატიკაში მიღებული თეორიების საფუძველზე გამოყოფილია იდიომური გამოთქმების არსებითი და მეორეხარისხოვანი ნიშნები. არსებით ნიშნებს განეკუთვნება: ა) შესიტყვების ფორმა, ბ) სემანტიკური ერთიანობა, გ) უტოლობა კომპონენტების სემანტიკურ ერთიანობასა და ცალკეულ მნიშვნელობებს შორის, დ)

ექსპრესიულობა (თაყაიშვილი 1961, 21-39). დასახელებულია მეორეხარისხოვანი ნიშნებიც, როგორიცაა სიტყვათა წყობის მყარი რიგი, კომპონენტების სინონიმებით შეცვლის, რედუქციის ან გავრცობის შეუძლებლობა და, ბოლოს, გრამატიკული კატეგორიების უგულებელყოფა.

წინამდებარე ნაშრომში „იდიომად“ ან „იდიომურ გამოთქმად“ მიჩნეულია ისეთი გამოთქმა, რომელიც შედგება ორი ან მეტი სიტყვისაგან (კომპონენტისაგან), და რომლის მნიშვნელობაც არ უდრის ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს. იდიომური მნიშვნელობა შეიძლება ახასიათებდეს იდიომის შემადგენელი ნაწილის ერთ-ერთ კომპონენტს გარკვეულ კონტექსტში და არ ახასიათებდეს მას სხვა კონტექსტში. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული დეფინიციების შესაბამისად, მსგავსი მნიშვნელობები შეიძლება განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რა კონტექსტშია გამოყენებულია ესა თუ ის იდიომი (Riehemann 2001, 2).

ქართულ ენობრივ მასალაში იდიომური გამოთქმების კომპონენტთა რაოდენობა მერყეობს ორიდან ოთხამდე. კომპონენტების ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებების თვალსაზრისით აღსანიშნავია ორი ტიპის იდიომური გამოთქმები: ა) სახელური (*NP*) და ბ) ზმნური (*VP*). ორკომპონენტიანი იდიომების სტრუქტურის კონსტრუქციული შემადგენლობის განსაზღვრისას ზოგჯერ მივმართავთ წამყვან კომპონენტიანი სტრუქტურული გრამატიკის (HPSG) თვისებათა ჯგუფებს, როგორიცაა: SEM, SYN, MORPH და PHON (Ginzburg 2000), რომელიც იდიომის შემთხვევაში შემდეგ სახეს იღებს:

$$\begin{bmatrix} cxi \\ \text{SEM} & [...] \\ \text{SYN} & [1[...], 2[...]] \\ \text{MORPH} & [1[], 2[]] \\ \text{PHON} & [1[...], 2[...]] \end{bmatrix}$$

ბუნებრივია, რომ სტრუქტურული ანალიზის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ მორფოლოგიურ დონეს ვანიჭებთ. აღნიშნული კომპონენტების ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე უნდა გამოვლინდეს, თუ რა ტიპის იდიომები არსებობს, რა ნიშნები ახასიათებს მათ, როგორია მათი მოდელების შეფარდებითი პროდუქტიულობა და ა.შ.

იდიომში შემავალ კომპონენტებს პირობითად აღვნიშნავთ *a*, *b*, *c*, *d*... ნიშნებით. შესაბამისად, იდიომებში შემავალ კომპონენტთა რაოდენობის გათვალისწინებით

გვაქვს რამდენიმე ჯგუფი, კერძოდ, იდიომური გამოთქმების ორგომპონენტის, სამკომპონენტის და ოთხკომპონენტის ჯგუფები.

2.2. ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები

2.2.1. ორკომპონენტური სახელური იდიომური გამოთქმები

$a + b$ ორკომპონენტური სქემის სახელური იდიომების პირველ ქვეჯგუფს ახასიათებს შემდეგი ვარიანტები:

- 1) $NP = a(N) + b(N)$ – პირდაპირი წყობის შემთხვევაში და $NP = b(N) + a(N)$ – შებრუნებული წყობის შემთხვევაში (მაგ.: *აქილევსის ქუსლი, ბედის ბორბალი, ეშმაკის კერძი, ხე ცნობადისა, მარილი ქვეყნისა* და ა.შ.);
- 2) $NP = a(ADJ) + b(N)$ (მაგ.: *ბრმა იარაღი, კკლიანი გზა, მარჯვენა ხელი* და ა.შ.);
- 3) $NP = a(NUM) + b(N)$ ²⁰ (მაგ.: *პირველი ნაბიჯი, ხუთი თითივით, ერთ ტაფაში* და ა.შ.);
- 4) $NP = a(PRO) + b(N)$ (მაგ.: *ამ სოფელში, თავის მოკატუნება* და ა.შ.);
- 5) $NP = a(PART) + b(N)$ (მაგ.: *გულზე გამსკდარი, ენის მოსაქავებელი, თითით საჩვენებელი* და ა.შ.);
- 6) $NP = a(N) + b(VN)$ (მაგ.: *კუდის გამობმა, მიწასთან გასწორება, ოფლის ღვრა* და ა.შ.).

აღნიშნული სტრუქტურის მქონე იდიომური გამოთქმების შესწავლისას ისმის შემდეგი კითხვები: ა) არის თუ არა გრამატიკული სტრუქტურა შეპირობებული მეორე კომპონენტის მიერ? ბ) შესაძლებელია თუ არა იდიომურ გამოთქმაში შემავალი კომპონენტების პარადიგმული ვარიანტების განსაზღვრა? გ) რამდენად დაუშლელია აღნიშნული იდიომური გამოთქმა?

ქართული ენისათვის დამახასიათებელი სტრუქტურის გათვალისწინებით, ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული სქემის იდიომური გამოთქმების კომპონენტების უმრავლესობა ჩართულია მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობაში, ატრიბუტული მსაზღვრელის ფუნქციით კი ქართულში აღჭურვილია: ზედსართავი, რიცხვითი (სამივე სახისა, უმეტესწილად – რაოდენობითი და რიგობითი), ზოგიერთი ნაცვალსახელი, ვნებითი გვარის მიმღეობა და, რასაკვირველია, თვით არსებითი სახელიც (შანიძე 1980, 81). მაგრამ, ამასთანავე, მორფოსინტაქსური მიმართებების გათვალისწინებით, მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაგმაში

²⁰ ამავე ჯგუფში პირობითად შეგვაქვს შემდეგი სტრუქტურის მქონე იდიომური გამოთქმები: ა) $NP = a(NUM) + b(NUM)$ და ბ) $NP = a(ADJ) + b(NUM)$, რომლებშიც წამყვანი მეორე კომპონენტის ფუნქციას ასრულებს ზედსართავი ან რიცხვითი სახელი, თუმცა მათი რაოდენობა საკმაოდ მცირეა (არ აღემატება სამ ერთეულს) და ზოგადი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

საზღვრული განაპირობებს და ითხოვს კონკრეტულ გრამატიკულ კატეგორიას (კერძოდ, ბრუნვას) მსაზღვრელისაგან, ორივე ერთად კი, სინტაქსური თვალსაზრისით, სახელური შესიტყვების ნაწილს წარმოადგენს. იდიომურ გამოთქმებში საზღვრულად ძირითადად გვხვდება არსებითი სახელი²¹, რომელიც წინადადებაში, წესით, გაფორმებული უნდა იყოს შემდეგი სქემის შესაბამისად:

$$N \left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv / voc}{NUMBER : sg / pl} \right]$$

ორკომპონენტიანი სახელური იდიომის მეორე კომპონენტს (იმისდა მიუხედავად, თუ რომელ სქემას განეკუთვნება) წარმოადგენს განსაზღვრული კატეგორიით გაფორმებული არსებითი სახელი, რომელიც განსაზღვრავს და მართავს პირველ კომპონენტს, ხოლო ამ კომპონენტის სტრუქტურა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ მეტყველების ნაწილს მართავს მეორე კომპონენტი. შესაბამისად, პირველი კომპონენტის სტრუქტურა ასეთი იქნება:

ა) ნათესაობით ბრუნვაში მდგომი არსებითი სახელი, რომელიც 1) არ იცავს სიტყვათა მუდმივ რიგს წინადადებაში და შესაძლებელია შეგვხვდეს როგორც პირდაპირი, ასევე შებრუნებული წყობით (მაგ.: 4); 2) იცავს სიტყვათა რიგს წინადადებაში და გვხვდება მხოლოდ შებრუნებული წყობით (მაგ.: 5) და, 3) ტოვებს იდიომის დაშლისა და გათიშვის შესაძლებლობას (მაგ.: 6).

(4) ხე ცნობადისა – ხე, რომლის ნაყოფის შეჭმამ პირველ ადამიანებს მისცა კარგის და ავის გაგების უნარი: “...სიყვარული არაა **ცნობადის ხის** აკრძალული ნაყოფი და რუსთაველის გმირი მხოლოდ უადრესი შეჭირვების ჟამს მიმართავს ღვთაებას...” (კ. გამს., “აპოლოგია რუსთაველისა”)

(5) მარილი ქვეყნისა – სახელმწიფოს ძირითადი შემოქმედი ძალა: “თქვენ ხართ **მარილი ქვეყნისა**... უკეთუ მარილი იგი განჰქარდეს, რაფთაჲ დაიმარილოს?” (მათე 5, 13-19);

$cxn - CaseNum$	
SEM	[CASE SEMANTICS]
SYN	[$cxn - NOUN$]
	[CLASS]
MORPH	CASE
	NUM
PHON	[PHON]

(6) გონების თვალი – გონება: **“გონების თვალი** მიაყოლა შავადმოსილ მოხუცის ლანდს” (კ. გამს., დიდოსტატის მარჯვენა); **“ორიოდე** ნათელი დღე მე იმასთან გამიტარებია, **გონებისა** და ადამიანობის **თვალი**, – ავად თუ კარგად, – იმასთან ამიხილებია” (ილია, “გლახის ნაამბობი”).

ბ) ზედსართავი სახელი, რომელიც იდიომურ გამოთქმებში პრეპოზიციურია, ე.ი. ყოველთვის წინ უსწრებს საზღვრულს (მაგ.: 7). პრეპოზიციური წყობის პარადიგმული ცვლა დაცულია იდიომურ გამოთქმებშიც (მაგ.: 7, 8).

(7) ალალი ლუკმა – პატიოსანი შრომით ნაშოვნია: **“...თუმცა ალალის შრომით ალალ ლუკმას** სჭამენ, ნახევარზე მშვიდრები და ტიტვლები არიან!” (შ. არაგვ., “ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!”).

(8) დაბალი ღობე – დაჩაგრული, არაფრად ჩაგდებული (ვინმე პიროვნება): **“ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ** მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე” (ილია, “ქვათა ღაღადი”).

გ) რიცხვითი სახელი, რომელიც შეიძლება იყოს რაოდენობითი, რიგობითი ან წილობითი, ორკომპონენტიან იდიომურ გამოთქმებში თითქმის არ გვხვდება, გამონაკლისს წარმოადგენს: 1) რაოდენობითი რიცხვითი სახელი: ერთი (მაგ.: 9); ბ) რიგობითი რიცხვითი სახელი: მეცამეტე (მაგ.: 10). ორსავე შემთხვევაში მსაზღვრელი პრეპოზიციურია, მეორე კომპონენტი კი, როგორც წესი, არ დაირთავს მრავლობითი რიცხვის ფორმებს.

(9) ერთი ამოსუნთქვით – ერთბაშად: **“საოცარია, ამ ერთი ამოსუნთქვით** ნათქვამ ლექსში მიღწეული მხატვრული სრულყოფილება” (“ლიტ. საქ”, ქეგლ).

(10) მეცამეტე გოჭი – მეტიჩარა: **“შენ შენთვის ეგდე, ემანდ მეცამეტე გოჭივით** ნუ ეჩრები, თორემ კატასავით თავს გაგიჭეჭყ!” (ა. ცაგარ., “ხანუმა”).

დ) მსაზღვრელად გამოყენებისას იდიომურ გამოთქმაში შემავალი ნაცვალსახელი წარმოდგენილია ორი ჯგუფით: 1) ჩვენებითი (მაგ.: 11) და კუთვნილებითი (მაგ.: 12).

(11) იმ სოფელში (იმ სოფლად) – საიქიოში: **“განსვენებულს მამა-შენს რა პირით შევხვდე იმ სოფელში?”** (გ. ყიფშ., ქეგლ).

(12) ჩემი ურმისა – რაც მე მეკუთვნის: **“რაც ჩემი ურმის** არ არის, სახლში არ შემიტანია” (აკაკი, ქეგლ).

ე) ორკომპონენტური იდიომური გამოთქმებში, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთ კომპონენტს მიმღეობა ან საწყისი შეიძლება წარმოადგენდეს, მაგრამ, რადგანაც ორივეს მოეპოვება როგორც სახელის, ასევე ზმნის ფორმებიც, ამიტომაც მათ შევცხებით ზმნური იდიომური გამოთქმების განხილვისას.

შესაბამისად, ორკომპონენტური სახელური იდიომის სტრუქტურას დავახასიათებდით ძირითადად მეორე კომპონენტზე დაყრდნობით:

2.2.1.1. $NP = a(N) + b(N)$ და $NP = b(N) + a(N)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები

$$ა) NP = N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg / pl} \right] + N \left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv / voc}{NUMBER : sg / pl} \right]$$

(მაგ.: მგლის ლუკმა²², სიზიფეს შრომა, ქვეყნის ვალი და ა.შ.)

$$ბ) NP = N \left[\frac{CASE : nom / gen}{NUMBER : sg / pl} \right] + N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right]$$

(მაგ.: მარილი ქვეყნისა²³, ხე ცნობადისა, ძე კაცისა და ა.შ.)

წარმოდგენილი სქემები (ა, ბ) შეესაბამება ორკომპონენტური სახელური იდიომური გამოთქმების პრეპოზიციური და პოსტპოზიციური წყობის მქონე ერთეულებს.

გარდა (ა) სქემატური ვარიანტისა, სახელურ იდიომურ გამოთქმებში ბრუნვის კატეგორიის ვარიანტად შეიძლება დასახელდეს როგორც ნათესაობითი, ასევე სახელობითი ბრუნვაც. იგულისხმება, რომ ორკომპონენტური იდიომების პირველ კომპონენტს შეიძლება წარმოადგენდეს სახელობით ბრუნვაში მდგომი არსებითი სახელი (მაგ.: 13), რომელიც ასევე ჩართულია მსაზღვრელ-საზღვრულის

$$^{22} \text{MORPH} \left[\begin{array}{c} \left[\begin{array}{c} cxn - GenSg - mglis \\ \left[\begin{array}{c} CLASS cons. \\ CASE gen \\ NUM sg \end{array} \right] \\ PHON [mgl-is] \end{array} \right] \end{array} \right], \left[\begin{array}{c} \left[\begin{array}{c} cxn - NomSg - luk'ma \\ \left[\begin{array}{c} CLASS vow. \\ CASE nom \\ NUM sg \end{array} \right] \\ PHON [luk'ma - 0] \end{array} \right] \end{array} \right] \right]$$

$$^{23} \text{MORPH} \left[\begin{array}{c} \left[\begin{array}{c} cxn - NomSg - marili \\ \left[\begin{array}{c} CLASS vow. \\ CASE nom \\ NUM sg \end{array} \right] \\ PHON [maril-i] \end{array} \right] \end{array} \right], \left[\begin{array}{c} \left[\begin{array}{c} cxn - GenSg - kveq'nisa \\ \left[\begin{array}{c} CLASS cons. \\ CASE gen \\ NUM sg \end{array} \right] \\ PHON [kveq'n-is - a] \end{array} \right] \end{array} \right] \right]$$

ურთიერთობაში და გამოდის ატრიბუტული მსაზღვრელის ფუნქციით. შესაბამისად, სქემა შეიცვლება და მიიღებს შემდეგ სახეს:

$$NP = N \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg / pl} \right].$$

აღნიშნული იდიომური გამოთქმების რაოდენობა საკმაოდ მცირეა და შეადგენს ოთხ ერთეულს (*მთა კაცი*²⁴, *ერთი კაცი*, *თავი კაცი*, *თავი ქალი*). ლექსიკური თვალსაზრისით, ეს ჯგუფი ასახავს მეტაფორული გზით მიღებულ ერთეულებს, ხოლო სტრუქტურულად არ გვხვდება აღნიშნული იდიომების სხვადასხვა ბრუნვაში მდგომი დაშლადი ვარიანტები.

- (13) მთა კაცი – ვეება კაცი, გოლიათი: “ტყის შუაგულ, ცეცხლის პირას მჯდომი, ზეზე წამოდგა ერთი მთა კაცი” (შ. დად., ქეგლ).

ივარაუდებოდა, რომ პირდაპირი წყობით არსებული ორკომპონენტიანი სახელური იდიომების ერთ-ერთი კომპონენტი მაინც გაფორმებული უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ ბრუნვის თანდებულებიანი ფორმით, მაგრამ ორკომპონენტიანი სახელური იდიომების მაგალითების უმრავლესობას მსგავსი ტიპის ვარიანტები არ ახასიათებს. გამონაკლისს წარმოადგენს მიცემითიანი ფორმები (მაგ.: 14), თუმცა ამოსავალში საწყის ეტაპზე სავარაუდებელია ზმნური იდიომის არსებობა, რადგანაც ძალიან ხშირია თანდებულებიანი ფორმების მქონე სახელების გამოყენება ზმნურ იდიომურ გამოთქმებში.

- (14) ქუდზე კაცი – ყველა მამაკაცი (ვისაც ქუდი ხურავს): “ხალხო, ხმა ამოიღეთ! ქუდზე კაცი გამოდით!” (მ. ჯავახ., “არსენა მარაბდელი”).

შებრუნებული წყობით დადასტურებული ორკომპონენტიანი სახელური იდიომების რაოდენობა უდრის 10 ერთეულს, თუმცა კორპუსში მათი გამოყენება საკმაოდ ხშირია. შებრუნებული წყობით წარმოდგენილ ორკომპონენტიანი იდიომების კორპუსული ანალიზის დროს გამოვლინდა, რომ აღნიშნული იდიომების წამყვანი კომპონენტი გვხვდება მხოლოდ სახელობითა და ნათესაობით ბრუნვებში.

²⁴ MORPH 1 MORPH $\left[\begin{array}{l} cxn - NomSg - mta \\ CLASS \text{ vow.} \\ CASE \text{ nom} \\ NUM \text{ sg} \\ PHON [mta-0] \end{array} \right], 2 \text{ MORPH } \left[\begin{array}{l} cxn - NomSg - k'atsi \\ CLASS \text{ con.} \\ CASE \text{ nom} \\ NUM \text{ sg} \\ PHON [k'ats-i] \end{array} \right]$

ყველა აღნიშნული იდიომი უკავშირდება ბიბლიურ თემატიკას (ერთი მხრივ, გვაქვს პირდაპირი წყობის მსაზღვრელ-საზღვრული: *ადამ-ის ჟამ-ის(ა)*, *ადამ-ის ხნ-ის(ა)*, *ადამ-ის წლ-ის(ა)*, ხოლო, მეორე მხრივ, შებრუნებული წყობისა: *მარილ-ი ქვეყნ-ის(ა)*, *ხე ცნობად-ის(ა)*, *ძე კაც-ის(ა)*, *ძე ღვთ-ის(ა)* ²⁵). მეორე ჯგუფში პირობითად მოთავსდება ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულებიც, როგორიცაა *დილა მშვიდობ-ის(ა)*, *ღამე მშვიდობ-ის(ა)* და *ძილი ნებ-ის(ა)*, თუმცა აღნიშნულ ერთეულებს, სემანტიკური თვალსაზრისით, იდიომურ გამოთქმებად ვერ მივიჩნევთ, რადგანაც საკმაოდ გაცვეთილია და მათ შორის არსებული კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამზე ვერ ვილაპარაკებთ. ამასთანავე, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში 'სხვადასხვა ამბის' მნიშვნელობით გვხვდება ისეთი ერთეული, როგორიცაა *ც-ის(ა)* [,] *ბრ-ის(ა)*, აღნიშნული ერთეული შევიტანეთ მონაცემთა ბაზაში, თუმცა კორპუსში წარმოდგენილ ვერც ერთ ლიტერატურულ წყაროში ვერ მოხერხდა აღნიშნული ერთეულის მოძიება. ამიტომ მივიჩნევთ მას იშვიათი გამოყენების მქონე ერთეულად.

შებრუნებული წყობით ორკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების პროცენტული მნიშვნელობა საკმაოდ დაბალია, ხოლო სტრუქტურული თვალსაზრისით, მათ კომპონენტთა შიდადამართებას არ გამოუვლენია რაიმე სპეციფიკური, ქართული ენისათვის უჩვეულო თავისებურება.

2.2.1.2. $NP = a(ADJ) + b(N)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტიანი იდიომური გამოთქმები

ა)

$$NP = ADJ \left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv / voc}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv / voc}{NUMBER : sg / pl} \right]$$

(მაგ.: *კერკეტი კაკალი*²⁶, *მოწამლული ენა*, *შეჭმული ფული* და ა.შ.)

²⁵ აქვე დავძენთ, რომ შებრუნებული წყობით, ძირითადად, ფორმდება მისალმება-გამოთხოვების ფორმულები და ბიბლიური შინაარსის მქონე იდიომები, რომლებიც ძველ ქართულ ენას უკავშირდება. ძველი ქართულისათვის კი, შებრუნებული წყობა უფრო მისაღები იყო.

²⁶ MORPH $\left[\begin{array}{c} \left[\begin{array}{c} cxn - NomSg - k'erk'et'i \\ CLASS cons. \\ CASE nom \\ NUM sg \\ PHON [k'erk'et'-i] \end{array} \right] \end{array} \right]_1$ MORPH $\left[\begin{array}{c} \left[\begin{array}{c} cxn - NomSg - k'ak'ali \\ CLASS cons. \\ CASE nom \\ NUM sg \\ PHON [k'ak'al-i] \end{array} \right] \end{array} \right]_2$

როგორც ზემოთ აღინიშნა, პრეპოზიციური წყობის სტრუქტურის მქონე იდიომური გამოთქმები, რომლებშიც პირველ კომპონენტს ზედსართავი სახელი წარმოადგენს, ექვემდებარება პარადიგმულ ცვლას (მაგ.: 7, 8). ბრუნების თავისებურება, ანუ იდიომურ გამოთქმებში კომპონენტების შიდამიმართება მსაზღვრულ-საზღვრულის ურთიერთობით განისაზღვრება, იქნება ის თანხმოვანზე ფუძეგათავებული თუ ხმოვანზე ფუძეგათავებული ზედსართავი სახელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანხმოვანფუძიან ზედსართავ სახელებში (*ალალ-ი ლუკმა*, *დაბალ-ი ღობე* და ა.შ.) ბრუნვის ნიშნები შენახულია სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, სრულად ეკვეცება მიცემითსა და ვითარებითში, ხოლო ნაწილობრივ – ნათესაობითსა და მოქმედებითში, ხმოვანფუძიანი ზედსართავები კი (*წმინდა წყლ-ის-ა*, *ცხარე ცრემლ-ი*) არ დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა.

$$\text{ბ) } NP = ADJ \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg / pl} \right]$$

(მაგ.: *უალაგო ალაგს*²⁷, *მჩატე ჭკუისა*, *წმინდა წყლისა* და ა.შ.)

ზოგიერთი ორკომპონენტიანი იდიომური გამოთქმის სტრუქტურის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ გაქვავებული ფორმით, რომელშიც მეორე კომპონენტს წარმოადგენს ნათესაობით ბრუნვაში მდგომი არსებითი სახელი, თუმცა მსგავსი სტრუქტურის მქონე იდიომი შეგვხვდა მხოლოდ ორჯერ (მაგ.: 15, 16).

- (15) წმინდა წყლის(ა) – 1. ნამდვილი, ჭეშმარიტი: “ღირსეული ცინიზმი ჭეშმარიტი ინტელექტუალური სკოლაა, **წმინდა წყლის** ასკეტიზმი” (ნ. ბექ., “სიტყვების მიღმა არ ვარსებობ”); 2. უზადო, უნაკლო: “ხასან, ეს ქვეითა ჯარი რა ჯურის ხალხია, მწვანე მაუდის, ყვითელ გრეხილშემოვლებული მოკლე ტანისამოსი რომ აცვიათ, **წმინდა წყლის** ფრანგებს როგორღაც არ ჰგვანან? – დაეკითხა მახმუტ-ბეი თავის ასისტავს” (უიარ., “მამელუკი”).

²⁷ MORPH $\left[\begin{array}{c} \left[\begin{array}{c} cxn - NomSg - ualago \\ CLASS \text{ vow.} \\ CASE \text{ nom} \\ NUM \text{ sg} \\ PHON } [ualago-0] \end{array} \right] \end{array} \right], 2 \left[\begin{array}{c} \left[\begin{array}{c} cxn - NomSg - alags \\ CLASS \text{ cons.} \\ CASE \text{ gen} \\ NUM \text{ sg} \\ PHON } [alag-s] \end{array} \right] \end{array} \right]$

- (16) უბედური დღის(ა) – უბედურ დღეზე გაჩენილი, – უბედური, საცოდავი, საწყალი: “ჩემი დღენი, მე უბედური დღისამა, წვა და დაგვაში გავატარე” (ს. მგალ., ქეგლ).

2.2.1.3. $NP = a(NUM) + b(N)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები

$$NP = NUM[CASE : nom] + N \left[\frac{CASE : nom / ins}{NUMBER : sg} \right] \text{ (მაგ.: ერთი ამოსუნთქვა²⁸, ერთი ფეხით, მეცამეტე გოჭი და ა.შ.)}$$

მეცამეტე გოჭი და ა.შ.)

ორკომპონენტური სახელური იდიომის პირველ კომპონენტად თითქმის არ გვხვდება რიცხვითი სახელი; გამონაკლისია ერთი, ათასი (რაოდენობითი) და მეცამეტე (რიგობითი). ორსავე შემთხვევაში მსაზღვრელი პრეპოზიციაშია, თუმცა, ჩვეულებრივი შესიტყვებისაგან განსხვავებით, რიგ შეზღუდვებთან გვაქვს საქმე. კერძოდ, მეორე კომპონენტი წარმოდგენილია სახელობითი ან მოქმედებითი ბრუნვით. სხვაგვარად გამოთქმა კარგავს იდიომურობას (მაგ.: 17, 18). ეს ეხება არა მხოლოდ იდიომის ზოგად მნიშვნელობას, არამედ ცალკეულ კომპონენტთა მნიშვნელობებსაც, კერძოდ, რიცხვითი სახელის სემანტიკურ თავისებურებას. შდრ.:

- (17) ერთი ამოსუნთქვა – დროის მცირე მონაკვეთი: “ელგუჯა თავის თავისათვის არა სწუხდა, იმან იცოდა, რომ ღირსეულად დაუხვდებოდა ძალის მომტანს, მაგრამ აქ, იმას გარდა ის იყო, ვისიც ერთი ამოსუნთქვა ერჩივნა მთელს თავის სიცოცხლეს” (ა. ყაზბ., “ელგუჯა”).

- (18) ერთი ამოსუნთქვით – ერთბაშად: “საოცარია ამ ერთი ამოსუნთქვით ნათქვამ ლექსში მიღწეული მხატვრული სრულყოფილება” (“ლიტ. საქ”, ქეგლ).

ამავე ჯგუფში პირობითად გავაერთიანეთ შემდეგი სქემების მქონე ერთეულების საკმაოდ მცირერიცხოვანი ჯგუფი, კერძოდ:

ა) $NP = NUM[CASE : dat] + NUM[CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv]$ (მაგ.: 19).

²⁸ MORPH $\left[\begin{array}{c} \left[\begin{array}{c} cxn - NomSg - erti \\ CLASS cons. \\ CASE nom \\ NUM sg \\ PHON [ert-i] \end{array} \right] \end{array} \right] , 2 \left[\begin{array}{c} \left[\begin{array}{c} cxn - NomSg - amosuntkva \\ CLASS vow. \\ CASE nom \\ NUM sg \\ PHON [amosuntkva-0] \end{array} \right] \end{array} \right]$

აღნიშნულ სქემაში წამყვანი კომპონენტის, ანუ შიდაკავშირის განმსაზღვრელი კომპონენტის ფუნქციას წარმოადგენს რაოდენობითი რიცხვითი სახელი (*ერთ-ი*), ხოლო პირველი კომპონენტის ფუნქციას ასრულებს თანდებულიან მიცემით ბრუნვაში მდგომი სხვა რაოდენობითი რიცხვითი სახელი (*ათას-ში*).

- (19) ათასში ერთი – იშვიათი: “დანარჩენი ღამის მთეველნიც მოიქანცნენ და აქა-იქ მიწვნენ, ათასში ერთს ადგილს თუ-და მოისმოდა რომელიმე მოუსვენარის გამართებული სიმღერა” (ალ. ყაზბ., “მამის მკვლეელი”).

ბ) $NP = ADJ[CASE : nom] + PTC$ (მაგ.: კარგი ერთი).

ამ სქემის მქონე ერთეული მხოლოდ ერთია (მაგ.: 20), რომელშიც წამყვანი კომპონენტის ფუნქციას ასრულებს სიტყვა (*ერთ-ი*) ნაწილაკის ფუნქციით, ხოლო პირველი კომპონენტი წარმოდგენილია სახელობით ბრუნვაში მდგომი ზედსართავი სახელით:

- (20) კარგი ერთი! – საკმარისია, გეყოფა!: “ვიქტორ კარგი ერთი შენც!.. არ გრცხვენია?” (დ. კლდ., “ირინეს ბედნიერება”)

აღნიშნული ერთეულის დაშლადი ვარიანტების პოვნა შეუძლებელი აღმოჩნდა, სამაგიეროდ, ქართულ ენას ახასიათებს მისი ლექსიკური ვარიანტი (*კაი ერთი*), რომელიც ასევე არ გვხვდება დაშლადი ვარიანტის სახით.

აქვე დავძენთ, რომ მსგავსი ტიპის ერთეულები უფრო მყარ შესიტყვებათა რიგს განეკუთვნება, ვიდრე იდიომურ გამოთქმებს, მაგრამ სტრუქტურული თავისებურებიდან გამომდინარე, მათი განხილვა შესაძლებელია ზემოხსენებული ჯგუფის ფარგლებში.

2.2.1.4. $NP = a(PRO) + b(N)$ სტრუქტურის მეორე ორკომპონენტიანი იდიომური გამოთქმები

ა)

$$NP = PRO_{DEM} \left[\frac{CASE: nom/erg/dat/gen/ins/adv/voc}{NUMBER: sg/pl} \right] + N \left[\frac{CASE : nom/erg/dat/gen/ins/adv/voc}{NUMBER : sg/pl} \right]$$

(მაგ.: ეს ქვეყანა²⁹, იმ სოფელში და ა.შ.)

ბ)

$$NP = PRO_{POSS} \left[\frac{CASE : nom/erg/dat/gen/ins/adv/voc}{NUMBER : sg/pl} \right] + N \left[\frac{CASE : nom/erg/dat/gen/ins/adv/voc}{NUMBER : sg/pl} \right]$$

(მაგ.: ჩემს გაჩენაში³⁰, ჩემ ხელშია და ა.შ.)

შესწავლილ მასალაში პირველ კომპონენტად გამოვლინდა ორკომპონენტიანი სახელური იდიომური გამოთქმების ორი ქვეჯგუფი, რომლებშიც გვხვდება ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები. ცნობილია, რომ მსაზღვრელად ხმარების დროს ნაცვალსახელები ორი ფორმით გვხვდება, პირველი - სახელობითში, ხოლო მეორე - ყველა დანარჩენ ბრუნვაში (მაგ.: 11, 21). ამასთანავე, გვხვდება აღნიშნული ერთეულების როგორც დაშლადი, ასევე დაუშლელი ვარიანტებიც.

- (21) ამ სოფელში (ამ სოფლად) – სააქაოში: “მთიული იმ დროს ჰგრძნობდა ჯოჯოხეთის ცეცხლსა, წამებას და სატანჯველს, რაც კი ადამიანისათვის გაჩენილა **ამ სოფლად**, მაგრამ ყოველს ღონისძიებასა ხმარობდა, არ შეემჩნიათ” (ა. ყაზბ., “ელგუჯა”)

ორკომპონენტიანი სახელური იდიომების სტრუქტურული თავისებურებების ასახვა შესაძლებელია შემდეგი სქემის შესაბამისად.

$$\begin{array}{l} {}^{29} \text{MORPH} \left[\begin{array}{l} 1 \text{ MORPH} \left[\begin{array}{l} \text{cxn} - \text{NomSg} - \text{es} \\ \text{CASE } \textit{nom} \\ \text{NUM } \textit{sg} \\ \text{PHON} \text{ [es]} \end{array} \right] \\ 2 \text{ MORPH} \left[\begin{array}{l} \text{cxn} - \text{NomSg} - \text{qveq'ana} \\ \text{CLASS } \textit{vow.} \\ \text{CASE } \textit{nom} \\ \text{NUM } \textit{sg} \\ \text{PHON} \text{ [qveq'ana-0]} \end{array} \right] \end{array} \right] \\ {}^{30} \text{MORPH} \left[\begin{array}{l} 1 \text{ MORPH} \left[\begin{array}{l} \text{cxn} - \text{DatSg} - \text{chems} \\ \text{CASE } \textit{dat} \\ \text{NUM } \textit{sg} \\ \text{PHON} \text{ [chem-s]} \end{array} \right] \\ 2 \text{ MORPH} \left[\begin{array}{l} \text{cxn} - \text{NomSgPost} - \text{gachenashi} \\ \text{CLASS } \textit{vow.} \\ \text{CASE } \textit{dat} \\ \text{NUM } \textit{sg} \\ \text{PHON} \text{ [gachena-shi]} \end{array} \right] \end{array} \right] \end{array}$$

ცხრილი 1: ორკომპონენტური სახელური იდიომების სტრუქტურა

ორკომპონენტური იდიომის სტრუქტურა	მაგალითი	რაოდენობა
$N + N$	თვალის ნათელი, მარილი ქვეყნისა, მთა კაცი და ა.შ.	546 ერთეული
$ADJ + N$	ნამცეცა გული, მშვენიერი ნახევარი და ა.შ.	487 ერთეული
$PRO + N$	ჩემს ხელში, ჩემს გაჩენაში და ა.შ.	137 ერთეული
$NUM + N$	ერთი პირი, ერთი ამოსუნთქვა და ა.შ.	49 ერთეული
$NUM + NUM$	ათასში ერთი, ორში ერთი	8 ერთეული

სახელური იდიომების მაგალითთა უმრავლესობაში ($N + N$, $ADJ + N$, $NUM + N$, $PRO + N$) არსებითი სახელი მართავს შიდა კავშირებს, კერძოდ, იგი განსაზღვრავს და ითხოვს მეორე კომპონენტისაგან კონკრეტულ გრამატიკულ კატეგორიას. ნაკლებად გვხვდება ისეთი მაგალითები, რომლებშიც წამყვან კომპონენტს ზედსართავი, რიცხვითი სახელი ან ნაცვალსახელი წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იდიომური გამოთქმების ერთ-ერთ, ოღონდ არაძირითად, მეორეხარისხოვან ნიშანს წარმოადგენს სიტყვათა წყობის მყარი რიგი, აგრეთვე იდიომის რედუქციისა თუ გავრცობის შეუძლებლობა და გრამატიკული კატეგორიების უგულებელყოფა. სახელური იდიომური გამოთქმების შესწავლა ცხადყოფს, რომ აღნიშნული ტენდენცია აბსოლუტური არ არის.

არ. თაყაიშვილის მიერ წამოყენებულია ჰიპოთეზა, რომ „ის განსაზღვრული წყობა, რომელსაც მაინც იცავს ქართული, იდიომის ბუნებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ თვით ენის ტენდენციიდან - გარკვეული თანამიმდევრობა დაიცვას შესიტყვებაში“ (თაყაიშვილი 1961, 22). ქართული ენა კი ამ მხრივ, აფიქსაციით გამოხატული გრამატიკული კატეგორიების სიუხვის გამო, სიტყვათა წყობის შედარებითი თავისუფლებით გამოირჩევა. შესაბამისად, ქართული ენის ტენდენციის გათვალისწინებით, სახელურ იდიომურ გამოთქმებს ძირითადად

ახასიათებს როგორც პრეპოზიციური, ასევე პოსტპოზიციური წყობაც, განსაკუთრებით $N + N$, $NUM + PRO$ სქემების მქონე იდიომურ გამოთქმებში. იმ მაგალითებში კი, რომლის პირველ კომპონენტს ზედსართავი ან რიცხვითი სახელი წარმოადგენს ($ADJ + N$, $ADJ + NUM$, $NUM + N$) პოსტპოზიციური წყობის მაგალითები პრაქტიკულად არ გვხვდება და სიტყვათა ადგილმდებარეობის შეცვლაც კი იწვევს იდიომურობის დაკარგვას (მაგ.: 22, 23).

(22) ახალი ხილი – შეუჩვეველი რამ: “როზგი თქვენთვის არის **ახალი ხილი**, თორემ მე მეშვიდეჯერ დამკრეს” (მ. ჯავახ., “არსენა მარაბდელი”).

(23) დაბალი ღობე – ისეთი ადამიანი, რომელსაც არაფრად აგდებენ, ადვილად ჩაგრავენ, ადვილად იბრიყვებენ: “და რომ ეს უწყინარი და უტკივარი წუნიც-კი არ შეამჩნევინონ უცხო კაცს, **დაბალი ღობეც** მალე უპოვნიათ” (ილია, “ქვათა ღალადი”).

ქართულ ენაში პრეპოზიციური წყობის ცვლა პოსტპოზიციური წყობით იდიომურ გამოთქმებში თითქმის შეუძლებელია, რადგანაც მსგავს შემთხვევებში იდიომი კარგავს იდიომურობას და ზოგიერთ შემთხვევაში ქმნის აგრამატულ ერთეულებს (შდრ. *ახალი ხილი* - *ხილი ახალი*, *კარგი ერთი* - *ერთი კარგი* და ა.შ.). პოსტპოზიციური წყობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ის განპირობებულია იდიომის პირველადი წყობით (*ცათა სწორი*, *ძელი ჭემშარიტი* და ა.შ.).

იდიომის რედუქციისა და გავრცობის შეუძლებლობას უფრო დაწვრილებით შევხებით სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების განხილვისას. აქ კი მხოლოდ იმის აღვნიშნით დავკმაყოფილებით, რომ ორკომპონენტიანი სახელური იდიომური გამოთქმების გავრცობა შესაძლებელია, მაგრამ გავრცობისას ვიღებთ ე.წ. სამკომპონენტიან იდიომურ გამოთქმებს, რომელთა ბირთვსაც ისევ ორკომპონენტიანი იდიომი წარმოადგენს (მაგ.: 24, 25):

(24) ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული – ვისაც ცხოვრებაში ბედი აქვს, ბედნიერი (ადამიანი): - სწორედ **ბედნიერ ვარსკვლავზე** იქნება დაბადებული ის ქალი...” (ვ. ბარნ., “ისნის ცისკარი”).

(25) ჩემი ცოდვით სავსე – გამოხატავს ვისიმე მიმართ საყვედურს, უკმაყოფილებას, აღშფოთებას: “თებერავ, ბიჭო, სადა ხარ? ხელი მომეც, შე ჩემი **ცოდვით სავსე**, ვილუპები!” (ვ. ბარნ., თებერას დანიშნული).

ორსავე შემთხვევაში გვექნება გავრცობილი ორკომპონენტური იდიომური გამოთქმა: პირველ შემთხვევაში სამკომპონენტური იდიომური გამოთქმის ბირთვს წარმოადგენს *ბედნიერი ვარსკვლავი*, ხოლო მეორე შემთხვევაში – *ცოდვით სავსე*.

რაც შეეხება რედუცირების პრინციპს, იგი ორკომპონენტურ სახელურ იდიომურ გამოთქმებში შეუძლებელია. ნებისმიერი კომპონენტის ამოვარდნისას ხელთ გვრჩება ესა თუ ის სიტყვა, რომელსაც იდიომის შექმნის პოტენციას მოკლებულია. ამდენად, აღნიშნული მეორეხარისხოვანი ნიშანი ძალზე პირობითია ორკომპონენტური სახელური იდიომური გამოთქმების კონტექსტში.

საერთოდ, გრამატიკული კატეგორიების უგულებელყოფის ფაქტი ორკომპონენტურ სახელურ იდიომურ გამოთქმებში შეინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის იდიომური გამოთქმა არ იყენებს სრულ პარადიგმას (მაგ.: 13, 14, 17, 18). აღნიშნული იდიომური გამოთქმები კი განეკუთვნება $N + N$ და $NUM + N$ სქემებს. სხვა შემთხვევებში ორკომპონენტურ სახელურ იდიომურ გამოთქმებში გრამატიკული კატეგორიების უგულებელყოფის ფაქტები არ შეინიშნება.

2.2.2. ორკომპონენტური ზმნური იდიომური გამოთქმები

ზმნურ იდიომურ გამოთქმებში, იმისდა მიუხედავად, განეკუთვნება თუ არა იგი ორკომპონენტურ, სამკომპონენტურ თუ ოთხკომპონენტურ ერთეულებს, საკვანძო სიტყვად, ანუ იმ სიტყვად, რომელიც განაპირობებს და ითხოვს მასთან შეხამებული კომპონენტებისაგან ამა თუ იმ გრამატიკულ კატეგორიას, გვევლინება ზმნა. ქართული ზმნა კი, თავისი არსით, საკმაოდ რთულ და, ამასთანავე, უაღრესად მობილურ მეტყველების ნაწილს წარმოადგენს. კერძოდ, ზმნა გვიჩვენებს, რომ: ა) სუბიექტი თვითონ მოქმედებს, ან ზემოქმედებას განიცდის სხვა პირისაგან, ანდა მოქმედებს, მაგრამ არ გააჩნია სამოქმედო ობიექტი (მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი გვარი); გ) სუბიექტი თვითონ მოქმედებს თუ სხვას ასრულებინებს მოქმედებას (კაუზაცია); დ) სუბიექტსა და ობიექტს შორის პოსესიური ურთიერთობაა (ქცევა); ე) დასრულებულია თუ არა ესა თუ ის მოქმედება (ასპექტი); ვ) რამდენად სავალდებულოა, სასურველია თუ შესაძლებელია, ესა თუ ის ქმედება

(კილო), და ზ) როდის სრულდება ესა თუ ის მოქმედება უზნობის მომენტთან მიმართებით (დრო)³¹.

გარდა ამ ძირითადი კატეგორიებისა, ქართული ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალი ან გარდაუვალი, ხოლო ვნებითი გვარის ფორმები – სტატიკური ან დინამიკური. ამ გრამატიკულ კატეგორიათა უმრავლესობა ნათლად აისახება ზმნურ იდიომურ გამოთქმებშიც.

ორკომპონენტიანი ზმნური იდიომური გამოთქმების ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია, იგი შეადგენს 6704 ერთეულს და ბევრად სჭარბობს იდიომური გამოთქმების ყველა დანარჩენ ჯგუფს. ორკომპონენტიანი $a + b$ სქემის ზმნური იდიომების ჯგუფს ახასიათებს შემდეგი სტრუქტურის მქონე ვარიანტები:

- 1) $VP = a(N) + b(V)$ ან $VP = b(V) + a(N)$ (მაგ.: გზას ააცდებს, გულს წასტაცებს, დაჰკრავს საათი და ა.შ.)
- 2) $VP = a(ADJ) + b(V)$ (მაგ.: კარგებს უთავაზებს, ძვირი დაუჯდება, კეთილში ჩააგდება და ა.შ.)
- 3) $VP = a(NUM) + b(V)$ (მაგ.: ცოტა დააკლდა, ათასად იჭრებოდა, მეორედ იშვა და ა.შ.)
- 4) $VP = a(PRO) + b(V)$ (მაგ.: ჩემი დამემართება, ვინ დაეძებს, ვიღა იტყვის და ა.შ.)
- 6) $NP = a(N) + b(PART)$ (მაგ.: ადიდამი გამოსული, გულში ჩაყოლილი, თითით საჩვენებელი და ა.შ.)
- 7) $NP = a(N) + b(VN)$ (მაგ.: ალაიაში გატარება, ბაღის მოხარშვა, გულის გაპარვა და ა.შ.)

cxn – Series – Conjugation	
SEM	[SERIES TAM]
	[THEMATIC ROLES]
SYN	CASE
	NUMBER
	PERSON
	[TENSE
MORPH	ASPECT
	MOOD
	AGREEMENT]
PHON	[PHON]

ორკომპონენტიანი ზმნური იდიომური გამოთქმების ცენტრალურ კომპონენტს, როგორც აღნიშნეთ, ზმნა წარმოადგენს. ქართული ენის გრამატიკულ და სტილისტიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით, ორკომპონენტიანი ზმნური იდიომური გამოთქმები, ძირითადად იცავს გარკვეულ თანამიმდევრობას შესიტყვებაში. კერძოდ, იდიომი, თავისუფალი შესიტყვების მსგავსად, ზმნას ბოლოში აქცევს (*ჭკუა-ს და-ატან-ს, ბადე-ში გა-ეხვ-ევ-ა და ა.შ.*). მართალია, არსებით სახელსა და ზმნას შორის ურთიერთობების თვალსაზრისით, აღნიშნული რიგი (სახელი+ზმნა) მოქმედებს ორკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების უმრავლესობაში, მაგრამ პარალელურად არსებობს ზმნური იდიომური გამოთქმები, რომლებშიც ზმნას მოსდევს არსებითი სახელი (იხ. სქემა 1).

აღნიშნული სტრუქტურის მქონე იდიომების შესწავლისას შევეცადეთ პასუხი გაგვეცა შემდეგ კითხვებზე: ა) რა გრამატიკული კატეგორიები ახასიათებს მეორე კომპონენტს (ზმნას) იდიომში და რომელ სტრუქტურას ითხოვს იგი სახელური კომპონენტისაგან; ბ) ავლენს თუ არა იდიომური გამოთქმის ზმნური კომპონენტი პარადიგმულ ნაკლოვანებას და, თუ ავლენს, რა სიხშირით; გ) რამდენად დაუშლელია აღნიშნული იდიომური გამოთქმა.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ზმნურ იდიომურ გამოთქმებს გრამატიკული თვალსაზრისით შვიდი სქემით ვახასიათებთ. პირველი სქემის სტრუქტურა გაყოფილია ორ ქვესქემად, რომლებშიც ზმნური კომპონენტი მოსდევს ან წინ უსწრებს სახელს.


2.2.2.1. $VP = a(N) + b(V)$ ან $VP = b(V) + a(N)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები

ა) $VP = a(N) + b(V)$ (მაგ.: აბაზანას მიიღებს³², აღჩუ დაუჯდება, ბარგად აიკიდება და ა.შ.)


ბ) $VP = b(V) + a(N)$ (მაგ.: მოუსვამს ხელს³³, დაჰკრავს ფეხს, დაიდუმებს პირს და ა.შ.)

ქართული ენის განვითარების ტენდენციიდან გამომდინარე, როგორც აღნიშნავს არ. თაყაიშვილი: “ქართულში ფრაზეოლოგიზმი თავისუფალი

32



33



შესიტყვების მსგავსად ზმნა-შემასმენელს ბოლოში აქცევს: *გული მოუღბო, წყალი შეუყენა, ოქროში ჩასვა, გზა მისცა...*” (თაყაიშვილი 1961, 22). აღნიშნულ წესს სავსებით შეესაბამება ჩვენ მიერ შერჩეული მასალა, (ბ) სქემის შესაბამისი ვარიანტები (მაგ.: 26, 27), რომლებშიც ზმნა უსწრებდა სახელს, მაინცდამაინც დიდი სიმრავლით არ გამოირჩევა, რაც ცხადყოფს, რომ, მიუხედავად ლაბილურობისა, ქართულ ზმნას ახასიათებს კონსტრუქციის ბოლოში მოხვედრა.

(26) წერილს (წიგნს) წაიღებს – მოკვდება: “ბანკირმა უკვე **“წიგნი წაიღო”**... მე და ჩემი ქალბატონი მარტონი დაგვყარა” (ნ. ხომლ., ქეგლ).

(27) ააბრუნა წისქვილი – დაიწყო დაუსრულებელი ლაპარაკი: “კაია, ნულა გამახსენებთ, თუ ღმერთი გწამთ! – **ააბრუნა** ამან თავის **წისქვილი**! – ღიმილით მიაძახა არისტომ” (დ. კლდ., “სამანიშვილის დედინაცვალი”).

ზმნური იდიომური გამოთქმების რაოდენობა (ა) და (ბ) სქემების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად: (ა) სქემის მქონე ერთეული კორპუსში შეადგენს 5087 ერთეულს, ხოლო (ბ) სქემის მქონე ერთეული – 40 ერთეულს; პროცენტულად – 0,7%. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქართულში ზმნური იდიომური გამოთქმები, ჩვეულებრივ, ქართული ენისათვის დამახასიათებელი სიტყვათა თანამიმდევრობით ფორმდება და რომ, მიუხედავად სიტყვათა რიგის შეფარდებითი თავისუფლებისა ინგლისურ ენასთან შედარებით, რომელშიც კომპონენტთა განლაგება შესიტყვებაშიც და წინადადებაშიც განსაზღვრულ თანამიმდევრობას გვიჩვენებს, ქართული ენაც ცდილობს დაიცვას მისთვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი განსაზღვრული თანამიმდევრობა.

მაშასადამე, მასალის შესწავლის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ იდიომური გამოთქმები ხშირად ენის არქაულ შრეს განეკუთვნება, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თვით ენის ტენდენცია და, შესაბამისად, ტრადიციაც განაპირობებს ზმნური კომპონენტის ბოლოში მოქცევას, განსაკუთრებით, მოკლე და მოდალობით ნეიტრალურ თხრობით წინადადებაში.

სინტაქსური თვალსაზრისით $VP = a(N) + b(V)$ ან $VP = b(V) + a(N)$ სქემაში შემავალი ზმნური კომპონენტის მქონე იდიომური გამოთქმის განხილვა შესაძლებელია, როგორც მარტივი ან შედგენილი შემასმენლისა. მაგრამ იდიომური გამოთქმის ბუნების გათვალისწინებით, რაც უკავშირდება შესიტყვების სემანტიკურ ერთიანობას, თითოეული ვარიანტი დაწვრილებით არის შესასწავლი, რადგანაც: ა)

მარტივი ზმნა-შემასმენელი არ გულისხმობს რაიმე დამატებითი სიტყვის მონაწილეობას ზმნის, როგორც ცალკეული კომპონენტის, მნიშვნელობის შექმნაში (იგი გადმოიცემა ზმნის პირიანი ფორმით); ბ) შედგენილი შემასმენელი კი გულისხმობს ორი კომპონენტის არსებობას, კერძოდ, ბრუნებადი სიტყვისა (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი ან მიმღეობა) და მეშველი ზმნის პირიანი ფორმისა, რომელიც, თანამედროვე ქართული ენის სტრუქტურული თავისებურების გათვალისწინებით, გვევლინება “არის” ზმნისა და მისი ფუძემონაცვლე ზმნების სახით. „არ“ ფუძე მხოლოდ აწმყოს მწკრივის ფორმებს მოეპოვება, მყოფადის წრეში იქნებ-, ხოლო მეორე და მესამე სერიის ფორმებს ყავ-/ყოფ-ფუძის შემცველი ზმნური ფორმებით ივსებენ (კვაჭაძე 1996, 77) .

ისმის კითხვა: რა სახით უნდა განვსაზღვროთ პრევერბიანი ზმნური კომპონენტის მქონე იდიომური გამოთქმის სინტაქსური კავშირი წინადადებაში?

როგორც ზემოთ აღინიშნა, მეშველი ზმნის შემცველ ორკომპონენტიან შესიტყვებას იდიომურ გამოთქმებად ვერ მივიჩნევთ. ამდენად, ქართული ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციების გათვალისწინებით, შედგენილი შემასმენლის განხილვა იდიომებში პრაქტიკულად შეუძლებელია.

მაშასადამე, წინადადებაში ზმნური ფორმანტის გამოყენებით იდიომური გამოთქმის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ როგორც მარტივი შემასმენლისა სხვა წევრებთან შეხამებაში (აქტანტები, უბრალო დამატება, გარემოება) (მაგ.: 28, 29).

(28) გულს ამთელებს – დარდს აქარწყლებს: “– ჩემო მშვენიერო, შენ **გულს** დრო **გამთელებს**, და იმ ზარს კი, მგონი, უფრო გაბზარავს, თუ სულ არ დაამსხვრია და არ გააცამტვერა...” (შ. არაგვ., “გაბზარული გული”).

(29) გული გაამთელა – დარდი გაუქარწყლა: “ჩვენი წარსული და ჩვენი **გული** ერთმა ოცნებამ **გამთელა**” (გ. სირ., “***”).

ქართული ზმნისათვის დამახასიათებელი მორფო-სინტაქსური პოტენციის გამო გარდამავალი ზმნისგან მართული სუბიექტი შეიძლება იდგეს სამ ბრუნვაში: ა) ნომინატიურში (აღნიშნული კონსტრუქცია გაბატონებულია ინდოევროპულ ენათა უმრავლესობაში, მათ შორის, ახალბერძნულ და რუსულ ენებში); ბ) ერგატიულსა და, გ) დატიურში. როგორც ცნობილია, ზმნა ქართულში შესაძლებელია იყოს გარდამავალი ან გარდაუვალი. გარდაუვალია ვნებითი ან საშუალი გვარის ერთპირიანი ან ორპირიანი ზმნები.

ამ მხრივ საკმაოდ საინტერესოა დატიური კონსტრუქციის გამოხატვა ზმნაში. მისი სტრუქტურული თავისებურებიდან გამომდინარე, ზმნა, რომელიც ხშირ შემთხვევაში ორპირიანი ან სამპირიანია, ითხოვს კონსტრუქციის გაფორმებას მიცემითა და სახელობით ბრუნვებში. აღნიშნული გაფორმება საინტერესოდ ვლინდება იდიომურ გამოთქმებში, რომლებიც ფაქტიურად შედგება სახელობითი ბრუნვით გაფორმებული ერთეულისა და თვით ზმნისაგან (მაგ.: 30, 31):

(30) (მას) მუხლი ერჩის (უჭრის) – (მას) სიარული შეუძლია: “ვისაც **მუხლი ერჩოდა**, მთაში გაიხიზნა” (ვ. გამს., “ტაბუ”).

(31) (მას) ქარი უჭრის – (მას) ბედი სწყალობს, ძალ-ღონე შესწევს: “სადაც კი შეიგულებდნენ და მოასწრებდნენ, სულ მუსრს ავლებდნენ, და ისე შეაშინეს, რომ, არათუ სოფლებში ვეღარ დაფარფაშობდნენ ადრინდულად, ციხე-დარბაზშიაც კი შიშის **ქარი უჭროდათ**” (აკაკი, “ზაში-აჩუკი”).

აღნიშნულ მაგალითებში *მუხლი ერჩის (ის მას)*, *ქარი უჭრის (ის მას)* ზმნები ინვერსიულია, მათთან სახელობით ბრუნვაში შეწყობილი სახელები წინადადებაში ე.წ. რეალური ობიექტისა და გრამატიკული სუბიექტის ფუნქციას ასრულებს.

ინვერსიულ გარდაუვალ ზმნებთან, როგორიცაა გრძნობებისა და შეგრძნებების (*მი-ყვარ-ს*, *მო-მ-წონ-ს*, *მ-ცივ-ა* და ა.შ.), აგრეთვე, ქონა-ყოლის გამომხატველი ზმნები, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსური წყობის გათვალისწინებით, ფუნქციურად ერთმანეთს ენაცვლებიან ქვემდებარე და დამატება (მაგ.: 32, 33):

(32) თავი მოსწონს – ამაყობს, თავი მოაქვს, თავისთვის სასახელოდ მიაჩნია (რაიმე): “...**თავი მოსწონდა**, რომ ამისთანა მებრძოლი და ერთგული ყმა ჰყავდა გვერდით” (ვ. ბარნ., “მიმქრალი შარავანდედი”).

(33) თავს მოაწონებს – ვინმეს წინაშე სასახელოდ წარმოაჩენს თავს: “ცოტნე თვალტანადი, მომხიბლავი ყმაწვილი იყო და თუ იგი მეფის კარზე შესაფერისი ბრწყინვალეობით გამოცხადდებოდა, ხელმწიფესა და უფლისწულებს **თავს მოაწონებდა**” (გ. აბაშ., “ცოტნე”).

პირველი იდიომური გამოთქმის (*თავი მოსწონს*) ზმნური კომპონენტი გარდაუვალი ინვერსიული ზმნის მაგალითია, ხოლო მეორე იდიომისა (*თავს მოაწონებს*) – გარდამავალ სამპირიან ზმნას წარმოადგენს. წმინდა გრამატიკული თვალსაზრისით, სხვადასხვა ტიპის ზმნურ კომპონენტთან გვაქვს საქმე, მაგრამ ორივეს საერთო სემანტიკა აქვს. ორივე მაგალითი შეესაბამება $VP = a(PRO) + b(V)$

სქემას. აღნიშნულ სქემაში შესულ სხვა მაგალითებს დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

ზემოხსენებულ ფორმებზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმს – ინდოევროპული ენების საპირისპიროდ, რომლებშიც მიცემითში დასმული სახელი მოკლებულია მსგავს სინტაქსურ უფლებებს; იგი ზმნას არც პირში და არც რიცხვში ეთანხმება. ქართულ ზმნაში კი მორფოლოგიური სუბიექტი და ირიბი ობიექტი ზოგიერთ კონსტრუქციაში სინტაქსურად თანაბარია და სუბიექტ-ობიექტის სინტაქსური ფუნქციები ერთმანეთს ენაცვლება. მსგავსი ვითარება გვხვდება იდიომურ გამოთქმებშიც, კერძოდ, მათ შემადგენლობაში, ერთი მხრივ, გრძნობებისა (*მი-ყვარ-ს, მო-მ-წონ-ს*) და, მეორე მხრივ, ქონა-ყოლის გამომხატველი ზმნური კომპონენტის არსებობის შემთხვევაში.

ცნობილია, რომ იდიომებს ენობრივი მასალის უფრო ძველი შრის წარმოჩენა შეუძლია, შესაბამისად, ინვერსიის ინტენსიური გამოყენება იდიომატიკაში იმაზე მეტყველებს, რომ ინვერსია ორგანულია ქართული ენისათვის და მის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით ზმნურ იდიომურ გამოთქმებში ქვემდებარისა და დამატების ფუნქციური შენაცვლება ეფუძნება ენის ისტორიულ განვითარებას, – მეტადრე მაშინ, როცა იდიომური გამოთქმის ზმნურ კომპონენტს გარდამავალი ზმნა წარმოადგენს. მისი სუბიექტ-ობიექტის ფუნქციები გამოიხატება კონსტრუქციის ბრუნვაცვალებადი ფორმებით, კერძოდ, პირველი სერიის ფორმებთან სუბიექტი სახელობით ბრუნვაში დგას, მეორე სერიის ფორმებთან – მოთხრობითში, მესამე სერიის ფორმებთან კი – მიცემითში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმნის სერიული ფორმები მართავს სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვის ფორმებს. ამდენად, გარდამავალი ზმნა გვევლინება შემდეგი სინტაქსური კონსტრუქციების წინაპირობად როგორც თავისუფალ შესიტყვებებში, ისე იდიომურ გამოთქმებში:

ა) ნომინატიური (თუ ზმნური კომპონენტი წარმოდგენილია პირველი სერიის ზმნით, მაგ.: (34)

(34) ბედი ულიმის (I სერია) – ბედი სწყალობს, ბედნიერდება: “თურმე ქვეყნის დასალიერშიც ულიმის ბედი მის რჩეულს, რაც არ უნდა უკბილო იუმორით ბრწყინავდეს” (გ. გელაშ., “მარჯვე ბიჭი გიგილო”).

ბ) ერგატიული (თუ ზმნური კომპონენტი წარმოდგენილია მეორე სერიის ზმნით, მაგ.: (35)

(35) ბედმა გაუღიმა (II სერია) – მოულოდნელად კარგი რამ მოუვიდა: “ახლა, როცა დიდი ხნის წამების შემდეგ **ბედმა გაუღიმა**, რაღად სჭიროდა მიუსაფარ ტყვე ლაზს ამ ქვეყნის ძლიერთა გულისწყრომის დამსახურება” (კ. გამს., “დიდოსტატის მარჯვენა”).

გ) დატიური (თუ ზმნური კომპონენტი წარმოდგენილია I-III სერიების ზმნებით, მაგ.: (36)

(36) აღნიშნული მაგალითი ასახავს ზმნისა და ობიექტის ურთიერთობას და, ბუნებრივია, რომ ობიექტი მიცემითი ბრუნვითაა გაფორმებული:

ეწევა (I სერია) – დაოჯახდება, გაბედნიერდება: “ვინც იქ მოხვდება, **ბედს ეწევა**” (ნ. მდივ., “ყველაფერი კარგად იქნება”).

ბედ-ს ეწია (II სერია) – დაოჯახდა, გაბედნიერდა: “მოესწარი იმ დღეს, შენი გაზრდილი ასეთს **ბედს ეწია** და შენ კიდევ წუწუნებ?” (ან. ერ.-ხოშტ., “ბედის ტრიალი”).

სწევია (III სერია) – დაოჯახებულა, გაბედნიერებულა: “მამაჩემი ციხიდან რომ გათავისუფლებულა, ისიც საკუთარ **ბედს სწევია**, ვიღაც სენაკელი ქალი შეურთავს და ახალი ცხოვრება დაუწყია” (მ. შათ., “ლელა+ლევანი”).

ყოველივე ამის ჩვენებას ის მიზანი აქვს, რომ განისაზღვროს, რამდენად დაცულია სინტაქსური კონსტრუქციის ძირითადი რგოლის, კერძოდ, ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობა იდიომურ გამოთქმებში ან რამდენად შესაძლებელია ვიმსჯელოთ სხვა სინტაქსურ ურთიერთობებზედაც და კონკრეტულად რა სახისაა ეს ურთიერთობანი.

აღნიშნული საკითხების გარკვევა ვცადეთ პირველი სქემის მაგალითის გამოყენებით, თუმცა განმაზოგადებელი პასუხის გასაცემად გამოვიყენეთ არა მხოლოდ ზმნისწინიანი (სრული ასპექტის) ფორმის მქონე ზმნური იდიომური გამოთქმები, არამედ, ზოგადად – როგორც სრული, ასევე უსრული ასპექტის პირველ სქემაში შემავალი ერთეულები, რომლებშიც ზმნური კომპონენტი მოსდევს სახელურს.


როგორც ზემოთ ითქვა, ზმნური იდიომური გამოთქმების რაოდენობა აღემატება ყველა დანარჩენ ერთეულს და შეადგენს 5217 ერთეულს, მათ შორის ერთმარცვლიანი ზმნისწინიანი კომპონენტის მქონე იდიომების რაოდენობა

შეადგენს 3266 ერთეულს, ხოლო ორმარცვლიანი – 581-ს, რაც ზმნური იდიომური გამოთქმების საერთო რაოდენობის ნახევარს აჭარბებს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მორფოსინტაქსური ურთიერთობისა, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციების ფარგლებში გამოვლინდა, რომ წინადადებაში (ა) სქემის ზმნურ იდიომურ გამოთქმას რამდენიმე ქვესქემა ახასიათებს:

1. $VP = N \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg / pl} \right] + VI_{1/2} \left[\frac{SERIES : I / II / III}{NUMBER : sg / pl} \right]$ (მაგ.: *აღჩუ უჯდება*, *სიცოცხლე დუღს* და ა.შ.)
2. $VP = N \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg / pl} \right] + VT_{2/3} \left[\frac{SERIES_I : prs / fut / imperf}{NUMBER : sg / pl} \right]$ (მაგ.: *გული გაუწევს*³⁴, *ბედი უღიმის*, *ბედი უჭრის* და ა.შ.)
3. $VP = N \left[\frac{CASE : erg}{NUMBER : sg / pl} \right] + VT_{2/3} \left[\frac{SERIES_II : aor}{NUMBER : sg / pl} \right]$ (მაგ.: *ალაღმა დაჰქროლა*³⁵, *ბიძეებმა მოუარეს*, *ბედმა გაუღიმა* და ა.შ.)

34



$$4. VP = N \left[\frac{CASE : dat(Post)}{NUMBER : sg / pl} \right] + VT_{2/3} \left[\frac{SERIES_III : prf}{NUMBER : sg / pl} \right] \quad (\text{მაგ.: ენას (ენაზე)})$$


აკერია³⁶, გულს (გულში) ახატია და ა.შ.)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცვანილი ქვესქემები ახასიათებს იმ იდიომურ გამოთქმებს, რომლებიც წინადადებაში მთავარი წევრების ფუნქციებს ასრულებს და, მაშასადამე, შემოიფარგლება შემასმენლისა და აქტანტების სინტაქსური ურთიერთობით.


პირველი ქვესქემა შეესაბამება ერთპირიანი ან ორპირიანი გარდაუვალი ზმნების მორფოსინტაქსური კონსტრუქციის თავისებურებას, რომელიც წარმოგვიდგება ნომინატიური კონსტრუქციის სახით – როგორც სრული, ასევე უსრული ასპექტის მქონე ერთპირიან ზმნებში.

მსგავსი ტიპის კონსტრუქციაში სუბიექტი ითხოვს აგრეთვე ნომინატიურ გაფორმებას, ზმნას სამოქმედო (პირდაპირი) ობიექტი არ გააჩნია, ხოლო თვით ზმნა წარმოგვიდგება: ა) ვნებითის ფორმებით (გვიჩვენებს, რომ სუბიექტი თვითონ

35



36



განიცდის მოქმედებას: ზმნა გარდაუვალია, ერთპირიანი ან ორპირიანი), ან ბ) საშუალო გვარის ფორმებით (რომელთაც აკლიათ სამოქმედო ობიექტი: ზმნა გარდაუვალია, ერთპირიანი ან ორპირიანი).

(37) სიცოცხლე დულს – ცხოვრება ძალიან ცხოვლად მიმდინარეობს: “იქ **სიცოცხლე სდულდა** და გადმოდიოდა: შეზარხოშებული ვაჟკაცი მოუსვენრად დაეხეტებოდნენ ზურნა-დალაბანდით უბან-უბან და დაღალულ მლოცველთ მიღს უფრთხოვდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ” (ეკ. გაბაშ., “გამარჯვებული ნიკო”).

(38) სისხლი უდულს – ენერგია მოჭარბებული აქვს, ძალ-ღონე ერჩის (იტყვიან ფიცხ ახალგაზრდაზე): “ზიმშიაშვილებსაც ათაბაგების ფიცხი **სისხლი უდულდათ** და უკვე დაკარგულ ხელისუფლებას ისინიც კბილებით და ჭანგებით ეჭიდებოდნენ” (მ. ჯავახ., “არსენა მარაბდელი”).

მაგალითებიდან ჩანს, რომ სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობა გადმოიცემა ნომინატიური კონსტრუქციით, რომელიც პირველ შემთხვევაში (მაგ.: 37) გაფორმებულია ერთპირიანი ნეიტრალური ქცევის ფორმით, ხოლო მეორე შემთხვევაში (მაგ.: 38) – ორპირიანი საობიექტო ქცევის ფორმით. ორსავე შემთხვევაში ზმნური კომპონენტის ძირითად განმასხვავებელ ნიშანს ქცევა წარმოადგენს. ქცევის საობიექტო ფორმა ემსახურება პირიანობის გაზრდას – როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში.

აღსანიშნავია, რომ სტრუქტურის თვალსაზრისით პირველი იდიომური გამოთქმის (*სიცოცხლე დულს*) განხილვა შესაძლებელია როგორც ოთხკომპონენტიანი იდიომური გამოთქმის შემადგენელი ნაწილისა (*სიცოცხლე/ცხოვრება დულს და გადმოდულს/გადმოდის*), კორპუსში იგი, ჩვეულებრივ, არ გვხვდება ორკომპონენტიანი შემადგენლობით. ამასთანავე, მიუხედავად სემანტიკური მსგავსებისა (*სიცოცხლე/ცხოვრება დულს = დულს და გადმოდულს/გადმოდის = სიცოცხლე/ცხოვრება დულს და გადმოდულს/გადმოდის*), საკვანძო ერთეულად შეგვიძლია მივიჩნიოთ სამკომპონენტიანი ზმნური ერთეული (*დულს და გადმოდულს/გადმოდის*). ამ მაგალითთა რიგში, აღნიშნული ერთეულის მოთავსება, ჩვენი აზრით, გამართლებულია, რადგანაც: ა) ენობრივი ნორმების გათვალისწინებით მსგავსი ერთეულის არსებობა დასაშვებია; ბ) კორპუსში იგი არ გვხვდება ორკომპონენტიანი იდიომის ფარგლებში, მაგრამ დასაშვებია მისი არსებობა

როგორც სასაუბრო ქართულში, ასევე იმ ნაწარმოებებშიც, რომლებიც კორპუსში არ ყოფილა შეტანილი.

დანარჩენი სამი ქვესქემა შეესაბამება ორპირიანი ან სამპირიანი გარდამავალი ზმნური კომპონენტის შემცველ იდიომურ გამოთქმებს, რომლებიც წარმოგვიდგება: ა) ნომინატიური, ბ) ერგატიული და გ) დატიური კონსტრუქციების სახით. იმის გარკვევა, თუ მათგან რომელი კონსტრუქცია ჭარბობდა ზმნურ იდიომურ გამოთქმებში, მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქვემდებარე-შემასმენლის კონსტრუქციული თავისებურება (ნომინატიური, ერგატიული თუ დატიური) განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ზმნის გარდამავლობა და სერიები. შესაბამისად, აღნიშნული ქვესქემების სინტაქსური კონსტრუქციების გამაერთიანებელ რგოლს გარდამავალი ზმნა წარმოადგენს, და მათ განხილვას შევეცადეთ ცალ-ცალკე სინტაქსური მოდელების თავისებურებათა გამოვლენის მიზნით.

ცნობილია, რომ ნომინატიური სინტაქსური კონსტრუქციის ნაწილს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც გარდაუვალი, ასევე გარდამავალი ზმნაც. იდიომის ფარგლებში არსებული ნომინატიური კონსტრუქციის მიმართება გარდაუვალ ზმნასთან უკვე განხილულია; მაგრამ თავისთავად გარდაუვალი და გარდამავალი ზმნის მიმართება სახელობით ბრუნვაში მდგომ სახელთან ერთგვარი არ არის. ძველი ქართულიდანვე³⁷ გარდამავალ ზმნასთან ქვემდებარე ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნის მხოლოდ პირველი სერიის ზმნებთან აწმყოსა და მყოფადის წრეში, მეორე სერიაში კი იგი იძლევა ერგატიულს (მაგ.: 39).

(39) გული გაუწევს – სადმე წასვლა მოუნდება: “ბევრჯერ **გაუწია** [პეტრეს] **გულმა**, მოდი, დავეწევი ვისმე და ვკითხავო” (ილია, ქეგლ).

მაგალითიდან ჩანს, რომ იდიომური გამოთქმის ქცევა წინადადებაში ზუსტად ასახავს ნომინატიურ-ერგატიული სინტაქსური კონსტრუქციების ურთიერთობას, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება ორპირიანი გარდამავალი ზმნური კომპონენტის თავისებურებას: *გული გაუწევს (ის მას: I სერია, მყოფადი) → გულმა გაუწია (მან მას: II სერია, წყვეტილი)*. ამ ტიპის კონსტრუქციებში საობიექტო ქცევა

³⁷ პირველი სერიის მწკრივები ძველ ქართულში მორფოლოგიურად განსხვავდებოდა თანამედროვე ქართულისაგან. მიუხედავად ამისა, სინტაქსური კონსტრუქცია მაინც ნომინატიური იყო.

იმით განსხვავდება *დულს/უდულს* წყვილისაგან, რომ ერთპირიანი ფორმები (**გული გაწევს*, **გულმა გასწია*) იდიომებში არ გვხვდება.

იდიომური გამოთქმების გაცხრილვის შედეგად გამოვლინდა “გაქვავებული” ერგატიული კონსტრუქციის მქონე მხოლოდ 18 შემთხვევა (*ალალ-მა და-ჰ-ქრ-ოლ-ა*, *ბედ-მა გა-უ-ღიმ-ა*, *ბედ-მა უ-მტყუნ-ა*, *ბზიკ-მა უ-კბინ-ა* და *სხვ.*). თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი შემთხვევა კლასიკურ ერგატიულ კონსტრუქციას არ ქმნის. კლასიკური ერგატიული კონსტრუქცია გულისხმობს პირდაპირი ობიექტის ნომინატიური ბრუნვით გაფორმებას. ზოგიერთ შემთხვევაში კი, გვხვდება ერგატივ-დატივის კომბინაცია (მაგ.: 40, 41)

(40) ალალმა დაჰქროლა (*მან მას*) – მოულოდნელი, სწრაფი უბედურება
შეემთხვა: “აქ რა იმისთანა ალალმა დაჰქროლა, რომ ჭკუა-გონება დაჰბნევიან” (ილია, “ქვათა ღალადი”).

(41) ბიძებმა მოუარეს (*მათ მას*) – გაგიჟდა, გასულელდა, ჭკუაზე მწყრალადაა:
“გრიგოლ ერიჰა!.. მოუარეს ბიძებმა, ვიცი, ვიცი..” (რ. ერისთ., ქეგლ).

პირობითად, ამავე ჯგუფში შეგვიძლია გავაერთიანოთ ისეთი ფორმა, როგორიცაა *ალაჰ-მა უწყ-ის*, რომელიც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, განსხვავებულ ერთეულს წარმოადგენს³⁸.

ნომინატიური კონსტრუქციის ფარგლებში ზმნური იდიომური გამოთქმების ქმედება წინადადების სინტაქსური შემადგენლობის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგნაირად:

$$ა) VP = N \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg / pl} \right] + N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg / pl} \right] + VT_{2/3} \left[\frac{SERIES_I : prs / fut / imperf}{NUMBER : sg / pl} \right],$$

ამ სქემაში, ქართული ენის გრამატიკული წესების შესაბამისად, წარმოდგენილია პირველ სერიაში მდგომ ზმნასთან სახელობითბრუნვიანი სუბიექტი მიცემით ბრუნვაში მდგომ ობიექტთან. ზმნური იდიომური გამოთქმა ფორმდება ან ქვემდებარე-შემასმენლის (მაგ.: *ზარი დაეცემა*, *ბედი უღიმის* და *ა.შ.*) ურთიერთობით,

³⁸ გარდამავალი ზმნის პირველი სერიის ფორმასთან ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში დგას, რასაც განაპირობებს ორად ორი ზმნის - იცის და უწყის ფორმების ისტორიული წარმომავლობა: ლიტერატურიდან ცნობილია, რომ წარმოშობით ისინი II ხოლმეობითის ფორმებია („ეს ზმნები შინაარსით აწმყო (დროის თვალსაზრისით - ახლანდელი), ხოლო - წარმოშობით მეორე ხოლმეობითი, რასაც უჩვენებს მათი მორფოლოგიური აგებულება (მწკრივის ნიშნად ი აქვთ: ვიც-ი, იც-ი; უწყ-ი, უწყ-ი-ს) და სინტაქსური ძალა: სუბიექტს მოთხრობითში შეიწყობენ, ხოლო პირდაპირ ობიექტს - სახელობითში: იცის კაცმან საქმე, უწყის მამამან ჭეშმარიტება“ (იმნაიშვილი, ივ., იმნაიშვილი, ვახ. 1996, 82)

ანდა დამატებისა (პირდაპირი ან ირიბი ობიექტის შემთხვევაში ორპირიან ან სამპირიან ზმნებთან) და შემასმენლის ურთიერთობით (მაგ.: *სისხლს სვამს, ლაფს დაასხამს და ა.შ.*);

$$\text{ბ) } VP = N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg / pl} \right] + N \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg / pl} \right] + VT_{2/3} \left[\frac{SERIES_III : prf}{NUMBER : sg / pl} \right], \text{ სადაც}$$

მოქმედებს მიცემითბრუნვიანი სუბიექტი სახელობით ბრუნვაში მდგომ ობიექტთან, მაგრამ იდიომური გამოთქმა იფარგლება მხოლოდ სახელობით ბრუნვაში მდგომი სახელისა და მესამე სერიის ზმნური კომპონენტის ურთიერთობით (მაგ.: *ჭიპი მოუჭრია და ა.შ.*), რაც იმაზე მეტყველებს, რომ იდიომურ გამოთქმაში წარმოდგენილია ობიექტ-პრედიკატის (დამატება-შემასმენლის) ურთიერთობა.

ყველა ზემოჩამოთვლილი კონსტრუქციის განხილვა შესაძლებელია ქვემდებარე-შემასმენლის სინტაქსური კონსტრუქციის ფარგლებში, ბუნებრივია, იდიომური გამოთქმის ცენტრალური ზმნური კომპონენტის თავისებურებების გათვალისწინებით (პირიანობის ასახვის თვალსაზრისით ზმნაში). და, ბუნებრივია, რომ ორპირიანი ზმნა ითხოვს ერთ ობიექტს (პირდაპირ ან ირიბ ობიექტს), ხოლო სამპირიანი ზმნა – ორ ობიექტს (პირდაპირ და ირიბ ობიექტებს). ამასთანავე, პირდაპირი დამატება მხოლოდ გარდამავალ ზმნებს ახასიათებს და – “...მიცემითში დასმულ პირდაპირ დამატებასთან ზმნა I სერიის ფორმით იხმარება, სახელობითში დასმულთან კი – II ან III სერიისა” (კვაჭაძე 1996, 97), ხოლო ირიბი შეიძლება ახასიათებდეს როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებსაც და – “ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას... ბრუნვა და კითხვები საზიარო აქვს ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებასთან” (კვაჭაძე 1996, 99). განხილვისას გამოვლინდა ზმნური იდიომების შემდეგი სტრუქტურის მქონე ერთეულები (თუმცა აქვე დავძენთ, რომ აღნიშნული კონსტრუქციები ქვემდებარე-შემასმენლის კონსტრუქციების განვრცობის შედეგად იქმნება). პირდაპირი ობიექტის შემთხვევაში გვექნება:

$$1. \quad VP = N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg / pl} \right] + VT_{2/3} \left[\frac{SERIES_I : prs / fut / imperf}{NUMBER : sg / pl} \right]$$

$$2. \quad VP = N \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg / pl} \right] + VT_{2/3} \left[\frac{SERIES : II / III(aor, prf)}{NUMBER : sg / pl} \right]$$

ხოლო ირიბი დამატების შემთხვევაში:

$$3. VP = N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg / pl} \right] + VT_2 \left[\frac{SERIES : I / II / III}{NUMBER : sg / pl} \right]$$

$$4. VP = N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg / pl} \right] + VT_3 \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg / pl} \right]$$

მსგავს შემთხვევებში ზმნაში აისახება მორფოსინტაქსურად შეპირობებული – მიცემითა თუ სახელობითში მდგომი ობიექტი (პირდაპირი ან ირიბი) ორპირიანი ან სამპირიანი ზმნებისა, ასევე სახელობითში, მოთხრობითა თუ მიცემითში მდგომი სუბიექტი.

(42) აბრუს (იხტიბარს) არ იტეხს – სახელს არ იტეხს, თავს არ ირცხვენს, საჩოთიროს არ იფერებს: ა) “თუმცა სამოც წლამდის მიღწეულიყო, მაგრამ უკან არ ჩამორჩებოდა თანამედროვე ახალგაზრდებს როგორც მსჯელობაში, ისე ყოფა-ქცევაში, არც აბრუს იტეხდა, ფეხდაფეხ მისდევდა, კვალში უდგა ცხოვრებას” (ან. ერ.-ხოშტ., “ბედის ტრიალი”); ბ) “პრისტავმა კბილები დააკრაჭუნა, მაგრამ კიდევ აბრუ არ გაიტეხა” (ლ. არდაზ., “სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი”).

(43) გულს//გულზე შემოეყრება – გრძნობას დაკარგავს, გული შეუწუხდება: “მერე ისევ გულს შემოეყარა და ახლაც ვერ გაეგო, როდის და საიდან გაჩნდა ამ ტახტზე” (მ. ჯავახ., “არსენა მარაბდელი”).

(44) ყურსა სჭრის – მოსასმენად არ ესიამოვნება: “ბევრი ახალი ტერმინი მკითხველს ყურსა სჭრის” (“ლელო”, ქეგლ).

სემანტიკური თვალსაზრისით პირველი (42) მაგალითის განხილვა შესაძლებელია უარყოფითი ნაწილაკის შემცველ იდიომურ გამოთქმებთან, სადაც ამ ნაწილაკის გარეშე იდიომური მნიშვნელობა დაიკარგებოდა. მაგრამ აღნიშნულ მაგალითში ნათლად ჩანს, თუ როგორ ხდება პირდაპირი ობიექტის ბრუნვის შეცვლა ორპირიანი ზმნის გარდამავლობის გამო, კერძოდ, სერიისა და დროის კომპონენტზე დამოკიდებული გადაადგილების შედეგად მივიღეთ: არ იტეხს (ის მას) → არ გაიტეხა (მან ის).

აღსანიშნავია, რომ ორპირიანი ზმნის შემთხვევაში, ზოგჯერ, ნამდვილად შეგვიძლია ვიმსჯელოთ ნაკლოვან პარადიგმაზე, რადგანაც კორპუსში მოძიებული ზმნური კომპონენტის მორფოლოგიურ-სინტაქსური გაფორმება შემოიფარგლება

მეორე სერიის მწკრივებით, წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტრუქცია კარგავს იდიომურობას და, უფრო მეტიც, მნიშვნელობის თვალსაზრისით დეფექტური ხდება.

ნაწილობრივ მსგავს ვითარებას ვხვდებით სამპირიანი ზმნების შემთხვევაშიც, რადგანაც: ა) სამპირიან ზმნასთან მიცემით ბრუნვაში მდგომი ირიბი ობიექტი ისედაც გვხვდება მხოლოდ პირველი და მეორე სერიების ზმნებთან, მაგრამ აღნიშნული ვითარება უკავშირდება არა იდიომის ბუნებას, არამედ ირიბი ობიექტის თავისებურებას სამპირიან გარდამავალ ზმნასთან; ბ) რაც შეეხება იდიომური გამოთქმის პარადიგმულ დეფექტურობას, ვერ ვიტყვით, რომ იგი მაინცდამაინც დამოკიდებულია ცალკე აღებულ რომელიმე კომპონენტზე; გარკვეულ ფორმებში გამოთქმას, უბრალოდ, ეკარგება იდიომურობა, კერძოდ: თუ იდიომის ადგილას ავიღებთ ჩვეულებრივ ზმნურ შესიტყვებას, მასში დაცული იქნება მთელი წესი უღლებისა და ბრუნების თვალსაზრისით, ხოლო, თუ თავისუფალ შესიტყვებას შევუდარებთ უშუალოდ ზმნურ იდიომს, ვნახავთ, რომ პარადიგმა ნაკლოვანია, რაც განაპირობებს მთლიანი გამოთქმის მნიშვნელობა, კერძოდ, მისი სემანტიკური მხარე. მაგალითად, თუ გადავხედავთ (45)-ში მოყვანილი იდიომური გამოთქმის ზმნურ კომპონენტს (ს-ჭრ-ი-ს) სხვა ორკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების შემადგენლობაში, რომლებშიც იგი, ასევე, მთავარი ზმნური კომპონენტის ფუნქციას ასრულებს (მაგ.: 46);

(45)

$$\left. \begin{array}{l} \text{თავ-ს(ა)} \\ \text{თვალ-ს} \\ \text{ყურ-ს(ა)} \end{array} \right\} \quad \text{ს-ჭრ-ი-ს} \quad \left\{ \begin{array}{l} \text{არცხვენს, სახელს უტეხს} \\ \text{თვალს უბამს, თავბრუს ასხამს} \\ \text{მოსასმენად არ სიამოვნებს} \end{array} \right.$$

და, შევყდარებთ მათ პარადიგმულ თავისებურებას კორპუსში შემავალ შესიტყვებათა კომპონენტებზე დაყრდნობით, მივიღებთ შემდეგს:

(46)

I სერია

ა) აწმყოს წრე

1.	ყურს(ა) სჭრის “ზევრი ახალი ტერმინი მკითხველს ყურსა სჭრის ” (“ლელო”, ქეგლ)	თვალს სჭრის “ერთფეროვნება თვალს სჭრის , ყურში ხვდება ზღვარს გადასული გულ- წრფელობა...” (ი. ტაველ., “მითომანის საათი”)	თავს სჭრის “ტყვილა თავის სახელსაც ირცხვენს და ცოლსაც თავს სჭრის ქვეყანაში...” (დ. კლდ., “ირინეს ბედნიერე- ბა”)
2.	ყურს(ა) სჭრიდა “მამაოს მართლა არ ჰქონდა სმენა, რაც მოძღვარსაც უხეზად სჭრიდა ყურს , თუმცა თქმას ვერ უბედავდა” (პ. კუპატ., “მაგიდის სამშობლო”)	თვალს სჭრიდა “ზუსტად მის ზურგს უკან მზე კაშკაშებდა, ლუკას თვალს სჭრიდა და ქალის კარგად შეთვალეირებაში ხელს უშლიდა” (მ. ასლამ., “ილა”)	თავს(ა) სჭრიდა ³⁹ პირდაპირი მნიშვნელო- ბით – თავისუფალ შე- სიტყვებაში: “ხოლო ზაზა ციციშვილმან მოკლა ერთი დიდი ფაშა და ჩამოჭდა, თავსა სჭრიდა “ (ბ. ეგნ. "ახალი ქართლის ცხოვ- რება")
3.	ყურს(ა) სჭრიდეს არ მოიძებნა	თვალს(ა) სჭრიდეს არ მოიძებნა	თავს(ა) სჭრიდეს პირდაპირი მნიშვნელო- ბით – თავისუფალ შე- სიტყვებაში: “ასრე რომე თათარსა თავსა სჭრიდეს და ვენაჯისა ღობესა და მარგილზედა აცუემდეს” (ბ. ეგნ. "ახალი ქართლის ცხოვრება")

³⁹ პარადიგმაში მოყვანილი ზოგიერთი ერთეული თავისუფალ შესიტყვებას წარმოადგენს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ იდიომური კონსტრუქციის პარადიგმული ნაკლოვანება არ არის დამოკიდებული შესიტყვების პარადიგმულ ნაკლოვანებაზე; იგი უშუალოდ, იდიომის სემანტიკურ მხარეს უკავშირდება.

ბ) მყოფადის წრე

4.	ყურს მოსჭრის “უამრავ ისეთ გამოთქმას ვხედავ, რომელიც ყურს მოსჭრის აფხაზს და ქართველსაც...” (ვ. მაღლ., “სოც. ქს.”)	თვალს მოსჭრის “დილით გადახედვა სწორედ თვალს მოსჭრის ადამიანს, ათასწაირად მობრჭყვიალებს დილის ნამი” (ს. მგალ. “ღამის მეხრე ცეცო”)	თავს მოსჭრის პირდაპირი მნიშვნელო- ბით – თავისუფალ შე- სიტყვებაში: “ესე იგი რუსის ჯარს თავს მოსჭრიან , და თუ ვინმემ შეუბედა რამე, იქვე დაჰხოცავენ, ქონებას ჩამოართმევენ და ქართულ ხაზინას გადასცემენ (მ. ჯავახ., “არსენა მარაბდე- ლი”)
5.	ყურს მოსჭრიდა პირდაპირი მნიშვნელო- ბით – თავისუფალ შე- სიტყვებაში: “რაზედ ყურს მოსჭრიდა მას ბატონი გურიელი და დაასახიჩრებდა იმ მშვენე- ბას” (ვ. ბარნ. “მიმქრალი შარავანდედი”)	თვალს მოსჭრიდა “ვინაიდან იცოდა, რომ თვალს არ მოსჭრიდა ერთფეროვანი თეთრი სიკაშკაშე” (ი. მაღაც., “თეთრი ბელი და ფერადი ყინულოვანი ოკეანე”)	თავს მოსჭრიდა “მაგრამ სიტყვა წამოსცდა და ახლა უკან დახევა ხომ თავს მოსჭრიდა , თანაც ეს თბილისი არც ისე შორსაა - ხალხი ყოველდღე მიდის და მოდის (ნ. ლორთქ., “მოქანდაკე”)
6.	ყურს მოსჭრიდეს “ნუთუ მათ შორის ერთი კაციც არ არის ისეთი, ვისაც ყურს მოსჭრიდეს , რომ მის გვერდით მავანი “საზოგადოებას” ცხოველე- ბის გრამატიკულ ქვე- ჯგუფში უკრავს თავს...” (ე. ერ., “ჭკუის დამრიგებელიც რომ არავინ იგუეს?”)	თვალს მოსჭრიდეს არ მოიძებნა	თავს მოსჭრიდეს ჩვეულებრივი შესიტყვების ფუნქციით: “ხოლო მოწა- ფენი მისნი მოსჭრიდეს თავსა ჭუვილისასა, მუსრ- ვიდეს კელითა და ჭამდეს” (ლ. 6, 1)

II სერია

7.	ყური მოსჭრა “...ხუთნიშნა ციფრებში გამოხატულმა პრემიებმა მოსჭრა ყური საზოგადოე- ბას” (ი. რიკ., “რისთვის ან ვისთვის გაწირეს უნივერ- სიტეტის რექტორი?!”)	თვალი მოსჭრა “ამ სიჭრელემ თვალი მოსჭრა ჩემიანებს, შენია- ნებს და მათ, ვინც მხოლოდ ორ ფერში ხედავ- და“ (ნ. ინგ., “მარტივი”)	თავი მოსჭრა “...ბუნებამ კი თავისი მოითხოვა - ორთავეს ერთად ძილმა თავი მოსჭრა ” (ა. ყაზბ., “მამის მკვლეელი”)
8.	ყური მოსჭრას “ვისაც სენტ ეგზიუპერის ეს შესანიშნავი მოთხრობა ბავშვობაში პირველი ქარ- თული თარგმანით წაუ- კითხავს, შეუძლებელია, ყური არ მოსჭრას სათაურმა...” (გ. ლობჟ., “რა მანძილია ირგიზიდან კეინმაროკკო-მდე?”)	თვალი მოსჭრას “ თვალი რომ მოგჭრას ამ თეთრ ჯავშნის მზეზე მოლაპლაპმა?” (შ. დად., “თეთნულდ”)	თავი მოსჭრას არ მოიძებნა

აღნიშნულ კონსტრუქციებში ჩანს, რომ ცალ-ცალკე აღებული ზმნური კომპონენტების ქცევა შეესაბამება პარადიგმულ ცვლას, რასაც ავლენს იდიომური გამოთქმების წარმომქმნელი კონსტრუქციები წარმოდგენილია I და II სერიების მწკრივებში. ამასთანავე, არ შეგვხვედრია იდიომური გამოთქმები კავშირებითებში, კერძოდ:

აწმყოს კავშირებითი: არ დასტურდება *ყურ-ს(ა) ს-ჭრ-იდ-ე-ს*, *თვალ-ს(ა) ს-ჭრ-იდ-ე-ს*, თუმცა არსებობს ამავე ზმნური კომპონენტის შემცველი სხვა იდიომური გამოთქმა: *თავ-ს(ა) ს-ჭრ-იდ-ე-ს*;

მყოფადის კავშირებითი: ნაკლოვანია *თვალ-ს მო-ს-ჭრ-იდ-ე-ს*, თუმცა დასტურდება ამავე ზმნური კომპონენტის შემცველი *ყურ-ს მო-ს-ჭრ-იდ-ე-ს*, *თავ-ს მო-ს-ჭრ-იდ-ე-ს*;

II კავშირებითი: არ შეგვხვედრია *თავ-ი მო-ს-ჭრ-ა-ს*, თუმცა მოიძებნა ამავე ზმნური კომპონენტის შემცველი *ყურ-ი მო-ს-ჭრ-ა-ს*, *თვალ-ი მო-ს-ჭრ-ა-ს*.

მოყვანილი მასალა ცხადყოფს, რომ ქართული ზმნური იდიომური გამოთქმების უმრავლესობა დიდი მოქნილობით ხასიათდება და მთლიანად ან ნაწილობრივ ამა თუ იმ ფორმით გაქვევებულ ერთეულს ნამდვილად არ წარმოადგენს, რადგანაც: ა) ზმნური კომპონენტის ამა თუ იმ ფორმის არქონა არ ნიშნავს, რომ მსგავსი ტიპის ფორმა არ გვხვდება სხვა იდიომურ გამოთქმებში; ბ) იდიომურ გამოთქმაში შემავალი ზმნური კომპონენტი არ არღვევს ქართული ენისათვის დამახასიათებელ გრამატიკულ წყობას. ამდენად ის შეიძლება შეგვხვდეს როგორც სასაუბრო ქართულში, ასევე იმ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რომლებიც კორპუსში წარმოდგენილი არ არის; ამასთანავე, სამპირიანი ზმნური იდიომური გამოთქმების უმრავლესობა ნაკლებად გვხვდება კავშირებით მწკრივებში კონსტრუქციის თვალსაზრისით, თუმცა იმასაც არ გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნული მწკრივები (განსაკუთრებით I სერიაში) საერთოდ შედარებით იშვიათად გვხვდება ენაში.

გარდა ზემოჩამოთვლილი სქემებისა, გვხვდება ისეთი ტიპის ზმნური იდიომური გამოთქმები, რომლებშიც სახელურ კომპონენტს უბრალო დამატების ფუნქცია აკისრია, მათ შორის თანდებულებიანიც და უთანდებულოც (მაგ.: 47, 48).

(47) შუბლზე აწერია – პირდაპირ, აშკარად ჩანს: “რას მიბრძანებთ, ბატონო, **შუბლზე** ხომ არ **გვაწერია**, ვინა ვართ” (შ. არაგვ., “გაბზარული გული”).

(48) ენას (ენაზე) აკერია – სულ ერთსა და იმავეს ლაპარაკობს, გაიძახის: “გოგოებს **ენაზე** **აკერიათ** სიკო, თედო, ფილიპე. ისინი არიან არჩეულნი” (ნ. ლორთქ., “საბა”).

მთელ კორპუსში მსგავსი მაგალითების რაოდენობა ძალზე მცირეა: შეგვხვდა მხოლოდ 52 ერთეული (*ცხვირ-ით წა-ერი-ა, (ზედ) ზურგ-ზე ა-კერ-ი-ა, შუბლზე ა-წერ-ი-ა, ჰაერ-ში ჰ-კიდ-ი-ა და სხვ.*), რომლებშიც მსგავსი არსებითი სახელები უბრალო დამატების ფუნქციით ზმნური იდიომების შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს:

ა) $VP = N \left[\frac{CASE : ins}{NUMBER : sg} \right] + VT_2 \left[\frac{SERIES_III : prf}{NUMBER : sg / pl} \right]$, სადაც უბრალო დამატების

ფუნქციას მოქმედებით ბრუნვაში მდგომი სახელი ასრულებს (მაგ.: 49);

ბ) $VP = N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} + post \right] + VT_2 \left[\frac{SERIES : I / II / III}{NUMBER : sg / pl} \right]$, სადაც უბრალო დამატების ფუნქციას თანდებულით (-ში, -ზე) გაფორმებული მიცემითი ბრუნვა წარმოადგენს (მაგ.: 50).

(49) თვალებით ჭამს (შეჭამს) – დაჟინებით, თვალმოუშორებლად, მოურიდებლად უყურებს, უმზერს, დასცქერის (ვისმე ან რასმე): “...**თვალებით სჭამდნენ** დიასახლისს, რომელიც გასაშრობად გაფენილ ხორბალს ჰკრეფავდა” (მ. ჯავახ., “არსენა მარაბდელი”).

(50) პირზე (ენაზე) აკერია – ხშირად იმეორებს: “ოოჰ, ნეტა შეეძლოს ჩირამეს ყველაფერი სთქვას, რაც კი ეხლა იცის და **პირზე აკერია!**” (მ. ჯავახ., “ქურდი”).

გარდა ზემოჩამოთვლილი შემთხვევებისა, რომლებშიც დამატების (პირდაპირი, ირიბი, უბრალო) ფუნქციის მქონე ერთეულს არსებითი სახელი წარმოადგენს, გვხვდება ზმნური იდიომური გამოთქმების სხვა ვარიანტებიც, სადაც აღნიშნულ ფუნქციას ასრულებს: ა) ზედსართავი სახელი (მაგ.: 53-55); ბ) რიცხვითი სახელი (მაგ.: 56-59); გ) ნაცვალსახელი (მაგ.: 62-67) და დ) სახელზმნა (მაგ.: 68-73). აღნიშნული სინტაქსური სტრუქტურის მქონე იდიომები განეკუთვნება ორკომპონენტური იდიომური ერთეულების სხვა ქვეჯგუფებს (ა) $VP = a(ADJ) + b(V)$, $VP = a(NUM) + b(V)$, $VP = a(PRO) + b(V)$ და ა.შ.), რომელთაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევხებით უშუალოდ აღნიშნული ჯგუფების განხილვის დროს.

პირველ სქემაში შემავალ ერთეულთა რაოდენობა ყველაზე მრავალრიცხოვანია (სულ 5162 ერთეული); მათში ასახული მორფოსინტაქსური თავისებურებებიც მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამიტომ დანარჩენი სქემების, კერძოდ, (2) $VP = a(ADJ) + b(V)$, (3) $VP = a(NUM) + b(V)$ და (4) $VP = a(PRO) + b(V)$ განხილვისას მიზანშეწონილია ყურადღება მიექცეს ზმნური კომპონენტის შემცველ ზემოგანხილულ კონსტრუქციებს, რადგანაც აღნიშნულ წესებს ექვემდებარება ზმნური კომპონენტის შემცველი თითქმის ყველა იდიომური გამოთქმა და სათანადო ზმნების შიდასტრუქტურული მიმართება მათთან შეხამებულ ნაცვალსახელთან, ზედსართავ ან რიცხვით სახელთან.

მასალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ზმნური იდიომების მორფოსინტაქსური ფუნქციები განპირობებულია იდიომის ზმნური კომპონენტის თავისებურებით, რომელიც მორფოლოგიურად, თავის მხრივ, შეპირობებულია უღლებისა (პირიანობა,

დრო, კილო, მწკრივი და ა.შ.) და წარმოქმნის კატეგორიებით (გვარი, ასპექტი, ქცევა და ა.შ.), ხოლო სინტაქსურად – წინადადებაში მისი ფუნქციით და იმ როლით, რომელიც მას ეკისრება სხვა წევრებთან დასაკავშირებლად. ზმნის როგორც ძირითადი კოორდინატის როლი კი, პირველ ყოვლისა, ვლინდება მისი აქტანტების ბრუნვების შეპირობებაში და ეს ბრუნვებია: ნომინატიური, ერგატიული თუ დატიური.

ცხადია, როცა საკითხი ეხება იდიომური გამოთქმების სინტაქსურ თავისებურებას, გასათვალისწინებელია იდიომთა მეორე – სახელური კომპონენტების ფუნქცია და თავისებურებანი. თუმცა აქვე დავძენთ, რომ აღნიშნული კომპონენტი თითქმის ყოველთვის ზმნისადმი დაქვემდებარებულ პოზიციას იკავებს.

ზემოხსენებული სქემები, შედგენილი სათანადო მორფოსინტაქსური ფაქტორების კვალობაზე, შეესაბამება არა მხოლოდ სახელური კომპონენტის მქონე ზმნურ იდიომურ გამოთქმებს, არამედ სხვა კონსტრუქციების $VP = a(ADJ) + b(V)$, $VP = a(NUM) + b(V)$, $VP = a(ADV) + b(V)$ და $VP = a(PRO) + b(V)$ სქემებზე აგებულ იდიომურ გამოთქმებსაც, თუმცა აღნიშნული სქემების განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ზოგიერთ სხვა თავისებურებაზედაც, კერძოდ:

2. 2.2.2. $VP = a(ADJ) + b(V)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტიანი იდიომური გამოთქმები

$VP = a(ADJ) + b(V)$ სქემის მქონე იდიომური გამოთქმები, რომლებიც შედგება ზედსართავი სახელისა და ზმნისაგან, რაც ძალზე იშვიათ შეხამებას წარმოადგენს. სქემაში შესულ ერთეულთა გამო, აღნიშნული სქემა გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნულ ქვეჯგუფში შემავალ ერთეულთა რაოდენობა ძალიან მცირეა (მაგ.: *კარგ-ებ-ს უ-თავაზ-ებ-ს, ძვირ-ი და-უ-ჯდ-ებ-ა*⁴⁰ და ა.შ.), ხოლო ქვეჯგუფში შემავალ ერთეულთა დახასიათება შესაძლებელია შემდეგნაირად:

ა) ზოგიერთი ზედსართავის სემანტიკური მნიშვნელობა გასუბსტანტივებული სახით წარმოდგება და, შესაბამისად, გამოთქმაშიც იკავებს არსებითი სახელის ადგილს, სინტაქსურად კი პირდაპირი დამატების ფუნქციას ასრულებს (მაგ.: 51, 52).

⁴⁰ მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი მცირერიცხოვანია, აღნიშნული მაგალითი საკმაოდ ხშირია გამოყენების თვალსაზრისით.

(51) კარგს იზამს // უკეთესს იზამს – კარგად მოიქცევა, უკეთესად მოიქცევა:
 “ძალიან კარგს იზამ!.. ღმერთმანი!.. – მიუგო მელანომ. – ძალიან კარგს იზამ!..”
 (დ. კლდ., “სამანიშვილის დედინაცვალი”); “ამის უკეთესს რას იზამს...” (ტ.
 ჭანტ., “იმედგადაწურული ლექსპრომტი”).

(52) კარგებს უთავაზებს⁴¹ (წაჰკრავს...) – მაგრად, ძლიერ სცემს, მიარტყამს:
 “ამ მოგონებით გაგულისებული ტურიკო კარგებსაც უთავაზებდა თოლიას” (ი.
 ელევთ., ქეგლ).

ამგვარ ზედსართავებს, ჩვეულებრივ, არ ახასიათებთ ხარისხის ფორმები. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ასეთი გამოთქმა: *კარგ-ს (უ-კეთეს-ს) ი-ზამ-ს*, რომელიც გვხვდება ნეიტრალური და უფროობითი ხარისხის ფორმით.

ბ) ზოგიერთ იდიომში ზედსართავს მისგან ნაწარმოები ზმნიზება ენაცვლება (მაგ.: *ძვირ-ი (ძვირ-ად) და-უ-ჯდ-ებ-ა და ა.შ.*) (მაგ.: 53):


(53) ძვირი დაუჯდება // ძვირად დაუჯდება – ძვირად ეღირება მისთვის, ბევრს გადაიხდის: “ქალაქში ხმის ამოღება ძვირი დაუჯდა” (გ. გელაშ., “მარჯვე ბიჭი გიგილო”); “დიდხანს ებრძოდა შვილის ტრფობას მამულის ვალი, ვალმა აჯობა, მაგრამ ძვირად დამიჯდა ჯობნა” (ილია, ქეგლ).

გ) ქვეჯგუფში შემავალ ერთეულთა მორფოლოგიური შიდამიმართების დახასიათება შესაძლებელია შემდეგნაირად:

$$1) \quad VP = ADJ \left[\frac{CASE : nom / adv}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg / pl} \right] \quad \text{ამ შემთხვევაში}$$

სახელური კომპონენტის მნიშვნელობა იხრება ზმნიზებისაკენ და წინადადებაში გარემოების ფუნქციას ასრულებს (მაგ.: 55)

41



$$2) VP = ADJ \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg / pl} \right] \text{ ამ შემთხვევაში სახელური}$$

კომპონენტის მნიშვნელობა იხრება არსებითისკენ და წინადადებაში ასრულებს პირდაპირი დამატების ფუნქციას (მაგ.: 53).

მაშასადამე, ზემოგანხილულ მაგალითებში სინტაქსური თვალსაზრისით ზმნისა და მასთან შეხამებული ადიექტური კომპონენტების ურთიერთობა განისაზღვრება ან შემასმენლისა და პირდაპირი დამატების (მაგ.: 51, 52), ანდა როგორც შემასმენლისა და გარემოების (მაგ.: 53) ურთიერთობით.

2. 2.2.3. $VP = a(NUM) + b(V)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტიანი იდიომური გამოთქმები

$VP = a(NUM) + b(V)$ სქემის მქონე იდიომური გამოთქმები, რომელთა კომპონენტური შემადგენლობა განისაზღვრება რიცხვითი სახელისა და ზმნის კომბინაციით, ასევე არ გამოირჩევა სიმრავლით, სულ შეგვხვდა ცამეტი ერთეული (ათასად იჭრებოდა, მეორედ იშვა და ა.შ.). ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მეშველი ზმნის შემცველ ორკომპონენტიან გამოთქმას იდიომად არ მივიჩნევთ, პირობითად ამავე ქვეჯგუფში მოვათავსეთ მეშველზმნიანი ორი ერთეული, კერძოდ: *ერთ-ი იყო* (მაგ.: 54), *ცოტა-ც არის* (მაგ.: 55).

(54) ...ერთი იყო – თითქმის ერთდროულად მოხდა, ერთს რასმე მეორე მაშინვე მოჰყვა: “თქმა და ასრულება **ერთი იყო**” (ნ. ანთ., “რამდენიმე ერთი გაკვეთილი”).

(55) ცოტაც არის // ცოტა(ს) გაწყდა – ცოტაღა დააკლდა, კინაღამ: “სადაც უნდოდა ძვირფასი სტუმრისათვის თავი მოექონა, რათა **ცოტაც არის** უფრო იაფად დაესვა ახლად მოყვანილი ქალი” (ალ. ყაზბ., “ელგუჯა”) // ცოტა(ს) გაწყდა – ცოტაღა დააკლდა, კინაღამ: “შიშისაგან კანკალი დამაწყებინა, **ცოტას გაწყდა**, ჭკუიდან არ შევიშალე” (ლ. არდაზ., “სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი”).

ჯგუფში შემავალი ერთეულები შეიძლება ასე დაგვეხასიათებინა:

ა) იდიომთა შემადგენლობაში გვხვდება როგორც რაოდენობითი (*ერთი, ოთხი, ცოტა, ათასი*), ასევე რიგობითი (*მეორე*) რიცხვითი სახელები (მაგ.: 56, 57):

(56) ათასად იჭრებოდა – ერთი კაცის მიერ მრავალი საქმისთვის თავის გართმევა "შედარებით პაწია გუნდი მესამოცე წლებისა ვერ ასდიოდა მუშაობასა, და ათასად იჭრებოდა, ყველა დარგში მუშაობდა, რადგან მუშა ხელი არ ყოფნიდათ" (ს. მგალობ., ქეგლ)

(57) მეორედ დაიბადება – საფრთხისაგან გადარჩენის ან სხვა რამ კარგი, ბედნიერი შემთხვევის გამო ძალიან გაიხარებს, ხელახლა იწყებს ცხოვრებას: "ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მეორედ დავიბადე" (ა. გეგენ., "მოგზაურის დღიურები")

ბ) ქვეჯგუფში შემავალი ერთეულების მორფოლოგიური თავისებურება აისახება შემდეგნაირად:

$$VP = NUM[CASE : adv] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II / III}{NUMBER : sg / pl} \right], \text{ როცა ზმნური იდიომური}$$

გამოთქმის შემადგენელი რიცხვითი სახელი გაფორმებულია ვითარებითი ბრუნვით. აღნიშნული ქვეჯგუფი მცირერიცხოვანია, მასში შემავალ ერთეულთა რაოდენობა არ აღემატება ხუთს (მაგ.: 58).

გ) სინტაქსური თვალსაზრისით წევრთა შორის მიმართება გულისხმობს შემასმენლისა და ვითარების გარემოების (მაგ.: 58) ურთიერთობას.

2. 2.2.4. $VP = a(ADV) + b(V)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები

$VP = a(ADV) + b(V)$ სქემის მიხედვით აგებული იდიომური გამოთქმების ქვეჯგუფი, რომლის კომპონენტური შემადგენლობაც განისაზღვრება ზმნიზედისა და ზმნის კომბინაციით. აღნიშნულ ქვეჯგუფში შემავალ ერთეულთა რაოდენობა შეადგენს 38-ს (მაღლა დგას, ღრმად შეტოპავს, შორს გაიწევეს და ა.შ.). ამ ქვეჯგუფის დახასიათებისას უნდა გავიხსენოთ, რომ ზმნიზედა ფორმაუცვლელი სიტყვაა და იგი თითქმის ყოველთვის ზმნას ახლავს. ამასთანავე, ზმნიზედა ზოგჯერ ამა თუ იმ სახელისაგან ნაწარმოები ფორმაა, რომელსაც ბრუნვის ფუნქცია დაკარგული აქვს და გაქვავებული სახით გვევლინება. თუმცა ფორმალურად ინარჩუნებს ბრუნვის ნიშნებს, მაგ.: მოკლედ (ვით. ბრ.) მოჭრის, შორს (მიც. ბრ.) გაიწევეს და ა.შ.

ქვეჯგუფში შემავალ ერთეულთა დახასიათება შესაძლებელია შემდეგნაირად:

ა) მოცემულ ქვეჯგუფში შემავალი ერთეულები მორფოლოგიურად შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოისახოს, კერძოდ:

$$VP = ADV + VT_{1/2} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg / pl} \right] \text{ (მაგ.: 58, 59)}$$

(58) მოკლედ მოჭრის – მოკლედ იტყვის რამეს: “სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მოკლედ მოვჭრი” (ი. ეკალ., ქეგლ).

(59) უცეცხლოდ დაწვავს – არ თანაუგრძნობს სიყვარულში ვინმეს: “უცეცხლოდა სწავდა დედოფალს იგი ქვეყნიური ჯოჯოხეთი, სევდის კვამლით სუნთქვას უხუთავდა, მშრალი ცრემლებით თვალებს ჰბუგავდა...” (ვ. ბარნ., “ტრფობა წამებული”).

ბ) სინტაქსურად ზმნიზედა აქაც გარემოებას წარმოადგენს. ანალოგიურად ფორმდება სინტაქსური მიმართება ზემოხსენებული სქემის მქონე იდიომურ გამოთქმებშიც (მაგ.: 60, 61)

2. 2.2.5. $VP = a(PRO) + b(V)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდიომური გამოთქმები

$VP = a(PRO) + b(V)$ სქემის იდიომური გამოთქმები, რომელთა კომპონენტური შემადგენლობა განისაზღვრება ნაცვალსახელისა და ზმნის კომბინაციით, შეადგენს 252 ერთეულს (*ერთმანეთს დაჭამენ, რას დააკლებს, თავს იფუჭებს და ა.შ.*). ზმნური იდიომური გამოთქმის ნაცვალსახელურ კომპონენტს, ძირითადად, შეადგენენ: 1. პირის (*შენ, ეს* ⁴²), 2. კუთვნილებითი (*ჩემი, შენი, თავისი*), 3. კითხვითი

⁴² მსგავსი პირის ნაცვალსახელის გამოყენება ორკომპონენტური ზმნურ იდიომურ გამოთქმებში იშვიათი მოვლენაა. დადასტურდა სულ სამი შემთხვევა, თუმცა მათი იდიომურობაც ეჭვის ქვეშაა მოქცეული:

- (1) ეს-ეს არის, ეს-ესაა – სულ ცოტა ხნის წინ; სულ ცოტა ხანია, რაც, სწორედ ახლახან, ამ წუთას: “*ეს-ესაა ცხენზე შეჯდა... და წავიდა*” (დ. კლდ., ქეგლ)
- (2) ის-ის იყო – სწორედ მაშინ, სწორედ იმ მომენტში (როდესაც რამე უნდა მომხდარიყო): “*ის-ის იყო უღვანელობა მემწვანებოდა*” (აკაკი, ქეგლ)
- (3) ეგლა მაკლია – ამის მეტი ყველაფერი მაქვს; მეტი საქმე არა მაქვს: “– ეგრეც რომ იყვეს, მერე რა უშავს? – სწორედ *ეგლა მაკლია!*...” (ან. ერ.-ხოშტ., “ზედის ტრიალი”)

აღნიშნული მაგალითების არსებობა განზოგადების საფუძველს არ გვაძლევს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამავე ჯგუფში მოვათავსეთ „მეშველზმნიანი“ შესიტყვებები, რომლებსაც იდიომებად არ მივიჩნევთ. შესაბამისად, აღნიშნულ ორ მაგალითს (*ეს-ეს არის, ის-ის იყო*) მხოლოდ პირობითად წარმოვადგენთ. რაც შეეხება *ეგ-ლა მაკლია* ერთეულს, მის შემადგენელ ნაწილებს -ლა ნაწილაკიანი პირის ნაცვალსახელი და ინვერსიული ზმნა წარმოადგენს.

ნაცვალსახელები (რა, რას და ა.შ.), 4. ურთიერთობითი (ერთმანეთი) და 5. უკუქცევითი (თავი) ნაცვალსახელები. ქვეჯგუფში შემავალ ერთეულთა დახასიათება შესაძლებელია შემდეგნაირად:

ა) როგორც აღვნიშნეთ, პირის ნაცვალსახელები, ძირითადად, მეორე პირის ფორმით (შენ იცი, შენს ქერქში დაეტიე და ა.შ.) გვხვდება. იდიომურ გამოთქმაში წარმოდგენილი პირის ნაცვალსახელი გვხვდება როგორც მხოლოდითი, ასევე მრავლობითი რიცხვის ფორმით (მაგ.: 60).

(60) შენ//თქვენ იცი(თ) – ფიცილის ფორმულა, ამიერიდან შენზეა დამოკიდებული: “აბა, შენ იცი, ჩემო ავთანდილ, როგორ დროს გამატარებინებ” (გ. წერეთ., “რუხი მგელი”).

ბ) კორპუსში კუთვნილებითი ნაცვალსახელის შემცველი ორკომპონენტიანი ზმნური იდიომური გამოთქმების მხოლოდ ხუთი მაგალითი დადასტურდა (ჩემი დამემართება, შენი დაგემართება, თავისი დაემართება, თავისი გადასწყდება, თავისი გადაუწყდება).

აქვე აღვნიშნავთ, რომ, მიუხედავად მცირე რაოდენობისა, აღნიშნული ერთეულები სასაუბრო ქართულში დიდი რაოდენობით გვხვდება. კუთვნილებითნაცვალსახელიანი ზმნური იდიომების ძირითადი სემანტიკური ბირთვი ემართება და სწყდება ზმნების სრულ- და უსრულასპექტიანი ფორმებით გამოიხატება და შემდეგი სქემით წარმოგვიდგება:

$$VP = PRO_{POSS} [CASE : nom] + VT_2 \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg / pl} \right].$$

გ) კითხვითი ნაცვალსახელის შემცველი ორკომპონენტიანი ზმნური იდიომების რაოდენობა შეადგენს 32 ერთეულს (რა გაეწყობა, რას დააკლებს, ვინ დაეძებს, რას დაეძებს და ა.შ.). აღნიშნული ერთეულები სქემატურად ასე გამოისახება:

კითხვითი ნაცვალსახელი წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით:

$$VP = PRO_{INT} [CASE : nom] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg} \right] \text{ (მაგ.: 61);}$$

სქემატურად იგი შემდეგნაირად გამოიყურება :

$$VP = PRO_{DEM} [CASE : nom + PTC] + VT_2 \left[\frac{SERIES_I : prs}{NUMBER : sg / pl} \right], \text{ თუმცა, ვიმეორებთ, აღნიშნული}$$

სქემა რაიმე დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

კითხვითი ნაცვალსახელი წარმოდგენილია მიცემითი ბრუნვის ფორმით:

$$VP = PRO_{INT} [CASE : dat] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg} \right] \text{ (მაგ.: 62);}$$

კითხვით ნაცვალსახელს ერთვება ნაწილაკი -ღა:

$$VP = PRO_{INT} [CASE : dat + PTC] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg} \right] \text{ (მაგ.: 63)}$$

(61) რა (რაღა, არაფერი) გაეწყობა – არაფერი ეშველება: “რაც ერგებათ, წაიღონ, რა გაეწყობა” (ს. მგალობ., “ღამის მეხრე ცეცო”)

(62) რას მიქვია? – არაფრად მიმაჩნია, ჩემთვის უმნიშვნელოა; რა საჭიროა?: “რას მიქვია ტკბილი სიტყვა?” (ილია, ქეგლ).

(63) ვილა იტყვის – ვილა დაეძებს, ვილა ჩივის: “ის ვერ ხედავდა იქავე თვალწინ მდგომ ვაზის სიხარულის ცრემლს, და სხვა მცენარეების მოძრაობას ვილა იტყვის, რომლებსაც მოებრუნათ შენამული გული აღმოსავლეთისაკენ...” (შ. არაგვ., “ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!”).

დ) ურთიერთობითი ნაცვალსახელის შემცველი ზმნური იდიომური გამოთქმა კორპუსში მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა (*ერთმანეთს დაჭამენ*). აღნიშნული იდიომის

შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს: $VP = PRO_{RECP} [CASE : dat] + VT_2 \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : pl} \right]$.

ამ შემთხვევაში იდიომური გამოთქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგულისხმება ორი პირის ურთიერთობა, რომლის დროსაც მიცემით ან სახელობით ბრუნვაში მდგომი ურთიერთობითი ნაცვალსახელით გამოხატული ობიექტი განაპირობებს ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმას (შდრ. *ერთმანეთს დაჭამენ* [ისინი] ან *ერთმანეთი დაჭამეს* [მათ]).

ე) უარყოფითი ნაცვალსახელის მქონე ორკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების რაოდენობა შეადგენს ხუთ ერთეულს, რომლებიც განეკუთვნება შემდეგ სქემას:

$$VP = PRO_{NEG} [CASE : adv] + VT_2 \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg / pl} \right] \text{ (მაგ.: 64).}$$

ცხრილი 2: უარყოფითი ნაცვალსახელთა მქონე ორკომპონენტური იდომური გამოთქმები

(64)	არაფრად	ჩა-ა-გდ-ებ-ს	– ანგარიშს არ გაუწევს: “ხანში შესული მამაკაცი მიხვდა, რომ არაფრად ჩააგდეს” (აკ. გეგენ., “ორეულო”).
		ა-გდ-ებ-ს	– მნიშვნელობას არ ანიჭებს: “რაკი სახლობისგან ასე ამოჩემებული იყო როსტომი, ამას არაფრად აგდებდნენ არც ყმები და არც მოსამსახურები...” (ა. ფურც., “მართა”).
		გა-ი-კმარ-ებ-ს	– ანგარიშს არ გაუწევს: “არაფრად გაიკმარა დედამთილ-მამამთილი” (ს. მენთ., ქეგლ).
		ღირ-ს	– უმნიშვნელოა: “...მამულები იყიდოს ქალაქში, – სოფლად მიწა აღარაფრად ღირს ჩვენისთანა კაცისათვის” (ვ. ბარნ., “გველის ზეიმი”).
		შე-ი-მჩნ-ევ-ს	– ყურადღებას არ მიაქცევს: “მისცემ, – მადლობას გეტყვის, არ მისცემ, – არაფრათ შეიმჩნევს, თუმცა ოდესმე, სრულიათ მოულოდნელათ თავის გასამრჯელოს აინაზღაურებს...” (ნ. ლორთქ., “სოფლის აშიკი”).

2. 2.2.6. $NP = a(N) + b(VN)$ სტრუქტურის მქონე ორკომპონენტური იდომური გამოთქმები

სახელური იდომური გამოთქმების განხილვისას აღინიშნა, რომ სახელზმნების, კერძოდ, მასდარისა და მიმღეობის ფორმების ანალიზი მიზანშეწონილია ზმნური იდომური გამოთქმების განხილვისას, რადგანაც: ა) სახელზმნები ზმნათაგან ნაწარმოებ გასუბსტანტივებულ ფორმებს წარმოადგენს; ბ) სახელზმნათა ნარევ სტრუქტურას ახასიათებს არა მარტო სახელის, არამედ აგრეთვე ზმნის ზოგიერთი კატეგორია.

კორპუსში დადასტურებული სახელზმნის შემცველი ორკომპონენტური იდომური გამოთქმის წამყვან კომპონენტს კი სწორედ სახელზმნა (მასდარი ან

მიმღეობა) წარმოადგენს (მაგ.: *გულის მომწყვლელი, ენად გაკრეფილი, თავზე დასმა* და ა.შ.); მსგავს ერთეულებში პირიანი ზმნა, როგორც წესი, არ გვხვდება.

თავისი არსით, სახელზმნიანი იდიომები, პირიანი ზმნის შემცველი იდიომების კონდენსირებული ვარიანტებია, რომლებიც ფორმათა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, რაც ბუნებრივია, რადგანაც მრავალკატეგორიანი ზმნა მასდარულ ან მიმღეობურ ფორმებს გვიჩვენებს, სახელი კი, როგორც წესი, ნათესაობით ბრუნვაში დგება და აქტანტებს ეთიშება, ხოლო (შდრ.: *გული მოუვიდა – გულის მოსვლა, ყურს დაუგდებს – ყურის დაგდება* და ა.შ.).

განვიხილოთ სახელზმნის შემცველი იდიომური გამოთქმები, რომლებიც სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ: 1) $NP = a(N) + b(VN)$ – არსებითი სახელი და საწყისი (მასდარი) და, 2) $NP = a(N) + b(PART)$ – არსებითი სახელი და მიმღეობა.

იმის გათვალისწინებით, რომ სინტაქსური თვალსაზრისით სახელზმნები წინადადებაში შეიძლება ასრულებდეს სუბიექტის, ან ამა თუ იმ ობიექტისა თუ უბრალო დამატების ფუნქციას, თითქოს ისინი უნდა განგვხილა მათი – როგორც მასდარის, ასევე მიმღეობის – სახელურ იდიომურ გამოთქმებთან. მაგრამ რაკი სახელზმნასაც გადმოჰყვება არაერთი ზმნური კატეგორია, მათ შორის მასდარს – გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კაუზატივი, ხოლო მიმღეობას – დროისა და გვარის კატეგორიების მათი მორფოლოგიურ-სემანტიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, სახელზმნების შემცველი ორკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების განხილვა უფრო მიზანშეწონილია ზმნურ იდიომთა რიგში.

კორპუსში დადასტურებულ ერთეულთა რაოდენობა 980 ერთეულს შეადგენს, რომლებსაც მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობა ახასიათებთ (მაგ.: 65, 66):

(65) ჰაშას (აშას) კვრა – უარის თქმა, უარყოფა: “ამ ბატონს ჰგონია, ვითომც კრიტიკა მარტო **აშას კვრაა**” (ილია, ქეგლ).

(66) ხელის აღება – თავის მინებება, მიტოვება: “იმ დროს საჭირო იყო მეფეთა და უფლისწულთაგან მაგალითის ჩვენება, ამქვეყნიური დიდების უარყოფა, ტახტსა და უზრუნველ ცხოვრებაზე **ხელის აღება**” (გ. აბაშ., “ცოტნე”).

აღნიშნული ორკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების კომპონენტთა შიდამიმართება შეიძლება ასე გამოვსახოთ:

$$VP = N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} \right] + VN \left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv}{NUMBER : sg} \right] \quad \text{სქემაში} \quad \text{მასდარის}$$

მხოლოდობითი რიცხვი აღნიშნულია პირობითად, რადგანაც იგი “მრავლობითის ფორმებს ვერ აწარმოებს. [ასე რომ] საწყისის მხოლოდობითი მოჩვენებითია“ (შანიძე 1980, 558).

სქემაში არ შეგვიტანია ზმნის ისეთი კატეგორიები, როგორიცაა გეზი (მიმართული თუ მიუმართავი: *ექვ-ის მი-ტან-ა*, *ექვ-ის შე-ტან-ა*), ორიენტაცია (მაახლოებელი თუ მაშორებელი: *ამბ-ის/ენ-ის მი-ტან-ა*, *ამბ-ის მო-ტან-ა*), ასპექტი (სრული და უსრული: *პატივ-ის გ-ებ-ა*, *პატივ-ის მი-გ-ებ-ა*), კაუზატივი (უშუალო და შუალობითი: *მეხ-ის და-ცემ-ა*, *ჩახმახ-ის და-ცემ-ინ-ებ-ა*). ეს კატეგორიები ამა თუ იმ ზმნას დამატებით მნიშვნელობას ან ნიუანსს ანიჭებენ. მსგავს შემთხვევებში გრამატიკული კატეგორიისა და სემანტიკური მნიშვნელობის განმასხვავებელ ერთეულს დერივაციული აფიქსი, კერძოდ, ზმნისწინი წარმოადგენს (მაგ.: 67-70):

(67) **გეზი:** ექვის შეტანა (*მიმართული გეზი*) – ექვის აღძვრა, ექვის გაჩენა, საექვოდ მიჩნევა, დაექვება: “აგრეთვე თუ მე დამჭირდა რამ, გაცნობებ და, იმეღია, შენც მაგრე მოიქცევი... – მახარე... განა ჩემში ექვის შეტანა შეიძლება?!” (შ. არაგვ., გაბზარული გული); ექვის შემოტანა (*მიუმართავი გეზი*) – ვინმეში ან რამეში, ვინმეს ან რამის მიმართ ექვის გაჩენა, დაექვება: “მაგვარი ექვის შემოტანას როგორ კადრულობთ!” (ი. მაჩაბ., თარგმ., ქეგლ).

(68) **ორიენტაცია:** ამბის მიტანა (*მაშორებელი ორიენტაცია*) – ინფორმაციის მიწოდება: “დედოფალს დარეჯანს, რომელიც მაშინ თბილისში ცხოვრობდა, ვერავინ უბედავდა ამ საზარელი ამბის მიტანასა” (ი. გოგებ., “ასპინძის ომი”); ამბის მოტანა (*მაახლოებელი ორიენტაცია*) – ინფორმაციის მოწოდება: “– შენს პირს შაქარი, ჩემო ფეფიკო, – ლოცავდენ კარგის ახალი ამბის მოტანისათვის ქეთევანი და დარია” (ე. ნინოშ., “სიმონა”).

(69) **ასპექტი:** ასპექტი: სისხლის ღება (*უსრული ასპექტი*) – შურისძიება: “ნახევარ კაცზედ... სისხლის ღება აღარა ღირს!” (ა. ყაზბ., ქეგლ); ცხვირ-პირის დამტვრევა – დაშავება (ცემით, დაცემით ...); სისხლის აღება (*სრული ასპექტი*) – შურისძიება, მკვლელობისათვის სამაგიეროს გადახდა, მოსისხლის მოკვლა:

“დიგორხან ახლოს არა, რადგან მართალია, მას არა სწამდა **სისხლის აღება**” (შ. დად., თეთნულდ).

- (70) **კაუზატივი**: მეხის დაცემა (*უშუალო კონტაქტი*) – დიდი უბედურების დატყდომა, შემთხვევა: “ზახვას რომ კიდეც შეენიშნა ესმას სიყვარული და თვითონაც გამოეცხადებინა თავისი თანაგრძნობა, ეს სალომესათვის **მეხის დაცემა** იქნებოდა” (გ. წერეთ., “პირველი ნაბიჯი”); ჩახმახის დაცემინება (*შუალობითი კონტაქტი*) – თითის გამოკვრით ჩახმახის დასხლეტა, ჩახმახის ჩამოკვრა: “მაშ ჩემი ბრალი ნუ იქნება. ნუ იქნება. დამბაჩა ასწია, ნელინელ დაუშვა და **ჩახმახის დაცემინებას** აგვიანებდა” (მ. ჯავახ., “არსენა მარაბდელი”).

2. 2.2.7. $NP = a(N) + b(PART)$ *სტრუქტურის მქონე ორკომპონენტიანი იდიომური გამოთქმები*

მასდარისაგან განსხვავებით, რომელსაც ერთდროულად არსებითი სახელის კატეგორიებიც ახასიათებს და ზმნისაც, მიმღეობა აღჭურვილია ზედსართავი სახელისა და ზმნის ფუნქციით, რომელიც ვლინდება მიმღეობითი კომპონენტის შემცველ იდიომებში, კერძოდ, $NP = a(N) + b(PART)$ სქემის იდიომებში. ამ შემთხვევაშიც, იდიომების სინტაქსურ ფუნქციებზე დაყრდნობით, შეიძლება მათი შეტანა სახელურ იდიომებში, თუმცა მიმღეობური კომპონენტისათვის დამახასიათებელ ზმნურ კატეგორიებზე დაყრდნობით, მას ადგილი მიეჩინა ზმნურ იდიომთა რიგში. კორპუსში დადასტურდა მიმღეობის შემცველი ორკომპონენტიანი 242 იდიომური ერთეული, რომლებიც თავსდება შემდეგ სქემებში:

ა) $NP = N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} + POST \right] + PART$ სათანადო მაგალითში მიმღეობას წინ

უსწრებს მიცემით ბრუნვაში მდგომი სახელური კომპონენტი. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, შეიძლება ახლდეს თანდებულიც (მაგ.: 71):

- (71) მიწას ამოფარებული – გარდაცვლილი: “თვალწინ თავისი **მიწას ამოფარებული** შვილი დაუდგა” (ლ. ბეროშ., ქეგლ); მიწაში ჩაუშვებელი – იტყვიან ამპარტავან ადამიანზე: “იმას როგორ თხოულობ, ის ხომ **დედამიწაში ჩაუშვებელი** კაპარჩხანაო” (დ. მაჩხ., ქეგლ); მიწასთან გასწორებული – მოსპობილი, მტვრად ქცეული, დანგრეული: “ლუარსაბი დაშოშმინდა და,

როდესაც განადგურებული მნახა, მიწასთან გასწორებული, ვითომ აყენება მოინდომა, თავისებური ნუგეში მცა” (ეკ. გაბაშ., “გამარჯვებული ნიკო”) და ა.შ.;

ბ) $NP = N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right] + PART$ მიმღეობას წინ უსწრებს ნათესაობით ბრუნვაში

მდგომი კომპონენტი (მაგ.: 72):

(72) გულის მოსაფხანი (სიტყვა, საქმე) – ჯავრის ამოსაყრელი, გულის მოსაოხებელი: “სამართლიანი იყო უფროსის სიტყვა და ჭეშმარიტი, მაგრამ სასიამოვნო არ იყო ძალუა მართასათვის და გულის მოსაფხანი” (ვ. ბარნ., ქეგლ)

გ) $NP = N \left[\frac{CASE : ins}{NUMBER : sg} + POST \right] + PART$ მიმღეობას წინ უსწრებს მოქმედებით

ბრუნვაში მდგომი კომპონენტი, რომელსაც, თავის მხრივ, შესაძლებელია ახლდეს ამა თუ იმ ბრუნვის დამახასიათებელი თანდებული (მაგ.: 73):

(73) ქარით მობერილი (ქარის მოტანილი) – ადვილად მოპოვებული, იოლად მიღწეული: “ეს აზრები, ეს გრძნობა, ეს სიტყვა ქარით მობერილი არ არის” (ილია, ქეგლ); პირთაგან წავარდნილი – იხ. პირწავარდნილი: “საშინლად მოჰგავდა, პირთაგან წავარდნილი თქვენი ქალი იყო!” (აკაკი, ქეგლ)

აღნიშნულ სქემებში, მასდარის მსგავსად, ასევე არ შეგვიტანია მიმღეობისთვის დამახასიათებელი ისეთი კომპონენტები, როგორიცაა გეზი (მიმართული: *სმენად გარდაქცეული*), ორიენტაცია (მაახლოებელი და მაშორებელი: *ამბის მიმტანი*, *ამბის მომტანი*), ასპექტი (სრული და უსრული: *აზრთა გაცვლა-გამოცვლა*, *აზრთა ცვლა*), გვარი (მოქმედებითი და ვნებითი: *ჭკუის შემარყეველი*, *ჭკუაზე შერყეული*) და კაუზატივი (უშუალო: *სანთლით საძებნელი*)⁴³ (მაგ.: 74-78). აღსანიშნავია, რომ ორკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების შემადგენლობაში არ შეგვხვედრია შუალობითი კონტაქტის მქონე იდიომი, თუმცა თეორიულად ეს ფორმა არ გამოირიცხება.

(74) გეზი: სმენად გა(რ)დაქცეული (*მიმართული გეზი*) – ვინც დაძაბული ყურადღებით უსმენს: “ხელით თავი მიიბჯინა და, მთლად სმენად გადაქცეული, ისე დარჩა” (ა. ყაზბ., “ხვეისბერი გოჩა”).

⁴³ ბაზაში დადასტურებულ არც ერთ ორკომპონენტიან იდიომურ გამოთქმაში, რომლის შემადგენელ კომპონენტსაც მიმღეობა წარმოადგენდა, არ შეგვხვედრია მიუმართავი გეზის და შუალობითი კონტაქტის აღმნიშვნელი იდიომი.

- (75) ორიენტაცია: ამბის მიმტანი (*მაშორ. ორიენტაცია*) – ვინც მიიტანს ამბავს: "ვეცადნეთ **ამბის მიმტანიც** აღარ გაუშვათ.." (შ. არაგვ., "გაბზარული გული"); ამბის მომტანი (*მაახლ. ორიენტაცია*) – ვინც ამბავს მოიტანს: "მიპატიებია! გაგანთავისუფლებთ ყველას, მხოლოდ ჯერ-ჯერობით ვერ გამოვუშვებ ვერც **ამბის მომტანს**, ვერც იმ ქალს, რომელსაც სარდლის ბეჭედი აღმოაჩნდა" (ვ. ბარნ., "ისნის ცისკარი").
- (76) ასპექტი: ძლევით შემოსილი (*სრული ასპექტი*) – გამარჯვებული "ძლევით შემოსილს მოგილოცა ბრძოლის ზეიმი" (ვ. ჭიჭინ., ქეგლ).
- (77) გვარი: ჭკუის (ტვინის) შემარყეველი/შემარყევი (*მოქმ. გვარი*) – გამაგიჟებელი, გამასულელებელი// ის ვინც ასულელებს ვინმეს: "მეფეს **ჭკუის შემარყევი** ბოროტება გულსა უჯიჯგნის" (ი. მაჩაბ., თარგმ., ქეგლ); ჭკუაზე შერყეული (*ვნებიანი გვარი*) – შეშლილი: "[გოჩა] **ჭკუაზე შერყეულივით** ხან აქ მივარდებოდა მის წინ გალავანივით ამართულ ხალხის უძრავ კედელს, ხან იქ, მაგრამ ასხლეტილივით უმაღვე უკან იხევდა" (ლ. ქიაჩ., ქეგლ).
- (78) კაუზატივი: სანთლით საძებნელი (საძებარი) (*უშუალო კონტაქტი*) – ძნელად საპოვნო, იშვიათად შესახვედრი: "ქვრივ-ობლებისა და ხელმოკლე ოჯახებისათვის-კი სწორედ მისწრება იყო და **სანთლით საძებნელი**" (ვ. ბარნ., "თებერას დანიშნული").

შესწავლილი მასალის საფუძველზე ⁴⁴ ვასკვნით, რომ ზმნურ იდიომურ გამოთქმათა ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია. აღნიშნულ ჯგუფში შემავალ ერთეულთა თავისებურებების ასახვა შესაძლებელია შემდეგი შემაჯამებელი სქემების მიხედვით:

⁴⁴ გამოვლენილ ორკომპონენტთან ერთეულთა რაოდენობა სულ შეადგენს 10078 ერთეულს.

ცხრილი 3: ორკომპონენტური ზმნური იდიომების სტრუქტურა

ორკომპონენტური იდიომის სტრუქტურა	მაგალითი	რაოდენობა
$N + V$	ამაგს გასწევს, ხორცს შეასხამს, ოფოფებს გააფრენს და ა.შ.	5127 ერთეული
$N + VN$	ბადეში გაბმა, გულის გადმოშლა, თავის აღება და ა.შ.	1020 ერთეული
$PRO + V$	ერთმანეთს აწყდებიან, თავს ამოაყოფინებს, არაფრად ღირს და ა.შ.	257 ერთეული
$N + PART$	ჯიბის გასასქელებლად, ხელში გადმოსული, ჭკუის შემარყევი და ა.შ.	242 ერთეული
$ADJ + V$	კეთილში ჩაადგებს, ცარიელზე ტოვებს, კარგებს უთავაზებს და ა.შ.	42 ერთეული
$NUM + V$	ოთხში ამოაღებინებს, ათასად იჭრებოდა, მეორედ იშვა და ა.შ.	16 ერთეული

ქართულ იდიომათა ლექსიკოგრაფიაში გარკვეული ტრადიციის თანახმად, ხშირად ხდებოდა იდიომურ გამოთქმაში შემავალი პირიანი ზმნის მასდარის ფორმით წარმოდგენა. ასეა გაფორმებული როგორც თ. სახოკიას, ისე ალ. ონიანის ლექსიკონები, რომლებშიც ცენტრალურ ლემად მოყვანილია მასდარიანი ფორმა, ხოლო ილუსტრაციაში წარმოდგენილია ზმნის პირიანი ფორმა (მაგ.: 79, 80):

(79) **ნათელი დღის ნახვა** – ბედნიერად ცხოვრება, უზრუნველობა, სიმხიარულები: “აგერ ორმოც წელს გადავაბიჯე, ბატონყმობის გადავარდნიდან აქამომდე ამ მამულის გამო ერთი **ნათელი დღე არ მინახავს**“. (ს. მგალობ.) (სახოკია 1979, 449)

(80) **გულის მოლოცვა** – მოპირფერება, ტკბილი სიტყვით ვისიმე გულის მოგება: “... ზაალს ცალკე ვნახავ, **გულს მოვულოცავ** და საკალმასოდ უწინდელივით კაცს გამოვაცოლებინებ“. (მ. ჯავახ.) (ონიანი 1966, 44)

ამრიგად, ქართული ენისათვის დამახასიათებელი ორკომპონენტური ($a + b$) სქემის მქონე) იდიომური გამოთქმების შესწავლის შედეგად გამოვლინდა იდიომური გამოთქმების ორი ძირითადი სტრუქტურა: 1) $NP = a + b$ (საერთო რაოდენობა 1227 ერთეული); 2) $VP = a + b$ (საერთო რაოდენობა 6704 ერთეული). თავის მხრივ, თითოეულ სტრუქტურას კონკრეტული ტიპის მორფოლოგიური ქვესქემები ახასიათებს, კერძოდ:

**ცხრილი 4: ორკომპონენტიანი სახელური იდიომური გამოთქმების
($NP = a + b$) კომპონენტური შემადგენლობა**

$N + N$ 546 ერთეული	$N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg / pl} \right] + N \left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv / voc}{NUMBER : sg / pl} \right]$ $N \left[\frac{CASE : nom / gen}{NUMBER : sg / pl} \right] + N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right]$
$ADJ + N$ 487 ერთეული	$ADJ \left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv / voc}{NUMBER : sg} \right] +$ $+ N \left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv / voc}{NUMBER : sg / pl} \right]$ $ADJ \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg / pl} \right]$
$PRO + N$ 137 ერთეული	$PRO_{DEM} \left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv / voc}{NUMBER : sg / pl} \right] +$ $+ N \left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv / voc}{NUMBER : sg / pl} \right]$ $PRO_{POSS} \left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv / voc}{NUMBER : sg / pl} \right] +$ $+ N \left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv / voc}{NUMBER : sg / pl} \right]$
$NUM + N$ 49 ერთეული	$NUM [CASE : nom] + N \left[\frac{CASE : nom / ins}{NUMBER : sg} \right]$
$NUM + NUM$ 8 ერთეული	$NUM [CASE : dat] + NUM [CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv]$
$ADJ + PTC$ 2 ერთეული	$ADJ [CASE : nom] + PTC$

**ცხრილი 5: ორკომპონენტიანი ზმნური იდიომური გამოთქმების
(VP = a + b) კომპონენტური შემადგენლობა**

<i>N + V</i> 5127 ერთეული	$N \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg / pl} \right] + VI_{1/2} \left[\frac{SERIES : I / II / III}{NUMBER : sg / pl} \right]$ $N \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg / pl} \right] + VT_{2/3} \left[\frac{SERIES _ I : prs / fut / imperf}{NUMBER : sg / pl} \right]$ $N \left[\frac{CASE : erg}{NUMBER : sg / pl} \right] + VT_{2/3} \left[\frac{SERIES _ II : aor}{NUMBER : sg / pl} \right]$ $N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg / pl} \right] + VT_{2/3} \left[\frac{SERIES _ III : prf}{NUMBER : sg / pl} \right]$
<i>N + VN</i> 1020 ერთეული	$N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} \right] + VN \left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv}{NUMBER : sg} \right]$
<i>PRO + V</i> 257 ერთეული	$PRO_{PERS} \left[\frac{CASE : erg / dat / gen}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg / pl} \right]$ $PRO_{INT} [CASE : nom] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg} \right]$ $PRO_{INT} [CASE : dat] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg} \right]$ $PRO_{INT} [CASE : dat + PTC] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg} \right]$ $PRO_{POSS} [CASE : nom] + VT_2 \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg / pl} \right]$ $PRO_{RECP} [CASE : dat] + VT_2 \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : pl} \right]$ $PRO_{NEG} [CASE : adv] + VT_2 \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg / pl} \right]$
<i>N + PART</i> 242 ერთეული	$N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} + POST \right] + PART$ $N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right] + PART$ $N \left[\frac{CASE : ins}{NUMBER : sg} + POST \right] + PART$

ADV + V
38 ერთეული

$$ADV + VT_{1/2} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg / pl} \right]$$

NUM + V
16 ერთეული

$$NUM [CASE : adv] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II / III}{NUMBER : sg / pl} \right]$$

ADJ + V
13 ერთეული

$$ADJ \left[\frac{CASE : nom / adv}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg / pl} \right]$$


$$ADJ \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg / pl} \right]$$

2.3. სამკომპონენტო იდიომური გამოთქმები

სამკომპონენტო $a+b+c$ სტრუქტურის მქონე იდიომების შეზღუდული რაოდენობა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნული ტიპის იდიომები გაცილებით იშვიათად გამოიყენება ქართულ ენაში, ვიდრე ორკომპონენტო. მსგავსი ვითარება შეინიშნება სხვა შესადარებელ ინდოევროპულ ენებშიც: ახალ ბერძნულშიც, რუსულშიც და ინგლისურშიც. შესწავლილი მასალის საფუძველზე გამოვლინდა ქართული ენისათვის დამახასიათებელი 1191 ერთეული, რომელთა სქემატური დახასიათებაც შესაძლებელია ორი ქვეჯგუფის გამოვლენის გზით. ეს არის **ბირთვიანი** და **უბირთვო** იდიომთა ქვეჯგუფები. ბირთვიან სამკომპონენტო იდიომურ გამოთქმათა ქვეჯგუფს განეკუთვნება ისეთი ერთეულები, რომელთა შემადგენელ კომპონენტებს ცალკე აღებული სიტყვები კი არ წარმოადგენს, არამედ უკვე არსებული ზმნური ან სახელური ორკომპონენტო იდიომური გამოთქმები (მაგ.: 81):

- (81) გულის კარს გააღებს (გაუღებს) – გახალისდება, გამხიარულდება, თავის ფიქრს, განცდას... გამოთქვამს, იტყვის (ეტყვის, გაუმხელს ვისმე): “ელფერობით ვარდი არის, სინაზით-კი – მორცხვი ია... ტრფობისათვის ჯერ პირველად გულის კარი გაუღია” (აკაკი, “გამზრდელი”).

გრაფიკი 2: ბირთვიანი სამკომპონენტო იდიომური გამოთქმების სემანტიკური კავშირები



როგორც მაგალითიდან ჩანს, სამკომპონენტო იდიომური გამოთქმა შედგება ორი ნაწილისაგან, როგორიცაა, ამ შემთხვევაში *გულის კარი* და *კარს გაუღებს*, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება სხვა ორკომპონენტო იდიომს *გულს გაუღებს*. მაშასადამე, მსგავსი ტიპის იდიომური გამოთქმების განხილვა შესაძლებელია

მხოლოდ სამკომპონენტო ბირთვიანი იდიომური გამოთქმების შემადგენლობაში. დანარჩენი სამკომპონენტო იდიომები, რომლებიც არ ქმნიან, შიდაბირთვებს, განეკუთვნება უბირთვო იდიომურ გამოთქმათა ტიპს (მაგ.: 82):

- (82) (ვინმეს) სახელს ჩირქი მოეცხება – სახელი გაუტყდება, ჩირქი მოეცხება:
“...კარგად ვერ გამოერკვია, თუ რა არის უბედურება, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ იმის **სახელს** რაღაც **ჩირქი მოეცხო** და სევდით გული ევსებოდა...” (ე. გაბ., “გამარჯვებული ნიკო”).

მსგავსი ტიპის იდიომების დაშლა შესაძლებელია სტრუქტურულად, მაგრამ არა სემანტიკურად. სტრუქტურულად მივიღებთ კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სინტაგმებს, როგორიცაა *სახელს მოეცხება* და *ჩირქი მოეცხება*. ორივე სინტაგმა გრამატიკული თვალსაზრისით სწორია, მაგრამ სემანტიკური თვალსაზრისით პირველი იდიომურობას მოკლებულია, ხოლო მეორეს იდიომურობა ახასიათებს. მაგრამ მხოლოდ სამივე კომპონენტის ლექსიკალიზაციით იქმნება ახალი იდიომური კონსტრუქცია.

აღნიშნული ორი ტერმინის (*ბირთვიანი* და *უბირთვო*) შემოღება ეყრდნობა საკვლევი მასალის გარკვეულ სტრუქტურულ თავისებურებას, კერძოდ, იმ ფაქტს, რომ სამკომპონენტო ბირთვიანი გამოთქმების (896 ერთეული) იდიომურობა იქმნება ორი გზით: 1) წინადადებაში უკვე არსებული იდიომის ახლოს მდებარე სიტყვების ატრაქციის გზით იქმნება ახალი იდიომური მნიშვნელობა (მაგ.: 83, 84); 2) იდიომის სახელური თუ ზმნური კომპონენტის სხვა სიტყვების ხარჯზე სემანტიკური კავშირების გავრცობის გზით იზრდება უკვე არსებული იდიომური გამოთქმის ექსპრესიულობა (მაგ.: 85, 86).

- (83) ხელის გული – ხელის მტევნის შიგნითა ნაწილი: “საამს აქედან **ხელის გულივით** გადაეშალა მიდამო, შურის ციხიდან დაწყებული სოღანლულამდის” (ვ. ბარნ., “ისნის ცისკარი”).

83-ე მაგალითში ექსპრესია იქმნება შედარების გზით. მოყვანილი მაგალითი კი განეკუთვნება ჩვეულებრივი სქემის მქონე სახელურ ორკომპონენტო იდიომთა

რიგს:
$$NP = N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg / pl} \right] + N \left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv / voc}{NUMBER : sg / pl} \right].$$

შესაბამისად, ამ ერთეულის განხილვა სამკომპონენტო იდიომთა ჭრილში თითქოს შეუძლებელია, მაგრამ აღნიშნული შესიტყვება იზიდავს მის ახლოს მყოფ

სიტყვებს, ითვისებს მათ და მათგან ქმნის სამკომპონენტო იდიომურ გამოთქმებს, როგორც ეს ჩანს შემდეგი მაგალითებიდან (მაგ.: 84):

ცხრილი 6: სამკომპონენტო იდიომური გამოთქმის შექმნა ახლოს მდგომი სიტყვების მიზიდვის გზით

(84)

ხელის გული	“[მამასახლისი] მოწმობას აღარ აძლევდა “გილდის” ალებისას და, როცა ხელის გული მოუპოხეს, მაშინ მოწმობაც მისცა” (ვაჟა, ქეგლ)	ხელის გულს მოუპოხავს	ქრთამს მისცემს
	“ოქროს ბეჭედში თვლად ჩასასმელო, და ხელის გულით სატარებელო” (გ. აბაშ., ქეგლ)	ხელის გულით სატარებელი	განსაკუთრებული პატივისცემის, ყურადღების, სათუთი სიყვარულის ღირსი

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ, წინადადებაში იდიომური გამოთქმის სინტაქსური ფუნქციიდან გამომდინარე, პირველ შემთხვევაში იდიომის ბირთვი უკავშირდება ზმნას (*მოუპოხეს*), რომელიც წინადადებაში შემასმენლის ფუნქციას ასრულებს; აღნიშნული დაკავშირების შედეგად გამოთქმა მთლიანად (*ხელის გული + მოუპოხეს*) იძენს ახალ მნიშვნელობას, რომელიც ენაში მკვიდრდება ახალი იდიომური გამოთქმის სახით, და რომელიც უგულებელყოფს კავშირს კომპონენტების ცალკეულ მნიშვნელობებსა და გამოთქმის ერთიან მნიშვნელობას შორის; მეორე შემთხვევაში კი ორკომპონენტო იდიომური გამოთქმა უკავშირდება მიმღეობას (*სატარებელი*) და ითრევს მას თავის ბირთვულ შემადგენლობაში (*ხელის გულით + სატარებელი*), რის შედეგადაც ვიღებთ სამკომპონენტო იდიომურ გამოთქმას - თავისი კონკრეტული ბირთვით და ახალი მნიშვნელობით, რომელიც არ უდრის იდიომის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბირთვიანი იდიომური გამოთქმის მიღების მეორე გზა დამატებული სიტყვის ხარჯზე ზრდის უკვე არსებული იდიომური გამოთქმის ექსპრესიულობას (მაგ.: 85, 86)

(85) ჭირის ოფლი, სიმწრის ოფლი – იხმარება დიდი გაჭირვების, მწუხარების, განცდის აღსანიშნავად: “ამ უეცარმა კითხვამ მამასახლისი სულ


დააბნია და ჭირის ოფლი დაასხა, რის გამოც ის კინაღამ გადაიქცა” (შ. არაგვ., “ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!”).

აღნიშნული იდიომური გამოთქმა შემდეგი სქემით გამოიხატება:

$$N\left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg}\right] + N\left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv}{NUMBER : sg / pl}\right].$$

ამ სქემით გამოხატული ორკომპონენტური იდიომური გამოთქმების განვრცობა და ექსპრესიულობის ზრდა ხდება ახალი კომპონენტების - სახელის ან ზმნის დამატების ხარჯზე; პარალელურად, ქართულ ენას ახასიათებს ზმნური შესიტყვება (ოფლ-ს ა-სხ-ამ-ს), რომელიც იდიომურ გამოთქმათა რიგს არ განეკუთვნება; სამაგიეროდ, მსგავსი შესიტყვება ხდება ბირთვიანი სამკომპონენტური იდიომურ გამოთქმის ნაწილი და ნათლად ვხედავთ, რომ იგი ქმნის სხვადასხვა იდიომს (მაგ.: 86):

(86)



როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს მსგავსი სქემის ერთეულები? პირველ სვეტში წარმოდგენილია ის ერთეულები, რომლებიც მსაზღვრელი სახელის ფუნქციას ასრულებენ. ყველა აღნიშნული ერთეული წარმოადგენს ორკომპონენტურ სახელურ იდიომთა ერთ-ერთ კომპონენტს. აღნიშნული იდიომები კი გამოიყენება დიდი შრომა-გარჯისა და გაჭირვების მნიშვნელობით, კერძოდ:

ჭირის ოფლი: “მიტროს სახეზე ჭირის ოფლი ასკდებოდა” (ა. ერ.-ხოშტ., ქეგლ);

სირცხვილის ოფლი: “სირცხვილის ოფლს დაასხამდა, თვალთ დაუბნელდებოდა და ღელვისაგან... აურევდა ფეხსა” (ს. მგალ., ქეგლ);

სიმწრის ოფლი: “მოაგონდა უეცრივ მწყემსის ამბავი და **სიმწრის ოფლმა** შუბლი შეუსველა...” (შ. არაგვ., “გაბზარული გული”);

სისხლის ოფლი: “წაიღო, გაიტანა სისხლიანმა პურმა **სისხლის ოფლით** მონაგარი ყოველი კარგი” (ვ. ბარნ., “გველის ზეიმი”);

შრომის ოფლი: “სოფელს **შრომის ოფლი** ჩამოსდიოდა გულ-მკერდზე...” (ს. მგალ., “ჯორ-ზაქარა”).

მეორე მხრივ, არსებობს ორკომპონენტური ზმნური იდიომები, რომელთა სახელურ ნაწილს *ოფლ-ი* წარმოადგენს და მას ეხამება ესა თუ ის ზმნა შრომის, ჯაფის, დამაბვისა და გაჭირვების სემანტიკით, კერძოდ:

ოფლს ჩაღვრის: “რაც აქ **ოფლი ჩაუღვრიათ** იმ უჩინარ და უხმო მუშაკებს, ერთი ტბა დადგებოდა” (მ. ჯავახ., “ჯაყოს ხიზნები”);

ოფლს იწურავს: “ერთი, ორი! ერთი, ორი! მარჯვნივ! ერთი, ორი! მარცხნივ! და თანაც მათთან ერთად დაალაჯებს, **ოფლს იწურავს**, იცინის და თავს იმართლებს: – ვინ იცის, სად გამოგვადგების!” (მ. ჯავახ., “არსენა მარაბდელი”);

ოფლს ღვრის: “თქვენ, ვინც შრომობთ და ნაშრომს გართმევენ, ვინც **ოფლს ღვრით** და მაინც გშიათ... თქვენ, ჩემო ძმებო და ამხანაგებო, მაღლა, მაღლა ასწით დროშა ბრძოლისა...” (ჭ. ლომთ., “სახრჩობელის წინაშე”) და ა.შ.

შემდგომ კი, როგორც წესი, ხდება ბირთვიანი კომპონენტის განვრცობა ზმნური კომპონენტით, რომელიც წინადადების მთავარ წევრს წარმოადგენს და, თუ ზმნა ორ- ან სამპირიანია, ითხოვს ობიექტს ან ობიექტებს. მსგავს შემთხვევებში ორკომპონენტური იდიომური გამოთქმა ასრულებს ობიექტის ან სუბიექტის ფუნქციას; სუბიექტის შემთხვევაში კი იგი ჩართულია ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობაში, მაგ.:


ჭირის ოფლს ასხამს (დაასხამს, გადაასხამს): “ვნახე, რომ სულ ბაჯადლო ოქროები იყო. გავწითლდი, **ჭირის ოფლმა დამასხა** და სხვებს კი უთუოდ ეგონათ, სიხარულმა აიტაცაო” (აკაკი, “ჩემი თავგადასავალი”);

სირცხვილის ოფლს ასხამს (დაასხამს): “ნენე თოფნაკრავ ნადირივით აუქცევდა გზას უსირცხვილო პაჟარნებს, **სირცხვილის ოფლს დაასხამდა**, თვალთ დაუბნელდებოდა და ღელვისაგან მთვრალივით აურევდა ხოლმე ფეხსა” (ს. მგალ., “დემეტრეს სახლობა”);

სიმწრის ოფლს ასხამს (დაასხამს, გადაასხამს): “გვადის სიმწრის ოფლმა გადაასხა” (ლ. ქიარ., ქეგლ) და ა.შ.

ზმნური იდიომური გამოთქმების ზმნური კომპონენტები იმისდა მიუხედავად, თუ რამდენკომპონენტიანია ესა თუ ის იდიომი, ქართულ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონებში (გარდა ქეგლ-ისა) წარმოდგენილია მასდარის ფორმით; ენობრივი თვალსაზრისით აღნიშნული ცვლა ლოგიკურ აზრს მოკლებული არ არის, თუმცა სასაუბრო ქართულში მსგავსი ტიპის ერთეულები ნაკლებად გამოიყენება ზმნის პირიანი კომპონენტის მქონე იდიომების საპირისპიროდ. ჩვენს შემთხვევაში კი, თუ შევეცდებით ზმნის “გაუპიროვნებას“, მივიღებთ მასდარს, რომელიც, თავის მხრივ, კვლავ ზმნას მოითხოვს (მაგ.: 87)

(87)



მსგავს შემთხვევებში რამდენიმე იდიომური გამოთქმა, როგორც წესი, ორკომპონენტიან იდიომს გვადლევს, აქედან მხოლოდ თითო-ოროლა გამოთქმა მონაწილეობს სამკომპონენტიან კონსტრუქციაში, მაგ.:

ოფლის ღვრა: “მაშინ სისხლის თხევა იყო საჭირო, დღეს ოფლის ღვრაა და ფარხმალიც განსხვავებულია” (აკაკი, ქეგლ);

ოფლის წურვა: “ამ წუთისოფელში – ოფლის წურვით უნდა ყიდულობდეს თითოეული თავის კერძს ცხოვრებისას” (ილია, ქეგლ), მაგრამ,

ოფლის ღვარს იწურავს: “მამულის სიკეთისათვის მიწურავს ოფლის ღვარი!” (აკაკი, ქეგლ)

ზემოთქმულის საფუძველზე შესაძლებელია ორ- და სამკომპონენტიან იდიომურ გამოთქმათა შეპირისპირება, როგორც ეს ა. თაყაიშვილის მონოგრაფიაში წარმოდგენილია. კერძოდ, იდიომთა ერთ-ერთ ნიშნად ლიტერატურაში

⁴⁵ ზდრ. ოფლს ღვრის, ოფლს წურავს

დასახელებული რედუქციის ან გავრცობის შეუძლებლობა არ არის მიჩნეული აბსოლუტურ ნიშნად. თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად ა. თაყაიშვილს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი: *ტყავის გაძრობა - კუდამდე ტყავის გაძრობა, ფეხზე დააყენა - ფეხზე მაგრად დააყენა, ფეხი სამარეში უდგას - ცალი ფეხი სამარეში უდგას* (თაყაიშვილი 1961, 24), და აღნიშნავს, რომ პირველი მეორის ამოსავალი ვარიანტია.

ამდენად, აღნიშნული სამკომპონენტო ვარიანტები შეიძლება პირობითად მივიჩნიოთ დამოუკიდებელ იდიომებად. მათი განხილვა შესაძლებელია მხოლოდ როგორც იდიომების ბირთვიანი (დაშლადი) ვარიანტებისა, რამდენადაც აღნიშნული ელემენტების ჩამატების ან გამოკლების შემთხვევაში იდიომს შეიძლება რამდენადმე შეუსუსტდეს ექსპრესიულობა (დამატებითი ელფერი), მაგრამ იდიომურობა არ დაეკარგება.

შესაბამისად, სამკომპონენტო იდიომურ გამოთქმათა უმრავლესობას ბირთვიანი იდიომური გამოთქმების ჯგუფი შეადგენს. ამ ჯგუფის ფარგლებში, ბირთვის (ე.ი. ორკომპონენტო იდიომური გამოთქმების) სტრუქტურულ თავისებურებებზე დაყრდნობით, ერთეულების დაყოფა შესაძლებელია ზმნურ და სახელურ იდიომურ გამოთქმებად.

რაც შეეხება მეორე ჯგუფის იდიომებს, კერძოდ, უბირთვო სამკომპონენტო იდიომურ გამოთქმებს, მათი გამოვლენა ეფუძნება იმ თავისებურებას, რომ აღნიშნული ქვეჯგუფის იდიომების შემადგენლობაში შესული კომპონენტების დაკავშირება არსებულ ორკომპონენტო სახელურ თუ ზმნურ იდიომებთან შეუძლებელია.

კერძოდ, მათ შემადგენლობაში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი შესიტყვება, რომელსაც ქართულ ენაში იდიომურობა არ ახასიათებთ (მაგ.: 88):

- (88) (ვინმეს თავზე) წისქვილის ქვა (კვერი) დატრიალდება - უბედურება გადახდება თავს, (ვინმე) ბევრ ჭირს გამოივლის, ბევრ გაჭირვებას ნახავს: “ერთი სამშობლოდაკარგული კაცი ვარ. რომ იტყვიან, მარტო წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ ყველაფერი გამომიციდია...” (ა. გეგენ., “მოგზაურის დღიურები”)

შესიტყვებებს წისქვილის ქვა ან ქვის დატრიალება იდიომურობა არ ახასიათებს. აღნიშნულ შესიტყვებას იდიომურობას სძენს გარე კომპონენტი, რომელიც იდიომის შემადგენლობაში არ გვხვდება, კერძოდ, *ვინმეს თავზე*.

აღნიშნული ერთეულების კომბინაციით კი მიიღება უბირთვო სამკომპონენტიანი იდიომი, რომელიც სინტაქსური თვალსაზრისით ემსგავსება ორკომპონენტიანი ზმნური იდიომის $VP = a(N) + b(V)$ ქცევას.

მსგავსი სტრუქტურის მქონე სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების ქვეჯგუფი სიმრავლით არ გამოირჩევა. შესწავლილი მასალის საფუძველზე გამოვლინდა სულ 295 ერთეული.

განვიხილოთ, სტრუქტურული თვალსაზრისით რა ტიპის სქემები ახასიათებთ როგორც ბირთვიან, ასევე უბირთვო სამკომპონენტიან იდიომურ გამოთქმებს.

მორფოსინტაქსური თვალსაზრისით ბირთვიანი იდიომური გამოთქმის ფუნქციონალურობას ხშირად განაპირობებს მისი შემადგენელი, კერძოდ, ორკომპონენტიანი იდიომების ქცევა. უბირთვო სამკომპონენტიან იდიომებში, მათი შემადგენელი ერთეულების ქცევა დამოკიდებულია ცალკეული კომპონენტებისა და არა შესიტყვებების მორფოსინტაქსურ ნიშან-თვისებებზე. საერთოდ ბირთვიან და უბირთვო სამკომპონენტიან იდიომურ გამოთქმებს მორფოსინტაქსური თვალსაზრისით მსგავსი სქემები ახასიათებთ, მაგრამ ეს შეპირობებულია არა კონკრეტული იდიომების სტრუქტურით, არამედ ქართული ენის გრამატიკული წყობით, რომელიც ვერ ჰგუობს ბოლომდე გაყინულ, გაქვავებულ ერთეულებს.

ორსავე ქვეჯგუფს საერთო დამახასიათებელი თვისება აქვთ. კერძოდ, მათში შემავალ ყველა განხილულ იდიომში მონაწილეობს ზმნური კომპონენტი. პრაქტიკულად არ შეგვხვდრია არც ერთი სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმა ზმნური კომპონენტის გარეშე, იქნება ის ბირთვიანი (მაგ.: 89) თუ უბირთვო (მაგ.: 90) იდიომთა ქვეჯგუფები. შდრ.:

(89) პირზე კლიტე ადევს (დაედება) – ვერ ბედავს (რისამე) თქმას: “მარტოდ-მარტოდ დარჩენილმა დედაკაცმა გული ჩაიხვია და **პირზე კლიტე დაიდო**” (მ. ჯავახ., “ჯაყოს ხიზნები”); გულში გესლს აგროვებს – მწარდება რაღაცაზე, ბოლმას ინახავს: “გაიძვერა ჰაჯი... **გულში გესლს აგროვებდა**” (ს. შანშ., ქეგლ) და სხვ.

(90) ეშმაკის ცხენზე შეჯდება – გაჯიუტდება, გაკერპდება: “მიკიჩა უტვინო, შენა ხარ, რომ გვარიშვილობის ყადრი არ იცი! ახლა **ეშმაკის ცხენზედ ნუ კი შეჯდები!** მამა გიცხონდა, ძალიან გაიბერე, ნამესტნიკის შვილი შეგირთამს!” (ა. ცაგარ., “ხანუმა”); ერთ ტაფაში მოაქცევს – ერთნაირად მიუდგება, ერთნაირად

განსჯის: “მართლაც, სივილას ძალიან მოეწონა ეს სხარტი შედარება და ყოველ მევალეს, პირიანს და უპირულს, ყველას **ერთ ტაფაში აქცევდა**, ყველას მომჩივან ჩარჩების თვალეებით დაუწყო ცქერა” (გ. წერეთ., “პირველი ნაბიჯი”) და სხვ.

მაგრამ ზმნური იდიომური გამოთქმების სიჭარბე არ ნიშნავს სხვა ტიპის მოდელების უქონლობას. უბრალოდ, იმის გამო, რომ ეს მოდელები არ გამოირჩევა სიმრავლით და ძირითადად თითო-ორი მაგალითით იფარგლება, მათი შესწავლა განზოგადების საშუალებას ნაკლებად იძლევა (მაგ.: 91).

(91) ბუზები დაახვიეს თავზე – დაასუსტეს, დაჩაგრეს: “განსაცდელში ჩამადგეს. ის დამახარჯვინეს, რაც ბანკს არ მოუცია, და სწორედ რომ **ბუზებიც კი დამახვიეს თავზე**” (აკაკი, ქეგლ)

აღნიშნული ერთეული განეკუთვნება უბირთვო იდიომთა ქვეჯგუფს; სტრუქტურული შედგენილობა სქემატურად ასე გამოიყურება:

$$N \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : pl} \right] + VT_3 \left[\frac{SERIES_II : aor}{NUMBER : pl} \right] + N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} + POST \right] .$$

თავის მხრივ,

აღნიშნული ქვესქემა განეკუთვნება იდიომურ გამოთქმათა $a(N) + b(V) + c(N)$ ტიპს. უბირთვო იდიომურ გამოთქმათა შემადგენლობაში მსგავსი ტიპის კონსტრუქცია მხოლოდ ერთხელ დადასტურდა, რაც განზოგადების საშუალებას არ იძლევა, განსხვავებით სამკომპონენტო ბირთვიანი იდიომებისაგან, სადაც შესაძლებელია ზმნური და სახელური იდიომური გამოთქმების განსაზღვრა და განზოგადება ბირთვში შემავალ კომპონენტებზე დაყრდნობით. ამის ნათელ ნიმუშს წარმოადგენს (მაგ.: 92):

(92) (ა)უტკივარ თავს აიტკივებს – განგებ გაიჭირვებს, გაირთულებს საქმეს: “პირიქით, შენკენაა და რაღა გინდა, რა **აუტკივარ თავს იტკივებ**, არ მესმის შენი” (აკ. გეგენ., “ორეული”).

აღნიშნული შემთხვევა განეკუთვნება ბირთვიან იდიომთა ქვეჯგუფს, რომლის სტრუქტურული შემადგენლობაც შემდეგნაირად გამოიყურება:


$$ADJ \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} \right] + VT_2 \left[\frac{SERIES_I : fut}{NUMBER : sg} \right] .$$

მსგავსი მოდელის

მქონე სამკომპონენტო იდიომურ გამოთქმათა ქვეჯგუფი არ გამოირჩევა ერთეულთა დიდი რაოდენობით: სულ შეგვხვდა 84 ერთეული (ბირთვიანი

იდომების შემთხვევაში) და 12 ერთეული (უბირთვო იდომების შემთხვევაში). მაგრამ ისეთ იდიომურ გამოთქმებში, როგორიცაა *აუტკივარი თავი და თავს იტკივებს*, შემაერთებელ რგოლს არსებითი სახელი წარმოადგენს, შესიტყვების წამყვან სინტაქსურ კომპონენტად კი ზმნა გვევლინება. შესაბამისად, აღნიშნული ქვესქემის იდიომური გამოთქმის დაშლა შესაძლებელია შემდეგნაირად:

გრაფიკი 3: ბირთვიანი სამკომპონენტო იდიომური გამოთქმების შიდა მიმართებაანი



იდომურობის თვალსაზრისით აღნიშნული ქვესქემების (ა, ბ) განხილვა შეიძლება როგორც შესაძლო და დასაშვები სტრუქტურებისა. მეორე ვარიანტი კი ითვალისწინებს მხოლოდ პირველ ნაწილს, სადაც ზმნა მართავს არსებითს (*აიტკივებს თავს*). მეორე ნაწილის (*თავს აუტკივარს*) სავარაუდო დაშვების შემთხვევაშიც კი გამოთქმა – სემანტიკურად მიუღებელი ხდება, თუმცა არა კონსტრუქციული თვალსაზრისით.

საინტერესოა, ამ შემთხვევაში რა სახის ქვესქემები ახასიათებს ყველაზე მეტად სამკომპონენტო იდიომურ გამოთქმებს და როგორი ტიპის მორფოსინტაქსური შიდა მიმართება გვხვდება მათ კომპონენტებს შორის?

ბირთვიანი და უბირთვო სამკომპონენტო იდიომური გამოთქმების შესწავლისას გამოვლინდა ხუთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული კონსტრუქცია, კერძოდ:

- 1) $a(N)+b(N)+c(V)$ (მაგ.: დედის რძეს ამოანთხევინებს, თავზე ლაფს ასხამს, ნამუსის ქუდს აიხდის და ა.შ.)
- 2) $a(ADJ)+b(N)+c(V)$ (მაგ.: სამარცხვინო ბოძზე გააკრავს, ცუდ ნაყოფს გამოიღებს, წითელ პერანგს უკერავს და ა.შ.)
- 3) $a(PRO)+b(N)+c(V)$ (მაგ.: რა ქარმა (გად)მოაგდო (მოიტანა...), ჩემს კისერზე გადაივლის და ა.შ.)
- 4) $a(N)+b(V)+c(N)$ (მაგ.: მიწამ უყო პირი, ჯოჯოხეთი უტრიალებს გულში და ა.შ.)
- 5) $a(N)+b(N)+c(VN)$ (მაგ.: თმის ყალყზე დადგომა, კაკას ხიდის გავლა და ა.შ.)

გარდა ზემოხსენებული სქემებისა, შესწავლილი სამკომპონენტო იდიომური გამოთქმებისათვის დამახასიათებელია სხვა სტრუქტურის მქონე ერთეულებიც. მათი პროცენტული მაჩვენებელი სხვა იდიომებთან შედარებით არ აღემატება 26.9%-ს (321 ერთეულს), სქემატურად კი დადასტურდა კომპონენტთა შეკავშირების 57 ვარიანტი. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული სტრუქტურების შემადგენლობაში აღნუსხულ ერთეულთა მაქსიმალური რაოდენობა არ აღემატება 34-ს (მაგ.: 93):

(93) ენა წინ უსწრებს – დაუფიქრებელი, წინდაუხედავი ლაპარაკი იცის: “ეს კარგად უნდა ახსოვდეთ მათ, ვისაც ენა წინ უსწრებს ცოდნასა“ (ილია, თ. სახ.)

როგორც მაგალითიდან ჩანს, აღნიშნული ერთეული განეკუთვნება

$$N\left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg}\right] + ADV + VT_2\left[\frac{SERIES _ I : prs / fut}{NUMBER : sg}\right]$$
 ქვესქემას, მაგრამ მსგავსი ქვესქემა

კორპუსში შეგვხვდა მხოლოდ ერთადერთხელ. შესაბამისად, მსგავსი ქვესქემების მქონე ერთეულების განხილვა მიზანშეუწონელია მათი სიმცირის გამო. ბუნებრივია, უფრო მიზანშეწონილია შედარებით ხშირად ხმარებული ერთეულების სტრუქტურული დახასიათება. ასეთებია, კერძოდ, ქვემოთ განხილული სტრუქტურის მქონე იდიომური ერთეულები.

2. 3.1. $a(N)+b(N)+c(V)$ სტრუქტურის მქონე სამკომპონენტო იდიომური გამოთქმები

სტრუქტურაში $a(N)+b(N)+c(V)$ პირველ ორ კომპონენტს აქტანტების აღმნიშვნელი არსებითი სახელები წარმოადგენს, ხოლო მესამეს - ზმნა. აღნიშნული

ქვეჯგუფი გამოირჩევა მრავალრიცხოვანი როგორც ბირთვიანი (მაგ.: 94), ასევე უბირთვო (მაგ.: 95) ნიმუშებით.

(94) გზას ბარაქას დააყრის – დროზე წავა, დროულად გაუდგება გზას: “წადი, ძმაო, **გზას ბარაქა დააყარე**” (ო. იოს., ქეგელ)

(95) გუდას პირს მოუხსნის – გაუთავებლად ლაპარაკს დაიწყებს: “...ჩემს საქმეს ძლივს ცუდი ვუპოვნეო და ძლივს ჩემს ლანძღვით სავსე **გუდას პირს მოუხსნო**” (ილია: ალ. ონიანი)

მორფოსინტაქსური თვალსაზრისით აღნიშნული ქვეჯგუფის დახასიათებისას კომპონენტები ქმნიან გარკვეულ იერარქიულ მიმართებას: ზმნა იკავებს სინტაქსურად წამყვან პოზიციას და მართავს დანარჩენ ერთეულებს. როგორც ეს ზემოთ მოყვანილი სქემებიდან ჩანს, ზმნური კომპონენტის წამყვანი პოზიცია აქტანტების მიმართ გამოიხატება მათი ბრუნვების შეპირობებულობით:

დააყრის იგი (S_{აბ.}) გზას (O_{ირ./მივ.}) ბარაქას (O_{პ./მივ.})

დააყარა მან (S_{ერგ.}) გზას (O_{ირ./მივ.}) ბარაქა (O_{პ./აბ.})

მოუხსნის იგი (S_{აბ.}) გუდას (O_{ირ./მივ.}) პირს (O_{პ./მივ.})

მოუხსნა მან (S_{ერგ.}) გუდას (O_{ირ./მივ.}) პირი (O_{პ./აბ.})

მსგავსი ტიპის მიმართებით ხასიათდება შესიტყვების როგორც გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური), ისე სემანტიკური მხარეც. მორფოლოგიური თვალსაზრისით, ეს მიმართება დამოკიდებულია ზმნის პირიანობასა და გარდამავლობაზე, ხოლო სინტაქსური თვალსაზრისით – წინადადებაში მის წამყვან პოზიციაზე (ჩიქობავა 1968, 224) და, მაშასადამე, აიგება მართვის (აბსოლუტურ-გარდაუვალი ზმნის შემთხვევაში), ანდა კოორდინაციის (რელატიურ-გარდაუვალი ან რელატიურ-გარდამავალი ზმნის შემთხვევაში) საფუძველზე.

ზემოაღნიშნულ ქვესქემაში შემავალ ერთეულთა რაოდენობა შეადგენს 468 (ბირთვიან სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების შემთხვევაში) და 102 (უბირთვო სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების შემთხვევაში).

მაშასადამე, სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების დახასიათებისას გამოვლინდა შემდეგი შიდამიმართებანი:

$$ა) N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : nom / dat}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg} \right]$$

(მაგ.: *მზის სინათლეს იხილავს, მტრის ჯავრს შეჭამს, ნამუსის ქუდს აიხდის* და ა.შ.), სადაც პირველი ერთეული მუდამ გაფორმებულია ნათესაობითი ბრუნვით, მეორე – მიცემით ან სახელობით. მორფოსინტაქსური თვალსაზრისით მსგავსი ტიპის ერთეულებში ზმნას წამყვანი (ძირითადი წამყვანი წევრის) პოზიცია უკავია და იგი, გარდამავლობა-პირიანობაზე დაყრდნობით, მეორე კომპონენტისაგან ითხოვს, შესაბამისად, სახელობითს ან მიცემითს; სინტაქსური თავისებურებიდან გამომდინარე კი, აღნიშნული შესიტყვების კომპონენტი სიტყვები შეიძლება გაფორმდეს, როგორც მთავარი წევრები, ანუ შემასმენელი და მისი აქტანტები.

რაც შეეხება ზემოხსენებული სქემის პირველ კომპონენტს, რომელიც მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვით ფორმდება, იგი ყოველთვის განსაზღვრების ფუნქციას ასრულებს. აღნიშნული ქვესქემა ვლინდება როგორც ბირთვიან (მაგ.: 96), ისე უბირთვო (მაგ.: 97) სამკომპონენტიან იდიომურ გამოთქმებში.

(96) გულის ბუხარს იყრის – იგივეა, რაც ჯავრს იყრის: “კვირა დღე იყო და უღლიდან გამოშვებული ხალხი ენას ანძრევდა, ქარს იღებდა, **გულის ბუხარს ყრილობდა**, ტვინს ავარჯიშებდა, აზრსა ჰმახავდა” (ვ. ბარნ., “თებერას დანიშნული”).

(97) (ვინმეს თავზე) წისქვილის ქვა დატრიალდება – უბედურება გადახდება თავს, (ვინმე) ბევრ ჭირს გამოივლის, ბევრ გაჭირვებას ნახავს: “რა შეგცოდა კრავივით უმანკომ და მტრედივით უცოდველმა თეიმურაზმა ისეთი რამ შეუნდობარი, რომ იმის კნაჭა კისერზე ასეთი დიდი **წისქვილის ქვა დაატრიალე?!**” (მ. ჯავახ., “ჯაყოს ხიზნები”).

მსგავსი ტიპის კონსტრუქციაში თავსდება უარყოფითი ნაწილაკების (*არ, ნუ*) შემცველი ერთეულებიც. აღსანიშნავია, რომ უკუთქმითი გამოთქმიდან უარყოფითი ნაწილაკის ამოღება და წართქმით გამოთქმად გადაქცევა იდიომურობას აკარგვინებს გამოთქმას (მაგ.: 98):

(98) (დილის) სიოს არ აკარებს - ძალიან უფროხილდება: “მე ჩემს ესმას **დილის სიო არ მინდა მივაკარო** და შუადღის სიცხე...” (გ. წერ., პირველი ნაბიჯი).

მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ მსგავსი ერთეულების განსაზღვრა შესაძლებელია, როგორც ოთხკომპონენტიანი იდიომური გამოთქმისა, ვინაიდან

უარყოფითი ნაწილაკის გარეშე მათი იდიომურობა ნეიტრალიზებულია, თუმცა კონსტრუქციის თვალსაზრისით იგი სავსებით თავსდება აღნიშნულ ქვეჯგუფში.

$$b) N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} \right] + VT_3 \left[\frac{SERIES : I}{NUMBER : sg} \right]$$

(მაგ.: გზას ბარაქას დააყრის, ენას კბილს დაადგამს, თვალს წყალს დაალევინებს და ა.შ.) აქ პირველი და მეორე კომპონენტები გაფორმებულია მიცემითი ბრუნვით.

ბუნებრივია, რომ მეორე სერიაში კონსტრუქცია იცვლება და შემდეგ სახეს იღებს

$$N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg} \right] + VT_3 \left[\frac{SERIES : II}{NUMBER : sg} \right] .$$

აღნიშნული ქვესქემა ახასიათებს როგორც ბირთვიან (მაგ.: 99), ასევე უბირთვო (მაგ.: 100) სამკომპონენტო იდიომურ გამოთქმებს.

(99) ბერს ცოლს შეართვევინებს – ძალიან მოხერხებული ლაპარაკი იცის, მარჯვე ენა აქვს, ყველას შეაცდენს: “ენა-ჭარტალობა-მაჭანკლობაში იმისი ტოლ-ბადალი არ გაუჩენია ღმერთს – იმისას ამბობდნენ, რომ მოინდომოს, **ბერს ცოლს შეართვევინებსო**” (ე. მენთემ., ქეგლ).

(100) ბედს ხელს ჰკრავს – დაკარგავს ბედს: “მე თქვენი სიკეთე მინდა და კარზე მომდგარ **ბედს ხელს ნუ ჰკრავთო**” (გ. აბაშ., ქეგლ).

2.3.2. $a(ADJ)+b(N)+c(V)$ სტრუქტურის მქონე სამკომპონენტო იდიომური გამოთქმები

სტრუქტურაში $a(ADJ)+b(N)+c(V)$ პირველ კომპონენტს ზედსართავი სახელი წარმოადგენს, მეორე კომპონენტს – არსებითი სახელი, მესამეს კი – ზმნა. აღნიშნულ ქვეჯგუფში შემავალ ერთეულებს ახასიათებთ როგორც ბირთვიანი (მაგ.: 101), ასევე უბირთვო (მაგ.: 102) ერთეულები.


(101) კარგი თვალთ უყურებს – კარგად ეპყრობა, ენდობა, სწყალობს: “გაგიმართლათ ბიჭებო, სერგეიმ **კარგი თვალთ შეგხედათ!..**” (აკ. გეგენ., “ორეული”)

(102) ავი ქარი დაეცემა – გაგიჟდება: “რასა რეგვენობ, ძმაო? **ავი ქარი** ხომ არ **დაგცემია?**” (ა. ცაგარ., ქეგლ)


სინტაქსური თვალსაზრისით, ზმნური კომპონენტი წამყვან პოზიციას იკავებს მხოლოდ შესიტყვების არსებითსახელიანი კომპონენტის მიმართ, რომელიც თავის

მხრივ, მართავს მეორე კომპონენტს. შესაბამისად, თუ არსებობს სახელიან იდიომურ გამოთქმებს დაქვემდებარებული პოზიციების ასახვა შესაძლებელია შემდეგნაირად:

გრაფიკი 4: ზმნური კომპონენტების პოზიცია სახელური კომპონენტების მიმართ (ა-ბ)



მაშინ აღნიშნულ ქვეჯგუფში შემავალ ერთეულთა დახასიათება შესაძლებელია შემდეგნაირად:



გარდა ამისა, აღნიშნულ ერთეულებში შემავალი ზმნური კომპონენტები, ისევე როგორც ზმნები ორკომპონენტიან ზმნურ იდიომურ გამოთქმებში ძირითადად წარმოდგენილია სრული ასპექტის ფორმებით. თავის მხრივ, ასპექტის კატეგორია, ქცევის კატეგორიის შემდეგ, ქართულში საკმაოდ მნიშვნელოვანია იდიომურობის თვალსაზრისით. მას ეძებნება გარკვეული პარალელები რუსულ და ახალბერძნულ იდიომურ გამოთქმებთან (მათ დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ). აღნიშნულ ქვესქემაში შემავალ ერთეულთა რაოდენობა შეადგენს 84-ს ბირთვიანი სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების შემთხვევაში, და 12-ს უბირთვო სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების შემთხვევაში.

შესაბამისად, ქვეჯგუფის დახასიათებისას გამოვლინდა შემდეგი შიდამიმართებანი:

$$ა) ADJ \left[\frac{CASE : nom / dat}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : nom / dat}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg} \right]$$

(მაგ.: საკუთარ ფეხზე დგას, სამარცხვინო ბოძზე გააკრავს და ა.შ.). მსაზღვრელის გაფორმება სახელობითი ან მიცემითი ბრუნვის ფორმით დამოკიდებულია საზღვრულ არსებით სახელზე, რომელიც ასევე ფორმდება ამავე ბრუნვაში

(სახელობითში ან მიცემითში) და, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმ კონსტრუქციაზე, რომელსაც მისგან ითხოვს ერთპირიანი, ორპირიანი თუ სამპირიანი ზმნა. ამასთანავე, სახელის მიცემითი ან სახელობითი ბრუნვით გაფორმებისას ზოგჯერ გვხვდება -ვით, -ზე, -ში თანდებულიანი ფორმებიც (სახელობითის გაუვრცობელი და მიცემითის გავრცობილი ფორმების შემთხვევაში): *წითელი ზოლივით გასდევს, საკუთარ ფეხზე დგას, საკუთარ ქერქში გამოეხვევა*. აღნიშნული თანდებულიანი ფორმებიდან ყველაზე იშვიათად გვხვდება -ში თანდებულის შემცველი ელემენტები, სულ შეგვხვდა ორი მაგალითი (*კარგ (შავ) დღეში არის, საკუთარ ქერქში გამოეხვევა*).

აღნიშნული ქვესქემა ახასიათებს როგორც ბირთვიან (მაგ.: 103), ასევე უბირთვო (მაგ.: 104) სამკომპონენტიან იდიომურ გამოთქმებს.

- (103) შავ დღეს დააყენებს (აყენებს) – ცუდ მდგომარეობაში ჩააგდებს ვინმეს:
“ზვალ ალიონზე დავეცემი თავზე ორივე დედა-შვილს და შავ დღეს დავაყენებ..”
 (დ. კლდ., “მსხვერპლი”).

- (104) სამგლე გოჭივით ატყდება – საკუთარი თავის საზიანოდ/საუბედუროდ, ახირდება: *“შშივრებიც რომ დავრჩეთ, მაინც უნდა მოვიხადოთ, ამიტომ სჯობია სამგლე გოჭივით ნუ ავტყდებით, თორემა...”* (მ. ჯავახ., “არსენა მარაბდელი”).

$$\text{ბ) } ADJ \left[\frac{CASE : ins}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : ins}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg} \right]$$

(მაგ.: *ავი თვალით (არ) ინახ(ვ)ება, კარგი თვალით უყურებს, სამგლე გოჭივით ატყდება* და ა.შ.). მსგავს სქემებში პირველი ერთეულის (მსაზღვრელის) გაფორმება მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით დამოკიდებულია მოქმედებითი ბრუნვის ფორმით გაფორმებულ არსებით სახელზე (მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის გარდამავალი სახეობის (ჯანაშია 1956, 254) ფარგლებში). აღნიშნული არსებითი სახელის ფორმას კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმ კონსტრუქციაზე, რომელსაც მისგან მოითხოვს ერთპირიანი, ორპირიანი ან სამპირიანი ზმნა.

ამ ქვეჯგუფში შემავალი ერთეულები სიმრავლით არ გამოირჩევა. სულ შეგვხვდა რვა ბირთვიანი სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმა (მაგ.: 105); უბირთვო იდიომურ გამოთქმებს მსგავსი სქემა არ ახასიათებს.

(105) უშვერი პირით ლანძღავს – უშვერად ლანძღავს, აგინებს, შეურაცხყოფს:

“ის თავის-თავზე სულ ერთსა და იმავესა მწერდა: “აზნაურა ჩამომეკიდა, აღარ მისვენებსო, საცა დამინახავს, უშვერის პირითა მლანძღავსო, იმის შიშით მეზობლები პურის სასესხებლად ვედარ მოსულან ჩემთანაო და სხვ.” (ნ. ლომ., “ალი”).

გარდა ზემოხსენებული ორი ქვესქემისა, $a(ADJ)+b(N)+c(V)$ სქემის სამკომპონენტო იდიომურ გამოთქმებს ახასიათებს ქონა-ყოლის აღმნიშვნელი მეშველი ზმნის შემცველი ერთეულები (*გრძელი ენა აქვს, მაგარი გული აქვს, ბრმის ბედი აქვს და ა.შ.*). მოცემული ერთეულები მოთავსდა სამკომპონენტო იდიომურ გამოთქმათა რიგში, მაგრამ ამ რიგში მათი მოთავსება პირობითია, რადგანაც მეშველ ზმნას მაინცდამაინც სავსე სემანტიკური დატვირთვის მქონე კომპონენტად ვერ მივიჩნევთ. შესაბამისად, განსახილველია ორკომპონენტო და არა სამკომპონენტო ერთეულები, რომლებსაც განსაზღვრული დონის იდიომურობა ახასიათებთ (*გრძელი ენა, მაგარი ზურგი, მაგარი გული, ბრმის ბედი და ა.შ.*). აღნიშნული ტიპის ერთეულები კი უკვე განხილულია ორკომპონენტო სახელური იდიომური გამოთქმების ფარგლებში, მეშველ-ზმნიან კონსტრუქციებს კი დაწვრილებითი მოგვიანებით შევეხებით.

2. 3.3. $a(PRO)+b(N)+c(V)$ სტრუქტურის მქონე სამკომპონენტო იდიომური გამოთქმები


$a(PRO)+b(N)+c(V)$ სქემაში პირველ კომპონენტს ნაცვალსახელი წარმოადგენს, მეორე კომპონენტს – არსებითი სახელი, ხოლო მესამეს – ზმნა. აღნიშნული ქვეჯგუფი დასტურდება მაგალითების ზომიერი რაოდენობით. კერძოდ, შეგვხვდა 83 – ბირთვიანი (მაგ.: 106), ხოლო 32 ერთეული – უბირთვო (მაგ.: 107) ერთეული.

(106) მისი კისრიდან ამოიღებს – მას გადაახდევენ: “იმ დღეს რომ ხუთი მანეთი დაგვაკლდა, მაგის კისრიდან ამოვიღებ ახლა ამ ფულს!” (ვ. ბარნ., ქებელ).

(107) თავის პურს მოიჭამს – დრო გაუვა: “ჩვენ ჩვენი პური მოგვიჭამია” (აკაკი, ქებელ).

მაგრამ აღნიშნულ ერთეულთა სიმრავლე განპირობებულია ჯერ თვით ნაცვალსახელურ კომპონენტთა სიჭრელით, რაც გამოწვეულია ნაცვალსახელთა

მრავალგვარობით (კუთვნილებით, კითხვითი და სხვა ტიპის ნაცვალსახელები). მაგრამ, ამასთანავე, წამყვან პოზიციას იგი არასდროს იკავებს და, მით უმეტეს, არც მართავს სხვა კომპონენტებს. მეტიც: აღნიშნულ კონსტრუქციაში ნაცვალსახელი ხშირად ენაცვლება სხვა ნაცვალსახელებს ან თვით არსებით სახელს. სასაუბრო ქართულში გვხვდება აღნიშნული კონსტრუქციის შემცველი რამდენიმე ტიპის იდიომური გამოთქმა, მაგ.: *მისი (ვისიმე) კისრიდან ამოიღებს, ხალხის კისრიდან ამოიღებს* და ა.შ. მაშასადამე, ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული მოდელი ძალზე მოქნილია, რაც გვარწმუნებს იმაში, რომ იდიომურობა მსგავს შემთხვევაში ნაცვალსახელზე დამოკიდებული არ არის და მსგავსი ტიპის მოდელები “მდგრადობის” სიმბოლოდ არ გამოგვადგება. ანალოგიურ მაგალითებში წამყვანი პოზიცია კვლავ ზმნას უჭირავს და იგი მართავს დანარჩენ ერთეულებს. აღნიშნულ ქვეჯგუფში შემავალ ერთეულთა (მაგ.: 108) დაქვემდებარება აისახება შემდეგნაირად:



(108) მისი ვარსკვლავი ამოდის – წინსვლა აქვს: “ფატიმიდების **დინასტიის ვარსკვლავი ამოდიოდა**” (კ. გამს., “დიდოსტატის მარჯვენა”)

როგორც მაგალითიდან ჩანს, წამყვან კომპონენტს წარმოადგენს ზმნა, რომელიც მართავს არსებითს, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ითანხმებს კუთვნილებით ნაცვალსახელს. სინტაქსური თვალსაზრისით, ზმნური კომპონენტი წამყვან პოზიციას იკავებს მხოლოდ შესიტყვების არსებითსახელიანი კომპონენტის მიმართ, რომელიც თავის მხრივ, მართავს ნაცვალსახელურ კომპონენტს და მისგან განსაზღვრულ ფორმას მოითხოვს: *ამოიღებს (საიდან?) - ამოიღებს კისრიდან* (იდიომი: *მისი კისრიდან ამოიღებს*) ან *მოიჭამს (რას?) - მოიჭამს პურს* (იდიომი: *სხვის (თავის, ჩვენ და ა.შ.) პურს მოიჭამს*).

შესაბამისად, მოცემული ქვეჯგუფის დახასიათებისას გამოვლინდა შემდეგი შიდამიმართებანი:

$$a) PRO_{INT} \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : nom / erg / dat}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg} \right]$$

პირველი ერთეული წარმოგვიდგება სახელობითი ბრუნვით გაფორმებული რა ნაცვალსახელით (მაგ.: *რა თავში იხლის, რა ქარმა მოაგდო, რა ღმერთი უწყრება* და

ა.შ.), რომელი (რომელმა ქარმა (ბედმა) გადმოგაგდო?). კონსტრუქციის წამყვან კომპონენტად კვლავ გვევლინება ზმნა, რომელიც მართავს არსებითს. სულ შეგვხვდა 21- ბირთვიანი სამკომპონენტო იდიომური გამოთქმა (მათ შორის: რა - 20, რომელი - 1). მსგავსი ქვესქემის მქონე ერთეულებში ზმნა არსებითი სახელისგან ითხოვს სახელობითს (მაგ.: 109), მოთხრობითს (მაგ.: 110), ანდა მიცემით (მაგ.: 111) ბრუნვებს.

(109) რა დავა აქვს – რა ესაქმება? რა ენაღვლება? რა რჯის? სადავო რა აქვს?: “მე ვარ მისი ბიძა და მზრუნველი, ვის რა დავა აქვს! თუ მე არ ვჩივი, ჩემს დას რა აჩივლებს!” (გ. წერეთ., “მამიდა ასმათი”)

(110) რა ალაღმა დაჰქროლა? – რამ დააფრთხო? რა მოეჩვენა? “აქ რა იმისთანა ალაღმა დაჰქროლა, რომ ჭკუა-გონება დაჰბნევია” (ილია, “ქვათა ღაღადი”)

(111) რა ხელს ჰყრის – რას არგია: “რა ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული?” (ნ. ბარათ., ქეგლ).

განსაკუთრებით საინტერესოა ის მაგალითები, სადაც რა ნაცვალსახელი და არსებითი სახელი ბრუნვებში ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც განპირობებულია იმით, რომ რა ნაცვალსახელი ხმოვანფუძიანია და ადვილად ეხამება ნებისმიერ ბრუნვაში დასმულ სახელს.

$$b) \quad PRO_{POSS} \left[\frac{CASE : nom / dat}{NUMBER : sg / pl} \right] + N \left[\frac{CASE : nom / dat}{NUMBER : sg / pl} \right] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg / pl} \right]$$

(მაგ.: შენი ჭირი შემეყაროს, შენი ჭირი წაეღოს, შენს კისერზე გადაივლის და ა.შ.) პირველი ერთეული წარმოდგენილია სახელობითი ან მიცემითი ბრუნვით გაფორმებული კუთვნილებითი ნაცვალსახელით, რომელიც დამოკიდებულია მომდევნო სახელურ კომპონენტზე. ამ უკანასკნელის მორფოლოგიური ფორმა კი, თავის მხრივ, განისაზღვრება ზმნის ფორმით, და, შესაბამისად, ითანხმებს ნაცვალსახელურ კომპონენტს ბრუნვაში. გარდა ამისა, სინტაქსური ფუნქციების თვალსაზრისით აღნიშნული ქვესქემის პირველი კომპონენტი გვევლინება განსაზღვრების ფუნქციით (მაგ.: 112).

(112) თავის ჭკუაზე მიჰყავს – ამოქმედებს თავისი მოსაზრების მიხედვით:
 “ხედავ, ამ ყურუმსალ ბესიას თავის ჭკუაზე მიჰყავს თემი...” (ე. ნინოშ., “ჯანყი გურიში”).

$$გ) PRO_{REL} [PRO_{INT} [CASE : nom] + PTC] + N \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2} \left[\frac{SERIES : I / II / III}{NUMBER : sg / pl} \right]$$

(მაგ.: რაც თავი შეუსწავლია, რაც სიგრძე აქვს და ა.შ.). პირველი ერთეული წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვით გაფორმებული მიმართებითი ნაცვალსახელით, რომელიც დამოკიდებულია ასევე სახელობითი ბრუნვით გაფორმებულ სახელურ კომპონენტზე, ამ უკანასკნელის ბრუნვა კი შეპირობებულია ზმნა-შემასმენლით. სულ დადასტურდა ექვსი ბირთვიანი სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმა (მაგ.: 113). აღნიშნული ერთეულებიდან კი მხოლოდ ერთს ეხამება მესამე სერიის მწკრივით გაფორმებული ზმნური კომპონენტი (მაგ.: 114), ჩვეულებრივ კი ზმნა ფორმდება პირველი და მეორე სერიის მწკრივებით.

(113) რაც ძალა აქვს – იგივეა, რაც ძალი და ღონე აქვს (იხ. ღონე): “ბოლოს მარინესაც უღალატა მოთმინებამ და, რაც ძალა ჰქონდა, განწირულებით შეჰყვირა გააფთრებულ დედაბერს” (დ. კლდ., “მსხვერპლი”).

(114) რაც თავი შეუსწავლია, რაც თავი შეისწავლა – რაც თავი ახსოვს, რაც ჭკუაში ჩავარდა: "...ასე გამიგონია, თორემ მე, სწორედ გითხრა, რაც თავი შემისწავლია, არც ერთი არ გამომიცდია” (ს. მგალ., “ღამის მეხრე ცეცო”).

დ) განსაზღვრებითი ნაცვალსახელური კომპონენტის შემცველი იდიომური გამოთქმების ცალკე ქვესქემად ჩამოყალიბებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც განსაზღვრებითი ნაცვალსახელის შემცველი მხოლოდ ორი ბირთვიანი იდიომური გამოთქმა შეგვხვდა (*სხვა ალაღმა (ქარმა) დაჰქროლა, სხვა ფასი აქვს*). თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განსაზღვრებითი ნაცვალსახელი, რომელიც თითქმის არ გვხვდება ორკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების შემადგენლობაში, დადასტურდა სამკომპონენტიან იდიომურ გამოთქმებში (მაგ.: 115, 116):

(115) სხვა ალაღმა დაჰქროლოს – სხვა რამე შეემთხვეს, შეხვდეს, სხვა განსაცდელი, ცუდი ვითარება შეექნას, სხვა რამე მოეჩვენოს: “აბა ერთი სხვა

ალალმა დაჰქროლოს... უარყოფელ ვაჟბატონებს, თუ სულ სხვა ჰანგზე არ დაიწყო გალობა” (ილია, ქეგლ).


(116) (სულ) სხვა ფასი აქვს – სხვანაირია, უფრო შეუდარებლად მეტი ძალა აქვს: “– არსენას არშინს სხვა ფასი აქვს, – ეტყოდა ჩარჩი და საქონელს ორჯერ უფრო ძვირად დაუფასებდა” (მ. ჯავახ., “არსენა მარაბდელი”).

2. 3.4. $a(N)+b(V)+c(N)$ სტრუქტურის მქონე სამკომპონენტო იდიომური გამოთქმები

სტრუქტურაში $a(N)+b(V)+c(N)$ პირველ კომპონენტს სახელი წარმოადგენს, მას მოჰყვება ზმნა, რომელიც, თავის მხრივ, მართავს როგორც პირველს, ასევე მესამე (სახელურ) კომპონენტსაც. რაოდენობის თვალსაზრისით აღნიშნული ქვეჯგუფი არ გამოირჩევა ერთეულთა მრავალრიცხოვნობით. სულ შეგვხვდა იდიომური გამოთქმების 34 ბირთვიანი და 14 უბირთვო ერთეული.

აღნიშნული ტიპის გამოთქმა სინტაქსურად ყველაზე ახლოს დგას მარტივ წინადადებასთან; მსგავსი ტიპის იდიომურ გამოთქმაში წარმოდგენილია როგორც სუბიექტი, ასევე ობიექტი; სამპირიანი ზმნის შემთხვევაში შესაძლებელია შეგვხვდეს ორი სახელი, რომელთაგან ერთ-ერთი ზმნაზე დამოკიდებული ობიექტია. მას შეიძლება ახლდეს გარემოებაც (კვლავ არსებითი სახელის სახით). აღნიშნულ ქვეჯგუფში შემავალ კომპონენტთა დაქვემდებარება აისახება შემდეგნაირად:

გრაფიკი 5: მარტივი წინადადების სტრუქტურის მქონე იდიომური გამოთქმები



როგორც აღინიშნება, ხსენებული სამკომპონენტო იდიომური გამოთქმის სახელური კომპონენტის ფორმა დამოკიდებულია წამყვან ზმნურ კომპონენტზე; შესაბამისად, სქემატურად მისი ასახვა ქართულში ხდება: გარდამავალი ზმნის შემთხვევაში მისთვის სამივე ნომინატიური, ერგატიული და დატიური კონსტრუქციებით (მაგ.:117), გარდაუვალი ზმნის შემთხვევაში კი – ნომინატიურით (მაგ.: 118):

$$N\left[\frac{CASE : nom / erg / dat}{NUMBER : sg}\right] + VT_{1/2}\left[\frac{Series : I / II}{NUMBER : sg / pl}\right] + N\left[\frac{CASE : nom / dat}{NUMBER : sg} + POST\right]$$

(117) ქარი შეუჯდება მუხლებში – ქარის სისწრაფით წავა: "დილით ხმა გატყდა, ახლებსა **მუხლებს შეუდგა ქარია**, მთა-მთის წვერთ ეცნენ, სადაცა მტერთა გეზები არია" (ბაჩ., ქეგლ)

(118) კატა მოუკვდება ხელში (კატაც ვერ გაძლება მის ოჯახში) – მეტისმეტად ღარიბია, საჭმელი იმდენიც არა აქვს, კატას რომ ეყოს: "ეხლა არა თუ **კატა მოუკვდებათ ხელში**, პირიქით, თავზე კაკალსაც გვამტვრევენ!" (ნ. აზიანი, თ. სახ.); ბოღმა მოეშვება გულზე – დარდი გაუვლის: "როცა ტუსალებს თვალი გადაავლო, ილიას ცოტათი **გულზე მოეშვა ბოღმა**" (მელან., თ. სახ.).

2. 3.5. $a(N)+b(N)+c(VN)$ სტრუქტურის მეორე სამკომპონენტური იდიომური გამოთქმები

სტრუქტურაში $a(N)+b(N)+c(VN)$ პირველ კომპონენტს სახელი წარმოადგენს, მას მოჰყვება სახელი და საწყისი (მასდარი). აღნიშნულ ქვეჯგუფში შემავალი ერთეულები ნაწილდება შემდეგნაირად: 34 ბირთვიანი და 5 უბირთვო იდიომური გამოთქმა.

თუ ამოვალთ კონსტრუქციის საერთო მნიშვნელობიდან ვნახავთ, რომ სინტაქსურად მსგავსი ტიპის კონსტრუქციებში ნათესაობითში დასმული სახელი პოტენციური ობიექტის ფუნქციას (მაგ.: 119) ასრულებს, ზოგჯერ კი მნიშვნელობას იცვლის და წინადადებაში შეიძლება წარმოგვიდგეს მეშველი ზმნით გაფორმებული შემასმენლის ფუნქციით (საწყისი მიმღეობად იქცევა (მაგ.: 120), ანდა პირდაპირ შემასმენლის ფუნქციით (საწყისი ზმნად იქცევა (მაგ.: 121)

(119) ბაბილონის გოდოლის აშენება – უწესოება, უაზრო, ხმამაღალი ლაპარაკი, როცა ერთს მეორისა არა ესმის რა: "საწყალო ბავშვებო! თუ თქვენ ამ **ბაბილონის გოდოლის აშენებაში** სრული გონება შეგრჩათ, ბარაქალა თქვენის ბუნების ძლიერებას" (ილია, ქეგლ).

(120) კუდის კუდზე გადაბმა – ერთმანეთთან შეკავშირება: "საწყობის გამგესა და მოანგარიშეს **კუდი კუდზე ჰქონდათ გადაბმული**: ერთად ფლანგავდნენ" (ქეგლ).

(121) თავზე ნაცრის დაყრა – გლოვა, მწუხარება, თავის შერცხვენა, თავის დამცირება: “იგლეჯდა თმასა და წვერსა და ნაცარსა თავსა ზედა იყრიდა, რომელ რისხვა ღმრთისა ეწეოდა” (ს. თმოგვ., “ამირან-დარეჯანიანი”).

აღნიშნული ტიპის სამკომპონენტო იდიომური გამოთქმები სხვა სამკომპონენტო იდიომებისაგან, ძირითადად, იმით განსხვავდება, რომ მათ ზმნური კომპონენტი აკლიათ. მორფოლოგიური შემადგენლობაც სქემატურად ასე გამოისახება:

$$N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right] + VN \quad (\text{მაგ.: ცეცხლის პურის ჭამა, შიშის}$$

ზარის დაცემა და ა.შ.) – ამ ტიპის კონსტრუქციებში, მასდარი სუბიექტის ფუნქციას ასრულებს, ხოლო დანარჩენი არსებითი სახელები მას საზღვრავენ;

$$N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} + POST \right] + VN \quad (\text{მაგ.: თმის ყალყზე}$$

დადგომა, ცეცხლის ალში გატარება, ხელის გულზე ტარება და ა.შ.) – მოცემული ტიპის კონსტრუქციებში, მასდარი ზმნის ფუნქციებს ითავსებს, ხოლო ერთ-ერთი სახელი, როგორც წესი საზღვრავს მეორეს;

$$N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} + POST \right] + N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right] + VN \quad (\text{მაგ.: თავზე ნაცრის დაყრა,}$$

თავზე ჯოხის გადამტვრევა და ა.შ.) – მსგავსი ტიპის კონსტრუქციებში, მეორე სახელი საზღვრავს საწყისს.

მასალის შესწავლის საფუძველზე ვასკვნიტ, რომ სამკომპონენტო იდიომური გამოთქმები არცთუ მრავალრიცხოვანია, მათი რაოდენობა 1190 ერთეულს შეადგენს. ჩვენი კლასიფიკაციით, სემანტიკური თვალსაზრისით ისინი იყოფა ბირთვიან და უბირთვო ტიპებად. მათ შორის ბირთვიანი იდიომური გამოთქმების რაოდენობა შეადგენს 896 ერთეულს ($\approx 75\%$), ხოლო უბირთვო – 294 ერთეულს ($\approx 25\%$).

ნაშრომში შევეცადეთ ყველაზე უფრო პროდუქტიული სტრუქტურული ტიპების გამოვლენა. აღნიშნულ ტიპებში შემავალ ერთეულთა მინიმალური რაოდენობაა 34 ერთეული, დანარჩენ სტრუქტურულ სქემებში შემავალ ერთეულთა რაოდენობა მერყეობს 1-დან 34-ს შორის, რაც არ იძლევა მათი სტრუქტურული

სქემების განზოგადების საშუალებას.

სტატისტიკურად ზმნური კონსტრუქციები ბევრად სჭარბობს ყველა დანარჩენს და შეადგენს სამკომპონენტო იდიომთა საერთო რაოდენობის 92 პროცენტს.

მაშასადამე, ქართული ენისათვის დამახასიათებელი სამკომპონენტო $(a + b + c)$ სქემით გამოხატული იდიომური გამოთქმების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სტრუქტურის მქონე ერთეულები:

ცხრილი 7: სამკომპონენტო იდიომური გამოთქმების სტრუქტურა

სამკომპონენტო იდიომის სტრუქტურა	მაგალითი	რაოდენობა
$N + N + V$	გუგულს ღალას მოჰპარავს, დამწვარზე მდუღარეს ასხამს, ბერს ცოლს შეართვევინებს...	468 – ბირთვიანი ერთეული 102 – უბირთვო ერთეული სულ: 570 ერთეული
$PRO + N + V$	შენი ჭირი შემეყაროს, ჩემს კისერზე იყოს, რა თავში იხლის...	83 – ბირთვიანი ერთეული 32 – უბირთვო ერთეული სულ: 115 ერთეული
$ADJ + N + V$	დიდ ტვირთს აიკიდებს, კარგი პირი უჩანს, ავი ქარი დაეცემა...	84 – ბირთვიანი ერთეული 12 – უბირთვო ერთეული სულ: 96 ერთეული
$N + V + N$	მიწამ უყო პირი, ტყვიასავით მოხვდება გულში, ჯოჯოხეთი უტრიალებს გულში...	34 – ბირთვიანი ერთეული 14 – უბირთვო ერთეული სულ: 48 ერთეული
$N + N + VN$	ეკლით გზის მოფენა, ნადირის პირის შეკვრა, ცხვირიდან ძმრის წადენა...	34 – ბირთვიანი ერთეული 5 – უბირთვო ერთეული სულ: 39 ერთეული
დანარჩენი	ფარდას უკან იფარება, ყვავი ჩხიკვის მამიდა, ვირზე უკუდმა ზის...	193 – ბირთვიანი ერთეული 129 – უბირთვო ერთეული სულ: 322 ერთეული

თავის მხრივ, თითოეულ სტრუქტურას კონკრეტული ტიპის მორფოლოგიური ქვესქემები ახასიათებს, კერძოდ:

**ცხრილი 8: სამკომპონენტო იდიომური გამოთქმების კომპონენტური
შემაღგენლობა**

$N + N + V$ 570 ერთეული	$N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : nom / dat}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg} \right]$ $N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} \right] + VT_3 \left[\frac{SERIES : I}{NUMBER : sg} \right] \rightarrow$ $N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg} \right] + VT_3 \left[\frac{SERIES : II}{NUMBER : sg} \right]$
$PRO + N + V$ 117 ერთეული	$PRO_{INT} \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : nom / erg / dat}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg} \right]$ $PRO_{POSS} \left[\frac{CASE : nom / dat}{NUMBER : sg / pl} \right] + N \left[\frac{CASE : nom / dat}{NUMBER : sg / pl} \right] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg / pl} \right]$ $PRO_{REL} [PRO_{INT} [CASE : nom] + PTC] + N \left[\frac{CASE : nom}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2} \left[\frac{SERIES : I / II / III}{NUMBER : sg / pl} \right]$
$ADJ + N + V$ 96 ერთეული	$ADJ \left[\frac{CASE : nom / dat}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : nom / dat}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg} \right]$ $ADJ \left[\frac{CASE : ins}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : ins}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2/3} \left[\frac{SERIES : I / II}{NUMBER : sg} \right]$
$N + V + N$ 48 ერთეული	$N \left[\frac{CASE : nom / erg / dat}{NUMBER : sg} \right] + VT_{1/2} \left[\frac{Series : I / II}{NUMBER : sg / pl} \right] + N \left[\frac{CASE : nom / dat}{NUMBER : sg} + POST \right]$
$N + N + VN$ 39 ერთეული	$N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right] + VN$ $N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} + POST \right] + VN$ $N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} + POST \right] + N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right] + VN$

2.4. ოთხკომპონენტური და ხუთკომპონენტური იდიომური გამოთქმები

ოთხკომპონენტური $a+b+c+d$ და ხუთკომპონენტური $a+b+c+d+e$ სტრუქტურის მქონე იდიომები გაცილებით იშვიათად გამოიყენება ქართულ ენაში, ვიდრე ორკომპონენტური ან თუნდაც სამკომპონენტური. სულ გამოვლინდა ქართული ენისათვის დამახასიათებელი 154 ოთხკომპონენტური (მაგ.: 122) და 65 ხუთკომპონენტური (მაგ.: 123) ერთეული.

(122) თხა და მგელივით არიან (უყურებენ, უცქერიან) – მტრულად არიან ერთმანეთის მიმართ განწყობილნი: “მასწავლებელნი და მოწაფენი ერთმანეთს **თხა და მგელივით უცქეროდნენ**” (ი. ეკალ., ქეგლ).

(123) ძვალი და რბილი ძირს ჩამოსდის – ძალიან დაღლილია, დაქანცულია: “დაღალული ვარ. ჩემი შვილების დარჩენამ, ისეთი ვარ, რომ სულ **ძვალი და რბილი ძირს ჩამომდის**” (ს. მაგალ., ქეგლ).

აღსანიშნავია, რომ ოთხკომპონენტური და ხუთკომპონენტური იდიომური გამოთქმები სტრუქტურულად ძალზე მრავალფეროვანია, რის გამოც განზოგადების საშუალებას ნაკლებად იძლევა. მაგრამ გამოვლენილი ერთეულების სტატისტიკური დამუშავების შედეგად გაირკვა, რომ ორივე ტიპის ერთეულს ახასიათებს:

ა) ბირთვიანი კომპონენტების არსებობა, რაც თავისი არსით ზმნურ ელემენტს უკავშირდება (მაგ.: 124, 125)

(124) ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა – არევ-დარევის გამოყენება თავის სასარგებლოდ: “მიაველ-მოავლო თვალი, სუნი იკრა, ალლო აართო ამ დომხალივით არეულ ხალხს და მიჰყო ხელი **ამღვრეულ წყალში თევზის ჭერას**” (ვ. ბარნ., “ისნის ცისკარი”).

(125) თითებიდან ზეთი და ერბო მწვეთს – მდიდარია, შეძლებულია, გაურჯელად, უშრომლად მოსდის ყველაფერი: “მე კი **თითებიდამ ზეთი და ერბო მწვეთდა** თუ! ვირჯებოდი და უტკივარს ლუკმას ვჭამდიო” (ილია, “ქვათა ღაღადი”).

ბ) სტრუქტურული მრავალფეროვნების მიუხედავად, მაგალითების უმრავლესობას ახასიათებს და კავშირის არსებობა (მაგ.: 126, 127).

(126) დღე და ღამე იყრება – საღამოვდება, ბინდდება, ღამდება: “**დღე და ღამე იყრებოდა**. ვარსკვლავები ცაზე დაენთენ” (გ. წერეთ., “მამიდა ასმათი”).

(127) თავში ქვა და მუცელში სამართებული – იტყვიან, როდესაც ვინმეზე ძალიან გაჯავრებულები არიან და ყოველგვარ ცუდს უსურვებენ: “მე ჩემსას ვეტყოდი, ვურჩევდი... გამიგონებდნენ, კარგი! არა და – **თავში ქვა და მუცელში სამართებული!**” (ი. მაჭავ., თარგმ., ქეგლ).

რაოდენობრივად ბირთვიანი ოთხკომპონენტური ან ხუთკომპონენტური იდიომური გამოთქმები ჩამორჩებიან სამკომპონენტური იდიომურ გამოთქმებს. თუმცა მათი არსებობა აქაც განპირობებულია იდიომის სტრუქტურაში შემავალი ბირთვიანი კომპონენტებით, როგორც ეს ნათლად ჩანს მოყვანილი მაგალითებიდან:

ამღვრეულ (მღვრიე) წყალში თევზის ჭერა (დაჭერა), ანდა: *ამღვრეულ (მღვრიე) წყალში თევზს იჭერს*. აღნიშნული მაგალითი სტრუქტურულად განისაზღვრება, როგორც ზმნური კონსტრუქცია, რადგანაც მის შემადგენლობაში შესულ კომპონენტთაგან აქტანტებს მართავს უშუალოდ ზმნა ან ზმნური კატეგორიების მქონე საწყისი (მასდარი). ამის პარალელურად აშკარად შესაძლებელია მსგავსი ტიპის ერთეულთა ორ ნაწილად დაშლა: 1) გარემოებით ჯგუფად (*ამღვრეულ წყალში*) და 2) შემასმენლის ჯგუფად (ნაგულისხმები S-ის ჩათვლით *თევზს იჭერს*). მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ, იმისდა მიუხედავად, თუ რით არის წარმოდგენილი იდიომის მეორე ნაწილი, პირველი ნაწილი მუდამ ექვემდებარება ორკომპონენტური სახელური იდიომური გამოთქმების მორფოსინტაქსურ შეწყობის

წესს და წარმოგვიდგება $NP = ADJ \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg} \right] + N \left[\frac{CASE : dat}{NUMBER : sg / pl} + POST \right]$

სქემის სახით; მეორე ნაწილის გაფორმება კი ყოველთვის ექვემდებარება ზმნური ორკომპონენტური იდიომური გამოთქმების მორფოსინტაქსურ წყობას და

წარმოგვიდგება $NP = N \left[\frac{CASE : gen}{NUMBER : sg} \right] + VN \left[\frac{CASE : nom / erg / dat / gen / ins / adv}{NUMBER : sg} \right]$, ანდა

$VP = N + V$ სქემების სახით.

2.5. დასკვნები

2.5.1. სახელური იდიომური გამოთქმები

ორ-, სამ- და მეტკომპონენტიან სახელური იდიომებთან დაკავშირებით მასალის სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. მორფოლოგიური თვალსაზრისით, სახელური იდიომების უმრავლესობა არ იზღუდება გრამატიკული რიცხვით (მხოლოდობით ან მრავლობითით), თუმცა ზოგიერთ იდიომს აქვს მიდრეკილება ამა თუ იმ (მხოლოდობით ან მრავლობითი) რიცხვისადმი (შდრ. *გულის ხმა* – მრავლობითი რიცხვის ფორმით არსად დასტურდება, ხოლო *ნიანგის ცრემლები* – მხოლოდობითი რიცხვის ფორმით). შესაბამისად, სახელური იდიომები გვხვდება როგორც მხოლოდობითში, ასევე ებ-იან მრავლობითშიც. ნართანიანი მრავლობითის ფორმები, როგორც წესი, სახელურ იდიომებს არ ახასიათებთ (თუ საქმე არა გვაქვს ბიბლიურ გამოთქმებთან, შდრ. *ძლიერნი ამა ქვეყნისანი*);
2. ამა თუ იმ სახელური იდიომის განუყრელ ნაწილს თანდებულნიანი ან კონკრეტული ბრუნვით გაფორმებული სახელები წარმოადგენს (შდრ. *ბედნიერ ხელზე, ქვეყნის მარაზე, კუს ნაბიჯით, ბზის ფასად* და ა.შ.), რაც განპირობებულია როგორც სემანტიკური, ასევე სტრუქტურული ფაქტორებით. სახელური იდიომებისგან განსხვავებით, რომლებიც გაქვავებულ კონსტრუქციებს ქმნიან მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში ან გარკვეულ თანდებულთა დართვით და პრაქტიკულად გარემოებით ჯგუფს წარმოქმნიან, ზმნური იდიომის სახელური კომპონენტი, როგორც წესი, უფრო ადვილად ექვემდებარება ბრუნვაში ცვლას და დგება ზმნისაგან შეპირობებულ ბრუნვაში;
3. თავისი სემანტიკური ბუნებიდან გამომდინარე, სახელური იდიომური გამოთქმა სინტაქსური თვალსაზრისით წინადადებაში აქტანტების – სუბიექტის, პირდაპირი ან ირიბი ობიექტების ფუნქციებს ასრულებს და, შესაბამისად, მისი ადგილიც წინადადებაში მეტ-ნაკლებად დამოკიდებულია ამა თუ იმ ფუნქციის შესრულებაზე;
4. თუ მსგავსი იდიომების შემადგენლობაში გვხვდება ზედსართავი სახელი, როგორც წესი, მას ხარისხის ფორმები არ ახასიათებს (შდრ. *ახალი ცოცხი, დიდი კაცი* – მიუხედავად იმისა, რომ იდიომის შემადგენლობაში გვხვდება

ზედსართავი სახელი, მისი შეცვლა სხვა – ოდნაობითი ან უფროობითი ხარისხის – ფორმებით გამოიწვევდა იდიომურობის დაკარგვას, შდრ. *უახლესი ცოცხი, *უდიდესი კაცი), თუ წინასწარ იგი ხარისხის ფორმის გაქვავებულ ვარიანტს არ მოიცავს (შდრ. ბევრზე უბევრესი, ცხადზე უცხადესი და ა.შ.).

2.5.2. ზმნური იდიომური გამოთქმები

ორ-, სამ- და მეტკომპონენტიანი ზმნური იდიომების შემცველი სათანადო მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ:

1. მორფოსინტაქსური თვალსაზრისით, ზმნური იდიომების ტრანსფორმაციული ცვლილებების ერთ-ერთ პირობას ზმნური კომპონენტის გარდამავლობა ან გარდაუვლობა წარმოადგენს. ქართულში ზმნური კომპონენტის გარდამავლობას უკავშირდება: ა) ზმნის პოლიპერსონალიზმი; ბ) ერგატიული კონსტრუქციის შესაძლებლობა II სერიის ფორმებთან, გ) კონვერსია და დ) ინვერსია;
2. კლასიფიკაციის ჩამოყალიბებისას განსაზღვრული იყო ზმნური იდიომების რამდენიმე შემზღუდველი, რომლებიც განაპირობებს ზმნური კომპონენტის ტრანსფორმაციულ შესაძლებლობას იდიომის ფარგლებში, ესენია: ა) ქცევა, ბ) ასპექტი, გ) დრო. ბუნებრივია, რომ ბოლომდე გაქვავებული ერთეულები ძალზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. იდიომების უმეტესობა კი სხვადასხვა სახისა და დონის ტრანსფორმაციებს ექვემდებარება და, შესაბამისად, არ იფარგლება ამა თუ იმ კონკრეტული სერიისა თუ მწკრივის ფორმებით. კვლევამ გვიჩვენა, რომ ზმნური იდიომების უმეტესობას ახასიათებთ გარკვეულ ქცევის ფორმათა არსებობა, ან ერთდროულად ამა თუ იმ ქცევისა თუ სრული ასპექტის ფორმები. ქართულში კი სრული ასპექტის ფორმები ძალიან ხშირად იმავდროულად მომავალი დროის ფორმასაც ასახავს;
3. სინტაქსური თვალსაზრისით, შეზღუდვები სუბიექტისა და პირდაპირი ან ირიბი ობიექტის ასახვაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენპირიანია ესა თუ ის ზმნა და, შესაბამისად, იდიომის ზმნური კომპონენტი მართავს მათ არა მხოლოდ იდიომის, არამედ მთელი წინადადების ფარგლებში;

4. ზმნური იდიომები შეიძლება შეგვხვდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ფორმით, მაგრამ არსებობს ზმნური იდიომების ერთი წყება, რომელიც მხოლოდ უარყოფითი ფორმით გვხვდება (მაგ.: *აბრუს არ იტეხს, ავ ცხვირს არ დასცემს, ბუზსაც არ აიფრენს და ა.შ.*);
5. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ სიტყვათა განლაგება როგორც სახელურ, ასევე ზმნურ იდიომებში მყარი არ არის (შდრ. *გულს დაკოდავს – დაკოდავს გულს, თავზე ცივ წყალს გადმოასხამს – თავზე გადმოასხამს ცივ წყალს, თავზე გადმოასხამს ცივ წყალს, გადმოასხამს თავზე ცივ წყალს* და ა.შ.). სახელურ იდიომებში კონკრეტული შეზღუდვები იმ შემთხვევაში დასტურდება, როცა სახელი მსაზღვრელ-საზღვრულის ნაწილს წარმოადგენს, ხოლო ზმნურ იდიომებში სიტყვათა თავისუფალი რიგი დამოკიდებულია სწორედ ცარიელი სლოტის არსებობაზე, რომელიც აძლევს მას გადაადგილების შესაძლებლობას.

3. ქართული ენის იდიომური გამოთქმების მორფო-სინტაქსური ანალიზი

3.1. ქცევის კატეგორიისათვის ზმნურ იდიომურ გამოთქმებში

როგორც აღინიშნა, ზმნური იდიომური გამოთქმის ორ- და მეტკომპონენტური მოდელების შესწავლა მიზნად ისახავდა, ქართული იდიომატიკისათვის დამახასიათებელი მორფოსინტაქსური ფორმების გამოვლენასაც. წინა თავებში განხილული მორფოსინტაქსური თავისებურებების საფუძველზე ვლინდება, რომ გამოთქმის იდიომურობა განპირობებულია მისი ზმნური კომპონენტის მახასიათებელი ისეთი კატეგორიებით, როგორიცაა: დრო, კილო, ასპექტი, ქცევა და, რიგ შემთხვევაში, ზოგიერთი სხვა კატეგორიაც.

ვინაიდან ქცევის გრამატიკული კატეგორია ევროპული ენების ზმნებს არ ახასიათებთ, შემოვიფარგლებით მხოლოდ ქართულენოვანი მასალის განხილვით. კერძოდ, უნდა შევხებით ქცევის კატეგორიის გრამატიკულ და სემანტიკურ თავისებურებებს შესიტყვების ფარგლებში.

უნდა ითქვას, რომ დღემდე ბოლომდე არ არის შესწავლილი მექანიზმი, თუ რატომ ესა თუ ის ზმნა ირჩევს ქცევის კონკრეტულ ფორმას, მაშინ როცა სხვა ზმნა მას უგულებელყოფს და ირჩევს ქცევის ოპოზიციურ ფორმებს. ეს არჩევითობა, როგორც მოსალოდნელია, განსაკუთრებით, თავს იჩენს იდიომურ გამოთქმებში, კერძოდ, იდიომის ზოგიერთი ზმნური კომპონენტი გვხვდება მხოლოდ ნეიტრალური ქცევის ფორმით, ზოგიერთი სასუბიექტო ან საობიექტო, და ზოგიერთი მშვიდად სამივე ფორმას იგულებს. (შდრ. მაგ.: 128-130)

(128) **საარვისო (ნეიტრალური) ქცევის მაგალითები:** (პირიდან) სიტყვას გამოაცლის, გულს ათბობს, ღამეს ტეხს, მზეს გააქრობს, სანთელივით ჩამოაღნობს და ა.შ.

(129) **სათავისო (სასუბიექტო) ქცევის მაგალითები:** (აუტკივარ) თავს აიტკივებს, (ვინმეს) გულს მოინადირებს, გულში (არ) გაივლებს, აბუჩად აიგდებს, ავდარს გადმოიყრის და ა.შ.

(130) სასხვისო (საობიექტო) ქცევის მაგალითები: ყურს უგდებს, ანდერძს უგებს, (თავზე) ბალანს აუშლის, სამსახურს გაუწევს და ა.შ.

შესწავლილი მასალის საფუძველზე ვლინდება, რომ ორ- და მეტკომპონენტიან ზმნურ იდიომურ გამოთქმებს ქცევის სხვადასხვა ფორმა ახასიათებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ვხვდებით განსაზღვრული დონის კანონზომიერებას თეტა-როლების განაწილებისა და სუბიექტ-ობიექტის გამოყენების თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ქცევის კატეგორიის ზეგავლენას ზმნური კომპონენტის მნიშვნელობის ჩამოყალიბებაზე. ცნობილია, რომ ქართულ ზმნაში თემატური როლების განაწილება აისახება სუბიექტ-ობიექტისა და ბრუნვის ნიშნების შეკავშირებასა და შეხამებაში, რომელიც, თავის მხრივ, სამი შესაძლო მოდელით ხასიათდება:

ა) ამოსავალი ფორმა (I)

აგენტი	სუბიექტი	nom
პაციენსი	პირდაპირი ობიექტი (DO)	dat
მიზანი	ირიბი ობიექტი (IO)	dat

მსგავსი შეხამება ევროპულ ენებსაც ახასიათებს სუბიექტ-ობიექტის სახელობით-აკუზატიური მოდელის ფარგლებში; ქართულში, რომელსაც არ მოეპოვება ბრალდებითი ბრუნვა, მსგავსი მოდელის ფარგლებში აღნიშნულ ფუნქციას სახელობითი ან მიცემით ბრუნვა ითავსებს.

ბ) ამოსავალი ფორმის ინვერსია

აგენტი	ირიბი ობიექტი (IO)	nom
პაციენსი	სუბიექტი	dat
მიზანი	–	–

მაგრამ ქართული ენის თვალსაზრისით, განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება სუბიექტ-ობიექტის შეხამება ერგატიულ მოდელის ფარგლებში, კერძოდ:

გ) ამოსავალი ფორმა (II)

აგენტი	სუბიექტი	erg
პაციენსი	პირდაპირი ობიექტი (DO)	dat
მიზანი	ირიბი ობიექტი (IO)	dat

ქცევის კატეგორია, ძირითადად, ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ აქტიურ ზმნათა წყებაზე, არამედ სუბიექტ-ობიექტის შეწყობაზეც. როგორც ზემოთ აღინიშნა,

მიღებული ტრადიციის თანახმად სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება საარვისო, სათავისო და სასხვისო ქცევის კატეგორიები (შანიძე 1980, 356-357). საწყის ეტაპზე ა. შანიძეს გამოყოფილი ჰქონდა ქცევის კატეგორიის სხვა სისტემა, რომელიც მოიცავდა: საარვისო, სათავისო, სასხვისო, სათანაო და საზედაო. აღნიშნული სისტემიდან თანამედროვე მეცნიერებას გარდა ზემოთ აღნიშნული ერთეულებისა შემორჩა საზედაო ქცევის კატეგორიაც, რომლის არსებობას თავის ნაშრომებში აღნიშნავენ ვოგტი და ბოედერი (Vogt 1936; Boeder 1968, 1969).

ზოგადად, რომ ვთქვათ, ქცევის კატეგორია განასხვავებს იმას თუ ვინ ექვემდებარება ზემოქმედებას, კერძოდ, სასუბიექტო (აჩვენებს ზეგავლენას თვით სუბიექტზე), საობიექტო და საზედაო (აჩვენებენ ზეგავლენას ირიბ ობიექტზე), ხოლო ნეიტრალური არ გამოხატავს ზეგავლენას რაიმე ობიექტზე, მაგრამ მიუნიშნებს იმაზე, რომ პირდაპირი ობიექტი არავისი კუთვნილება არ არის. აღნიშნული თვისებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იდიომური გამოთქმის პროექტირების თვალსაზრისითაც, რადგანაც 'მდგრადობის' პრინციპს მეორედან - მეხუთე ჯგუფის ჩათვლით საფუძვლად, სწორედ, ქცევის კატეგორია არსებობა ედება.

შესაბამისად, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: 1. ენიჭება თუ არა რაიმე უპირატესობა სხვადასხვა ქცევის კატეგორიას გამოყენების თვალსაზრისით იდიომურ გამოთქმებში? 2. რა დონემდეა შესაძლებელი ზმნური კომპონენტის ცვლა ქცევის კატეგორიის მიხედვით? და, 3. რამდენად იცვლება იდიომური გამოთქმის მნიშვნელობა ქცევის კატეგორიის ზეგავლენით?

3.1.1. ნეიტრალური ქცევის კატეგორია ზმნურ იდიომურ გამოთქმებში

საარვისო (ნეიტრალური) ქცევა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი არავისი კუთვნილებაა. ნეიტრალური ქცევის ნიშანი, ძირითადად, გამოიყენება -ებ (-ობ) თემის ნიშანთან ერთად. მიღებული დეფინიციების თანახმად მას განიხილავენ, როგორც "ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი არავისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა განკუთვნილი (დანიშნული)" (შანიძე 1980, 328). იდიომებშიც გვხვდება ზმნური კომპონენტები გაფორმებული ნეიტრალური ქცევის ნიშნით, რომლებიც რეალურად არ ასახავენ ზემოქმედებას ობიექტზე.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ამავე კატეგორიას განეკუთვნება საზედაო ქცევის ვარიანტები, უფრო ზუსტად, ზოგიერთი მეცნიერი საზედაო ქცევას ცალკე კატეგორიად მიიჩნევს, ზოგიერთი კი პირიქით. მაგრამ თუ ნეიტრალური ქცევა არ გვაძლევს სივრცობრივ ინფორმაციას ობიექტის შესახებ (მაგ.: 131), საზედაო ქცევა აღნიშნულ ინფორმაციას იძლევა (მაგ.: 132). აღნიშნული თვისება კი მნიშვნელოვანია იდიომურობის თვალსაზრისით, რადგანაც იგი აღნიშნავს, რომ პირდაპირი ობიექტი სივრცობრივ ზეგავლენას ახდენს ირიბ ობიექტზე.

(131) მზეს აბნელებს⁴⁶ → მზეს დააბნელებს, თავს აგებს → თავს წააგებს, სიტყვას აბრუნებს → სიტყვას გადააბრუნებს და ა.შ.

(132) ფეხს ადგამს⁴⁷ → ფეხს შეადგამს, თავლაფს ასხამს → თავლაფს დაასხამს, თავ-წყალს ადენს → თავ-წყალს გაადენს და ა.შ.

46

SYN	1	$\left[\begin{array}{l} \text{cxn} - NP \\ \left[\begin{array}{l} \text{PERS } 3 \\ \text{CASE } dat \\ \text{NUM } sg \end{array} \right] \end{array} \right], \left[\begin{array}{l} \text{cxn} - V \\ \text{ARG} \left[\begin{array}{l} \text{SUB, DO} \\ \text{PERS } 3 \\ \text{CASE } nom \\ \text{NUM } sg \end{array} \right] \\ \text{SUB} \left[\begin{array}{l} \text{PERS } 3 \\ \text{CASE } dat \\ \text{NUM } sg \end{array} \right] \\ \text{DO} \left[\begin{array}{l} \text{PERS } 3 \\ \text{CASE } dat \\ \text{NUM } sg \end{array} \right] \end{array} \right]$	
MORPH	1	$\left[\begin{array}{l} \text{cxn} - \text{DatSg} - \text{mzes} \\ \left[\begin{array}{l} \text{CLASS } cons. \\ \text{CASE } dat \\ \text{NUM } sg \end{array} \right] \\ \text{MORPH} \left[\begin{array}{l} \text{PERS } 3 \\ \text{CASE } nom \\ \text{NUM } sg \end{array} \right] \\ \text{PHON} [mze - s] \end{array} \right], 2$	$\left[\begin{array}{l} \text{cxn} - \text{Series} - \text{daabnelebs} \\ \left[\begin{array}{l} \text{TENSE } prs \\ \text{ASPECT } ipfv \\ \text{MOOD } ind \end{array} \right] \\ \text{MORPH} \left[\begin{array}{l} \text{SUB} \left[\begin{array}{l} \text{PERS } 3 \\ \text{CASE } nom \\ \text{NUM } sg \end{array} \right] \\ \text{AGREEMENT} \left[\begin{array}{l} \text{PERS } "mze" \\ \text{CASE } dat \\ \text{NUM } sg \end{array} \right] \end{array} \right] \\ \text{PHON} [da - a - bnel - eb - s] \end{array} \right]$

გაადენს – დაეჯახება, ნათელს დააყენებს – აცხონებს, ლეშს დააგდებს – გახმება და ა.შ.)

3.1.2. სასუბიექტო ქცევის კატეგორია ზმნურ იდიომურ გამოთქმებში

სათავისო (სასუბიექტო) ქცევა, რომელიც ასახავს, რომ მონაწილე, რომელიც განიცდის ზემოქმედებას თვით სუბიექტია. მიღებული დეფინიციების თანახმად მას განიხილავენ, როგორც “ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის მოქმედ პირს, სუბიექტს, ან მისთვისაა განკუთვნილი” (შანიძე 1980, 328). სხვაგვარად, რომ ვთქვათ, სასუბიექტო ქცევის კატეგორიაში იგულისხმება: ა) სუბიექტი, რომელიც წარმოგვიდგება ქმედების მონაწილედ, სხვაგვარად, იგი იკავებს ქმედების ბენეფიციარის ადგილს და, ბ) პოსესიურობის თვისება, რომელიც ასახავს ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტს შორის. მაგრამ ორივე შემთხვევაში ბენეფიციარი მხოლოდ ერთი, თვით, სუბიექტია და კონსტრუქცია არ არღვევს სუბიექტ-ობიექტის შეწყობას იდიომური გამოთქმის ფარგლებში.

მაგრამ იდიომის ფარგლებში თავს იჩენს სხვა ტიპის პრობლემა. ბუნებრივია, რომ სტრუქტურული თვალსაზრისით იდიომური შესიტყვება აბსოლუტურად ექვემდებარება ზემოხსენებულ წესებს, მაგრამ მისი საერთო სემანტიკური მხარე არ იძლევა დაყოფის საშუალებას. შესაბამისად, სასუბიექტო ქცევის კატეგორიის დართვა იდიომის ზმნურ კომპონენტზე, როგორც წესი, ზრდის მის მდგრადობის პრინციპს და შეადგენს პროეცირების დონეების პირველ ქვესაფეხურს. გვხვდება ერთეულები, რომლებიც ნაკლებად გაქვავებულ ერთეულებს წარმოადგენს (მაგ.: 133) და ერთეულები, რომლებშიც სასუბიექტო პროეცირების პირველი დონე ნათლად ჩანს (მაგ.: 134)

(133) სამარეს თხრის → სამარეს ითხრის⁴⁸ → სამარეს გაითხრის, გზას კაფავს
→ გზას იკაფავს → გზას გაიკაფავს, გულს ტეხს → გულს იტეხს → გულს
გაიტეხს და ა.შ.

(134) *ხელს სვამს → ხელს ისვამს⁴⁹ → ხელს გაისვამს, *გუდა-ნაზადს კრეფს →
გუდა-ნაზადს იკრეფს → გუდა-ნაზადს აიკრეფს, *თავს ფხანს → თავს იფხანს →
თავს მოიფხანს და ა.შ.

48

SYN	1	$\left[\begin{array}{c} \text{cxn} - NP \\ \text{DO} \left[\begin{array}{c} \text{PERS } 3 \\ \text{CASE } \textit{dat} \\ \text{NUM } \textit{sg} \end{array} \right] \end{array} \right],$	$\left[\begin{array}{c} \text{cxn} - V \\ \text{ARG} \left[\begin{array}{c} \text{SUB, DO} \\ \text{PERS } 3 \\ \text{CASE } \textit{nom} \\ \text{NUM } \textit{sg} \end{array} \right] \\ \text{SUB} \left[\begin{array}{c} \text{PERS } 3 \\ \text{CASE } \textit{dat} \\ \text{NUM } \textit{sg} \end{array} \right] \\ \text{DO} \left[\begin{array}{c} \text{PERS } 3 \\ \text{CASE } \textit{dat} \\ \text{NUM } \textit{sg} \end{array} \right] \end{array} \right]$		
MORPH	1	$\left[\begin{array}{c} \text{cxn} - \textit{DatSg} - \textit{samares} \\ \text{MORPH} \left[\begin{array}{c} \text{CLASS } \textit{cons.} \\ \text{CASE } \textit{dat} \\ \text{NUM } \textit{sg} \end{array} \right] \\ \text{PHON} [\textit{samare} - s] \end{array} \right],$	2	$\left[\begin{array}{c} \text{cxn} - \textit{Series} - \textit{itkhris} \\ \text{MORPH} \left[\begin{array}{c} \text{TENSE} \\ \text{ASPECT} \\ \text{MOOD} \\ \text{AGREEMENT} \end{array} \right] \\ \text{PHON} [\textit{i} - \textit{tkhr} - \textit{i} - s] \end{array} \right]$	$\left[\begin{array}{c} \textit{prs} \\ \textit{ipfv} \\ \textit{ind} \\ \text{SUB} \left[\begin{array}{c} \text{PERS } 3 \\ \text{CASE } \textit{nom} \\ \text{NUM } \textit{sg} \end{array} \right] \\ \text{DO} \left[\begin{array}{c} \text{PERS } \textit{"samare"} \\ \text{CASE } \textit{dat} \\ \text{NUM } \textit{sg} \end{array} \right] \end{array} \right],$

სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ სტრუქტურული თვალსაზრისით იდიომები ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ქცევის კატეგორიის მქონე იდიომურ გამოთქმებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, სწორედ, სემანტიკური ნაწილის ასახვას. ბუნებრივია, რომ აღნიშნული მაგალითის სტრუქტურული ასახვის შემთხვევაში ძირითადი ყურადღება უშუალოდ ზმნურ კომპონენტს დაეთმობა, რომლის ცალკე აღებულ სემანტიკას კი შემდეგი სახე ექნება:

SEM	<i>frame</i>	<i>affected 1</i>
	AGENT	1
	PATIENT	2
	BENEF.	1

მაგრამ იდიომური კომპონენტების ცალ-ცალკე განხილვა გაუმართლებელია მათი სემანტიკური ერთიანობის გამო. შესაბამისად, თუ იდიომის შემადგენლობაში გვხვდება სასუბიექტო ქცევის მქონე ზმნური კომპონენტი, იდიომის სემანტიკური მხარე (მაგ.: *სამარეს ითხრის*) შემდეგ სახეს მიიღებს:

SEM	<i>frame</i>	"die _affected _1"
	1[PATIENT	2]
	2	2
	BENEF.	1

49

SYN	1	[<i>cxn - NP</i> DO [PERS 3 CASE <i>dat</i> NUM <i>sg</i>]]	,	[<i>cxn - V</i> ARG [SUB, DO] SUB [PERS 3 CASE <i>nom</i> NUM <i>sg</i>] DO [PERS 3 CASE <i>dat</i> NUM <i>sg</i>]]
MORPH	1	[<i>cxn - DatSg - khels</i> MORPH [CLASS <i>cons.</i> CASE <i>dat</i> NUM <i>sg</i>] PHON [<i>khel - s</i>]]	,	[<i>cxn - Series - isvams</i> TENSE ASPECT MOOD AGREEMENT SUB [PERS 3 CASE <i>nom</i> NUM <i>sg</i>] DO [PERS " <i>kheli</i> " CASE <i>dat</i> NUM <i>sg</i>] PHON [<i>i - sv - am - s</i>]]

ნათლად ჩანს, რომ მთლიან იდიომურ გამოთქმას ენიჭება ზეგავლენის ფუნქცია, რომელსაც თვით სუბიექტი განიცდის; უფრო მეტიც, გამოთქმის მთლიანი მნიშვნელობა უკავშირდება ზუსტად ამ მნიშვნელობას (შდრ. *სამარეს ითხრის – კვდება, გზას იკაფავს – წინ მიდის, გულს იტეხს – დარდობს* და ა.შ.)

3.1.3. საობიექტო ქცევის კატეგორია ზმნურ იდიომურ გამოთქმებში

ნათლად ჩანს, რომ იდიომურ გამოთქმის მთლიან კონსტრუქციას ქცევის კატეგორიის მქონე ზმნური ერთეულები დამატებით სემანტიკურ მნიშვნელობას სძენს და, ამით ქმნის ზმნური იდიომის 'გაქვავების' წინაპირობას. მიღებული განმარტებების შესაბამისად, საობიექტო ქცევის ფორმა "გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ირიბს ეკუთვნის ან ირიბისთვისაა განკუთვნილი" (შანიძე 1980, 328). საობიექტო ქცევის კატეგორია გვხვდება ერთპირიან, ორპირიან და სამპირიან ზმნებში, მაგრამ თითოეულს რიგი თავისებურება ახასიათებს, რომელიც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს იდიომის მნიშვნელობაზე.

შესაბამისად, ისმის კითხვა, რა ზეგავლენას ახდენს ქცევის კატეგორია კონსტრუქციის მნიშვნელობაზე და მის 'გაქვავების' ხარისხზე. აქ გასათვალისწინებელი აღმოჩნდა ისიც, რომ სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმებს პირველსა და მეორე ობიექტური პირში საერთო ნიშნები ახასიათებთ, ხოლო მესამე პირში განსხვავებული (მაგ.: 135). ცალკეული ზმნის შემთხვევაში, იმისი გამორკვევა თუ რომელი ქცევის კატეგორია ახასიათებს ამა თუ იმ ზმნას, ხორციელდება ზმნის მესამე პირში გადაყვანის გზით. ზმნური იდიომის შემთხვევაში მსგავსი ტრანსფორმაცია, ხშირად, აკარგვინებს იდიომს თავის ერთიან მნიშვნელობას; გამოთქმა ასემანტური ხდება (მაგ.: 136)

(135) ლაფი და-მ-ი-სხ-ა (I პირი) → ლაფი და-გ-ი-სხ-ა (II პირი) → ლაფი და-უ-სხ-ა (III პირი) [ნეიტრალური: ლაფი და-ი-სხ-ა]; სული და-მ-ი-მძიმ-ა → სული და-გ-ი-მძიმ-ა → სული და-უ-მძიმ-ა [ნეიტრალური: სული და-ი-მძიმ-ა]; ძილს და-მ-ი-ფრთხ-ობ-ს → ძილს და-გ-ი-ფრთხ-ობ-ს → ძილს და-უ-ფრთხ-ობ-ს [ნეიტრალური: ძილს და-ი-ფრთხ-ობ-ს] და ა.შ.

(136) გზა გადა-მ-ი-ჭრ-ა (I პირი) → გზა გადა-გ-ი-ჭრ-ა (II პირი) → გზა გადა-უ-ჭრ-ა (III პირი) [ნეიტრალური: გადა-ი-ჭრ-ა, მაგრამ არ გვაქვს იდიომი: *გზა

გადა-ი-ჭრ-ა]; გონება და-მ-ი-ბნელ-ა (I პირი) → გონება და-გ-ი-ბნელ-ა (II პირი) → გონება და-უ-ბნელ-ა (III პირი) [ნეიტრალური: და-ი-ბნელ-ა, მაგრამ არ გვაქვს იდიომი: *გონება და-ი-ბნელ-ა]; გულს გადა-მ-ი-ლ-ევ-ს → გულს გადა-გ-ი-ლ-ევ-ს → გულს გადა-უ-ლ-ევ-ს [ნეიტრალური: გადა-ი-ლ-ევ-ს, მაგრამ არ გვაქვს იდიომი: *გულს გადა-ი-ლ-ევ-ს] და ა.შ.

მაგალითებიდან ჩანს, რომ მნიშვნელობის თვალსაზრისით, საობიექტო ქცევა, ნეიტრალური და სასუბიექტო ქცევების მსგავსად, გამოხატავს კუთვნილება-დანიშნულებას⁵⁰, მაგრამ მათი ფუნქცია სხვადასხვანაირია, კერძოდ, მათი ფუნქცია დამოკიდებულია ობიექტზე, რომელსაც ასახავს ზმნური კომპონენტი (შანიძე 1980, 334), კერძოდ, იმაზე თუ ვინ იღებს მონაწილეობას ფუნქციის ჩამოყალიბებაში ბენიფიციარი თუ რეციპიენსი.

ზმნურ იდიომური გამოთქმების სტრუქტურულ შემადგენლობაში, როგორც წესი, გვხვდება პაციენსი (მაგ.: აქტივის შემთხვევაში: *ბალანს აუშლის, აბრაგანს უჭერს, გულის ბუხარს ამოუყრის* და ა.შ.; პასივის შემთხვევაში: *სული უდგას, ჟამი დაურეკს, სიყვარულის ბუმტი გაუსკდება* და ა.შ.); ზოგიერთ შემთხვევაში იდიომის შემადგენლობაში გვხვდება როგორც აგენსი, ასევე პაციენსიც (მაგ.: *მიწა პირს უზამს, გული წვას დაუწყებს* და ა.შ.); მოქმედების ბენეფიციარი ან მოქმედების რეციპიენსი ყოველთვის იგულისხმება, მაგრამ ცალკე, კონტექსტის გარეშე აღებულ იდიომურ გამოთქმებში იშვიათად გვხვდება (მაგ.: *ჯოჯოხეთს მუგუზაღს დაურთავს* და ა.შ.).

ნათელია, რომ იდიომებში ვლინდება დაპირისპირება აქტივსა და პასივს შორის, მაგრამ ორსავე შემთხვევაში ჩანს კუთვნილება-პოსესიურობის ფუნქცია: პირველ შემთხვევაში პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის ირიბს, ხოლო მეორე შემთხვევაში სუბიექტი ეკუთვნის ირიბს. მაგრამ აღნიშნული თვისება, უფრო ქართული ზმნის თავისებურებას წარმოადგენს, რითაც რეალურად ხდება ქცევის კატეგორიის განსაზღვრა ზმნაში (შანიძე 1980, 340) და არა იდიომური გამოთქმის თავისებურება.

	<i>frame</i>	<i>affected</i>	3
50	AGENT		1
	PATIENT		2
	BENEF./GOAL		3

იდიომებს სხვა თავისებურება ახასიათებთ, კერძოდ, გვხვდება ორ-, სამ- და მეტკომპონენტიანი ზმნური იდიომები, რომლებსაც ოთხივე ქცევის კატეგორია ახასიათებთ, მაგრამ პარალელურად, გვხვდება ისეთი ერთეულები, რომლებშიც, მიუხედავად იმისა, რომ ზმნა თავისუფლად ქმნის ოთხივე ქცევის კატეგორიის მქონე ვარიანტს, ზმნური კომპონენტი დაიყვანება კონკრეტულ ქცევის კატეგორიაზე, იქნება ეს ნეიტრალური, სასუბიექტო თუ საობიექტო (მაგ.: 137) ან შესაძლებელია მას ახასიათებდეს ორი რომელიმე ქცევის ვარიანტი და მესამე კი არა (მაგ.: 138). ყველაფერი ეს ქმნის 'გაქვავების' წინაპირობებს.

(137) **ნეიტრალური ქცევა:** ბრაზს დაანთხევს – *ბრაზს დაუნთხევს, *ბრაზს დაინთხევს; არაფრად (არ) აგდებს – *არაფრად (არ) უგდებს, *არაფრად (არ) იგდებს; **სასუბიექტო ქცევა:** აუტკივარ თავს აიტკივებს – *აუტკივარ თავს აუტკივებს, *აუტკივარ თავს აატკივებს; გულს მოიპოვებს – *გულს მოუპოვებს; **საობიექტო ქცევა:** თმა ყალყზე დაუდგება – *თმა ყალყზე დაიდგება, *თმა ყალყზე დადგება; სული ყელში ამოუჯდება – *სული ყელში ამოჯდება და ა.შ.

(138) თვალებს დაუხუჭავს – თვალებს დაიხუჭავს, თვალებს დახუჭავს [მაგრამ თუ საობიექტო და სასუბიექტო ქცევის კატეგორიის მქონე შესიტყვებებს იდიომურობა ახასიათებთ, ნეიტრალური ქცევით გაფორმებული კონსტრუქცია იდიომურობას მოკლებულია]

ზემოთქმულის საფუძველზე ვლინდება, რომ რადგანაც ქართულ ზმნაში დადასტურებული იდიომური გამოთქმების უმეტესობა განეკუთვნება ზმნურ შესიტყვებათა რიგს, რაც, ბუნებრივია, ქართული ზმნის თავისებურებების გათვალისწინებით, ქცევის კატეგორია ხშირად განაპირობებს ზმნური შესიტყვებების 'გაქვავების' პრინციპს და ზეგავლენას ახდენს იდიომური გამოთქმების 'გაქვავების' იერარქიაზე. უფრო მეტიც, ქცევის კატეგორიის მქონე იდიომური გამოთქმები წარმოგვიდგება გაქვავების პირველი დონის საფეხურს, რომელსაც შემდგომში ასპექტის კატეგორია ემატება.

უფრო მეტიც, ქართულ ენაში იდიომის მნიშვნელობა ძალიან ხშირად უკავშირდება არა მარტო და არა იმდენად ასპექტს, რამდენადაც ქცევის კატეგორიას (*ყელში დანას იყრის, ჯავრს ამოიყრის* და ა.შ.). უფრო მეტიც, სრულასპექტიანი იდიომების ერთი ნაწილის ფუნქციური და სემანტიკური არსებობა შეუძლებელია

ქცევის კატეგორიის გარეშე: *ტანს აიყრის*, მაგრამ შეუძლებელია *ტანს ყრის* ანდა *ტანს აუყრის*, *ეკალს გაუყრის თვალში*, მაგრამ შეუძლებელია **ეკალს გაყრის თვალში*.

იდიომურ გამოთქმების სრულასპექტიანი ზმნური კომპონენტის შემადგენლობაში ქცევის კატეგორიის არსებობა განაპირობებს სხვაობას მსგავსი სემანტიკური და სტრუქტურული დატვირთვის მქონე ერთეულებს შორის: *წყალში გადაყრის* – *წყალში გადაუყრის*, *ჯავრს ამოყრის* – *ჯავრს ამოუყრის*, *ჯავრს ამოიყრის* და ა.შ. აღნიშნული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ზმნური იდიომის სემანტიკურ მნიშვნელობაში იჭრება პოსესიურობა გაგება, რომელიც უცვლის მას მნიშვნელობას და რომელიც, რეალურად, ქცევის კატეგორიაზე დამოკიდებულია (ქცევის კატეგორიის მქონე უსრულ/სრულასპექტიანი ფორმები: *ყელში დანას იყრის* – თავგამოდებით მოითხოვს რამეს; *ტანს აიყრის* – სიმაღლეში გაიზრდება; *ჯავრს (გულის ჯავრს, ჯინს, გულის ბუხარს) ამოიყრის* – სამაგიეროს გადაუხდის, მტრობას არ შეარჩენს; *წყალში გადაუყრის* – არ დაუფასებს; *ეკალს გაუყრის თვალში* – დააბრმავებს და ა.შ.)

3.2. ასპექტის კატეგორიისათვის ზმნურ იდიომურ გამოთქმებში

3.2.1. იდიომური გამოთქმები და გრამატიკული ასპექტი

იდიომური გამოთქმის ორ- და მეტკომპონენტიანი მოდელების შესწავლა მიზნად ისახავდა, გარდა ლექსიკალიზაციის პროცესის განხილვისა ფრაზეოლოგიაში, ქართული იდიომატიკისათვის დამახასიათებელი მორფოსინტაქსური ფორმების გამოვლენასაც. ამასთანავე, გასარკვევია, რამდენად არის შესაძლებელი პარალელების გავლება ინდოევროპული ენების მორფოსინტაქსთან მსგავსი და განსხვავებული ნიშნების გამოვლენის მიზნით.

ზემოთ მოყვანილი მოდელების საფუძველზე ვლინდება, რომ გამოთქმის იდიომურობა, განსაკუთრებით, ზმნური იდიომური გამოთქმების შემთხვევაში, განპირობებულია რამდენიმე მორფოსინტაქსური თავისებურებით, უპირველეს ყოვლისა კი – მისი ზმნური კომპონენტის მახასიათებელი ისეთი კატეგორიებით, როგორიცაა: ასპექტი, ქცევა და, რიგ შემთხვევაში, ზოგიერთი სხვა კატეგორიაც.

ქართულ ენაში, ისევე როგორც ზოგიერთ ინდოევროპულ ენაში, შეინიშნება მჭიდრო კავშირი იდიომის მორფოსინტაქსურ თავისებურებასა და ასპექტის სისტემას შორის. აღნიშნული კავშირი კი ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სინქრონიული, არამედ დიაქრონიული თვალსაზრისითაც.

როგორც ცნობილია, ზმნა მრავალ ენაში და, განსაკუთრებით, ქართულში სტრუქტურულად რთული მეტყველების ნაწილია: ქართულ ზმნაში წარმოჩენილია, გარდა ჩვეულებრივი ზმნური კატეგორიებისა, როგორიცაა პირი, რიცხვი, დრო და კილო, აგრეთვე, ქცევა, ასპექტი, კაუზატივი, გვარი. აღნიშნული კატეგორიები ზმნაში აისახება სპეციალური პრეფიქსების ან სუფიქსების მეშვეობით.

თუ გავითვალისწინებთ ქართული ზმნის აღნიშნულ რთულ ბუნებას, ერთი შეხედვით, თითქოს შეუძლებელი ჩანს პარალელების გავლება ინდოევროპულ ენებთან. მაგრამ თქმული შედარებით ნაკლებად ეხება ასპექტის კატეგორიას. მეტი სიცხადისათვის საჭიროა გამოვლინდეს ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც ახასიათებს ასპექტიან ზმნებს სხვადასხვა ენაში (ახალ ბერძნულში, ინგლისურსა და რუსულში) და შეედაროს სათანადო მასალა თითოეული ენის გრამატიკულ თუ სემანტიკურ თავისებურებებზე დაყრდნობით.

ენათმეცნიერებაში მიღებული უზოგადესი დეფინიციების თანახმად, ასპექტი წარმოადგენს ამა თუ იმ ზმნის გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც განსაზღვრავს ზმნით გამოხატულ მოქმედებას როგორც სრულს, ისე უსრულს. შესაბამისად, სხვადასხვა ენაში ადასტურებენ პერფექტული (სრული) და იმპერფექტული (უსრული) ასპექტების არსებობას. ამასთანავე, ენათა უმრავლესობაში ასპექტის კატეგორია ორგანულად უკავშირდება დროის კატეგორიას, რადგანაც ხშირად ამა თუ იმ დროით წარმოდგენილი მოქმედება განისაზღვრება და ზუსტდება ასპექტის მიხედვით.

ქართულში არსებობს ასპექტის წარმოების სხვადასხვა საშუალება. ძველი ქართული ენის საპირისპიროდ, რომელშიც ასპექტის ფორმების წარმოება ემყარებოდა სერიების ფორმებს, კერძოდ, I სერიის ყველა ზმნა, იმისდა მიუხედავად, ზმნისწინიანი იყო იგი თუ უზმნისწინო, განეკუთვნებოდა უსრულ ასპექტს, ხოლო II სერიაში წარმოდგენილი ყველა ზმნა – სრულ ასპექტს (შანიძე 1980, 262-280) (იმნაიშვილი, ივ., იმნაიშვილი, ვახ. 1996, 421). თანამედროვე ქართულ ენაში კი სრული ასპექტის ფორმები იწარმოება ზმნისწინების მეშვეობით, რომლებიც

ითავსებენ სამ ძირითად ფუნქციას: მოქმედების მიმართულებისა და ორიენტაციის ჩვენებას (ლექსიკური ფუნქცია), ასპექტისა და მომავლის გამოხატვას (გრამატიკული ფუნქცია) ზმნაში.

თანამედროვე ქართულში ასპექტის კატეგორიის წარმოება პრეფიქსული ბუნებისაა და ნაწილობრივ დამოკიდებულია დროის კატეგორიაზე. კერძოდ, აწმყოს წრის მწკრივებში მდგომი ესა თუ ის ზმნა ყოველთვის უსრული ასპექტისაა, ხოლო წარსულსა და მომავალში ზმნას თავისუფლად შეიძლება ჰქონდეს როგორც სრული, ასევე უსრული ასპექტის ფორმები.

გამონაკლისს წარმოადგენს ე.წ. მედიაქტიურ ზმნათა ერთი წყება, რომლის ზმნისწინიანი ფორმები ასპექტის გრამატიკულ კატეგორიას მოკლებულია; აღნიშნული ზმნები ძირითადად მოძრაობის აღმნიშვნელია; და თუმცა არცთუ ხშირად, მაგრამ მაინც უსრული ასპექტის ფორმით გვხვდება იდიომურ გამოთქმებშიც (მაგ.: *ცხოვრება დულს და გადმოდულს, ერბოში ცურავს* და ა.შ.).

აქვე უნდა ითქვას, რომ ქართულ ენაში გვაქვს ისეთი ზმნებიც, რომლებიც ზმნისწინს საერთოდ არ დაირთავს (მაგ.: *წყალივით იცის, ჩიტმა თავისი ბუდე იცის* და ა.შ.), ანდა, პირიქით, ზმნისწინის გარეშე საერთოდ არ გვხვდება (მაგ.: *გული მისდის/მოსდის, ოხტში ამოდის, ქუდზე კაცი გამოდის* და ა.შ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული დეფინიციების თანახმად, ქართულ ენას ახასიათებს: სრული (perfective) და უსრული (imperfective) ასპექტის ფორმები. მათ პარალელურად, მოგვეპოვება ისეთი ზმნები, რომლებსაც ასპექტის გაგება საერთოდ არ გააჩნიათ და მათ უასპექტო ან ასპექტნაკლ ზმნებს უწოდებენ (შანიძე 198; ჭუმბურიძე 1986).

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართულში სრული და უსრული ასპექტის გრამატიკული დაპირისპირება ნათლადაა ჩამოყალიბებული, ქართულ ზმნას სემანტიკურად თანაბარი ასპექტიანი წყვილების არსებობა ნაკლებად ახასიათებს, უფრო მეტიც: “იშვიათია ზმნა, რომელიც მხოლოდ ერთ ზმნისწინს დაირთავდეს და ეს ზმნისწინი სრული ასპექტის გარდა სხვას არაფერს გამოხატავდეს. ჩვეულებრივ, ერთი ზმნის ფუძეს შეიძლება ერთოდეს რამდენიმე ზმნისწინი. გარდა ასპექტისა, ისინი გამოხატავენ ამა თუ იმ მიმართულებას, უცვლიან ზმნას ლექსიკურ მნიშვნელობას, ერთი სიტყვით, “შეთავსებით” ასრულებენ თავიანთ ადრინდელ ფუნქციებსაც” (ჭუმბურიძე 1986, 22).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ა. შანძე (შანძე 1980) და მის კვალზე ივ. იმნაიშვილი (იმნაიშვილი, ივ., იმნაიშვილი, ვახ. 1996), ზ. ჭუმბურიძე (ჭუმბურიძე 1967), გ. მაჭავარიანი, (მაჭავარიანი 1974), თ. მეტრეველი (მეტრეველი 1979) და სხვ.) არაერთხელ აღნიშნულა ინდოევროპული და, კერძოდ, სლავური ენების გავლენით ასპექტის სისტემის შეცვლის ფაქტი და, კერძოდ, ისიც, რომ ასპექტის სისტემა ძველ ქართულ ენაში მოგვაგონებდა ბერძნულს, რომელშიც აწმყოსა და აორისტის ფორმები უპირისპირდებოდა ერთმანეთს, ხოლო თანამედროვე ქართული ენისათვის დამახასიათებელი ასპექტის მსგავსი სისტემა წარმოდგენილია სლავურ ენებში, კერძოდ, რუსულში.

მაშასადამე, თანამედროვე ქართული ენისათვის დამახასიათებელი ასპექტის სისტემა წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ძველ ბერძნულსა და სლავურს შორის. ამიტომაც საინტერესოა ის ვითარება, რომელიც აღნიშნულ ორ ენაში შეინიშნება, რადგანაც თანამედროვე ბერძნულის ასპექტის სისტემა ძველი ბერძნულისაგან განსხვავდება იმით, რომ ასპექტის ძველი ფორმებისაგან (მყისიერი, გახანგრძლივებული, დასრულებული, პერფექტული, აორისტული, სრული, უსრული, განსაზღვრული და განუსაზღვრელი, მრავალჯერადი და ა.შ.) (გორდეზიანი 2001, 111-112) მას შემორჩენილი აქვს მხოლოდ უსრული და სრული ასპექტი⁵¹, რომლებსაც ენა აწარმოებს აწმყოსა და აორისტის ზმნურ ფუძეებზე (Μπαμπινιώτης 1999, 75-82) დაყრდნობით. თანამედროვე რუსულშიც ხშირად შეინიშნება ისეთი ნიშნები, რომლებიც ძველი სლავური ფორმებიდან მომდინარეობს და წარმოგვიდგება პრევერზიანი ზმნის სახით, რომელსაც სრული ასპექტის მნიშვნელობა არ გააჩნია (მაგ.: *предвидеть, состоять* და ა.შ.) (Comrie 2001; Forsyth 1970; Шведова 1970).

ზემოთქმულის საფუძველზე გასარკვევია ასპექტის კატეგორიის მნიშვნელობა იდიომური გამოთქმებისათვის, კერძოდ, ის საკითხი არსებობს თუ არა ასპექტის ის ზოგადი ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია არა ერთი რომელიმე კონკრეტული ენის იდიომური გამოთქმებისათვის, არამედ ზმნური იდიომური გამოთქმების განზოგადების საშუალებას იძლევა? და საერთოდ, რა ვითარებაა ამ მხრივ ქართულსა და სხვა ევროპულ ენებში?

⁵¹ სხვადასხვა ავტორთან ასპექტის ფორმის აღსანიშნავად გვხვდება სხვადასხვა ტერმინი: *τρόπος, ποίον ενεργείας, όψη, άποψη* და ა.შ.

როგორც ცნობილია, რუსულ ზმნას მოეპოვება როგორც უსრული (იმპერფექტული), ასევე სრულიც (პერფექტული) ასპექტის ფორმები, რომლებიც ქმნიან ოპოზიციურ წყვილებს, იწარმოება: ა) პრეფიქსის დართვით, რომელიც მნიშვნელობას არ უცვლის ზმნურ კომპონენტს და ასპექტს მხოლოდ გრამატიკულად ასახავს ⁵², ბ) სუფიქსის ცვლით (Шведова 1970, 339-343) და გ) სუბლექტურად აღნიშნულ მოდელებზე დაყრდნობით ზმნურ იდიომურ გამოთქმებში გვხვდება როგორც სრული, ასევე უსრულ ასპექტის ფორმები (მაგ.: 139) .

ცხრილი 9: სრულ/უსრულასპექტიანი ფორმების მქონე იდიომები რუსულ ენაში

(139)

წარმოების ვარიანტები

უსრული (იმპერფექტული) ასპექტი	პრეფიქსული წარმოება: Пробовать (пробовать свои силы), пытать (пытать счастье), ставить (ставить сети) ⁵³ ; სუფიქსური წარმოება: Влезть (влезть в чужую шкуру), вбить (вбить себе в голову), получать (получать нагоняй), попасть (попасть пальцем в небо) ⁵⁴ ; სუბლექტური წარმოება: Брать (брать быка за рога), говорить (говорить без обиняков) ⁵⁵
სრული (პერფექტული) ასპექტი	პრეფიქსული წარმოება: Попробовать (попробовать свои силы), попытать (попытать счастье), расставить (расставить сети); სუფიქსური წარმოება: Влезать (влезать в чужую шкуру), вбивать (вбивать себе в голову), получить (получить нагоняй), попадать (попадать пальцем в небо); სუბლექტური წარმოება: Взять (взять быка за рога), сказать (сказать без обиняков)

ინგლისურ ენაში ზმნური იდიომური გამოთქმები ასევე განასხვავებენ სრულ- და უსრულასპექტიან ფორმებს, რომლებიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია დროის კატეგორიაზე. წარსულსა და აწმყო დროის ფორმებზე დაყრდნობით იქმნება განგრძობითი (Progressive Aspect) და პერფექტული (Perfect Aspect) ასპექტის ფორმები,

⁵² წარმოების აღნიშნულ ტიპსა და ქართული ზმნის ასპექტის სისტემაში გაბატონებულ ტენდენციებს შორის მრავალი პარალელის გავლება შეიძლება.

⁵³ ძალებს ცდის, ბედს ცდის, ქსელს აბამს

⁵⁴ სხვის ტყავში ძვრება, ილახება, ცდება

⁵⁵ უპირატესობას მოიპოვებს, პირდაპირ ილაპარაკებს

რომლებიც იწარმოება დამხმარე ზმნისა (*be* ან *have*) და ზმნის ფუძეზე დართული სუფიქსის საშუალებით (პირველ შემთხვევაში *-ing*, ხოლო მეორე შემთხვევაში – *-en*). როცა აღნიშნული საშუალებები ამოწურულია, ხოლმეობითობის ასპექტის (Habitual Aspect) (Comrie 2001, 27-28) საწარმოებლად, ინგლისური ენა მიმართავს ფრაზეოლოგიზაციის პრინციპს, კერძოდ, აღნიშნული ასპექტის საფუძველს კვლავ წარსული დრო წარმოადგენს, მაგრამ იგი იქმნება ისეთი საშუალებებით, როგორიცაა “*would*” და “*used to*” (მაგ.: 140).

ცხრილი 10: სრულ/უსრულასპექტიანი ფორმების მქონე იდიომები ინგლისურ ენაში

(140)

წარმოების ვარიანტები (*to look up*⁵⁶)

განგრძობითი (იმპერფექტული)	აწმყო განგრძობითი: “Things are looking up .” (E. Shah, “Ring of red roses”) ⁵⁷ ; ნამყო განგრძობითი: “She was looking up into Aggie's face now” (C. Cookson, “The rag nymph”) ⁵⁸
ასპექტი	
სრული (პერფექტული)	აწმყო სრული: “But you have looked up some history for me?” (G. Lyall, “Conduct of Major Maxim”) ⁵⁹ ; ნამყო სრული: “Joanna had looked up at him, open adoration in her glowing sapphire eyes.” (J. Byrne, “My enemy, my love”) ⁶⁰
ასპექტი	
ერთდროულად განგრძობითი და პერფექტულიც	აწმყო სრული განგრძობითი: “It is also particularly difficult to discover your place in a speech after you have been looking up at the audience” (A. Lansbury, “Wedding speeches and toasts”) ⁶¹ ; ნამყო სრული განგრძობითი: “If gaunt-face had been looking up at the Clubroom windows in the hope of seeing Filmer...” (Sainsburys, “Sainsbury's wine”) ⁶²

⁵⁶ უმჯობესდება, გაუმჯობესდა, გაუმჯობესდება, უმჯობესი გახდება; სიტყვასიტყვით თარგმნის შემთხვევაში: იხედება მაღლა

⁵⁷ “საქმე უმჯობესდება” (შახი, ე., “წითელი ვარდების ბეჭედი”)

⁵⁸ “მისჩერებოდა აგის სახეს” (კუქსონი, კ., “ჩვრის ნიმფა”)

⁵⁹ “მაგრამ ეძებდი რაღაც ისტორიას ჩემთვის?” (ლაიალი, გ., “მაიორ მაქსიმის ხელმძღვანელობა”)

⁶⁰ “მოწიწებით სავსე მოელვარე თვალებში ჯოანა მისჩერებოდა მას” (ბირნი, ჯ., “ჩემი მტერი, ჩემი სიყვარული”)

⁶¹ “ასევე, განსაკუთრებით რთულია აღმოაჩინო შენი ადგილი მეტყველებაში მას შემდეგ, რაც დახედავ აუდიტორიას” (ლანსბერი, ა., “საქორწინო სადღეგრძელოები”)

⁶² “თხელსახიანს, რომ მიეპყრო “კლუბის ფანჯრებისთვის თვალი ფილმერის ნახვის იმედით...” (სეინსბერი, “სეინსბერის ღვინო”)

ჩვეულებითობის “Adam said he **would look it up**” (B. Vine, “A fatal inversion”)⁶³; “I
ასპექტი **used to look** in the mirror and cry” (N. Logan, “Face”)⁶⁴

ასპექტური ფორმები ახალ ბერძნულშიც ყველა დროს ახასიათებს, მაგრამ მორფოლოგიურად ასპექტი იქმნება ზმნის აწმყოსა და აორისტის ფუძეებზე დაყრდნობით განსაზღვრული აფიქსების დართვით. თანამედროვე ბერძნულში თანხმოვნით დაწყებულ ყველა ზმნას თხრობითი კილოს ნამყო განგრძობითშიც და ნამყო სრულშიც ფუძის წინ დაერთვის ε-/η-/ει- პრეფიქსები, რომელიც აუგმენტის ფუნქციას ასრულებს (Τριανταφυλλίδης 1993) (მაგ.: 141)

ცხრილი 11: სრულ/უსრულასპექტიანი ფორმების მქონე იდიომები ბერძნულ ენაში

(141)

წარმოების ვარიანტები

უსრული ასპექტი ⁶⁵	აწმყო თხრობითი (პრეზენსი): χάνω τον προσανατολισμό ⁶⁶ , πατώ γέλια ⁶⁷ ან კავშირებითი (პრეზენსი): να χάνω τον προσανατολισμό, να πατώ γέλια ნამყო განგრძობითი (იმპერფექტი): έχανα τον προσανατολισμό μου, δεν κρατούσε τη γλώσσα του
სრული ასპექტი ⁶⁸	ნამყო სრული თხრობითი (აორისტი): έχασα τον προσανατολισμό μου, κράτησα την αναπνοή μου ⁶⁹ ნამყო სრული კავშირებითი (აორისტი): να χάσεις τον προσανατολισμό σου, να κρατήσεις τη γλώσσα της
დასრულებული ასპექტი	აწმყო სრული (პერფექტი): έχω χάσει τον προσανατολισμό μου, έχω κρατήσει την αναπνοή μου ნამყო სრული (პლუსკვამპერფექტი): είχα χάσει τον

⁶³ “ადამმა გამოაცხადა, რომ ამას გადახედავს” (ვაინი, ბ., “ფატალური გადაბრუნება”)

⁶⁴ “მივეჩვიე სარკეში ყურებას და ტირილს” (ლოგანი, ნ., “სახე”)

⁶⁵ სხვადასხვა ავტორთან ამ ასპექტის აღსანიშნავად ვხვდებით სხვადასხვა ტერმინს: ατελής, μη τέλειο, εξακολουσθητικός და ა.შ.

⁶⁶ კალაპოტიდან ამოვარდნა, სიტყვასიტყვით თარგმნის შემთხვევაში: ვკარგავ მიმართულებას აღმოსავლეთისკენ

⁶⁷ სიცილს იწყებს, სიტყვასიტყვით თარგმნის შემთხვევაში: სიცილს ვაბიჯებ

⁶⁸ სხვადასხვა ავტორთან ამ ასპექტის აღსანიშნავად გვხვდება სხვადასხვა ტერმინი: τέλειο, συνοπτικός, μη εξακολουσθητικός და ა.შ.

⁶⁹ სულს გააკემენდინებს, სუნთქვას შეუჩერებს

ასპექტის ორივე ფორმა გვხვდება ზმნურ იდიომურ გამოთქმებში და, შესაბამისად, განაპირობებს იდიომის ცვლას დროთა პარადიგმების მიხედვით. ისტორიულად კი მათ შორის არსებული სხვაობა უკავშირდება იმ მოვლენას, რომელიც ახასიათებდა აწმყოსა და აორისტის ფუძეებს ძველ ბერძნულ ენაში.

შესაბამისად, ზმნური იდიომური გამოთქმების კვლევისას ყურადღება გავამახვილეთ იდიომის ზმნური კომპონენტის გრამატიკული ასპექტის გამოხატვის პრევერბულ საშუალებაზე, და ვცადეთ იმის გამორკვევა, თუ რა რაოდენობით და რამდენად ხშირად იცვლება ზმნური იდიომური გამოთქმების ერთიანი მნიშვნელობა ზმნისწინის ზეგავლენით; რომელი ზმნა იღებს მონაწილეობას ყველაზე ხშირად მსგავსი ტიპის ცვლილებებში და უკავშირდება თუ არა იდიომის პრევერბიანი ზმნური კომპონენტის მნიშვნელობა იდიომურობას.

ბაზებში ზმნისწინიანი ფორმების მქონე კომპონენტების შეფარდება მერყეობდა 25-დან 648 ერთეულამდე. მასალის შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა შედარებით პროდუქტიული კლასები.

ორკომპონენტიან იდიომურ გამოთქმებში ყველაზე მრავალრიცხოვან კლასს წარმოადგენს გა- პრევერბიანი ზმნები. იგი მოიცავს სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე 648 იდიომურ გამოთქმას, ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ზმნისწინი გან- შეგვხვდა მხოლოდ 3 შემთხვევაში (*სულს განაბავს, სულს განუტევებს, გულს განუგმირავს, აზრს განავითარებს*). ყველაზე იშვიათ კლასს წარმოადგენს წამო- ზმნისწინის მქონე ზმნური კომპონენტები, რომელთა რაოდენობაც შეადგენს მხოლოდ 25 ერთეულს (*ფეხს წამოდგამს, თვალებში წამოეჩხირება (შეეჩხირება), თავზე წამოისვამს* და ა.შ.).

ჩვენი მიზნის შესაბამისად, საერთო ზმნური კომპონენტები ორი მიმართულებით უნდა გამოვლენილიყო: პირველი მიმართულება გულისხმობდა კონკრეტული ზმნისწინის მქონე საერთო ზმნური კომპონენტების გამოვლენას სხვადასხვა იდიომის შემადგენლობაში (მაგ.: 142, 143), ხოლო მეორე მიმართულება – სხვადასხვა ზმნისწინის მქონე საერთო ზმნური კომპონენტების გამოვლენას (მაგ.: 144, 145).

⁷⁰ ხანში შევა

(142)

ბედ-ზე	{	მი-აგდ-ებ-ს	{	ვინმეზე ან რამეზე ზრუნვას თავს დაანებებს;
ლოგინ-ად				დაასუსტებს, დააუძლურებს, დაავადყოფებს;
ქვა-ს				დაივიწყებს (ვინმეს), დავიწყებას მიეცემა;
ძილ-ად				განუწყვეტლივ/გამოუფხიზლებლად აძინებს.

(143)

კილო-ს	{	გამო-აბამ-ს	{	შარს მოსდებს, განზრახ გადასხვაფერებს
კუდ-ს				სათქმელს;
რქებ-ს				რაიმე ნათქვამიდან სასურველ, თუნდაც
თავ-ს				შეუძლებელ დასკვნას გამოიტანს;
				ულალატებს (ცოლი ქმარს);
				მოახერხებს რამის დაწყებას.

და მაინც, პრევერბიან ზმნას ვერ განვიხილავთ გამოთქმის სემანტიკური ერთიანობის წამყვან ერთეულად, რადგანაც ძირითადი სემანტიკური დატვირთვა ზმნასთან შეხამებულ სახელზე მოდის.

სხვა დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა მეორე ვარიანტი, რომელშიც ვცადეთ სხვადასხვა ზმნისწინიანი ერთი და იმავე ზმნური კომპონენტის გამოვლენა. ამგვარ ნიმუშებში ნათლად ვხედავთ, რომ ერთსა და იმავე სახელურ კომპონენტთან სხვადასხვა პრევერბიანი ზმნური კომპონენტის ვარიანტების არსებობა არ უცვლის იდიომს საერთო მნიშვნელობას, იცვლება მხოლოდ ზმნური კომპონენტის მიმართულება (მაგ.: 144, 145):

(144)

ამბავ-ს	{	მი-უ-ტან-ს	მივა და რაღაცას შეატყობინებს, გააგებინებს
		მო-უ-ტან-ს	მოვა და ამბავს ეტყვის (ვინმეს)
		ჩამო-ი-ტან-ს	ჩამოვა და რაღაც ამბავს ეტყვის / უამბობს (ვინმეს)

(145)

გვერდ-ს	ა-უ-ვლ-ის	გვერდს აუქცევს, ყურადღებას არ მიაქცევს
	უ-ვლ-ის	ერიდება, არ ხვდება, სხვა გზით მიდის
	ჩა-უ-ვლ-ის	გვერდს აუქცევს
	შე-უ-ვლ-ის ⁷¹	გვერდს აუვლის, გვერდს აუქცევს

მაგრამ ორსავე ტიპობრივ მაგალითში საერთო ზმნურ კომპონენტთა ⁷² რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე ბაზაში დადასტურებული პრევერბიანი ზმნის შემცველი იდიომური გამოთქმებისა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ენა ცდილობს უკვე არსებული ზმნური ერთეულების გამოყენებას ახალი იდიომური გამოთქმების შესაქმნელად.

აღნიშნული ვითარება ვლინდება არა მხოლოდ ორკომპონენტიან იდიომური გამოთქმების მიმართ. ძალიან ხშირად სამ- და მეტკომპონენტიანი ზმნური იდიომების შემადგენლობაში დასტურდება იგივე სრულასპექტიანი ზმნა, რომელიც გვხვდება ორკომპონენტიანი იდიომების შემადგენლობაში (შდრ.: *ამბავს მიიტანს - გულთან ახლოს მიიტანს, თვალთან თითს ვერ მიიტანს; ტანს ააგდებს - სიტყვას ბანზე ააგდებს, ქვას ააგდებს და თავს შეუშვერს* და ა.შ.), მაგრამ, როგორც წესი, სრულასპექტიანი ზმნური კომპონენტი ზეგავლენას არ ახდენს იდიომის მნიშვნელობაზე. პრევერბიანი ზმნა მატებს იდიომს მხოლოდ მოქმედების შედეგის კონოტაციას და, ისიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იდიომის შემადგენლობაში არ იგულისხმება ცარიელი პრევერბიანი მიმართულების აღმნიშვნელი ფორმის არსებობა.

ზემოხსენებული სრულასპექტიანი ზმნური იდიომების განხილვის შედეგად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: 1. რამდენად უპირისპირდება ერთმანეთს უსრული და სრული ასპექტი იდიომის შემადგენლობაში? 2. თუ იდიომის შემადგენლობაში დასტურდება უსრულასპექტიანი ზმნა, ახასიათებს თუ არა ენას

⁷¹ აღნიშნული ერთეული შევიტანეთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი წარმოდგენილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, თუმცა კორპუსში მისი შემცველი მაგალითი არ დადასტურებულა.

⁷² საერთო ერთეულში იგულისხმება კონკრეტული ზმნური ან სახელური ელემენტი, რომელიც გვხვდება სხვადასხვა იდიომური გამოთქმის შემადგენლობაში, მაგ.: საერთო ზმნური კომპონენტი *გამოაბამს* - *კილოს გამოაბამს, კუდს გამოაბამს, რეებს გამოაბამს* და ა.შ.; საერთო სახელური კომპონენტი *ამბავი* - *ამბავს მიუტანს, ამბავს მოუტანს, ამბავს ჩამოიტანს* და ა.შ.

მსგავსი იდიომის სრულასპექტიანი ფორმა? 3. რამდენად შესაძლებელია ასპექტობრივი წყვილების არსებობა იდიომის შემადგენლობაში?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ ზმნური იდიომური გამოთქმების მასდარიანი ვარიანტები (მაგ.: 146, 147):

(146) უსრულასპექტიანი ფორმები: **ბუზების თვლა** – უსაქმურობა, უქნარობა; **გულზე კბენა** – შეწუხება, წყენა; **თავის მტვრევა** – ძალიან ბევრი ფიქრი და ა.შ.;

(147) სრულასპექტიანი ფორმები: **აბუჩად აგდება** – დამცირება, ანგარიშის გაუწევლობა; **აბელას ფეხების გაკეთება** – თავის გამოჩენის ცდა; **ანგელოზების დაფრთხობა** – შეშინება, დაფრთხობა და ა.შ.

მსგავსი ვარიანტების განხილვისას ვლინდება შემდეგი კანონზომიერება:

1. არსებობს იდიომების უსრული და სრული ასპექტის მქონე ვარიანტები, რომლებიც ძალიან ხშირად ერთმანეთს არ უკავშირდება, ე.ი. ცალკე აღებული ესა თუ ის ზმნური კომპონენტი თავისუფლად ქმნის ასპექტობრივ წყვილს, მაგრამ არა იდიომების შემადგენლობაში (*ყრ-ი-ს* – *შე-ყრ-ი-ს*, *გადა-ყრ-ი-ს*, *და-ყრ-ი-ს* და ა.შ.). უფრო მეტიც: ამა თუ იმ კონკრეტული იდიომის შემადგენლობაში დადასტურებული უსრული ან სრული ასპექტობრივი წყვილის შექმნის მცდელობა იდიომთა ნაწილისათვის იდიომურობის დაკარგვის ტოლფასია. აქ შესაძლებელია სამი ვარიანტი: ა) იდიომს არ გააჩნია ასპექტობრივი წყვილი (**აბუჩად აგდება** (მაგ.: *აბუჩად აგდებს* – **აბუჩად გდებს* და ა.შ.); ბ) ასპექტობრივი წყვილის წარმოქმნა იწვევს იდიომურობის დაკარგვას (მაგ.: **ბუზების თვლა**//**დათვლა** (*ბუზებს თვლის*, *ითვლის*) – შესაძლებელია შემდეგი ფორმების გამოყენება, როგორც *ბუზებს დათვლის*, *ბუზები დათვალა* – მაგრამ აღნიშნული ერთეულები წარმოგვიდგება მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით, მათ იდიომურობა არ ახასიათებთ); გ) იდიომი ქმნის ასპექტობრივ წყვილს, მაგრამ მის ზმნურ კომპონენტს არჩევითობა ახასიათებს ზმნისწინის დართვის მხრივ (მაგ.: **დორბლებსა ჰყრის**, შესაძლებელია *დორბლებს გადმოყრის*, მაგრამ შეუძლებელია **დორბლებს გადაყრის*, **დორბლებს შეყრის* ან შესაძლებელია *ჯავრს იყრის*, მაგრამ შეუძლებელია **ჯავრს ჩაყრის* და ა.შ. ნათელია, რომ მსგავს მაგალითებში იდიომი კარგავს იდიომურობას და, საერთოდ, მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია იდიომის ზმნური

კომპონენტის არჩევითობა ზმნისწინების დართვის მხრივ, მათი სემანტიკური სხვაობაც;

2. არსებობს იდიომების უსრული და სრული ასპექტის მქონე ვარიანტები, რომლებიც ერთმანეთზე დამოკიდებულია, ე.ი. ცალკე აღებული ესა თუ ის ზმნური კომპონენტი თავისუფლად ქმნის ასპექტობრივ წყვილს და იდიომის შემადგენლობაშიც დასტურდება აღნიშნული ასპექტობრივი წყვილების არსებობა. ასპექტობრივი წყვილების ცვლა გამოთქმას იდიომურობას არ აკარგვინებს: *გულის ფხანა – გულის მოფხანა, დროის ტარება – დროის გატარება* და ა.შ. მაგრამ აქაც ნათლად ჩანს, რომ ასპექტობრივი დაპირისპირება უფრო ნათლად აისახება მასდარიან ფორმებში, ზმნის პირიან ფორმებში ხდება მისი ცვლა ქცევისა და დროის კატეგორიის ზეგავლენით, შდრ. *გულს იფხანს – გულს მოიფხანს, დროს ატარებს – დროს გაატარებს* და ა.შ.

ქართულ ენაში მოძრაობა-გადაადგილების ზმნებში პრევერბის ძირითადი დანიშნულება მიმართულებისა და ორიენტაციის ჩვენებაა. ამ ფუნქციიდან გამომდინარე კი, არსებობს ზმნისწინთა წყვილები, რომლებიც აღნიშნავენ სხვადასხვა ტიპის მიმართულებას, როგორიცაა ზევიდან ქვევით ან ქვევიდან ზევით, გარედან შიგნით ან შიგნიდან გარეთ და ა.შ. სრულასპექტიან ზმნათა უმრავლესობას კი ზმნისწინების დართვით შესწევთ მიმართულებითი წყვილების შექმნა (შდრ.: *შევიდა – გავიდა, მიაღწევს – მოაღწევს, აგდებს – ჩააგდებს, ამოაგდებს – ჩამოაგდებს* და ა.შ.), გასარკვევია, რამდენად დაცულია მიმართულებითი წყვილების არსებობა იდიომურ გამოთქმებში და იკარგება თუ არა იდიომურობა ერთისა და იმავე ზმნური იდიომის შემადგენლობაში აღნიშნული წყვილების შეყვანის დროს. ამ საკითხის გასარკვევად სუბსტიტუციის წესის გამოყენება გვიჩვენებს, რომ ზმნისწინიანი ზმნური კომპონენტის ცვლა მიმართულების ფუნქციის გათვალისწინებისას უკარგავს მნიშვნელობას მთელ იდიომს (მაგ.: 148, 149).

- (148) ლაპარაკს ჩამოაგდებს (რამეზე საუბარს წამოიწყებს) – ქვეყანას ამოაგდებს (დაღუპავს, მოსპობს ყველაფერს); ხანში შედის (ბერდება, ხანდაზმული ხდება) – ხალხში გადის (იწყებს ხალხში მოღვაწეობას) – პენსიაზე გადის (ანებებს თავს მუშაობას); ლოგინად ჩავარდება (მძიმედ დასწეულდება, დაავადმყოფდება) – კალაპოტიდან ამოვარდება (ჩვეულ გზას ასცდება) და ა.შ.

(149) ბედი კარს (კარზე) მიადგება (მას) (გაბედნიერდება) – ბედი კარს (კარზე) მოადგება (გაბედნიერდება); იერიში მიაქვს (შეუტევს ვინმეს ან რამეს) – იერიში მოაქვს (შეუტევს ვინმეს ან რამეს) და ა.შ.

ერთი შეხედვით, იდიომური გამოთქმების ზმნური კომპონენტი სავსებით შეესაბამება საპირისპირო მიმართულების ჩვენების წესს, მაგრამ მსგავსი წესი ითვალისწინებს, რომ აღნიშნული ზმნა უნდა გამოიყენებოდეს ერთსა და იმავე კონტექსტში სხვადასხვა მიმართულების ჩვენებით. სუბსტიტუციის შედეგად ვლინდება, რომ შეუძლებელია მსგავსი კონტექსტების არსებობა (შდრ.: *ესმას რომ ნახავდა, არ შეიძლებოდა, ბახვაზე არ ჩამოეგდო ლაპარაკი, და *მერე რომ არ ამოეგდო ლაპარაკი ანდა ქალი კი ხანში შედის და *მერე გამოდის* და ა.შ.).

როგორც შესწავლილი მასალის საფუძველზე გამოვლინდა, ყველა ენაში ასპექტის აღმნიშვნელი ფორმები ერთნაირი ოდენობისა ნამდვილად არ არის, მაგრამ ენათა უმრავლესობაში ასპექტის კატეგორია ჩაქსოვილია ზმნის მნიშვნელობაში, ხოლო, როცა შესაბამისი აფიქსური საშუალებები ამოწურულია, ენა მიმართავს ლექსიკური გამდიდრების რესურსებს, მაგ., ინგლისურში ერთ-ერთ ასეთ საშუალებად იგულისხმება კონსტრუქცია: *used to*, რომელიც აღნიშნავს სათანადო დროის ხოლმეობითობის ასპექტის ფორმას.

შედარების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ასპექტის თვალსაზრისით ოთხივე ენისათვის დამახასიათებელია შემდეგი პარამეტრები მათი წარმოებისა და ფუნქციონირების სხვადასხვა სახით:

1. ასპექტობრივი წყვილების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ვლინდება ორი ძირითადი ასპექტის არსებობა, როგორიცაა უსრული (იმპერფექტი) და სრული (პერფექტი). ამასთანავე, ჩვენ მიერ შესწავლილი ენებისათვის დამახასიათებელი სრული და უსრული ასპექტის ფორმები ფუნქციური დატვირთვის თვალსაზრისით მხოლოდ ნაწილობრივ არის ერთმანეთის ეკვივალენტი. ასე, მაგალითად, ხოლო ქართული ენისათვის დამახასიათებელი სრული ასპექტის ფორმის ინგლისურის პერფექტულ ფორმასთან გაიგივება შესაძლებელია მხოლოდ პირველ და მეორე თურმეობითის ფორმებთან მიმართებით.
2. იმისდა მიუხედავად, თუ რამდენკომპონენტიანია ესა თუ ის იდიომური გამოთქმა, მის შემადგენლობაში შესული ზმნური კომპონენტის

უსრული/სრული ასპექტის ფორმების შექმნა, ძირითადად, აფიქსური ხასიათისაა. შესაბამისად, გრამატიკული ასპექტის წარმოება მაქსიმალურად სავსე კონსტრუქციის დაშვების შემთხვევაში სქემატურად აისახება შემდეგნაირად:

ქართული ენა – [[პრეფიქსი[ძირი]]_{ფუძე}[ფლექსია]]_{ზმნური ფორმა} – ენა ხასიათდება ასპექტის წარმოების პრეფიქსული და სუპლექტური სისტემით;

ინგლისური ენა – [[ძირი]სუფიქსი]_{ფუძე}[ფლექსია]]_{ზმნური ფორმა} ენა ხასიათდება ასპექტის წარმოების სუფიქსური და მეშველი ზმნის მქონე სისტემით;

ახალი ბერძნული ენა – [[პრეფიქსი[ძირი]სუფიქსი]_{ფუძე}[ფლექსია]]_{ზმნური ფორმა} – ენა ხასიათდება ასპექტისა და დროის კომბინირებული მორფოლოგიით და, შესაბამისად, ასპექტის წარმოების აფიქსური სისტემით;

რუსული ენა [[პრეფიქსი[ძირი]სუფიქსი]_{ფუძე}[ფლექსია]]_{ზმნური ფორმა} – ენა ხასიათდება ასპექტის წარმოების აფიქსური და სუპლექტური სისტემით.

ასპექტობრივი წყვილების სტრუქტურული წარმოების თვალსაზრისით ნაკლები შესაძლებლობებით ხასიათდება ქართული და ინგლისური ენები.

3. რადგანაც ცალკეული ზმნების ასპექტობრივი წყვილების საზღვრები ბოლომდე განსაზღვრული არ არის, ძალიან ხშირად ზმნური იდიომური გამოთქმების გაფორმება სხვადასხვა ლექსიკონებში ეყრდნობა შემდეგ წესს: “თუ წამყვანი ზმნა შეიძლება შეგვხვდეს როგორც იმპერფექტში, ასევე პერფექტში, იდიომი წარმოგვიდგება იმ ასპექტში, რომელიც უფრო ხშირად გვხვდება სალაპარაკო ენაში. თუ კომპონენტთა თანმიმდევრობა იდიომში არ არის საბოლოოდ განსაზღვრული, ლექსიკონში გვხვდება იდიომის ყველაზე ტიპობრივი ფორმა” (Dubrovin 1987, 5). მსგავსი წესის მოქმედება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქართულსა და რუსულში, თუმცა ახალი ბერძნულიც და ინგლისურიც ნაწილობრივ მიჰყვება მას.

4. დასასრულ, ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში წარმოდგენილია ქართული ენისათვის დამახასიათებელი (ა) $VP=a(N)+b(V)$ სქემის მქონე იდიომურ გამოთქმებში სრულასპექტიანი ზმნური კომპონენტები მარტივი და რთული პრევერბიანი ფორმით (ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი ზმნისწინების დართვით).

ცხრილი 12: არსებითი სახელი + მარტივი ზმნისწინის მქონე ზმნა

არს. სახელი + მარტივზმნისწინიანი ზმნა ⁷³	მაგალითი	ერთეულთა რაოდენობა	საერთო ზმნური კომპონენტების რაოდენობა
$a(N)+b(გა+V)$	ალაიაში გააძვრენს, ამაგს გასწევს და ა.შ.	648	355
$a(N)+b(და+V)$	ხმას დაუწევს, ენას დააბამს და ა.შ.	602	423
$a(N)+b(მო+V)$	ხელში მოიგდებს, მუხლები მოეკვეთება და ა.შ.	532	313
$a(N)+b(ა+V)$	ენას აიხსნის, გუდანაბადს აიკრავს და ა.შ.	431	215
$a(N)+b(შე+V)$	გზა შეეშლება, თვალს შეაგდებს და ა.შ.	360	218
$a(N)+b(ჩა+V)$	წილს ჩაუდებს, ფერხულში ჩააბამს და ა.შ.	306	182
$a(N)+b(მი+V)$	ენას მიიტანს, ნიშნს მიუგებს და ა.შ.	219	107
$a(N)+b(წა+V)$	გული წაუვიდა, ეშმაკმა წაიღოს და ა.შ.	168	87

ცხრილი 13: არსებითი სახელი + რთული ზმნისწინის მქონე ზმნა

არს. სახელი + რთულიზმნისწინი ანი ზმნა	მაგალითი	რაოდენობა	საერთო ზმნური კომპონენტების რაოდენობა
$a(N)+b(ამო+V)$	ქვეყანას ამოაგდებს, ცხვირში ამოჰკრავს და ა.შ.	107 ერთეული	69 ერთეული
$a(N)+b(ჩამო+V)$	სიტყვას ჩამოაგდებს, ტყავს ჩამოაცლის და ა.შ.	63 ერთეული	49 ერთეული
$a(N)+b(შემო+V)$	ზურგს შემოაქცევს, თავს შემოაკლავს და	73 ერთეული	60 ერთეული

⁷³ აღნიშნულ ცხრილებში მოყვანილი მასალისა და სქემების საფუძველს ორგომპონენტიანი ზმნური იდიომები წარმოადგენს, რადგანაც: ა) მათი რაოდენობა სჭარბობს იდიომური გამოთქმების სამ- და მეტკომპონენტიან ვარიანტებს, და ბ) აღნიშნული იდიომები ხშირად გვხვდება სხვა იდიომური გამოთქმების შემადგენლობაშიც, რაზედაც საუბარი გვქონდა სამ- და მეტკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების დახასიათებისას.

	ა.შ.		
$a(N)+b(\text{გამო}+V)$	კუდს გამოაბამს, ნამუსს გამოუწმენდს და ა.შ.	110 ერთეული	74 ერთეული
$a(N)+b(\text{გადა}+V)$	გულიდან გადაიგდებს, გულს გადაუშლის და ა.შ.	162 ერთეული	108 ერთეული
$a(N)+b(\text{გადმო}+V)$	კბილებს გადმოყრის, ცრემლს გადმოაგდებს და ა.შ.	41 ერთეული	28 ერთეული
$a(N)+b(\text{წამო}+V)$	ანკესზე წამოაგებს, ხელს წა(მო)ავლებს და ა.შ.	25 ერთეული	17 ერთეული

3.2.2. იდიომური გამოთქმები და ლექსიკური ასპექტი

როგორც აღინიშნა, ზმნაშიც და ზმნურ იდიომურ გამოთქმებშიც, ასპექტობრივი წყვილების წარმოების საზღვრები ბოლომდე განსაზღვრული არ არის. ასპექტობრივი წყვილების არსებობა გულისხმობს სრული თუ უსრული ასპექტით წარმოდგენილი ზმნის სემანტიკურ იდენტურობას, სხვანაირად, რომ ვთქვათ, ზმნის მნიშვნელობა ასპექტის ცვლის შედეგად არ იცვლება, მაგრამ, როგორც ვნახეთ, იდიომურ გამოთქმებში აღნიშნული წესი ხშირად ირღვევა (შდრ.: *ჭურში/ტყემალზე ზის/იჯდა*, მაგრამ შეუძლებელია *ჭურში ჩაჯდა/ტყემალზე დაჯდა* და ა.შ.). ნათელია, რომ, მიუხედავად გრამატიკული ასპექტის ოდნავ განსხვავებული ფუნქციური ნიუანსისა სათანადო აფიქსაცია თვისებრივ მნიშვნელობას იძენს.

მაშასადამე, დგება საკითხი ე.წ. ლექსიკურ ასპექტისა, ვინაიდან იგი არამცთუ უფრო მნიშვნელოვანი, გადამწყვეტიც კი გამოდის იდიომურობის თვალსაზრისით. ტერმინ “ასპექტის” გარდა, ზოგიერთი ლინგვისტი იყენებს გერმანულ ტერმინს “აქტიონსარტს//აქტიონსარტენ” (Aktionsart//Aktionsarten), რომელშიც იგულისხმება “ქმედების ტიპი”. მრავალი მეცნიერი ცდილობდა ამ ტერმინისათვის შესაფერისი ინგლისური ეკვივალენტის გამოძებნას (Mode of Action (მოქმედების სახე) (Brecht 1984), Procedurals (პროცედურული) (Forsyth 1970) და სხვ.), მაგრამ ვერც ერთმა სხვა შემოთავაზებულმა ტერმინმა ვერ გაუწია მეტოქეობა ფართოდ აღიარებულ აქტიონსარტს.

სხვაობა გრამატიკულ ასპექტსა და აქტიონსარტს შორის, ძირითადად, ორგვარია (Comrie 2001, 6-7): პირველი გულისხმობს სხვაობას ასპექტსა (როგორც შესაბამისი სემანტიკური სხვაობების გრამატიკალიზაციას) და აქტიონსარტს (როგორც აღნიშნული სხვაობების ლექსიკალიზაციას) შორის; უკეთ რომ ვთქვათ, გრამატიკული ასპექტი ასახავს ზმნის გრამატიკულ ფუნქციას, ლექსიკური ასპექტი კი - ზმნის სემანტიკურ ფუნქციას; ხოლო მეორე – გამოიყენება, ძირითადად, სლავისტიკაში, და გულისხმობს სხვაობას ასპექტსა და აქტიონსარტს შორის, ოღონდ იმ პირობით, რომ აღნიშნული ლექსიკალიზაცია ხორციელდება დერივაციის მნიშვნელობით (Agrell 1908; Исаченко 1960). შესაბამისად, სხვაობა გრამატიკულ ასპექტსა და აქტიონსარტს შორის ეფუძნება ზმნური კომპონენტის სემანტიკას (Bache 1982, 64).

მოკლედ რომ ვთქვათ, ლექსიკური ასპექტი უკავშირდება ზმნის ისეთ სემანტიკურ კატეგორიებს, როგორიცაა “მდგომარეობა” (state), “მოქმედების შედეგი” (achievement), “მოქმედება” (activity), “მოქმედების დასრულება” (accomplishment), რომელიც, ვენდლერის თეორიის (Vendler 1957) თანახმად, ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ “მდგომარეობა” ასახავს სტატიკურ პროცესს, “მოქმედება” - მიმდინარე დინამიკურ პროცესს, ხოლო “მოქმედების შედეგი” და “მოქმედების დასრულება” ასახავენ მდგომარეობის ან სიტუაციის ცვლის პროცესს: პირველის შემთხვევაში იგი წუთიერია, მეორეს შემთხვევაში იგი გრძელდება დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.

ბ. კომრის აზრით კი, “მდგომარეობა”, “მოქმედება” და “მოქმედების დასრულება” გულისხმობს განგრძობითობას, ხოლო “მოქმედების შედეგი” და “ერთჯერადი მოქმედება” (semelfactive) მას არ გულისხმობს. აღნიშნული ხუთი ერთეული დაიყვანება ე.წ. უმარტივეს ერთეულებზე, როგორიცაა ქმნა (DO), მიზეზი (CAUSE) და გახდომა/გადაქცევა (BECOME) და, შესაბამისად, ლექსიკური ასპექტის ოთხი შესაძლო ვარიანტი აისახება შემდეგნაირად:

(150)

ა) მდგომარეობა: $\pi_n(\alpha_1, \dots, \alpha_n)$

ბ) მოქმედება: $DO(\alpha_1[\pi_n(\alpha_1, \dots, \alpha_n)])$

გ) მოქმედების შედეგი: $BECOME[\pi_n(\alpha_1, \dots, \alpha_n)]$

დ) მოქმედების დასრულება: $[[DO(\alpha_1[\pi_n(\alpha_1, \dots, \alpha_n)])]CAUSE[BECOME[\pi_n(\alpha_1, \dots, \alpha_n)]]]$

(Dowty 1979, 123-124)

აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ზმნური კომპონენტის სემანტიკური მხარის დაყოფა შესაძლებელია ზემოხსენებული სემანტიკური კატეგორიების ფარგლებში. შესაბამისად, ისმის კითხვა: რა ვითარებაა ამ მხრივ, ანუ როგორ წყდება ლექსიკური ასპექტის საკითხი იდიომურ გამოთქმებში? ეს საკითხი უკავშირდება, უპირველეს ყოვლისა, ზმნის დერივაციულ მოდელებს და, შესაბამისად, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა ტიპის აფიქსაცია ახასიათებს ასპექტის კატეგორიის შექმნას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულში გრამატიკული ასპექტის წარმოება უკავშირდება უშუალოდ პრევერბს, ე.ი. ზმნათა უმრავლესობაში პრევერბული ფორმები სრულ ასპექტს ასახავს, ხოლო პრევერბის გარეშე ესა თუ ის ზმნა უსრულია.

გამონაკლისს წარმოადგენს, ე.წ. უასპექტო ზმნები, რომლებშიც ზმნისწინის დართვა არ იწვევს რაიმე ცვლილებას დროის, ასპექტისა და მწკრივის თვალსაზრისით (მდრ.: *ჩანს - მოჩანს, გორავს - დაგორავს* და ა.შ.). უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, აღნიშნულ ზმნებს “ცარიელი“, ანუ გრამატიკულ დატვირთვას მოკლებული პრეფიქსაცია ახასიათებს. აღნიშნულ კონტექსტში ტერმინ “ცარიელს“ ვიყენებთ იმ პრეფიქსების მიმართ, რომლებსაც ლექსიკური დატვირთვა კი აქვთ, ოღონდ არ ასახავენ ზმნის ასპექტობრივ მნიშვნელობას. ლინგვისტიკაში მიღებული დეფინიციების თანახმად, არსებობს სამი სახის პრეფიქსაცია: ცარიელი, ლექსიკური და ქველექსიკური (Schooneveld 1958) (Маслов 1962, 2004).

სხვაობა კი დერივაციასა და აქტიონსარტს შორის დამოკიდებულია სიტუაციის მოდიფიკაციაზე, კერძოდ, აქტიონსარტში იგულისხმება ისეთი სემანტიკური ველის არსებობა, რომელიც ფოკუსირდება სიტუაციის განვითარებაზე (სიტუაციის დაწყებაზე, მის შედეგზე ან იმ პერიოდზე, როცა ვითარდება ესა თუ ის სიტუაცია).

დერივაციის დროს იქმნება ახალი, განსხვავებული სემანტიკური ველის მქონე ერთეული. მიღებული ტრადიციის თანახმად, რომელიც ჩამოყალიბდა ევროპული სტრუქტურალიზმის პირობებში (Bache 1982; Comrie 2001), როცა საკითხი ეხებოდა ასპექტის კატეგორიის მქონე ზმნურ სისტემებს და შემდგომ მან გადაინაცვლა წარმომქმნელი სემანტიკის ჭრილში (Verkuyl 1989; Grimshaw 1990), სხვაობა გრამატიკულ და ლექსიკურ ასპექტებს შორის ეფუძნება ასპექტიანი ზმნების სემანტიკურ სხვაობას ⁷⁴. ისმის კითხვა: რა ვითარებაა ამ მხრივ რუსულ, ახალბერძნულ და ინგლისურ ენებში?

რუსულ ზმნაში აქტიონსარტის მაგალითებს ყველაზე ხშირად ვხვდებით ე.წ. სემელფაქტიური ზმნების შემადგენლობაში, რომლებიც ქმედების მომენტალურობას (კვანტობას) გამოხატავენ. მსგავსი ტიპის ზმნები ხშირად გვხვდება იდიომების შემადგენლობაშიც (მაგ.: 151).

(151) висеть на волоске – виснуть на волоске, воспрять духом – воспрянуть духом, затыкать за пояс – заткнуть за пояс და ა.შ.

⁷⁴ ზოგიერთი მეცნიერი უფრო შორს მიდის და გრამატიკულ ასპექტს უკავშირებს წინადადების მოდალურ სტრუქტურას, ხოლო აქტიონსარტს – მის პროპოზიციურ შინაარსს (სხვაგვარად – მის სემანტიკურ კონფიგურაციას), რომელშიც იგულისხმება მოსაუბრის მიერ გამოყენებული რამდენიმე სიტყვა კონკრეტული მოქმედების დასრულების აღსანიშნავად, ძირითადად, მუქარისა ან დაპირების მიზნით (Platzack 1979; Searle 1985).

გარდა ამგვარი სემელფაქტიური ვარიანტებისა, ასპექტობრივი წყვილების წარმოქმნაში (უსრული/სრული ასპექტის დაპირისპირების თვალსაზრისით) რუსული ენისათვის დამახასიათებელ ზმნურ იდიომებში შეინიშნება რამდენიმე ვარიანტი:

1. ასპექტობრივი წყვილები იწარმოება მხოლოდ 'ლექსიკური' აფიქსაციის გზით, რომლის დროსაც ასპექტი იწარმოება არა რომელიმე კონკრეტული ამ ზმნისთვის დამახასიათებელი აფიქსის საშუალებით, არამედ ითვისებს ისეთ აფიქსს, რომელსაც ასპექტობრივი წყვილების წარმოების დროს, ძირითადად, არ იყენებს (მაგ.: *мутить/замутить воду* (უსრული/სრული), *дуть - надуть/надувать губы* ⁷⁵ (სრული/უსრული) და ა.შ.);

2. 'ლექსიკური' აფიქსაციის გზით ნაწარმოები სრული ასპექტის ზმნა ქმნის საკუთარ ასპექტობრივ წყვილს (მაგ.: *ставить → подставить: подставлять/подставить вторую щеку, гулять → нагулять: нагуливать/нагулять аппетит* ⁷⁶ და ა.შ.);

3. ასპექტობრივი წყვილები იწარმოება აქტიონსარტის გზით (მაგ.: *висеть/виснуть на волоске, перегибать/перегнуть палку* ⁷⁷ და ა.შ.);

4. აქტიონსარტის გზით მიღებული ზმნური ერთეული იძენს ახალი ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობას, რითაც იქმნება ახალი ასპექტობრივი წყვილი (მაგ.: *кинуть → откинуть: откидывать/откинуть копыта, верстать → наверстать: наверстывать/наверстать упущенное* ⁷⁸ და ა.შ.).

აღსანიშნავია, რომ იდიომურ გამოთქმათა დიდი ნაწილი განეკუთვნება ნაკლოვან ასპექტობრივ წყვილებს, რომლებშიც იგულისხმება რომელიმე ერთ-ერთი (უსრული ან სრული) ასპექტის არსებობა, ხოლო თუ შევეცდებით მისი ასპექტობრივი მეწყვილის წარმოებას, შეიძლება იდიომი დაგვეკარგოს (მაგ.: *раскритиковать в пух и прах* (სრულასპექტიანი ზმნა) – შეუძლებელია მსგავსი იდიომის წარმოება უსრულასპექტიანი ზმნით: *критиковать; торопить события* (უსრულასპექტიანი ზმნა) – შეუძლებელია მსგავსი იდიომის წარმოება სრულასპექტიანი ზმნით *поторопить* და ა.შ.).

⁷⁵ წყალს ამღვრევს, პრობლემებს ქმნის; იბუტება, სწყინს.

⁷⁶ მეორე ლოყას შეუშვებს; მადას აღუძრავს.

⁷⁷ ბეწვზე ჰკიდია; ნამეტანი მოუდის.

⁷⁸ ფეხებს ფშვკს; მძიმე მდგომარეობიდან გამოდის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ასპექტის წარმოებისას თანამედროვე ბერძნულ ენას ნაკლებად ახასიათებს ისეთი დერივაციული მოდელები, როგორიც დასტურდება რუსულსა და ქართულში, თუმცა თანამედროვე ბერძნული ზმნა აქტიონსარტის ფორმები მოეპოვება; საწარმოებლად მიმართავს სხვა საშუალებებს, კერძოდ, ზმნიზედებს. ამ მხრივ საინტერესო შენიშვნა აქვს მ. რივეროს, რომელსაც თავის ნაშრომში დაწვრილებით აქვს აღწერილი თანამედროვე ბერძნულში არსებული ზოგიერთი ზმნიზედის (ξάνα, πάλι - კვლავ, σίχνα - ხშირად, δίπλα - გვერდიგვერდ, ακόμι - ჯერ, μόλις - ახლახან) მორფოსინტაქსური თავისებურება (Rivero 1992). ავტორს შემოღებული აქვს აქტიონსარტული და ასპექტური ზმნიზედების ცნებები, რომელთა მიხედვითაც ზმნა აქტიონსარტის მატარებელი კი არ არის, არამედ იძენს აქტიონსარტის ფუნქციას ზმნიზედის დართვით (Rivero 1992, 306).

აქ დგება სიხშირის საკითხი, კერძოდ, გასარკვევია, რამდენად ხშირია აქტიონსარტული ზმნიზედები იდიომური გამოთქმების შემადგენლობაში. თანამედროვე ბერძნულ ენაში ξάνα გვხვდება როგორც ზმნური, ასევე სახელური იდიომების შემადგენლობაშიც. ზმნურ იდიომებში, თუ ეს ზმნიზედა არ ერწყმის ზმნას, იგი ითხოვს αρχίζω (ვიწყებ) ზმნას, ხოლო სახელურ იდიომში – სახელურ შესიტყვებას από την αρχή (თავიდან) (მაგ.: 152-154)

(152) ξανά-μανά – “Αυτή η άτιμη η μοίρα φταίει... Και ξανά-μανά άρχισα να νταντεύω μαρά.” (Ταχτσής Κ., “Τρίτο στεφάνι”), “Κατά το «φύγε εσύ, έλα εσύ» και ξανά μανά από την αρχή, ο Μιχάλης Τροχανάς διορίζει από σήμερα πρόεδρο της ΠΑΕ ΑΕΚ τον Αλέξη Κούγια!” (Ξενάκης Γ., “Φύγε εσύ, έλα εσύ”)⁷⁹;

(153) ξαναρχίζω τη ζωή – “Σύμφωνα με τη Ζίνα, όταν έφτασε στη Ραμάλα για πρώτη φορά, ένωσε ευγνώμων για την ευκαιρία που της δόθηκε να ξαναρχίσει τη ζωή της και να σώσει τον εαυτό της” (ΒΙΚΤΟΡ ΜΠ., “Ο Στρατός των Ρόδων”)⁸⁰;

(154) (δεν/μην) θα/να ξαναπατίσω το πόδι (ξαναπατίζω το πόδι*⁸¹) – “Πρόσεχε γιατί δε θα ξαναπατήσεις το πόδι σου εδώ μέσα! (ΠΑΠΑΘΑΝΑΣΙΟΥ Β., “Άσε την πόρτα ανοιχτή”)⁸².

⁷⁹ კვლავ – “უნამუსო ბედის ბრალია... და ხელახლა დაიწყო ბავშვების აღზრდა.” (ტახტისისი, კ., “მესამე გვირგვინი”); “მსგავსი ლაპარაკით “წადი, მოდი” და კვლავ თავიდან, მიხაილ ტროხანასი დღეიდან ზღუდავს ალექს კულიას, ΠΑΕ ΑΕΚ-ის თავმჯდომარეს“ (ქსენაკისი, ღ., “წადი, მოდი”)

⁸⁰ ხელახლა იზადება – “როცა ზინა პირველად ჩავიდა რამალაში, თავი მადლიერად იგრძნო, რადგანაც მეორედ დაიბადა (სიცოცხლე თავიდან დაიწყო) და მიეცა თავის გადარჩენის შანსი“ (ვიქტორი, ბ., “ვარდების ჯარი”)

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ზმნიზედა $\xi\alpha\nu\alpha$ -ს (თავიდან, ხელახლა) ზმნის შემადგენლობაში მოხვედრას წინ რამდენიმე საფეხური უსწრებს, კერძოდ: $\xi\alpha\nu\alpha\rho\chi\acute{\iota}\zeta\omega$ (თავიდან ვიწყებ) $\leftarrow \xi\alpha\nu\acute{\alpha} + \rho\alpha\rchi\acute{\iota}\zeta\omega \leftarrow \rho\alpha\rchi\acute{\iota}\zeta\omega \xi\alpha\nu\acute{\alpha}$, $\xi\alpha\nu\alpha\pi\alpha\tau\acute{\iota}\zeta\omega$ (თავიდან ფეხს ვაბიჯებ) $\leftarrow \xi\alpha\nu\acute{\alpha} + \pi\alpha\tau\acute{\iota}\zeta\omega \leftarrow \pi\alpha\tau\acute{\iota}\zeta\omega + \xi\alpha\nu\acute{\alpha}$ და ა.შ. ეს ნათლად ჩანს იდიომურ გამოთქმებშიც, ოღონდ, როგორც აღინიშნა, $\xi\alpha\nu\alpha$ მხოლოდ ზმნურ იდიომურ გამოთქმებში კი არ გვხვდება (სადაც მის აქტიონსარტულ ფუნქციებზე საუბარი თითქოსდა გაუმართლებელია), არამედ სახელურ იდიომურ გამოთქმებშიც, ოღონდ ფრეიმული თვალსაზრისით ორსავე შემთხვევაში ერთნაირი მნიშვნელობის მატარებელ ერთეულს ვიღებთ (მაგ.: 155)

(155) $\xi\alpha\nu\acute{\alpha} \mu\alpha\nu\acute{\alpha} \alpha\pi\acute{o} \tau\eta\nu \rho\alpha\chi\acute{\eta}$ (კვლავ თავიდან) $\leftarrow \xi\alpha\nu\alpha \mu\alpha\nu\acute{\alpha} \tau\alpha \rho\alpha\chi\acute{\iota}\zeta\omega$ (რადაცას ვიწყებ კვლავ თავიდან) $\leftarrow \xi\alpha\nu\acute{\alpha}-\mu\alpha\nu\acute{\alpha} \acute{\alpha}\rho\chi\iota\sigma\alpha \nu\alpha\ldots$ (კვლავ თავიდან დავიწყე) $\approx \rho\alpha\chi\acute{\iota}\zeta\omega \xi\alpha\nu\acute{\alpha}$ (ვიწყებ თავიდან) $\leftarrow \xi\alpha\nu\alpha\rho\chi\acute{\iota}\zeta\omega \tau\eta\ldots$ (მას კვლავ თავიდან ვიწყებ)

რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა $\xi\alpha\nu\alpha\pi\alpha\tau\acute{\iota}\zeta\omega$ -ს (ხელახლა ვაბიჯებ) შემთხვევაში (მაგ.: 154): მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებული ზმნის აწმყო დროში გაფორმება მისაღებია, იდიომური გამოთქმის შემადგენლობაში იგი ითხოვს ნამყო სრული დროის ფუძეს მომავალი უსრული დროითი $\nu\alpha$ მაჩვენებლის დართვით. მაგრამ ეს გვაქვს მხოლოდ ისეთ წინადადებებში, რომლებშიც ზმნა ითხოვს გრამატიკულ გავრცობას ($\rho\alpha\chi\acute{\iota}\zeta\omega$ (ვიწყებ), $\sigma\nu\nu\epsilon\chi\acute{\iota}\zeta\omega$ (ვაგრძელებ), $\pi\alpha\acute{\upsilon}\sigma\alpha$ (ვწყვეტ), $\sigma\tau\alpha\mu\alpha\tau\acute{\alpha}\omega$ (ვჩერდები)) და, ასევე, გრძნობა-აქმის აღმნიშვნელ ზმნებთან (Γ. Κ. Μπαμπινιώτης 1999, 81). მსგავს შემთხვევებში შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ იდიომური გამოთქმის სემანტიკური გადატანითი მნიშვნელობა ზეგავლენას ახდენს მის სტრუქტურაზე და ქმნის ლექსიკური ასპექტის შესაძლებლობას.

ინგლისური ენის შემთხვევაში ლექსიკური ასპექტი, ე.წ. აქტიონსარტის არსებობა განიხილება ყველა ზემოხსენებული მიდგომის ფარგლებში, მაგრამ ამასთანავე, ინგლისურში დასტურდება ისეთი ზმნური წყვილები, როგორიცაა: look – see, study – learn, listen – hear და ა.შ., რომლების სემანტიკაც იმთავითვე გულისხმობს მოქმედების პროცესს ან მოქმედების შედეგს. უფრო მეტიც: კონტექსტზე

⁸¹ მსგავს ზმნურ იდიომურ გამოთქმაში ზმნის აწმყოს ფორმა თანამედროვე ბერძნულ ენაში არ გვხვდება, აღნიშნული ერთეული მოყვანილია მისი ამოსავალი ფორმის დადგენის მიზნით.

⁸² ფეხს ამოაკვეთინებს, არ დაადგმევინებს, არ შემოუშვებს - “ფრთხილად იყავი, ამიერიდან ფეხს არ შემოადგამ აქ” (პაპათანასიუ, ვ., “კარს, ნუ კეტავ”)

დაყრდნობით, ხშირად აღნიშნავენ, რომ ერთი და იგივე ზმნა შეიძლება ასახავდეს მოქმედებასაც, მოქმედების დასრულებასაც და მოქმედების შედეგსაც⁸³.

არსებული თეორიების ფარგლებში, ინგლისური ზმნის სემანტიკური მხარის ოთხი შესაძლო კატეგორიის გამოვლენის გზით, აღნიშნავენ, რომ თავისი არსით ინგლისურ ზმნაში ჩაქსოვილი ლექსიკური ასპექტის კომპონენტები ასახავენ შემდეგ თვისებებს:

ა) “მდგომარეობა” (state): [- სრული, - განგრძობითი, - დინამიკური]

ბ) “მოქმედება” (activity): [- სრული, + განგრძობითი, + დინამიკური]

გ) “მოქმედების შედეგი” (achievement): [+ სრული, - განგრძობითი, + დინამიკური]

დ) “მოქმედების დასრულება” (accomplishment): [+ სრული, + განგრძობითი, + დინამიკური].

ქართული ზმნური იდიომური გამოთქმების ასპექტობრივი წყვილების შესწავლისას ვლინდება, რომ მათ ახასიათებთ ე.წ. ლექსიკური პრეფიქსაცია, მაგრამ გასარკვევია, რამდენად შეიძლება მათი განხილვა ლექსიკური ასპექტის ჭრილში. კერძოდ, თუ ქართული ზმნა ერთჯერად მოქმედებას გამოხატავს, როგორი ინტერპრეტაცია მიეცემა ამ ზმნის შემცველ იდიომურ გამოთქმას ასპექტის გამოხატვის თვალსაზრისით? ან უნდა გაიმიჯნოს თუ არა იდიომური გამოთქმა ჩვეულებრივი შესიტყვებისაგან მხოლოდ ინტერპრეტაციით და არა სინტაქსური კომპლექსურობით თუ, პირუკუ: ზმნური იდიომის ინტერპრეტაცია მისი სინტაქსური კომპლექსურობის შედეგად უნდა იქნეს მიჩნეული?

თუ დავუშვებთ, რომ იდიომური გამოთქმა შესიტყვებისაგან განსხვავდება მხოლოდ ინტერპრეტაციით და არა სინტაქსური კომპლექსურობით, მაშინ იგი უნდა განვიხილოთ ლევინისა და ჰოვავის თეორიის ჭრილში, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი სიტყვის მნიშვნელობას ორი მხარე აქვს: სტრუქტურული და იდიოსინკრეტული, ხოლო ზმნის მნიშვნელობა წარმოადგენს ე.წ. ერთიანობას

⁸³ მაგალითად, ა) John ate pudding (მოქმედება); ბ) John ate the apple (მოქმედების დასრულება); გ) John ate the grape (მოქმედების შედეგი), სადაც ზმნის მნიშვნელობა უკავშირდება მის პირდაპირ სამოქმედო ობიექტს და, შესაბამისად, პირველ შემთხვევაში ასახავს მოქმედებას (რადგანაც პუდინგი განეკუთვნება უთვლელ არსებით სახელებს), მეორე შემთხვევაში - მოქმედების დასრულებას (რაკი ვაშლის ჭამას ადამიანი განსაზღვრულ დროს ანდომებს), მესამე შემთხვევაში კი - მოქმედების შედეგს (რაკი ყურძნის ჭამას ერთჯერადი ქმედება სჭირდება). დაწვრ. იხ.: (Placeholder422-23) და (Jackendoff, 1996)

მუდმივსა და განსაზღვრულ სიტუაციას შორის, სადაც მუდმივი ასოცირდება განსაზღვრულ მნიშვნელობასთან (მაგ.: ქმედებასთან, მოქმედების იარაღთან, მდგომარეობასთან და ა.შ.) და ერთეულის სახელწოდებასთან (ფონოლოგიურ გამოვლენასთან):

ა) მოქმედება: $[xACT_{<MANNER>}]$

ბ) მდგომარეობა: $[x < STATE >]$

გ) მოქმედების შედეგი: $[BECOME[x < STATE >]]$

დ) მოქმედების დასრულება: $[xCAUSE[BECOME[y < STATE >]]]$

ე) მოქმედების დასრულება: $[[xACT_{<MANNER>}]CAUSE[BECOME[y < STATE >]]]$

(Hovav 1998; Lin 2004)

ამ თეორიაში ჩვენთვის გასაზიარებელია სიტყვის სტრუქტურული და იდიოსინკრეტული მნიშვნელობა, ოღონდ აქ გასათვალისწინებელი გვექნება ისიც, რომ ქართული ზმნური იდიომის შეპირისპირებით მისი მნიშვნელობის მატარებელ თავისუფალ ზმნასთან, უნდა გამოვლინდეს სხვადასხვა ასპექტობრივი წყვილები, რომლებშიც იდიომის ზმნური კომპონენტის ასპექტი არ უნდა ემთხვეოდეს მისი აღმნიშვნელი ზმნის ასპექტს. ზემოაღნიშნული თეორიის საფუძველს ინგლისური ენა წარმოადგენს, რომელშიც გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის დაპირისპირება გვაძლევს ზმნური იდიომური გამოთქმის ისეთი ტიპის არსებობას, როგორიცაა: *to kick the bucket – to die* (პირველი ზმნა გარდამავალია, ხოლო მეორე – გარდაუვალი), მიუხედავად ასეთი სხვაობისა, ზმნური იდიომის ლექსიკურ-კონცეპტუალური სტრუქტურა ემთხვევა გარდაუვალი ზმნის მნიშვნელობას (Jackendoff 1997).

სამაგიეროდ, თუ დავუშვებთ, რომ ქართული ზმნური იდიომის მნიშვნელობა სინტაქსური კომპლექსურობის შედეგია, მაშინ მისი განხილვა შესაძლებელი იქნება დერივაციული მორფოლოგიის თეორიის ჭრილში, რომლის მიხედვითაც, მნიშვნელობის სტრუქტურული კომპონენტი სინტაქსის ნაწილს წარმოადგენს და, შესაბამისად, *to kick the bucket* არ შეიძლება ნიშნავდეს *to die*-ს, რადგანაც მას აქვს პირდაპირი ობიექტის მქონე გარდამავალი ზმნის სემანტიკური მნიშვნელობა (Marantz 1997). ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი უნდა იყოს ზმნური იდიომის ასპექტობრივი სემანტიკა, კერძოდ, ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს ზმნური იდიომის

ასპექტობრივი სემანტიკა მთლიანად და მისი აღმნიშვნელი თავისუფალი ზმნის ასპექტობრივი სემანტიკა.

იდიომური გამოთქმის სტრუქტურული მხარისა და მისი აღმნიშვნელი თავისუფალი ზმნური ერთეულის გათვალისწინებით, ქართულ ენაში გვხვდება ორი ვარიანტი: ა) საერთო სტრუქტურული და სემანტიკური ველის მქონე ერთეულები (მაგ.: 156), და ბ) საერთო სტრუქტურული და განსხვავებული სემანტიკის მქონე ერთეულები (მაგ.: 157).

(156) სიცილად არ ჰყოფნის – დასცინის; შიშს აჰმევს – აშინებს; თავს აიწყვეტს – გათავხედდება და ა.შ.

(157) დროს გაატარებს – იქეიფებს; ფერფლად აქცევს – გადაწვავს; ფარდას ახდის – გამოააშკარავებს და ა.შ.

პირველ შემთხვევაში (მაგ.: 156) ვხედავთ, რომ იდიომების სემანტიკური მხარე უკავშირდება არა მის ზმნურ ნაწილს, არამედ კონკრეტულ არსებით სახელს, რომელიც, თავის მხრივ, ზმნასთან შეხამებით ქმნის იდიომს. მსგავსი ტიპის იდიომები, როგორც წესი, არ ავლენენ ასპექტობრივ სხვაობას ჩვეულებრივ ზმნასთან შეპირისპირებისას (მაგ.: 158, 159).

(158) შიშის ქარი (ქარები) უვლის (ტანში) – ეშინია, შეშინებულია: “როცა კაცს გული საგულეს აღარა აქვს და შიშის ქარი უვლის ტანში, მაშინ რა არ წარმოუდგება?!” (აკაკი, “ზაში-აჩუკი”);

(159) შიშის ქარმა აიტანა (აიტაცა...) – შეეშინდა: “ამის გამგონე ალი-ყული-ხანი შიშის ქარმა აიტანა და ათრთოლებული ხმით ბრძანა, რომ ჯანდიერისათვის შეეტყობინებიათ” (აკაკი, “ზაში-აჩუკი”).

მაგალითებს შემდეგი გრამატიკული ფორმები ახასიათებს: პირველ შემთხვევაში უსრულისა (უვლის – ეშინია), ხოლო მეორე შემთხვევაში სრული (აიტანა – შეეშინდა) ასპექტია. ამავდროულად, პირველ მაგალითში ზმნა სტატიკურია და გაფორმებულია უსრული ასპექტის ზმნით, რომელსაც აქვს ქმედების მნიშვნელობა, მაშინ როცა მეორე – დინამიკური და გაფორმებულია სრული ასპექტის ზმნით, რომელსაც მოქმედების შედეგის მნიშვნელობა აქვს, კერძოდ:

1. მოქმედების $[DO(ქარი, უვლის(ტანში)]$ განხილვისას ჩვეულებრივი შესიტყვების ჭრილში, აღნიშნულ ერთეულს შემდეგი სახე ექნება:

$$\exists e [ARG_{ext}(შიშის ქარი)(e) \wedge DO([activity უვლის])(e)];$$

2. მოქმედების შედეგის $[BE(ქარმა, აიტანა(ხანი)]$ განხილვისას, შესაბამისად, ვიღებთ: $\exists e [ARG_{ext}(შიშის ქარმა)(e) \wedge BE([become აიტანა])(e)]$

მეორე შემთხვევაში სხვა სიტუაცია გვაქვს: იდიომის მნიშვნელობის აღმნიშვნელი ერთეული არ უკავშირდება არც ერთ მის კომპონენტს და, შესაბამისად, გვხვდება ორი ტიპის შესაძლებლობა – მსგავსი (მაგ.: 160) ან განსხვავებული სტრუქტურული მნიშვნელობით (მაგ.: 161).

- (160) სულს გააფრთხოვინებს – მოკლავს: “დღეს ღორო კოწიას ციხეში დაჩაგრავს, ხვალ კიდევ კოწია დაუხვდება ქუჩაში ღოროს და **სულს გააფრთხოვინებს...**” (აკ. გეგენ., ორეული)

- (161) დროს გაატარებს – იქეიფებს: “– სამაგიეროდ, აქ ისეთ **დროს გაატარებ**, რიგში დგომაც დაგავიწყდება და ეს ღამეც დიდხანს გემახსოვრება...” (აკ. გეგენ., “მოგზაურის დღიურები”)

ორივე მაგალითს ახასიათებს ასპექტის მსგავსი გრამატიკული ფორმები: სრულასპექტიანი ფორმები (გააფრთხოვინებს – მოკლავს, გაატარებს – იქეიფებს) და განსხვავებული სემანტიკური ველის მქონე ერთეულები. უდავოა, რომ 161-ე მაგალითში დადასტურებული სხვაობა უკავშირდება არა ზმნისწინიან დერივაციას, არამედ ქცევის კატეგორიას ქართულში, რომელიც განაპირობებს ნაწილობრივ სტრუქტურულ მსგავსებას.

ამასთანავე, მოქმედების შედეგის აღნიშვნასთან დაკავშირებით საგულისხმოა ენაში ისეთი წყვილების არსებობა, როგორიცაა *სიჩუმე ჩამოვარდა / ჩამოწვა – სიჩუმე ჩამოვარდება / ჩამოწვება* ანდა *ყურთასმენა წაიღო – ყურთასმენას წაიღებს*, მაგრამ შეუძლებელია ისეთი ვარიანტი, როგორიცაა **სიჩუმე ვარდება / წვება* ანდა **ყურთასმენა მიაქვს*; სხვანაირად, რომ ვთქვათ იდიომში ნათლად ჩანს პროცესის შედეგი, მაგრამ არ ჩანს პროცესის მსვლელობა.

შედარების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ოთხივე ენისათვის საერთოა შემდეგი პარამეტრები:

1. იმისდა მიუხედავად, თუ რამდენკომპონენტია ესა თუ ის იდიომური გამოთქმა, მის შემადგენლობაში შესული ამა თუ იმ აფიქსით გაფორმებული ასპექტიანი ზმნური კომპონენტის მნიშვნელობითი მხარე ასე წარმოგვიდგება: ქართულში: ა) მდგომარეობა, ბ) მოქმედება და გ) მოქმედების შედეგი, გარდა მიმართულების ჩვენებისა, რომელიც ისედაც ეკისრება ზმნისწინს; ენა ხასიათდება ასპექტის წარმოების პრეფიქსული და სუპლექტური სისტემებით; ინგლისურში: ა) მდგომარეობა, ბ) მოქმედება, გ) მოქმედების შედეგი და დ) მოქმედების დასრულება; ენა ხასიათდება ასპექტის წარმოების სუფიქსური სისტემით; ახალ ბერძნულში: ა) მდგომარეობა, ბ) მოქმედება და გ) მოქმედების დასრულება, განსაკუთრებით იმ ზმნების შემთხვევაში, რომელთა სემანტიკაც უკვე განაპირობებს ამ მოვლენებს, ანდა იძენს აქტიონსარტის მნიშვნელობას განსაზღვრული ზმნიზედების დართვით; ენა ხასიათდება ასპექტისა და დროის კომბინირებული მორფოლოგიით და, შესაბამისად, ასპექტის წარმოების აფიქსური სისტემით; რუსულში: ა) მდგომარეობა, ბ) მოქმედება, გ) მოქმედების დასრულება, დ) სემელფაქტივი და ე) მოქმედების შედეგი – ენა ხასიათდება ასპექტის წარმოების აფიქსური და სუპლექტური სისტემებით.
2. ყველა ზემოხსენებული მნიშვნელობა აისახება იდიომურ გამოთქმებში და გვაძლევს მათი კლასიფიკაციის შესაძლებლობას: მდგომარეობის აღმნიშვნელ, მოქმედების აღმნიშვნელ და მოქმედების შედეგის აღმნიშვნელ იდიომებად.

3.3. იდიომური გამოთქმების კონვერსიისა და ბენეფაქტიური სტრუქტურის შესახებ

სინტაქსური თეორიების უმეტესობა, მათ შორის, ისეთი თეორიებისა, რომლებიც შემუშავდა ტრანსფორმაციული (კაცი და პოსტალი, 1963; ვაინრაიხი, 1969), სტრატეგიკაციული (ჰოკეტი, 1956, მაკ-კეი, 1972) ან შესიტყვების წამყვანი კომპონენტის სტრუქტურული (საგი, 1994, რიმანი, 2001) გრამატიკების ფარგლებში, ხაზს უსვამს იდიომური გამოთქმის ტრანსფორმაციულ თავისებურებებს (მათ შორის, პასივიზაციას, ნომინალიზაციას და ა.შ.). ასეთი სახის თავისებურებანი ზეგავლენას ახდენენ იდიომის ქცევაზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მის ქცევაზე ამა თუ იმ კონკრეტული ენის წიაღში ან უცხო ენაზე იდიომის გადმოცემისას. აღნიშნული საკითხის განხილვა მიზანშეწონილია ორი ძირითადი მიმართულებით: 1. როგორ ვლინდება აღნიშნული მორფოსინტაქსური ტრანსფორმაციები კონკრეტულ ენაში და 2. რა ზეგავლენას ახდენს აღნიშნული ტრანსფორმაციები ქართული იდიომური გამოთქმის უცხო ენაზე გადმოცემისას, ანდა პირუკუ – ქართულ ენაზე უცხოენოვანი იდიომის თარგმნის დროს.

მთარგმნელობით ლიტერატურაში გამოყოფენ იდიომური გამოთქმების სამ შესაძლო დონეს⁸⁴:

1. ლექსიკური დონე, რომელიც გულისხმობს მსგავსი კომპონენტების მქონე იდიომური გამოთქმების არსებობას სხვადასხვა ენაში;
2. სემილექსიკური დონე, რომელიც გულისხმობს ნაწილობრივ მსგავსი კომპონენტების მქონე იდიომური გამოთქმების არსებობას სხვადასხვა ენაში;
3. პოსტლექსიკური დონე, რომელიც გულისხმობს განსხვავებული იდიომური გამოთქმების არსებობას სხვადასხვა ენაში.

ზემოჩამოთვლილ კითხვებზე პასუხის გასაცემად ყურადღება გავამახვილეთ, პირველ ყოვლისა, იდენტური-ლექსიკური დონის იდიომურ გამოთქმებზე (მაგ.: 162, 163), რადგანაც აღნიშნული დონის იდიომების განხილვა შესაძლებელია კროსლინგვისტურ ჭრილში, მაშინ როცა სემილექსიკური და პოსტლექსიკური

⁸⁴ ტერმინები ლექსიკური, სემილექსიკური და პოსტლექსიკური ეკუთვნის ჯ. ლიონტასს, რომელიც ლექსიკურ დონეს (Lexical Level, LL) აიგივებს მსგავსი კომპონენტების მქონე იდიომურ გამოთქმებთან, სემილექსიკურს (Semi Lexical Level, SLL) – ნაწილობრივ მსგავსი კომპონენტების მქონე იდიომურ გამოთქმებთან, ხოლო პოსტლექსიკურს (Post Lexical Level, PLL) – უნიკალური სტრუქტურის მქონე იდიომურ გამოთქმებთან (Liontas 1997-2003)

დონეების იდიომები გამოირჩევა განსაზღვრული სემანტიკური კლიშეებით, რომელთა თარგმნა უცხო ენაზე გართულებულია.

(162) სულს ამოადრობს – βγάξει την ψυχή κάποιου, вынимать душу из кого-л, put smb through the wringer;

(163) სული ამოსდის – βγαίνει η ψυχή, испустить дух (последний вздох), breathe one's last⁸⁵ და ა.შ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მსგავს შემთხვევებშიც კი ვხედავთ გარკვეულ სხვაობას სხვადასხვა ენის იდიომურ გამოთქმებს შორის. ეს სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ ესა თუ ის ქართული იდიომი ერთ-ერთ ენაზე თარგმნისას განიხილება, როგორც ლექსიკური დონის იდიომი, ხოლო სხვა ენაზე გადმოცემისას განეკუთვნება სემილექსიკურ დონეს. ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, არ იგულისხმება იდიომური გამოთქმის კონცეპტუალურ-სემანტიკური მხარის ცვლილება, საკითხი ეხება უფრო იდიომური გამოთქმების შემადგენელ კომპონენტებსა და მათ სინტაგმატიკას.

ენობრივი მასალის კონვერსიული ტრანსფორმაციის კვლევისას ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:

1. კონვერსიის კროსლინგვისტური წინაპირობები (მოქმედებითი და ვნებითი გვარის დაპირისპირების საფუძველზე);
2. კონვერსიის სემანტიკურ-სინტაქსური საფუძველი;
3. ირიბი ობიექტის გადაადგილება, ანუ, დატივის გადანაცვლება იდიომის ფარგლებში.

⁸⁵ აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ კონცეფციის გადმოცემას სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა ერთეულები სჭირდება და, შესაბამისად, შემთხვევათა უმრავლესობა ნაწილდება შემდეგი სქემის ფარგლებში: $X+Y(V_{1...4}N_{1...4}) = C_{1...4} \rightarrow X+Y_{1...4} = C_{1...4}$, სადაც X კომპონენტის სემანტიკური ასპექტი, Y – მისი სტრუქტურული გამოვლენა, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს სახელური (NP), ანდა ზმნური (VP) და რომლის კომპონენტური შემადგენლობა ცვლად ერთეულს წარმოადგენს და მერყეობს ენიდან ენამდე. აღსანიშნავია, რომ ორი ენის ლექსიკური დონის ერთეულების გამოვლენა შეიძლება არ იყოს თანაბარი მესამე ან მეოთხე ენაში. მსგავს შემთხვევებში ვლინდება განსხვავებული კომპონენტების მონაწილეობით შექმნილი იდიოსინკრეტული კონცეფციური მსგავსება, რომელიც წარმოგვიდგება იდიომების გადაადგილებით ლექსიკური დონიდან ჰომოლექსიკურში და პირუკუ. შესაბამისად, მაგ. 168 და 169 ასახავს მსგავს კორელაციებს ლექსიკურ და ჰომოლექსიკურ დონეებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ენაში დასტურდება ხოლმე.

3.3.1. კონვერსიის კროსლინგვისტური წინაპირობები

სპეციალისტების ყურადღება მოქმედებით-ვნებითი გვარის ურთიერთობაზე ზმნური იდიომის ფარგლებში ეფუძნება იმას, თუ რა სინტაქსურ ტრანსფორმაციას განიცდის ესა თუ ის იდიომა. ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებას ვხვდებით. ყველაზე ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისით, იდიომური გამოთქმის შემადგენლობაში შესული ზმნური კომპონენტის კონვერსიული ტრანსფორმაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ნაწილობრივი ლექსიკური თავისუფლებით ხასიათდება, რაც იმას გულისხმობს, რომ ზმნის ფორმის გადასვლა აქტივიდან პასივში დამოკიდებულია ზმნაზე, როგორც იდიომის ზმნურ კომპონენტზე და საერთო სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელ ერთეულზე (მაგ.: 164, 165).

(164) გულს გაუტეხს – იმედს, რწმენას, ხალისს დაუკარგავს: “მეტადრე ერთმა მკითხავმა ძლიერ **გაუტეხა გული** სუსანას: “ტყუილია, არ შეირთავსო” (ე. ნინოშ., “პარტახი”); “მოულოდნელად დავმარცხდით, სასტიკად ვიძლიენით და **გული გაუტყდა** გმირულად მეგრძოლს” (ვ. ბარნ., “ტრფობა წამებული”) შესაბამისად, გული გაუტეხა (ზმნა სამპირიანია და გარდამავალი) → გული გაუტყდა (ზმნა ორპირიანია და გარდაუვალი);

(165) ფიცს გატეხს – ფიცის, დაპირებულის შეუსრულებლობა, ფიცის დაღატი: “ძველი მოყვარე გაწირა, **ფიცი გატეხა** და მტერი დაიმოყვრაო” (ს. თმოგვ., “ვისრამიანი”); “და ასე **გატყდა** ორი **ფიცი**, დღემდე დაცული: მან მიღალატა, ვისაც სატრფოდ ვთვლიდი ამდენ ხანს...” (რ. თაბუკ., “41 სონეტი”), შესაბამისად, ფიცს გატეხს (ზმნა ორპირიანია და გარდამავალი) → ფიცი გატყდა (ზმნა ერთპირიანია და გარდაუვალი)

მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულში, ინდოევროპული ენებისგან განსხვავებით, გასათვალისწინებელია ზმნის პოლიპერსონალიზმი, რომელიც განაპირობებს კონვერსიით გამოწვეულ სხვაობას აქტივსა და პასივს შორის პირთა რაოდენობაზე დაყრდნობით (სამპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნური კომპონენტის შემთხვევაში ვიღებთ ორპირიან ვნებითს; ორპირიანი ზმნური კომპონენტის შემთხვევაში კი – ერთპირიან ვნებითს).

რაც შეეხება ინდოევროპულ ენებს, მიღებული თვალსაზრისით, იდიომური გამოთქმის აქტივ-პასივის ტრანსფორმაცია ძირითადად უკავშირდება თვით იდიომის მნიშვნელობის აღმნიშვნელი ზმნის ტრანსფორმაციას და, შესაბამისად: “(1) პასივიზაციის განსახორციელებლად იდიომს უნდა ჰქონდეს ლექსიკური სტატუსი, რადგანაც პასივი ლექსიკურ მოვლენას წარმოადგენს. (2) იდიომისათვის ამგვარი ლექსიკური სტატუსის მისანიჭებლად, მკვლევარს უნდა შეეძლოს იდიომურობის მიმნიჭებელი ცალკეული ლექსემების გამოვლენა. შესაბამისად, სემანტიკური დაშლადობა და პასივიზაცია ისეთი ლექსიკური პროცესებია, რომლებიც, ჩვენი თვალთახედვით, ერთმანეთს ბუნებრივად უკავშირდება” (Nunberg 1994, 508). მაშასადამე, თუ იდიომის ზმნური კომპონენტი განიცდის კონვერსიას, იდიომიც იცვლება (166), თუ – არა, მაშინ იდიომის შეცვლაც აქტივ-პასივის თვალსაზრისით შეუძლებელია (მაგ.: 167).

(166) to pull strings (to exert personal influence) – the strings were pulled, to break the ice (to be the first of a group to do something) – the ice was broken, to collect dust (not to use something) – the dust was collected;

(167) to kick the bucket (to die) – *the bucket was kicked, to catch cold (to become ill) – *cold was caught, to break neck (to work very hard) – *the neck was broken⁸⁶.

აღნიშნული თეორიის თანახმად, ზემოხსენებული იდიომების კონვერსიული ცვლა შეუძლებელია, რადგანაც მათს აღმნიშვნელ ზმნას ამის უნარი არ გააჩნია, როგორც ეს ჩანს *to die, to become, to work* ზმნების შემთხვევაში. აღნიშნული ერთეულების პასივიზაციის შემთხვევაში იდიომი კარგავს იდიომურობას, ტრანსფორმაციის შედეგად შეძენილი მნიშვნელობა უარყოფს მათს მთლიან მნიშვნელობას და გამოყენებული კომპონენტები – იმისდა მიუხედავად, ზმნური იქნება იგი თუ სახელური, იძენენ კონტექსტით შეპირობებულ, ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულისათვის დამახასიათებელ ტრანსფორმაციულ შესაძლებლობებს (Chafe 1968; Newmeyer 1974).

ენაში აქტივ-პასივის ტრანსფორმაციის განხილვა შესაძლებელია რამდენიმე მიმართულებით: მაგალითად, აქტივ-პასივის მორფოლოგია გულისხმობს სხვადასხვა აფიქსის ჩართვას ზმნის შემადგენლობაში სათანადო ტრანსფორმაციის

⁸⁶ მაგ. 172: ზეგავლენას განიცდის, ნავსს ტებს, მტვერს აგროვებს (გამოუსადეგარია); მაგ. 173: კვდება, ავად ხდება, ბევრს მუშაობს.

მისაღწევად, ასევე მნიშვნელოვანია იდიომის განხილვა სინტაქსური თვალსაზრისით, რადგანაც მხოლოდ ამ გზით ხდება შესაძლებელი თვით აქტივ-პასივის სემანტიკური და მორფოლოგიური მნიშვნელობის განსაზღვრა.

იდიომის ზმნური კომპონენტის აღნიშნული სემანტიკური ტრანსფორმაციები, როგორც წესი, უკავშირდება მათი გარდამავალი სემანტიკის ცნებას; ამ უნარს ზმნა იძენს თავისი ე.წ. *მ-როლის* (თეტა-როლის) (Fillmore 1968; Hale 1993) წყალობით, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ შესიტყვებისთვის დამახასიათებელი ზმნის მიერ განპირობებული სინტაქსური არგუმენტის (სახელური ნაწილის ტიპი, რიცხვი) ასახავად. წარმომქმნელ და, განსაკუთრებით, ტრანსფორმაციულ გრამატიკაში *მ-როლი* წარმოგვიდგება ფორმალური ერთეულის სახით, რომელიც გამოიყენება არგუმენტის (იგივე – აქტანტის) ისეთი სინტაქსური სტრუქტურის წარმოსადგენად, რომელსაც სინტაქსურად ითხოვს ესა თუ ის ზმნა. ქართულ ენაში ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნების მაგალითზე ნათლად ჩანს, თუ რამდენ არგუმენტს იხამებს ესა თუ ის ზმნა და, შესაბამისად, უფრო ნათლად აისახება მათი თემატური მიმართებებიც. მიღებული დეფინიციების თანახმად, *მ-როლი* მიეწერება მხოლოდ ზმნის არგუმენტებს; თითო არგუმენტი შეიძლება ასახავდეს მხოლოდ ერთ თეტა-როლს, მაგრამ რამდენიმე თემატურ რელაციას. მაგალითში – *ორივენი ისევ ძილს აძლევდნენ თავს (შ. არაგვ., ქველ)* – ნაცვალსახელი *ორივენი* წარმოგვიდგება აგენტისა და წყაროს თემატური რელაციის ფარგლებში, მაგრამ ასახავს მხოლოდ გარე აგენტის *მ-როლს* და, ნათელია, რომ თემატური რელაცია განეკუთვნება მხოლოდ სახელს ან სახელურ გამოთქმას, მაშინ როცა თეტა-როლი მიეწერება არგუმენტის ყველა შესაძლო ვარიანტს. ჩვენი ნაშრომის კონტექსტიდან გამომდინარე, მსგავს როლებს განვიხილავთ თემატური იერარქიების ფარგლებში, რომლებიც გამოიყენება კროსლინგვისტურ ასპექტში და მიუთითებს წინადადების კონკრეტულ პოზიციებზე, რომლებიც უკავშირდება თემატურ რელაციებსა და თეტა-როლს.

იდიომურ გამოთქმებში თეტა-როლი მიუთითებს შესიტყვების სინტაქსურ ფუნქციებსა და სემანტიკური როლების კავშირებზე, რაც იმას გულისხმობს, რომ ზმნით გამოხატული ფუნქცია უნდა აისახებოდეს რომელიმე არგუმენტში, ხოლო თითოეულ არგუმენტს მიეწერება, როგორც წესი, მხოლოდ ერთი კონკრეტული თეტა-როლი. შესაბამისად, თეტა-როლი ზმნას აკავშირებს შესიტყვებაში შესულ ამა თუ იმ სახელური კომპონენტის კონკრეტულ ბრუნვასთან.

ინდოევროპული ენების შემთხვევაში ზემოხსენებული კავშირი შეპირობებულია იმით, თუ რამდენად არის განვითარებული ამა თუ იმ ენის სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობის ამსახველი ბრუნვების კატეგორია (მდრ.: ინგლისურ ენაში მხოლოდ ორი ბრუნვა გვაქვს, თანამედროვე ბერძნულში - ოთხი, რუსულში - ექვსი), მაგრამ ინდოევროპული ენების მორფოსინტაქსი, ზოგადად, ასე წარმოგვიდგება: სუბიექტი/აგენსი სახელობით ბრუნვაში დგას, ობიექტი/პაციენსი – ბრალდებით ბრუნვაში (მაგ.: რუსულში, ბერძნულში), ობიექტი/რეციპიენსი კი – მიცემითში (მაგ.: რუსულში, ბერძნულში). ქართულ ენაში, რომელსაც შვიდბრუნვიანი სისტემა ახასიათებს, ვითარება სხვაგვარია: სუბიექტი/აგენსი – შეიძლება იდგეს სახელობითში, მოთხრობითში ან მიცემითში, ობიექტი/პაციენსი – სახელობითში ან მიცემითში, ხოლო ობიექტი/რეციპიენსი – მიცემითში.

თვით სახელური იდიომური გამოთქმაც (NP), რომლის შემადგენლობაში თითქოს არ უნდა იგულისხმებოდეს ზმნური კომპონენტი, წინადადების შემადგენლობაში შემავალ ზმნურ კომპონენტზე ასე თუ ისე დამოკიდებულ ერთეულს წარმოადგენს და, შესაბამისად, მისი თეტა-როლის მატარებელ არგუმენტად იქცევა (მაგ.: 168).

(168) ბედნიერი ფეხი – ადამიანი, რომლის ფეხსაც ბედნიერების მოტანა შეუძლია: “შენ მაინც **დაადგი** შენი **ბედნიერი ფეხი** შენი ბიძიას ქოხში..” (დ. კლდ., ქამუშადის გაჭირვება)

მაგალითიდან ჩანს, რომ **დაადგი** ზმნაში აისახება: აგენსი – შენ (ერგატივში), პაციენსი – ის (სახელობითში), რეციპიენსი – მას (მიცემითში); უფრო ზუსტად, პაციენსის ფუნქციას სახელური იდიომი *ბედნიერი ფეხი* ასრულებს, რომელიც თეტა-როლის მატარებელ არგუმენტად იქცევა, იმავედროულად ინარჩუნებს დამოუკიდებლობას; რეციპიენსი კი იგულისხმება (წინადადებაში არ ჩანს). ხოლო თუ ზმნური იდიომის სახელური კომპონენტი იძენს ზმნაზე დამოკიდებული არგუმენტის ფუნქციას, ეს კომპონენტი კარგავს ან ნაწილობრივ ინარჩუნებს დამოუკიდებლობას. თუკი მსგავსი დამოუკიდებლობა ნაწილობრივ მაინც შენარჩუნებულია, იდიომიც უფრო მეტად ექვემდებარება ზემოხსენებულ ტრანსფორმაციებს, ვიდრე მაშინ, როცა არგუმენტი მთლიანად დამოკიდებულ ერთეულს წარმოადგენს (მაგ.: 169, 170).

(169) ბოლოს უღებს – კლავს, სპობს, ანადგურებს: “[მუცელას] შიმშილი უღებდა ბოლოს” (ვაჟა, ქეგლ); ბოლო ეღება – მოქმედება ან მდგომარეობა მთავრდება, ბოლოს/დასასრულს აღწევს: “მოცილენი რა დარწმუნდნენ – საქმე ძალიან არეულ-დარეულია, სამსჯავროში საქმეს ბოლო აღარ ეღება და გლეხებსაც ტყის მონაწილეობიდან ადვილად ვერ გავდევნითო, ხრიკს მიმართეს” (ე. ნინოშ., “პალიასტომის ტბა”); შესაბამისად, ბოლოს უღებს (ის მას მას) → ბოლო ეღება (ის მას)

(170) კბილებს იმტვრევს – ბრაზობს, ჯავრობს: “ჩაჩნები კბილებს იმტვრევდნენ სიბრაზითა” (ს. მაგალ., “ჯორ-ზაქარა ”); შესაბამისად, იმტვრევს (ის მას) → დაიმტვრა (ისინი). თეორიულად თითქოს შესაძლებელი უნდა იყოს სათანადო ერთპირიანი ფორმის არსებობაც – *კბილები დაიმტვრა, მაგრამ ამ შესიტყვებას უკვე ეკარგება იდიომურობა და მისი სემანტიკა ფაქტობრივ წარმოადგენს შესიტყვების სიტყვასიტყვით მნიშვნელობას.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ კონვერსიის შედეგად მიღებული გამოთქმებიდან პირველ შემთხვევაში არგუმენტი ნაწილობრივ ინარჩუნებს დამოუკიდებლობას და, შესაბამისად, იდიომურობაც არ იკარგება, მაშინ როცა მეორე შემთხვევაში იდიომი იქცევა ჩვეულებრივ შესიტყვებად. მსგავსი ვითარება გვხვდება ინგლისურშიც, რუსულშიც და ახალბერძნულ ენებშიც. შესაბამისად, იდიომური გამოთქმების დაშლის შესაძლებლობას განიხილავენ იმაზე დაყრდნობით, თუ რომელ თემატურ როლს იძენს ესა თუ ის არგუმენტი და რას განეკუთვნება ესა თუ ის როლი – შესიტყვების სიტყვასიტყვით თუ იდიომურ მნიშვნელობას.

იდიომები, რომლებიც განიცდიან ასპექტობრივ ცვლას და, საამისოდ მოეპოვებათ სხვადასხვა – სრულ- თუ უსრულასპექტიანი ფორმები, იძენენ მსგავს თემატურ როლს, მიუხედავად კონტექსტისა – პირდაპირი (სიტყვასიტყვითი) იქნება იგი თუ იდიომური, ანუ, სხვაგვარად: თუ სიტყვასიტყვითი და იდიომური მნიშვნელობის მქონე შესიტყვების თემატური როლები ემთხვევა ერთმანეთს, ასეთ ერთეულთა ‘გაქვავების’ ხარისხი დაბალია. თუკი სიტყვასიტყვითი და იდიომური მნიშვნელობა ერთმანეთს არ ემთხვევა, მსგავს შემთხვევებში იდიომური გამოთქმის ‘მდგრადობის’ ხარისხი უფრო მაღალია.

საერთოდ კი, პრაქტიკულად ყველა ენაში ამა თუ იმ ზმნური იდიომის შესაძლო კონვერსიული ფორმები დამოკიდებულია კონსტრუქციის სემანტიკურ

მხარეზე. კერძოდ, კონვერსია უკავშირდება როლების გაცვლას სუბიექტსა (აგენსსა) და პირდაპირ ობიექტს (პაციენსს) შორის, რის შედეგადაც ერთი კონსტრუქციის სუბიექტი იქცევა პირდაპირ ობიექტად ან პირუკუ.

თუ შევხებით აქტივისა და პასივის შედარებას, უნდა განვასხვაოთ, ერთი მხრივ, ე.წ. მორფოსინტაქსური და წმინდა სინტაქსური პასივი, ხოლო, მეორე მხრივ, ინდოევროპული ენებისათვის დამახასიათებელი პასივი, რომელიც გვხვდება ინგლისურში (ე.წ. წინდებულიანი პასივი), ახალ ბერძნულსა და რუსულში, პასივის იმ წმინდა მორფოლოგიური ვნებითის ფორმებისაგან, რომლებიც გვაქვს ქართულში და, მაშასადამე, ვლინდება როგორც თავისუფალ შესიტყვებაში, ისე იდიომურ გამოთქმებშიც. აშკარაა, რომ ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმი და ვალენტობა განაპირობებს აქტივ-პასივის სინტაქსურ ურთიერთობას წინადადებაში, რაც აისახება თვით ზმნაშიც პირის ნიშნების ცვლით, ზმნის ინვერსიის დროს რომ ხდება აქტანტების პირიანობის გამოხატვისას (მელიქიშვილი 2001).

ზმნური იდიომური გამოთქმის აქტივ-პასივის ურთიერთობის შესწავლისას გამოვლინდა, რომ ოთხსავე საანალიზო ენაში არსებობს ტრანსფორმაციის ოთხი შესაძლო ვარიანტი:

1. ზმნური იდიომური გამოთქმის შემადგენლობაში არსებობს ობიექტი, რომელსაც შეუძლია თემატური სუბიექტის ფუნქციის შესრულება წინადადების ფარგლებში და ინარჩუნებს შესიტყვების იდიომურ მნიშვნელობას (მაგ.: 171)

(171) (გულს) ცეცხლს უკიდებს (ის მას მას): “შენი გულისა, რა **ალ-ცეცხლს უკიდებს** მაღლით მოსილი!” (უიარაღო, “მამელუქი”) – (გულს) ცეცხლი ეკიდება (ის მას): “წვერ-ულვაშზე მარგალიტებრ ცრემლი ცრემლზე ეკიდება, მწარის ოხვრით ვერ იქარვებს, გულს რომ **ცეცხლი ეკიდება**” (ა. წერ., “თორნიკე ერისთავი”); to pull strings: “He can pull strings” (Gill, B.M., “Dying to meet you”) – strings are pulled: “You know how it is, Mr Lorton: strings are pulled, and we all have to go through the hoops rather faster than normal” (Brett, S., “Cast in order of disappearance”); δίνω λόγο σε κάποιον: “... και **δίνει τον λόγο** στον κομπάρσο που εξομολογείται ” (Μπουρας Δ., “Ο δαίμονας Αδόλφος της οθόνης”) – το λόγο δόθηκε σε κάποιον: “Αν και **οι λόγοι που δόθηκαν** για τη απόλυση δεν συνιστούσαν από μόνοι τους διάκριση...” (Πολυχρόνη, Μ., “Δικαιώματα μειονοτήτων”); развязать кому-либо руки: “А когда ЦИК **развязал ему руки** формально, он уж прямо

поставил себе целью сформировать совершенно новый кабинет...” (Суханов, Н.Н., “Записки о революции”) – руки были развязаны: “Да и вообще у черного колдуна **руки были развязаны**” (Чулков, Г.И., “Императоры: Психологические портреты”)⁸⁷

2. ზმნური იდიომური გამოთქმის გარეთ არსებობს გარკვეული სახელი, რომელსაც თემატურ როლებზე დაყრდნობით შეუძლია ქვემდებარის ფუნქციის შესრულება წინადადებაში და კონვერსიისას არ აკარგვინებს შესიტყვებას იდიომურ მნიშვნელობას (მაგ.: 172)

(172) ცივ ქვაზე დაასახლებს (ის მას): “იმისთანა ჭკუიანი და მეოჯახე ციცაია, რომ ცივ ქვაზე დაასახლებს კაცს” (ე. ნინოშ., “პარტახი”) – ცივ ქვაზე დასახლდება (ის): “ისინი ცივ ქვაზე დასახლდნენ,” – ამბობს იგი” (დ. ბერი, “რთულ დროს დაბადებული...”); to give hell: “Caroline would **give me hell** for evermore if she thought I'd ill-treated her best friend” (Murray, A., “Only two can share”) – smb. is given hell: “Nick is given hell by his friend”; φέρνω κάποιον στα συγκαλά του/της: “...προσπαθώντας να βρω λόγια για τη Βαγγελίτσα, **να τη φέρω στα συγκαλά της** την έρμη...” (ΚΑΤΟΣ Γ., “Τα καλά παιδιά”) – κάτι ή κάποιος με φέρνει στα συγκαλά μου: “Η επιτυχία του «Μαχητή» από τη μία κι η δική σου συντροφιά απ’την άλλη, **με ξανάφεραν στα συγκαλά μου**” (Τσίρκας, Στ., “Λέσχη”); припереть к стене: “У нас в руках было вполне достаточно фактов, чтобы найти их и **припереть к стене**” (Парнов, Е., “Третий глаз Шивы”) – кто-либо/что-либо был приперт к стене: “Горький **был приперт к стене** и не простил нам этого никогда” (Катанян, В., “Лиля Брик”)⁸⁸

⁸⁷ **გავლენას ახდენს** [სიტყვასიტყვით: თოკებს ათრევს]: “მას შეუძლია გავლენის მოხდენა” (გილი, ბ., “მოუთმენლად გელი”), “ზომ იგი, როგორც ხდება, მისტერ ლორტონ: გავლენა მოხდენილია და ჩვენ უნდა გავძვრეთ უფრო სწრაფად, ვიდრე როდესმე” (ბრეტი, ს., “გაუჩინარების მიზნით მიაგდე”); **სიტყვას აძლევს ვინმეს** [სიტყვასიტყვით: ვაძლევ სიტყვას ვინმეს]: “და დამატებით სიტყვას აძლევს, რომელსაც უჯერებენ” (მპურასი, დ., “ტელევიზიის დემონო ადოლფი”), “თუმცა ის სიტყვა, რომელიც მიეცა მათ დათხოვნამდე არ განსხვავდებოდა...” (პოლიხრონი, მ., “უმცირესობათა უფლებები”); **ხელები გაეხსნა ვინმეს** [სიტყვასიტყვით: გაუხსნა ვინმეს ხელები]: “და როცა ციკმა მას ფორმალურად ხელები გაუხსნა, მას უკვე პირდაპირ მიზნად ადებული ჰქონდა აბსოლუტურად ახალი კაბინეტის ჩამოყალიბება...” (სუხანოვი, ნ., “ჩანაწერები რევოლუციის შესახებ”), “ჰოდა, საერთოდ, შავ ჯადოქარს ხელები გახსნილი ჰქონდა” (ჩულოვი, გ., “იმპერატორები: ფსიქოლოგიური პორტრეტები”)

⁸⁸ **ჯოჯოხეთად აქცევს** [სიტყვასიტყვით: ჯოჯოხეთს აძლევს]: “კაროლინა ჯოჯოხეთად აქცევს ყველაფერს, თუ იფიქრებს, რომ მის საუკეთესო მეგობარს ცუდად მოვექცევი” (მიურეი, ა., “შესაძლებელია მხოლოდ ორის განაწილება”), “მეგობარმა ნიკს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია”; **გონს მოდის ვინმე** [სიტყვასიტყვით: მომყავს ვინმე თავის გრძნობებში] “...ვეცადე მომეძებნა სიტყვები

3. ზმნური იდიომური გამოთქმის ფარგლებში არსებობს ობიექტი, რომელსაც შეუძლია თემატური სუბიექტის ფუნქციის შესრულება, მაგრამ უკარგავს შესიტყვებას იდიომურ მნიშვნელობას და ქმნის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას (მაგ.: 173)

(173) ტალღას ააგორებს (ის მას): “ვინ იცის, იმის გულში რა მოძრაობდა, მისი აზრები რაგვარს **ტალღებს ააგორებდა**, საითკენ და რა ძალით მიაქროლებდა, ან რომელს საგანს ჩასცივებოდა” (ალ. ყაზბ., “ხევისბერი გოჩა”) – ტალღა აგორდა (ის): “ზღვაზე **ტალღები** კვლავ **აგორდება**” (გ. ხოფ., “რად არ შორდება შენს თვალებს დარდი”); to kick the bucket: “Thus, The aspidistra kicked the bucket exemplifies inappropriateness because replacing kick the bucket with its cognitive synonym die removes the dissonance” (Cruse, D A., “Lexical semantics”) – the bucket was kicked: “The bucket was kicked by Nick”; τι ψαριά πιάνει κάποιον: “Έχω οδηγήσει 883 και Fat Boy, αλλά έπρεπε να μάθω τι **“ψαρία πιάνει”** και η ναυαρχίδα του στόλου” (Περιοδικό, “Long Live the Queen”) – το ψάρι/τα ψάρια πιάνεται/ονται: “Με την τεχνική αυτή **το ψάρι πιάνεται** με το πέραςμα που κάνει ανάμεσα στα αγκίστρια για να φάει το ψαμοτύρι” (Μαρσέλλος, Θ.Ν., “Το ψάρεμα και τα ψάρια”); жизнь продолжается: “Просто она ни на секунду не утратила сознания того, что **жизнь продолжается**” (Власова, Е., “Дети и смерть”) – жизнь продолжать: “Боятся они ее и в то же время присматриваются, нельзя ли как своих людей к управлению поставить, чтоб стороной законы обойти, под новой вывеской старую **жизнь продолжать**” (Марков, Г.М., “Строговы”)⁸⁹

ვანგელიცასთვის, რათა გონს მომიყვანა...” (კატოსი, დ., “კარგი ფეხები”), “მახიტის» გამარჯვებამ, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, შენმა მძაყაცობამ, გონს მომიყვანა” (ცირკასი, სტ., “კლუბი”); **კედელთან მიაყუდებს**: “ზელთ საკმარისი ფაქტები გვქონდა, რომ გვეპოვნა და კედელთან მიგვეყენებინა” (პარნოვი, ე., “შივას მესამე თვალი”), “გორკი კედელთან იყო მიყუდებული და არასოდეს გვაპატია” (კატანიანი, ვ., “ლილია ბრიკი”)

⁸⁹ **კვდება** [სიტყვასიტყვით: ყუთს არტყამს]: “შესაბამისად, ‘ასპიდისტრა მოკვდა’ განიხილება, როგორც შეუსაბამო, რადგანაც სინტაგმას ‘ყუთს არტყამს’ შეენაცვლა მისი კოგნიტიური სინონიმი, რომელიც შეუსაბამოა” (კრუზი, დ., “ლექსიკური სემანტიკა”), “ნიკმა მიატყა ყუთს”; **თუ როგორ იქცევა** [სიტყვასიტყვით: რა თევზს იჭერს]: “ვხელმძღვანელობდი 883-საც და Fat Boy-საც, მაგრამ უნდა გამეგო, თუ როგორ იქცევა და საითკენ მიემართება” (“Long Live the Queen”), “ასეთი ტექნიკით თევზს იჭერ იმ შუალედებში, რომელიც გადის საჭმელსა და ანკესს შორის” (მარსელოსი, თ., “თევზაობა და თევზი”); **სიცოცხლე გრძელდება**: “უბრალოდ, ერთი წუთითაც არ დაუკარგავს იმის შეგრძნება, რომ სიცოცხლე გრძელდება” (ვლასოვა, ე., “შვილები და სიკვდილი”), “ემინიათ მისი, მაგრამ ამავდროულად უყურებენ, ხომ არ შეიძლება, როგორმე თავისი ხალხი გამგეობაში გაიყვანო, რომ კანონს აუარო, რომ ძველი ცხოვრება ახლებურად გააგრძელო” (მარკოვი, გ., “სტროგოვები”)

4. თემატური როლების ცვლა უკარგავს კონსტრუქციას ყოველგვარ მნიშვნელობას (მაგ.: 174).

(174) დანას ღორის კუდზე გა[და]ტეხს (ის მას): “შე კაცო, **ღორის კუდზე** ნუ-კი **გადატეხ დანას!**” (ა. ბელ., აღ. ონიანი) – *დანა ღორის კუდზე გადატყდა (ის); to eat humble pie: “Come and take potluck **eat humble pie** whatever” (Hawton, K., Catalan, J., “Attempted suicide”) – *humble pie is eaten; δίνω σε κάποιον το πασαπόρτι του: “Κι ας πούμε τώρα ότι της **έδωσα το πασαπόρτι** της” (Τσιφόρος, Ν., “Παραμύθια πίσω από τα κάγκελα”) – *το πασαπόρτι δόθηκε σε κάποιον; совать нос не в свои дела: “Мне ответили, чтобы я **не совал нос не в свои дела**” (Леонов, Н., “Лекарство от жизни”) – *нос был сунут не в свои дела⁹⁰.

მსგავსი ვარიანტების არსებობა ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ კომპონენტს მართავს ესა თუ ის ზმნა და რამდენად შესაძლებელია ამა თუ იმ ზმნის (ძირითადად, ერთპირიანი ზმნის) ტრანსფორმაცია. მორფოლოგიური თვალსაზრისით, ახალი ბერძნული და რუსული ენები ბრუნების კარგად განვითარებული სისტემით ხასიათდებიან, მაშინ როცა ინგლისურს პრაქტიკულად ნულოვანი ბრუნება აქვს, თუმცა ამ ნაკლოვანებას ივსებს სხვადასხვა ლექსიკურ-სინტაქსური საშუალებების გამოყენებით. ბუნებრივია, რომ ქართული ენისთვის დამახასიათებელი კონვერსიული ვარიანტები განსხვავდება ევროპული ენების შესაბამისი ვარიანტებისაგან, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, ქართულ ენაში არსებული ერგატიული კონსტრუქციით და, შესაბამისად, საკმაოდ კარგად განვითარებული ბრუნების სისტემით, ხოლო, მეორე მხრივ, ზმნისთვის დამახასიათებელი ისეთი კატეგორიით, როგორიცაა ინვერსია, რომელიც კონვერსიის საპირისპიროდ წარმოგვიდგება მხოლოდ ზმნური კომპონენტისთვის დამახასიათებელი ირიბ-ობიექტური და სუბიექტური ნიშნების გაცვლას.

თუ ამ მაგალითებს განვიხილავთ სინტაქსური თვალსაზრისით, ნათელი გახდება, რომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ სუბიექტ-ობიექტის ადგილის შენაცვლებასთან, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს შიდა (იდიომის სახელური

⁹⁰ შეეგუო ვინმეს/რამეს [სიტყვასიტყვით: ჭამო უბრალო ნამცხვარი]: “მოდი და წაიღე შანსი, შეეგუე ყველაფერს” (ჰოუტონი, კ., “განუხორციელებული თვითმკვლელობა”); აგდებს [სიტყვასიტყვით: ვაძლევ ვინმეს თავის პასპორტს]: “და ვთქვით ახლა, რომ გამეგდო” (ციფოროსი, ნ., “ზღაპრები ციხეში”); ცხვირის სხვის საქმეში ჩაყოფა: “მიპასუხეს, რომ არ ჩავყო ცხვირი სხვის საქმეში” (ლეონოვი, ნ., “ცხოვრების წამალი”)

კომპონენტის) ან გარე ობიექტის (წინადადების ერთ-ერთი კომპონენტის) ტრანსფორმაციას ქვემდებარის ფუნქციის მითვისების გზით. ინდოევროპულ ენებში აქტივ-პასივის ტრანსფორმაციებს, როგორც წესი, თან სდევს სხვა პროცესებიც, როგორიცაა, მაგალითად, დატივის გადანაცვლება. ისეთ ევროპულ ენებში, როგორიცაა ინგლისური ან ბერძნული, დატივის გადანაცვლება თითქოს შეუძლებელი ჩანს, რადგანაც ამ ენებს მიცემითი ბრუნვის ფორმა არა აქვთ, სამაგიეროდ, მათ გააჩნიათ ე.წ. ბენეფაქტიური კონსტრუქციები, რომლებშიც დატივის ფუნქციას სინტაქსური სტრუქტურა ითავსებს.

აღნიშნული გადანაცვლება, იდიომურობის თვალსაზრისით, გამოიხატება ირიბი ობიექტის გადანაცვლებაში და წარმოგვიდგება შემდეგი შესაძლო ვარიანტების სახით:

ა) იდიომი განიცდის კონვერსიას, მაგრამ უარყოფს დატივის გადანაცვლებას (მაგ.: 175)

(175) πουςλῶ την ψυχὴν του κάποιου στο διάβολο – η ψυχὴ του κάποιου πουςλήθηκε στο διάβολο – *πουςλῶ του διαβόλου την ψυχὴ; to break the news to smb. – the news is/was broken by smb. – *to break smb. the news⁹¹;

ბ) იდიომი ექვემდებარება კონვერსიასაც და დატივის გადანაცვლებასაც (მაგ.: 176)

(176) δίνω λόγο σε κάποιον – ο λόγος δόθηκε σε κάποιον – δίνω του *κάποιου τον λόγο; to give hell to smb. – to give smb. hell – smb. is/was given hell (*hell is/was given to smb.)⁹²;

გ) იდიომი უარყოფს კონვერსიას, მაგრამ ექვემდებარება დატივის გადანაცვლებას (მაგ.: 177)

(177) δίνω τον ξύλο σε κάποιον – *ο ξύλο δόθηκε σε κάποιον – δίνω του/της κάποιου τον ξύλο; to land an ear to smb. – *an ear is/was lent/smb. is/was lent an ear – to lend smb. an ear⁹³;

დ) იდიომი უარყოფს კონვერსიასაც და დატივის გადანაცვლებასაც (მაგ.: 180)

⁹¹ ყველაფერს კადრულობს [სიტყვასიტყვით: მივყიდე ვისიმე სული ეშმაკს]; უსიამოვნო ამბავს ატყობინებს ვინმეს [სიტყვასიტყვით: ამტვრევს ახალ ამბებს]

⁹² სიტყვას აძლევს ვინმეს [სიტყვასიტყვით: ვაძლევ ვინმეს სიტყვას], ჯოჯოხეთად აქცევს [სიტყვასიტყვით: აძლევს ჯოჯოხეთს ვინმეს]

⁹³ სცემს ვინმეს [ვაძლევ ვინმეს ჯოხს], უსმენს [სიტყვასიტყვით: ათხოვებს ვინმეს ყურს]

- (178) βάζω το χέρι στην καρδιά – *το χέρι βάλθηκε στην καρδιά – *βάζω του/της το χέρι στην καρδιά; to give an ear to smb. – *to give smb. an ear – *an ear is/was given to smb.(smb. is/was given an ear)⁹⁴.

როგორც აღვნიშვნეთ არც თანამედროვე ბერძნულს და არც ინგლისურს მიცემითი ბრუნვა (დატივი) არ გააჩნია; საანალიზო ენათაგან მიცემითი ბრუნვა ქართულსა და რუსულში გვხვდება, მაგრამ მათი ფუნქციური დატვირთვა რამდენადმე განსხვავებულია. რუსულში მსგავსი ტიპის ტრანსფორმაცია შემდეგ სახეს იღებს (მაგ.: 179):

- (179) ა) развязать кому-либо руки; б) руки были развязаны у кого-либо//кому-либо (პასივიზაციისას მიცემითი ბრუნვის გამოყენების შემთხვევაში იდიომი კარგავს იდიომურობას)⁹⁵.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დატივის გადანაცვლებაზე მსჯელობისას, არც ახალ ბერძნულში და არც ინგლისურში არ იგულისხმება მაინცდამაინც მიცემითი ბრუნვის მონაწილეობა კონსტრუქციაში: დატივის გადანაცვლება განასახიერებს ბენეფაქტიური სტრუქტურის მქონე სინტაქსურ კონსტრუქციას, რომელიც ინგლისურში გადმოიცემა *for, to* (=თვის), ხოლო ბერძნულში – *για, σε* (=თვის) წინდებულების გამოყენებით (ე.წ. პრეპოზიციური დატიური კონსტრუქცია), ანდა ორობიექტიან დატიურ კონსტრუქციას. ეს უკანასკნელი ფაქტობრივად პირველი შემთხვევის შებრუნებულ ვარიანტს წარმოადგენს და გამოიყენება წინდებულების გარეშე ⁹⁶. დატივის გადანაცვლების შესწავლისას ძირითადი ყურადღება მაინც გამახვილებულია აღნიშნულ ორ კონსტრუქციას შორის არსებულ სემანტიკურ მსგავსებაზე, რომელიც ლექსიკური ან სინტაქსური ბუნებისაა.

ზმნურ იდიომურ გამოთქმაში მსგავსი ტიპის გადანაცვლება დამოკიდებულია ზმნურ კომპონენტზე. ამასთან დაკავშირებით არსებობს ორი მოსაზრება: ა) ზმნური

⁹⁴ გულზე ხელს ადებს [სიტყვასიტყვით: ვდებ ხელს გულზე], უსმენს [სიტყვასიტყვით: აძლევს ვინმეს ყურს]

მსგავს შემთხვევებში ინგლისურ ენაში განიხილება არა მხოლოდ აქტივ-პასივისა და დატივის შესაძლო ტრანსფორმაციები, არამედ თვით დატივის გადანაცვლების შედეგად მიღებული კონსტრუქციის აქტივ-პასივის ტრანსფორმაცია (Machonis 1985, 291-308)

⁹⁵ ა) ხელები გაუხსნა ვინმეს; ბ) ხელები ვინმეს გაუხსნა; გ) ხელები გაეხსნა ვინმეს.

⁹⁶ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პრეპოზიციური წყობის მქონე ვარიანტების საწყისად ზუსტად ორობიექტიანი დატიური კონსტრუქცია წარმოადგენს, ზოგიერთი კი საერთოდ უარყოფს მათ შორის არსებულ კავშირებს. ამ მხრივ, ჩვენთვის, უფრო გასაზიარებელია კ. ლარსონისა და რ. ჯეკენდოფის თვალსაზრისი, რომ სწორედ პრეპოზიციური წყობა უდევს საფუძვლად ორობიექტიან დატიურ კონსტრუქციას (Larson 1988, 1990; Jackendoff 1990).

კომპონენტი განიხილება, როგორც ლექსიკური ერთეული, რომელიც განსაზღვრავს თავისი არგუმენტების პროცირებას, და ბ) ზმნური კომპონენტი განიხილება, როგორც მხოლოდ მისი ძირითადი მნიშვნელობის მატარებელი ლექსიკური ერთეული, რომელიც, თავის მხრივ, სიტუაციაზე დამოკიდებული სინტაქსური კონსტრუქციით განსაზღვრავს თავის არგუმენტებს. პირველი მოსაზრების მიხედვით, ზმნა შეიძლება იყოს პოლისემიური, ხოლო მეორე მოსაზრების მიხედვით, ზმნის პოლისემიურობა გამორიცხულია; ბენეფაქტიური სტრუქტურა კი, თავისი არსით, გულისხმობს ბენეფაქტიური ბრუნვის არსებობას კონსტრუქციის ფარგლებში (მაგ.: 180, 181):

(180) ა) to break the news to smb., to break smb. news;

ბ) to blaze a trail for smb., to blaze smb. a trail;

(181) ა) γίνομαι φόρτωμα για/σε κάποιον, του (*κάποιου) γίνομαι φόρτωμα (*γίνομαι του κάποιου φόρτωμα);

ბ) ρίχνω μιά ματιά σε κάποιον, *ρίχνω μιά ματιά για κάποιον, του/της ρίχνω μιά ματιά;

ეს კონსტრუქცია ფუნქციურად უტოლდება პარადიგმებით მდიდარი ენების მიცემითბრუნვიან კონსტრუქციებს, როგორიცაა, მაგალითად, რუსული ენა (მაგ.: 182)

(182) ა) давать добро кому-либо (ან რიგის შენაცვლებით: давать кому-либо добро);

ბ) бросать камни в чей-либо огород, бросать слова на ветер⁹⁷.

როგორც უკვე ითქვა, არც ინგლისურს და არც თანამედროვე ბერძნულს მიცემითი ბრუნვა და მისი ფუნქციებით დატვირთული კონსტრუქცია არ გააჩნია, რის გამოც, ორივე ენა ამ ხარვეზს ივსებს ბენეფაქტიური სტრუქტურით, ოღონდ აღნიშნული სტრუქტურის საფუძველი განსხვავებულია: თანამედროვე ბერძნულში იგი განვითარდა ძველ ბერძნულში არსებული მიცემითბრუნვიანი კონსტრუქციის ზეგავლენით, ხოლო ინგლისურში იგი თავიდანვე განვითარდა ლათინური ენისათვის დამახასიათებელი მიცემითბრუნვიანი კონსტრუქციის ანალოგიით ე.წ.

⁹⁷ (მაგ. 186) ა) უსიამოვნო ამბავს ატყობინებს ვინმეს; ბ) აღმოაჩენს რამეს, გზას გაუნათებს ვინმეს [სიტყვასიტყვით: მოუკიდებს მატარებელს]; (მაგ. 187) ა) პრობლემად იქცევა ვინმესთვის [სიტყვასიტყვით: ტვირთი ვიქცევი ვინმესთვის]; ბ) თვალს ადევნებს ვინმეს/რამეს [სიტყვასიტყვით: ვაგდებ თვალს ვინმეზე/რამეზე]; (მაგ. 188) ა) უფლებას აძლევს ვინმეს/რამეს [სიტყვასიტყვით: აძლევს სიკეთეს ვინმეს/რამეს]; ბ) ვინმეს ადანაშაულებს [სიტყვასიტყვით: ქვებს სხვის ბოსტანში ესვრის], უსაფუძვლო დაპირებებს იძლევა [სიტყვასიტყვით: სიტყვებს ქარს ატანს]

დატიური მარკერის (*ad – to, towards*⁹⁸) დართვის გზით, რომელიც პარალელურად მიმართულებითი წინდებულის ფუნქციასაც ასრულებს.

ზემოხსენებული მაგალითების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე საანალიზო ენისათვის (ინგლისური, ახალი ბერძნული) დამახასიათებელი ბენეფაქტიური კონსტრუქცია განსხვავებულია, კერძოდ, ახალ ბერძნულს აქვს ბრალდებითი, მაგრამ არა აქვს მიცემითი ბრუნვა. ინგლისურს არც მიცემითი და არც ბრალდებითი ბრუნვა არ გააჩნია. შესაბამისად, აღნიშნული ბრუნვების ფუნქციები მხოლოდ ლექსიკურ-სინტაქსურ დონეზე თუ ვლინდება. ამიტომ, შეიძლება ვილაპარაკოთ არა იმდენად ბრუნვის არსებობა-არარსებობაზე, რამდენადაც იმ ფუნქციაზე და მის გამომწვევ მიზეზებზე, სხვაგვარად – დატივისა (მაგ.: 181) ან ბრალდებითის (მაგ.: 182) შემაპირობებელ მიზეზებზე.

შესაბამისად, ინგლისური ენა განასხვავებს ორ კონსტრუქციას, რომლის ფარგლებშიც იგულისხმება: 1. წინდებულის მონაწილეობა; 2. ორი წევრის (ობიექტის) მონაწილეობა უწინდებულოდ, მათ შორის, პირველი წევრი ასახავს მიმღებს, ანუ ირიბ ობიექტს და ამიტომ მისი ადგილიც წინადადებაში სინტაქსურად განსაზღვრულია: იგი წინ უსწრებს პირდაპირ ობიექტს. ახალ ბერძნულშიც შესაძლებელია ინგლისური ენის მსგავსი კონსტრუქციების არსებობა, როგორცაა წინდებულიანი და უწინდებულო ორობიექტიანი კონსტრუქცია; ოღონდ, ინგლისურისაგან განსხვავებით, პირველ შემთხვევაში კონსტრუქციაში მონაწილეობას ბრალდებითი ბრუნვა იღებს, ე.ი. წინდებულიანი ობიექტი ბრალდებით ბრუნვაში დგას, ხოლო მეორე შემთხვევაში მიმღების ფუნქციას ასრულებს ნათესაობით ბრუნვაში მდგომი სახელი, და სწორედ აღნიშნული კონსტრუქცია უფრო შეესაბამება ბენეფაქტიურ სტრუქტურას.


რაც შეეხება რუსულს, მსგავსი ტიპის მაგალითებში იგი, ჩვეულებრივ, მიმართავს მიცემით- და ბრალდებითბრუნვიან კონსტრუქციებს, როგორც ეს ნათლად ჩანს მოყვანილი მაგალითებიდან. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც მას მოეპოვება მიცემითი ბრუნვის ფუნქციით დატვირთული ობიექტი, რომელიც მიცემითბრუნვიან კონსტრუქციაში არ მიმართავს წინდებულიან ვარიანტებს.

⁹⁸ -კენ, -ში, -ზე


მაშასადამე, აღნიშნულ ენებში შესაძლებელია ორი შემდეგი კონსტრუქციის არსებობა (მაგ.: 183, 184)⁹⁹

გრაფიკი 6: ბენეფაქტიური სტრუქტურის მახასიათებლები ევროპულ ენებში

(183)



(184)



პირველი მაგალითი ასახავს დატივის მიზანს, ე.ი. სინტაქსურად დატივის ფუნქციით დატვირთული სტრუქტურა წარმოგვიდგება შემდეგი სახით: მიზანი (Goal) ექვემდებარება ზმნით გამოხატულ მოვლენას, რომელიც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს რაიმე საგანზე (Theme), მეორე ვარიანტი კი ასახავს ბრალდებითის ფუნქციით დატვირთულ სტრუქტურას და წარმოგვიდგება მიზნის სახით, რომელსაც უკვე გააჩნია ესა თუ ის საგანი (Halle 1993). შესაბამისად, ბერძნული ენისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა უფრო გარდამავალი ბუნებისაა, რადგანაც პრეპოზიციური წყობის დროს *για* წინდებულის გამოყენების შემთხვევაში მას განიხილავენ დატივიან კონსტრუქციაში, ხოლო *σε* წინდებულის გამოყენებისას – ბრალდებითიან კონსტრუქციაში (Alexiadou 2001).

მაგრამ არსებობს განსხვავებული მიდგომაც, რომლის მიხედვითაც ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი ბენეფაქტიური სტრუქტურა განიხილება ე.წ. სინტაქსური თეტა-როლების თეორიის ფარგლებში და, შესაბამისად,

⁹⁹ vP და VP კატეგორიები პირველად გვხვდება ნ. ჩომსკისთან (Chomsky 2000), სადაც მას შემოღებული ჰქონდა ფაზის მნიშვნელობის ცნება, რომელსაც განიხილავდა, როგორც v ან C კატეგორიით განსაზღვრული დერივაციის დამოუკიდებელ ქვედანაყოფს. ნებისმიერ მარტივ წინადადებას ორი ფაზა აქვს: CP და vP. და, შესაბამისად, ერთმანეთისგან განსხვავდება პასიური და არააკუზატიური ზმნები, ერთი მხრივ, და გარდამავალი და არაერგატიული ზმნები, მეორე მხრივ, რადგანაც პირველი გულისხმობს VP-ს არსებობას, რომელიც ექვემდებარება vP-ს, მეორე კი გულისხმობს მხოლოდ VP-ს არსებობას. შესაბამისად, არაერგატიული ზმნური შესიტყვება ქმნის ფაზას, მაშინ როცა პასიურ ან არააკუზატიურ ზმნურ შესიტყვებას ამისი უნარი არ გააჩნია. ამასთანავე, vP ერთეული, როგორც წესი, არ განიხილავს ობიექტთან შეწყობის შესაძლებლობას.

ზემოხსენებული წინდებულების განხილვა შესაძლებელია, როგორც მეორეული თეატა-როლისა (Bowers 2007).

ზემოთქმულის საფუძველზე გასარკვევია, როგორი ტიპის ტრანსფორმაციებზე შეიძლება გვექონდეს ლაპარაკი ქართულ ენასთან მიმართებით, რა უდევს საფუძვლად ქართული ზმნური იდიომური გამოთქმების კონვერსიულ ტრანსფორმაციას, ანდა ახდენს თუ არა იდიომზე ზეგავლენას აღნიშნული ტიპის მორფოსინტაქსური ტრანსფორმაციები უცხო ენაზე ქართული იდიომის გადმოცემისას და, პირუკუ, უცხოენოვანი იდიომის ქართულად გადმოცემისას.

3.3.2. კონვერსიის სემანტიკურ-სინტაქსური საფუძველი

ბუნებრივია, რომ დატივის გადანაცვლება და ნებისმიერი სხვა ტიპის ტრანსფორმაცია, მათ შორის პასივიზაცია, უფრო მისაღებია სამ- და მეტკომპონენტიან იდიომურ გამოთქმებში, ვიდრე ორკომპონენტიანებში, რადგანაც მრავალკომპონენტიან იდიომებში ტრანსფორმაციისას მეტი შესაძლებლობაა კომპონენტის დაკარგვისა თუ გადაადგილებისა. ორკომპონენტიან იდიომებში კონვერსია გულისხმობს იდიომის სახელური კომპონენტის გადაადგილებას ან იდიომის გარეთ არსებული ერთეულის ზეგავლენას მოცემულ კონსტრუქციაზე. თუ იდიომის შემადგენლობაში მონაწილეობას იღებს წინდებულიანი ან თანდებულიანი კომპონენტი, იგი უფრო მეტად ექვემდებარება ტრანსფორმაციულ პროცესებს.

ნებისმიერ ენაში ზმნური იდიომის კონვერსიული ტრანსფორმაცია, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება კონსტრუქციის გარდამავალ სემანტიკას, ერთი მხრივ, და მის სინტაქსურ გამოვლენას, მეორე მხრივ, რომლის დროსაც ხდება სუბიექტისა (აგენსისა) და ობიექტების (პაციენსისა და რეციპიენსის) როლების გაცვლა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმნური კომპონენტით გამოხატული მოქმედება გარდამავალი ბუნებისაა და მიემართება ობიექტისაკენ. ქართულ ენაში კონვერსიულ ტრანსფორმაციაში აგენსის ადგილს სახელობით, მოთხრობით ან მიცემით ბრუნვაში მდგომი სახელი იკავებს, ხოლო პაციენსისას – მიცემით ან სახელობითბრუნვიანი სახელი, ხოლო რეციპიენსის ადგილს – მიცემითბრუნვიანი.

ანალოგიური წესი მოქმედებს არა მხოლოდ იდიომურ გამოთქმებში, არამედ ყველა სახის შესიტყვებებში. ოღონდ სხვა ტიპის შესიტყვებებისაგან განსხვავებით,

იდომური გამოთქმის კონვერსიული ტრანსფორმაციის შესაძლებლობა უკავშირდება მის საერთო სემანტიკასაც. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ქართულ იდომებს სხვადასხვა ტიპის კონვერსიული ტრანსფორმაცია ახასიათებს.

აღნიშნული მაგალითების განზოგადების საფუძველზე გამოვლინდა ზმნური იდომების შემდეგი შესაძლო ტრანსფორმაციები: 1. იდომის ერთ-ერთი კომპონენტი (ობიექტი) იქცევა სუბიექტად კონსტრუქციის იდომურობის დაუკარგავად (შდრ. *გულს ცეცხლს უკიდებს – გულს ცეცხლი ეკიდება*); 2. იდომის გარეთ არსებული ერთეული (ობიექტი) იქცევა სუბიექტად, რაც იწვევს იდომის კონვერსიულ ტრანსფორმაციას მისი სემანტიკის შეუცვლელად (შდრ. *ცივ ქვაზე დაასახლებს – ცივ ქვაზე დასახლდება*); 3. იდომის ერთ-ერთი კომპონენტი (ობიექტი) იქცევა სუბიექტად, რაც გამოთქმას უკარგავს იდომურობას (შდრ. *თავს აუტკივებს – თავი ასტკივდება*); 4. იდომის ტრანსფორმაცია შეუძლებელია (შდრ. *ჭირსა სჭამს*).

ქართული ზმნური იდომებისთვის დამახასიათებელი კონვერსიული ტრანსფორმაციის შესწავლის მიზნით ყურადღება გავამახვილეთ ქართული ზმნის ისეთ თავისებურებაზე, როგორიცაა ერგატიული კონსტრუქცია. ზოგიერთი მეცნიერის აზრით (Levin 1987), ერგატიული ბრუნვა და პასიური კონსტრუქცია შეუსაბამო ერთეულებია. აღნიშნული მოსაზრება ემყარება იმ ფაქტს, რომ ერგატიულ ენათა თავისებურებას სწორედ პასიური კონსტრუქციების უქონლობა წარმოადგენს. სამაგიეროდ, მათ ახასიათებთ ე.წ. ანტიპასიური კონსტრუქცია, რომელშიც გარდამავალი ზმნის სუბიექტი და ობიექტი ქრება ან იქცევა ირიბ ობიექტად.

თავისი არსით ერგატიული კონსტრუქცია ხასიათდება არგუმენტების სამი ტიპით: გარდამავალი ზმნის სუბიექტით, გარდამავალი ზმნის ობიექტით და გარდაუვალი ზმნის სუბიექტით, რომლებიც ქმნიან ერგატიულ კონსტრუქციას. თუ ენა ამ ერთეულებს ისე ამუშავებს, რომ გარდამავალი ზმნის სუბიექტი უპირისპირდება ობიექტს, მაშინ შესაძლებელია აკუზატიურ კონსტრუქციაზე ლაპარაკი; ქართულში თუკი გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის ობიექტი თანასწორ ერთეულებს წარმოადგენს და წარმოგვიდგება სახელობითი ბრუნვის სახით, მაშინ როცა გარდამავალი ზმნის სუბიექტი გარკვეულ (II სერიის) ფორმებთან ერგატიული ბრუნვის სახით წარმოგვიდგება, კონსტრუქცია ერგატიულია.

პარალელურად, გასათვალისწინებელია რ. დიქსონის (Dixon 1979) მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც აბსოლუტური ერგატიული კონსტრუქციის მქონე ენები თითქმის არ არსებობს. ენაში გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის ობიექტის ბრუნვები შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში. მსგავსი ტიპის ენებს შერეული კონსტრუქციის მქონე ენებს უწოდებენ. იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ენის ერგატიული კონსტრუქცია ნარევი სტრუქტურით ხასიათდება, კონვერსია, კერძოდ, პასივიზაცია ყველა სერიაში შეიძლება შეგვხვდეს: გარდამავალი ზმნის შემთხვევაში, იმის მიუხედავად, სამპირიანია იგი თუ ორპირიანი, პირველ სერიაში იგულისხმება სუბიექტის ნომინატიური კონსტრუქცია (მაგ.: 185)

(185) გულს გადაუბრუნებს (ის მას მას) → გული გადაუბრუნდება (ის მას)

გულს(DAT) გადაუბრუნებს → გული(NOM) გადაუბრუნდება

სუბიექტი სახელობითშია და, შესაბამისად, კონსტრუქციაც ნომინატიურია

მეორე სერიაში – ერგატიული კონსტრუქცია (მაგ.: 186)

(186) გული გადაუბრუნა (მან მას ის) → გული გადაუბრუნდა (ის მას)

გული(NOM) გადაუბრუნა → გული(NOM) გული გადაუბრუნდა

სუბიექტი მოთხრობითშია, მაშასადამე, კონსტრუქციაც ერგატიულია;

ხოლო მესამეში – დატიურისა (მაგ.: 187)

(187) გული გადაუბრუნებია (მას ის) → *გული გადაბრუნებულა (ის)

გული(NOM) გადაუბრუნებია → *გული(NOM) გადაბრუნებულა

სუბიექტი მიცემითშია და, შესაბამისად, კონსტრუქციაც დატიურია;

გარდაუვალი ზმნის შემთხვევაში კი, მიუხედავად იმისა, ორპირიანია იგი თუ ერთპირიანი, კონსტრუქცია მუდამ ნომინატიურია, მის თავისებურებას მხოლოდ სუბიექტი წარმოადგენს, რომელიც შეიძლება იყოს მოქმედი ან სამოქმედო (მაგ.: 188)

(188) დუშაში მოსდის (ის მას)

დუშაში(NOM) მოსდის

ციხე შიგნიდან ტყდება (ის)

ციხე(NOM) შიგნიდან(INSTR) ტყდება

ყველა სერიაში სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია და, შესაბამისად, კონსტრუქციაც ნომინატიურია

ნათელია, რომ იდიომში შემავალი სამპირიანი, ორპირიანი თუ ერთპირიანი ზმნური კომპონენტი თავისუფლად ექვემდებარება კონვერსიულ ტრანსფორმაციას, რომლის დროსაც იკარგება ერთ-ერთი პირი. მაგრამ მსგავსი ტრანსფორმაციის წინაპირობას აქტიური კონსტრუქციის არსებობა წარმოადგენს. ამასთანავე, მესამე სერიის ფორმაში გამოყენებული მოქმედებითი გვარის სამპირიანი ზმნა ან ორპირიანად იქცევა და, შესაბამისად, მისი კონვერსიული ვარიანტი ერთპირიან ვნებითამდე დაიყვანება სახელობით ბრუნვასთან შეწყობის გზით, ანდა საერთოდ ქრება და პასიურ ფუნქციას წინადადების ფარგლებში ვერ ასრულებს.

გარდა ამისა, ქართული ზმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას მესამე სერიის ფორმები წარმოადგენს, რადგანაც სამპირიანი ზმნის შემთხვევაში (მაგ.: 185) კონსტრუქცია თითქმის ყოველთვის ორპირიანია და მას აკლდება ირიბი ობიექტი, რომელიც თანდებულიან სახელად და, მაშასადამე, უბრალო დამატებად გადაიქცევა (მაგ.: *ძმას დისტვის გული გადაუბრუნებია* = *ძმას და შეუშინებია*). მსგავს შემთხვევებში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მესამე სერიის უცხო ენაზე გადმოცემისას უნდა მოხდეს ბენეფაქტიური სტრუქტურის ჩამოყალიბება, რაც განპირობებულია წყარო-ენაში (აქ: ქართულში) ირიბი ობიექტისთვის *-თვის* - თანდებულის ფუნქციის გადაცემით, რომელიც ვლინდება ნათესაობითი ბრუნვის *-თვის* თანდებულიანი ფორმით.

შესაბამისად, ქართული ზმნური იდიომების კონვერსიული ტრანსფორმაციის გამოსავლენად უნდა მოხდეს შეპირისპირება ერგატიული ენებისათვის დამახასიათებელ პასივსა და აკუზატიური (ევროპული) ენებისათვის დამახასიათებელ პასივს შორის. აკუზატიური ენების პასივს შემდეგი პარამეტრები ახასიათებს: 1. ზმნის შინაგანი სტრუქტურა იცვლება პასივის მარკერით (კონკრეტული მორფემით), მათ შორის, შესაძლებელია ნულოვანი მარკერის არსებობაც; 2. კონსტრუქციის შიდა არგუმენტი (ძირითადად, პირდაპირი ობიექტი, როგორც არის, მაგალითად, რუსულში ან ახალ ბერძნულში, ანდა პირდაპირი და ირიბი ობიექტი, როგორც გვაქვს, მაგალითად ინგლისურში) იკავებს სუბიექტის პოზიციას და იძენს ნომინატიური (სახელობითი, NOM) ბრუნვის ფუნქციურ მნიშვნელობას აკუზატიურის (ბრალდებითის, ACC) მაგივრად; 3. კონსტრუქციის გარე არგუმენტი იკავებს ირიბი არგუმენტის პოზიციას (ძირითადად, წარმოგვიდგება წინდებულიანი ფორმის სახით, როგორც, მაგალითად, *by* ინგლისურში ან *από*

ბერძნულში). აღნიშნულ პარამეტრებზე დაყრდნობით კი ვლინდება, რომ პასივის მარკერის მიერ გარე თემატური როლის (თეტა-როლის) მითვისების გზით იქმნება პასიური კონსტრუქცია.

ქართული ენისათვის დამახასიათებელი პასივი, როგორც ზემოთ აღნიშნა, დამოკიდებულია: 1. ზმნის პირიანობაზე (კონვერსიული ტრანსფორმაციის შედეგად ზმნა კარგავს ერთ პირს); 2. ზმნის გარდამავლობაზე (გარდამავალი ზმნა სუბიექტ-ობიექტის სხვადასხვა ფორმებს იწვევს ზმნის სერიებზე დაყრდნობით), და, 3. ქცევის კატეგორიაზე. შესაბამისად, ქართული ენას ორი ტიპის პასივი ახასიათებს, კერძოდ, მორფოლოგიური, როცა თვით ზმნა ქმნის პასივს, და სინტაქსური, როცა სინტაქსური კონსტრუქცია იცვლება არა იმდენად პასიური ზმნის ზეგავლენით, არამედ სუბიექტ-ობიექტის როლების შეცვლით. იდიომური გამოთქმების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სწორედ მეორე – სინტაქსური პასივი, რადგანაც მასზეა დამოკიდებული იდიომის ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული ყველა ზემოხსენებული ვარიანტი.

ქართული პასივის სინტაქსური თვისებების ჩამოყალიბება შემდეგნაირად შეიძლება: 1. ზმნის შინაგანი სტრუქტურა იცვლება პასივის მარკერით. შესაბამისად, შესაძლებელია აფიქსიანი ან უნიშნო მარკერის არსებობა; 2. კონსტრუქციის შიდა არგუმენტი (პირდაპირი ან ირიბი ობიექტი) იკავებს სუბიექტის პოზიციას და იძენს ნომინატიური, ერგატიული თუ დატიური ბრუნვების ფუნქციურ მნიშვნელობას, ოღონდ აღნიშნული ტრანსფორმაცია დამოკიდებულია ა) ზმნის პირიანობასა და ბ) ზმნის აქტიური ფორმის არსებობაზე, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ზმნის გარდამავლობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტრუქცია ნომინატიური იქნება და სუბიექტს მოჰყვება მხოლოდ მიცემით ბრუნვაში მდგომი ობიექტი; 3. კონსტრუქციის გარე არგუმენტი იკავებს ირიბი არგუმენტის პოზიციას (ძირითადად, ქრება ან წარმოგვიდგება მიცემითი ბრუნვის სახით).

აღნიშნულ პარამეტრებზე დაყრდნობით ვლინდება, რომ ქართულ ენაში პასიურ კონსტრუქციას ორი ტიპის თემატური ვარიაცია ახასიათებს: პირველის შემთხვევაში ხდება თეტა-როლის მიწერა და, შესაბამისად, ზმნა გარდამავალია, ხოლო მეორე შემთხვევაში ხდება თეტა-როლის შთანთქმა და, შესაბამისად, ზმნა გარდაუვალია.

ქართული ზმნური იდიომის კონვერსიულ ცვლას სწორედ ზემოხსენებული პარამეტრები უდევს საფუძვლად. ზმნის პასივიზაცია დამოკიდებულია ზმნური კომპონენტის აქტანტებზე, რომლებსაც შეუძლიათ სემანტიკურ-სინტაქსურ თვისებებზე დაყრდნობით თემატური სუბიექტის ფუნქციის შესრულება. აღნიშნული თვისებები, გვხვდება მაშინ, როცა ზმნური იდიომის შემადგენლობაში არსებობს სახელობით ან მიცემითბრუნვიანი აქტანტი, ანუ პირდაპირი ობიექტი, რომელიც იკავებს სუბიექტის ადგილს და კონსტრუქციას იდიომურობას უნახავს (მაგ.: *სიცოცხლის ძაფს გააწყვეტინებს* (ის მას) → *სიცოცხლის ძაფი გაწყდება* (ის), *გზა-კვალს არევს* (ის მას მას) → *გზა-კვალი აერია* (ის მას) და ა.შ.). ფაქტია, რომ შიდა არგუმენტის მიერ სუბიექტის ადგილის დაკავება განპირობებულია გარე თეატროლის გაქრობით.

მსგავს შემთხვევებში ობიექტი, რომელიც იკავებს თემატური სუბიექტის ნაწილს, იდიომის შემადგენლობაში არ შედის და, რეალურად, არ ითხოვს მის დაშლას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ზმნური იდიომური გამოთქმის კონვერსიულ ტრანსფორმაციას მისი შინაარსობრივი მხარის შეუცვლელად, მაგ.: *საჰნის ბუმტივით გააქრობს* (ის მას) → *საჰნის ბუმტივით გაქრება* (ის). მსგავსი ტიპის შემთხვევებში იდიომის ბირთვს მისი სახელური ნაწილი წარმოადგენს, ხოლო მისი ტრანსფორმაცია გამოწვეულია ზმნური კომპონენტის სუბიექტ-ობიექტის ზეგავლენით.

მაშასადამე, ქართული ენისათვის დამახასიათებელი ზმნური იდიომური გამოთქმები ექვემდებარება კონვერსიულ ტრანსფორმაციებს იმ დონეზე, რომელიც დასაშვებია ზმნური კომპონენტის მიერ განპირობებული კონსტრუქციების ფარგლებში, და რომლებიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ზმნის გარდამავლობასა და წინადადებაში მის აქტიურ ან პასიურ პოზიციებზე. ზემოხსენებული ტრანსფორმაციული მოდელები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ ქართული იდიომი უფრო ლექსიკალიზებული და კომპოზიტურია, ვიდრე სხვა ევროპული ენებისთვის დამახასიათებელი იდიომური კონსტრუქციები.

3.3.3. მიცემითბრუნვითი ირიბი ობიექტის გადანაცვლება იდიომური გამოთქმის ფარგლებში

იდიომურ გამოთქმათა უმრავლესობაში დაცულია მორფოსინტაქსური მიმართებანი, რომლებიც, თავის მხრივ, ექვემდებარება სხვადასხვა ცვლილებას, ანუ ტრანსფორმაციას, როგორცაა დატივის გადანაცვლება, პასივიზაცია და ა.შ. ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად სწორედ ზმნური იდიომები წარმოადგენს. ზმნური იდიომი შედგება სახელური და ზმნური კომპონენტებისაგან. ამგვარ შემთხვევებში, პრიორიტეტი, როგორც წესი, ენიჭება ზმნას, რადგანაც მას შესწევს კონსტრუქციის მართვის უნარი და იგი განიცდის ტრანსფორმაციას, რომელიც მიმდინარეობს განსაზღვრული წესების დაცვით.

საინტერესოა ს. ფილმორისა და ნ. ჩომსკის (Fillmore 1965; Chomsky 1975) მიდგომა ინგლისური ენის დატიური სტრუქტურისადმი, რომლის მიხედვითაც დატივის გადანაცვლებისას ამოსავალ, პირველადს სტრუქტურას *for, to* და, შესაბამისად, *για, σε* (-თვის) წინდებულიანი კომპონენტების მქონე ერთეულები არ წარმოადგენს; პირველადია ბენეფაქტიური სტრუქტურის მქონე ერთეულებია (მაგ.: 189)

(189) ა) to lend an ear to smb.

δίνω τον ξύλο σε κάποιον/κάποια

ბ) to lend smb. an ear

δίνω του/της κάποιου/κάποιας τον ξύλο¹⁰⁰

აღნიშნული სტრუქტურის მქონე ერთეულებში ირიბი ობიექტი ზმნის ერთ-ერთი კომპონენტის (შდრ. [lend to smb.] – [lend smb.], [δίνω σε κάποιον] – [δίνω του/της κάποιου/κάποιας]), კერძოდ, პირდაპირი ობიექტის ადგილს იკავებს. მაგალითების შედარება ცხადყოფს, რომ აღნიშნული ერთეულების განხილვა შესაძლებელია რ. ოერლის (Oehrle 1976) ან ნ. ჩომსკის (Chomsky 1981) მიერ შემოთავაზებული ორობიექტიანი სტრუქტურების ფარგლებში.

ქართულ ენაში მსგავსი შემთხვევები დამახასიათებელია სამპირიანი ან ორპირიანი ზმნური კომპონენტის მქონე იდიომებისათვის, როცა იდიომის


¹⁰⁰ უსმენს, ყურს ათხოვებს ვინმეს [სიტყვასიტყვით: ათხოვებს ვინმეს ყურს], სცემს ვინმეს [ვამღევს ვინმეს ჯოხს]

შემადგენლობაში ან მის გარეთ გვხვდება მიცემითბრუნვიანი ირიბი ობიექტი. შდრ. *სიტყვას გამოაცლის (ის მას მას), ანკესს გადაუგდებს (ის მას მას), გზა-კვალს აურევს (ის მას მას)* და ა.შ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული ენა ნაწილობრივ ერგატიული ტიპისაა და მსგავსი ტრანსფორმაცია, რომელიც ბუნებრივია ბენეფაქტიური სტრუქტურის მქონე ენებისათვის, ქართულ ენაში განსხვავებულად წარმოგვიდგება: წინადადებასა თუ შესიტყვებაში მიცემით ბრუნვაში შეიძლება იდგეს: ა) სუბიექტი, ბ) პირდაპირი ობიექტი და გ) ირიბი ობიექტი. თუ ზმნური იდიომის შემადგენლობაში გვხვდება მიცემითბრუნვიანი ირიბი ობიექტი, მისი დატიური ტრანსფორმაცია გულისხმობს ან, უბრალოდ, ადგილების შეცვლას (შდრ. *ის გადაუგდებს ანკესს მას, ის მას გადაუგდებს ანკესს, ის გადაუგდებს მას ანკესს* და ა.შ.), ანდა, ფლექსიური ტრანსფორმაციის შემთხვევაში – თანდებულიან ერთეულად გადაქცევას (შდრ. *ის გულს გადაუბრუნებს მას, მან გული გადაუბრუნა მას, მას გული გადაუბრუნებია მისთვის* და ა.შ.). ამ მხრივ, ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ მისი გარდაქმნა წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ზმნის უნარზე ცვალოს არგუმენტების ბრუნვები სერიების მიხედვით.

შესაბამისად, ზემოხსენებული იდიომური გამოთქმების წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგი სქემების სახით (მაგ.: 190)

გრაფიკი 7: ზმნური შესიტყვების სინტაქსური ასახვა


(190)




მსგავს შემთხვევებში ყურადღება უნდა გამახვილდეს ირიბი ობიექტის გადანაცვლებაზე, და არა იმაზე, რომ ირიბი ობიექტის ფორმა მუდამ ზმნითაა შეპირობებული. მსგავსი მიდგომა თითქოს შესაძლებელია იდიომური გამოთქმების შემთხვევაშიც, მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული იდიომური გამოთქმების განხილვისას ყოველთვის როდი გვხვდება ისეთი კონსტრუქციები, რომლებშიც ზმნური იდიომის შემადგენლობაში სამპირიან ზმნასთან ორივე ობიექტი გვხვდება. მეტიც, მსგავსი ვითარება გვაქვს კორპუსში შემავალ ორკომპონენტიან ერთეულთა უმეტესობაში, კერძოდ, სამპირიან ზმნურ კომპონენტთან კონტექსტის გარეშე აღებული იდიომის შემადგენლობიდან ძალიან ხშირად ქრება ერთ-ერთი ობიექტი, თავის არსებობას მხოლოდ ზმნაში რომ ინარჩუნებს (მაგ.: *სულს გააკმენდინებს, გულს გადაუბრუნებს* და ა.შ.), რომელიც გულისხმობს, რომ მას მოეპოვება არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ ირიბი ობიექტიც. შესაბამისად, ზემოხსენებული მაგალითების განხილვა მიზანშეწონილი იქნებოდა იმ სქემების ფარგლებში, რომლებიც მისაღები აღმოჩნდებოდა როგორც მიცემითი ბრუნვის არმქონე ენებისათვის, მაგ.: *to lend an ear to smb – to lend smb. an ear* (191), *δίνω την ψυχή σε κάποιον – δίνω του *κάποιου την ψυχή* (192), ისე მიცემითი ბრუნვის მქონე ენებისათვის, მაგ.: *ათხოვებს ყურს ვინმეს – ყურს ათხოვებს ვინმეს, ყურს ვინმეს ათხოვებს* (193), *აძლევს სულს ვინმეს – სულს აძლევს ვინმეს, სულს ვინმეს აძლევს* (194).

გრაფიკი 8: სინტაქსური სტრუქტურების სქემატური ასახვა


(191)




(192)



(193)



(194)



როგორც ვხედავთ, მაგ.: 191-194-ში მოცემულ სქემები განსხვავებულია: პირველ შემთხვევაში (მაგ.: 191) პირდაპირი და ირიბი ობიექტი უშუალო ექვემდებარება ზმნური კონსტრუქციის წესებს და არც ერთს არ ენიჭება უპირატესობა; სხვა შემთხვევებში კი (მაგ.: 194, 196) ორობიექტიანი კონსტრუქციის გამოხატვა გულისხმობს არა იმდენად წინდებულიანი ირიბი ობიექტის არსებობას, რამდენადაც ცარიელი ზმნური სლოტის (ზმნის სავარაუდო ადგილმდებარეობის) შესაძლებლობას – დატივის გადანაცვლებისას როგორც ირიბ, ასევე პირდაპირ ობიექტთან. ინგლისურ და ბერძნულ ენებში სლოტი ცარიელია, რადგანაც არ იწვევს ზმნური კონსტრუქციის სემანტიკურ ცვლილებას ზმნის გადაადგილებისას ან სინტაქსური ხის ფარგლებში მისი აწევის გზით, მაშინ როცა სათანადო ქართული ზმნური იდიომი ექვემდებარება პრაქტიკულად ყოველგვარ ცვლას – პირველ ყოვლისა, მისი ზმნური კომპონენტი, რომელიც არა მხოლოდ იდიომის, არამედ მთელი წინადადების სტრუქტურის განმსაზღვრელია და განაპირობებს თეატროლების განაწილებას წინადადებაში; ამიტომაც, მსგავსი სლოტი ქართულ

წინადადებაში მხოლოდ პირობითად თუ ცარიელია, რადგანაც სინტაქსურად ზმნის ადგილი ფიქსირებული არ არის.

ამასთანავე, კ. ლარსონის მოსაზრების (Larson 1988, 1990) დაწვრილებით გაცნობისას, ვიპოვით პარალელს კონვერსიასა და დატივის გადანაცვლებას შორის ევროპულ ენებში. ლარსონის მიხედვით, პასივი აიძულებს ობიექტს სუბიექტის ადგილის დაკავებას და გარე არგუმენტი დაჰყავს შესიტყვებამდე, რომლის შემადგენელ ნაწილს ინგლისურში *by*, ხოლო ბერძნულში *από* წარმოადგენს. დატივის გადანაცვლების შემთხვევაში, ავტორის აზრით, კონსტრუქციას იგივე ბედი ეწევა: კერძოდ, ზმნური ნაწილის (VP) ზედა არგუმენტი გადადის დაქვემდებარებულ პოზიციაში და ქვედა სახელური ნაწილისგან დატიური კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი ნიშნების (ინგლ. წინდებულების *for*, *to* და, შესაბამისად, ბერძნ. *για*, *σε*) ჩამოშორებით აიძულებს მას, შეიცვალოს ადგილი წინადადებაში. ოღონდ სხვაობა კონვერსიასა და დატივის გადანაცვლებას შორის იმაში მდგომარეობს, რომ კონვერსია წინადადების (IP) დონის ტრანსფორმაციას წარმოადგენს, მაშინ როცა დატივის გადანაცვლება წინადადების ზმნური დონის (VP) ტრანსფორმაციად გვევლინება.

კ. ლარსონს ნაწილობრივ ემხრობა ე. ანაგნოსტოპულუც (Anagnostopoulou 2003, 2005), რომელიც თავის ნაშრომებში განასხვავებს ორი ტიპის ბენეფაქტიურ კონსტრუქციებს, როგორიცაა, წინდებულიანი და უწინდებულო კონსტრუქციები. ორობიექტიანი ზმნებისათვის დამახასიათებელ დატივის გადანაცვლებას ახალბერძნულში იგი განიხილავს ორი მიმართულებით: განიხილავს ზმნური კომპონენტის მიზანს (GOAL), როგორც წინდებულიან ფრაზას (PP), ანდა, გენიტივში მდგომ მსაზღვრელ ფრაზას (DP). შესაბამისად, მსგავსი ტიპის ტრანსფორმაციას რეალურად ხდება მიზნის გადაადგილება წინადადებაში, მაგრამ რეალური სხვაობა ინგლისურსა და ბერძნულს შორის ვლინდება სწორედ წინდებულიანი კონსტრუქციების გამოყენებაში, რამდენადაც ბერძნული, ინგლისურისგან განსხვავებით, ორსავე წინდებულს (*για*, *σε*) იყენებს პრეპოზიციური ვარიანტის დროს მიზნის გამოსახატავად. შესაბამისად, *σε* წინდებულისა და გენიტივის ვარიანტის გამოყენება უნდა განიხილებოდეს, როგორც ორობიექტიანი კონსტრუქცია, მაშინ როცა *για* წინდებულიანი ვარიანტი ზმნის მიმართ დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია (გრაფიკი 8).

5. ჩომსკის (Chomsky 1995) მიერ შემოთავაზებული მინიმალისტური პროგრამის ფარგლებში ვხედავთ, რომ ძლიერი მორფოლოგია განაპირობებს მორფოლოგიური ფლექსიის მქონე ელემენტის გადაადგილებას იმ თავში (head), რომელიც, ზეგავლენას ახდენს სხვა ერთეულთა ფლექსიურ ცვლაზე. თავისი არსით ნებისმიერი წინადადება ფუნქციონალური თავების პროექტირების შედეგია და, ცხადია, ზმნასთან დაკავშირებული ფლექსია ზეგავლენას ახდენს მის გადაადგილებაზე წინადადებაში, რომელიც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს ყველა ზემოხსენებული ტიპის სუბიექტ-ობიექტის ცვლაზე, იქნება ის კონვერსიული, ინვერსიული თუ დატიური კონსტრუქციების ტრანსფორმაცია.

ზემოხსენებული ენობრივი მასალის განხილვისას გაანალიზდა *სული*-სა და *გული*-ს შემცველი იდიომური გამოთქმები (სულ 39 ერთეული). აღნიშნულ ერთეულთა უმეტესობა განეკუთვნება ე.წ. ლექსიკური დონის იდიომებს, რომლებიც მსგავსი ლექსიკური ერთეულებით ხასიათდება ქართულსა და სხვა ენებში, თუმცა აღნიშნული წესი საყოველთაო არ აღმოჩნდა, რადგანაც ზოგიერთ შემთხვევაში, როცა მოგვეპოვება ქართული იდიომის შესატყვისი ინგლისურსა და ახალ ბერძნულში, მისი რუსული ვარიანტი განეკუთვნება სემილექსიკურ დონეს, ან საერთოდ არ გვხვდება, და პირუკუ; სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესადარებელ ენებს შორის არსებული ლექსიკური კავშირი მხოლოდ პირობითი აღმოჩნდა¹⁰¹. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევებში, როცა იდიომი განეკუთვნება სემილექსიკურ ან პოსტლექსიკურ დონეებს, მისი გადმოცემა უცხო ენაზე, როგორც წესი, გართულებულია და ხორციელდება სხვადასხვა მთარგმნელობითი ტექნიკის საშუალებით¹⁰².

¹⁰¹ გამოვლენილი კავშირების ასახვა შესაძლებელია, ძირითადად, შემდეგი სქემების საშუალებით:

1) $X(L_1) \rightarrow X(L_2...L_4)$; 2) $X(L_1) \xrightarrow{Y(L_2)} X(L_3...)$; 3) $X(L_1) \rightarrow Y(L_2...L_4)$; 4) $X(L_1) \rightarrow Z(L_2...L_4)$,

სადაც L_1 - წყარო-ენას ასახავს (ე.ი. ქართულს), $L_2...L_4$ - სამიზნე ენას (ე.ი. ინგლისური, ახალი ბერძნული და რუსული), $X(L_1)$ - წყარო-ენის ელემენტია, $X(L_2)$, $X(L_3)$ ან $X(L_4)$ - სამიზნე ენების ლექსიკური დონის იდიომური ელემენტები, $Y(L_2)$, $Y(L_3)$ ან $Y(L_4)$ - სამიზნე ენების სემილექსიკური დონის იდიომური ელემენტები, ხოლო $Z(L_2)$, $Z(L_3)$ ან $Z(L_4)$ - სამიზნე ენების პოსტლექსიკური დონის იდიომური ელემენტები.

¹⁰² კულტურული ერთეულების (ნებისმიერი იდიომი კი, თავისი არსით, კონკრეტული ხალხის მსოფლმხედველობისა და კულტურული აღქმის ამსახველი ერთეულია) გადმოცემა უცხო ენაზე შესაძლებელია მთარგმნელობით პრაქტიკაში აღიარებული შემდეგი ვარიანტების გამოყენებით: ნასესხები სიტყვებით, კულტურული ჩანაცვლებით, ნეიტრალიზაციით (ჩანაცვლება უფრო

ამიტომ, შევეცადეთ აღნიშნული ერთეულებიდან განსაკუთრებული ყურადღება გაგვემახვილებინა ლექსიკური დონის იდიომურ გამოთქმებზე, რომლებიც ავლენენ არა მხოლოდ სემანტიკური დონის მსგავსებას სხვადასხვა ენის იდიომებთან, არამედ იდიომური გამოთქმის კომპონენტურ მსგავსებასაც. უდავოა ისიც, რომ იდიომის როგორც შიდა, ასევე გარე სემანტიკური მსგავსება არ გულისხმობს მათ სტრუქტურულ მსგავსებას; მეტიც, ძალიან ხშირად ორი ენის სტრუქტურით შეპირობებული შიდა და გარე მსგავსება არ უტოლდება სხვა ენებში დადასტურებულ მსგავს ერთეულებს (მაგ.: 195-196)

(194) გულთან ახლოს მიიტანს (რამეს); *принимать что-либо близко к сердцу*;
to take smth close to heart; *παίρνω κάτι κατάκαρδα* – თანაუგრძნობს ვინმეს;

(195) გული სისხლით ევსება; *сердце кровью обливается*; *smb's heart is bleeding*;
μου ανεβαίνει το αίμα στο κεφάλι – ბოლმით ივსება, დარდი აწევს.

ოთხსავე ენაში მოყვანილი იდიომების ერთიანი სემანტიკური მნიშვნელობა იდენტურია, მათი კომპონენტური ნაწილი კი როგორც სემანტიკურად (ნაწილობრივ), ასევე სტრუქტურულად განსხვავებულია. აღნიშნული სემანტიკური სხვაობა ვლინდება სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე კომპონენტების გამოყენებაში: 201 მაგალითში ინგლისური და ქართული იდიომი სემანტიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად იდენტურია, მაგრამ განსხვავდება რუსულ და ბერძნულ ენებში დადასტურებული იდიომების კომპონენტების მნიშვნელობისაგან. მსგავსი სიტუაციაა 202-ე მაგალითშიც, რომელშიც რუსული და ინგლისური იდიომური გამოთქმები ერთმანეთის მიმართ ლექსიკური დონის იდიომებს წარმოადგენს, მაშინ როცა ქართული და ახალბერძნულის მიმართ სემილექსიკური დონისაა; სტრუქტურული თვალსაზრისითაც კონსტრუქციები განსხვავებულია.

ამის გათვალისწინებით, ყურადღება გავამახვილეთ ქართული ზმნური იდიომური გამოთქმების ტრანსფორმაციაზე მისი უცხო ენაზე გადმოცემის დროს, კერძოდ, თუ რამდენად ხშირად ხდება მისი ჩანაცვლება ბენეფაქტიური სტრუქტურის მქონე იდიომით ინგლისურსა და ახალ ბერძნულში და, შესაბამისად, ბენეფაქტივის მიცემითბრუნვიანი კონსტრუქციით რუსულში, თუ ქართული

ნეიტრალური სიტყვებით), ლიტერატურული თარგმანით, გამოტოვებით, განვრცობით, პარაფრაზის საშუალებით შესაბამისი ან განსხვავებული სიტყვების გამოყენებით) (Newmark 1988; Baker 2004)

იდიომის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა ისეთი ერთეული, რომელიც გამოხატავდა მიცემითბრუნვიან აგენსს (მაგ.: 197).

(196) მიჰყიდა სული ეშმაკს – ყველაფერი იკადრა: “ერთი სული მქონდა, გამეგო, რა მაცდუნებელ წინადადებას მთავაზობდა ეს ქალი, რომელიც ორიოდ გროშად ალბათ სულსაც მიჰყიდდა ეშმაკს...” (აკ. გეგენ., “მოგზაურის დღიურები”)¹⁰³

მი-3-ყიდ-ა	სულ-ი	ეშმაკ-ს
PV-O3-ყიდ-AOR.S3sg	სულ-NOM	ეშმაკ-DAT
ორობიექტიანი		
კონსტრუქცია: V	NOM _{THEME}	DAT _{GOAL}
πὸς-ησ-ε πῦν	ψυχὴ μὲν ¹⁰⁴	στο δῆλοιο
πὸς-AOR.3sg πῦν Acc	ψυχὴ-ACC μὲν-1PP	σε- το ACC δῆλοιο-ACC
σε-PP კონსტრუქცია: V	ACC _{THEME}	se-PP _{GOAL}
прода-л	душу	дьяволу
прода-AOR.3sg.m	душ-ACC	дьявол-DAT
ორობიექტიანი		
კონსტრუქცია: V	ACC _{THEME}	DAT _{GOAL}
sold	soul	to the devil
sell-AOR.3sg	soul-NOM	to the NOM devil-NOM
to-PP კონსტრუქცია: V	NOM _{THEME}	to-PP _{GOAL}

მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ლექსიკური დონის იდიომური გამოთქმების შემთხვევაში – მაშინ როცა ახალი ბერძნული და ინგლისური თავისუფლად იგუებს ბენეფაქტივის პრეპოზიციურ სტრუქტურას, ქართულსა და რუსულში გაბატონებულია ორობიექტიანი მიცემითბრუნვიანი კონსტრუქციები. ორსავე შემთხვევაში კონსტრუქციის შეცვლა წინდებულიანი (რუსული: *продал душу к дьяволу) ან თანდებულიანი (ქართული: *მიჰყიდა სული ეშმაკისთვის) სტრუქტურის მქონე იდიომით შეუძლებელია. ბუნებრივია, რომ, მორფოსინტაქსური თვალსაზრისით, ეკვივალენტური ერთეულები სხვადასხვა ენაში ერთმანეთისაგან

¹⁰³ კონტექსტის გარეშე ცალკეული ზმნური იდიომის თარგმნისას მიზანშეწონილი იქნებოდა მისი ყველაზე ნეიტრალური ვარიანტის განხილვა, როგორცაა რუსულისა და ინგლისურის შემთხვევაში ინფინიტივის ფორმები, ხოლო ახალი ბერძნულის შემთხვევაში – აწმყო დროის პირველი პირის ფორმა. ბუნებრივია, რომ ნეიტრალური ფორმა იქნება: ახალ ბერძნულად – *πὸς*, რუსულად – *продать* და ინგლისურად – *to sell*.

¹⁰⁴ პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენება აღნიშნულ შემთხვევაში პირობითია, რადგანაც აღნიშნული ერთეულის თარგმნა ახალ ბერძნულად უფრო მართებული იქნებოდა ასე: *πὸς ἡσεν πῦν ψυχὴ στο δῆλοιο*, ე.ი. პირის ნაცვალსახელის გარეშე, უბრალოდ ბრალდებითბრუნვიანი სახელი მომდევნოდ, როგორც წესი, ითხოვს ნაცვალსახელს, რომელიც კონტექსტზე დაყრდნობით ითხოვს კონსტრუქციის მიკუთვნებას პირველი, მეორე ან მესამე პირისადმი როგორც მხოლოდობითში, ასევე მრავლობითშიც; დაახლოებით მსგავსი ვითარებაა რუსულშიც და ინგლისურშიც, სადაც კონტექსტში, როგორც წესი, აღინიშნება სულის უშუალო მქონე.

განსხვავდება: ა) ზმნის პირიანობის თვალსაზრისით, ქართული იდიომის ზმნური კომპონენტი სამპირიანია და მასში წინასწარ ნაგულისხმებია ობიექტის ცნება, მაშინ როცა რუსულში, ახალბერძნულსა და ინგლისურში მისი შესატყვისი ობიექტი უფრო ლექსიკურ-სინტაქსურ, ვიდრე მორფოსინტაქსურ ერთეულს წარმოადგენს; ბ) ქართულ ზმნურ კომპონენტს თან ახლავს ზმნისწინი, მაშინ როცა ბერძნულსა და ინგლისურში ზმნისწინი ზმნური კომპონენტის კუთვნილებას არ წარმოადგენს, რუსულში კი აღნიშნული ზმნისწინი ე.წ. ლექსიკური დონის ცარიელ ზმნისწინებს განეკუთვნება.

ამ კონტექსტში გასარკვევი ხდება შემდეგი საკითხები: რამდენად დასაშვებია ზემოხსენებული ტრანსფორმაციები (კონვერსია და დატივის გადანაცვლება) ქართული იდიომის უცხო ენაზე გადმოცემისას და პირუკუ: ხომ არ იქნებოდა უფრო მარტივი და ამიტომ მიზანშეწონილიც, დატივის გადანაცვლების შემთხვევაში რომ გამოგვეყენებინა გრამატიკული წყობით დაშვებული ორობიექტიანი კონსტრუქცია, როგორცაა, მაგალითად, **πουλώ του διάβολου την ψυχή* ან **to sell devil the soul*.

მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრულ ზმნებთან დატივის გადანაცვლება დასაშვებია – ჩვეულებრივ, ბერძნულენოვან ან ინგლისურენოვან შესიტყვებებში, მისი გამოყენება უცხოენოვანი იდიომის სხვა ენაზე გადმოცემისას გართულდება არა იმდენად სტრუქტურულად, რამდენადაც იდიომური კომპონენტების სემანტიკური მნიშვნელობის გამო, განსაკუთრებით, როცა საკითხი სომატურ იდიომებს ეხება. სხვა სემანტიკის მქონე იდიომებში კი შესაძლებელია ერთი კონსტრუქციის მეორით ჩანაცვლება, კერძოდ, წინდებულიანი ან ორობიექტიანი ბენეფაქტიური სტრუქტურა, როგორც წესი, ენაცვლება მიცემითბრუნვიანი ირიბი ობიექტის მქონე კონსტრუქციებს (ზდრ. *კარს გამოუხურავს ვინმეს – θα κλείσει την πόρτα σε κάποιον, will shut one's doors to smb., закроет дверь перед кем-либо*; ანგარიშს მისცემს ვინმეს – *θα δώσει λογαριασμό σε κάποιον, will given an account to smb., даст отчет кому-либо* და ა.შ.). ამის პარალელურად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსგავს ტრანსფორმაციებს, ძირითადად, სამ- და მეტკომპონენტიანი იდიომები ექვემდებარება, რომელთა სემანტიკური მნიშვნელობის განუყრელ ნაწილს მოქმედების მიმღები ასრულებს, ქართულში კი მათი რაოდენობა, როგორც აღინიშნა, ორკომპონენტიან იდიომებს არ სჭარბობდა.

იდომების კონვერსიული ტრანსფორმაციის თავისებურება ახალბერძნულსა და ქართულში ნაწილობრივ ჰგავს ერთმანეთს. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ქართულში ვნებითის წარმოების სხვადასხვა სქემებს, მათ შორის, აფიქსურ და, განსაკუთრებით, უნიშნო ვნებითებს უკავშირებენ ძველ ბერძნულს (Bakker 1994). აღნიშნულ მოდელებს შორის სხვაობა კი უკავშირდება ზმნური იდომების გარდამავალ და გარდაუვალ ვარიანტებს, რადგანაც აფიქსური ვნებითები, თავისი ბუნებით, გამოიყენება გარდამავალ ზმნებთან მაშინ, როცა ფუძისეული – გარდაუვალებთან.

გარდა ამისა, ქართულის მიცემითბრუნვიანი ირიბი ობიექტი ყოველთვის არ იღებს მონაწილეობას იდიომის წარმოებაში და არ მიესადაგება ზემოხსენებულ კონსტრუქციებს და, მით უმეტეს, მონაწილეობას არ იღებს დატივის გადანაცვლებაში. შედარებისას ვლინდება, რომ ქართულისათვის დამახასიათებელ მიცემითბრუნვიან ირიბ ობიექტს შეიძლება ჰქონდეს როგორც მიზნის (GOAL/RECIPIENT) ¹⁰⁵, ასევე კუთვნილების მნიშვნელობაც (მაგ.: 198)

(197) სულს ამოაცლის (ამოაძრობს) ვინმეს – ძალზე შეაწუხებს: “დიდმა თოვლმა ლამის **სული ამოგვაცალოს**” (“ცნ. ფურც”, ქეგლ)

ამო-ა-ცლ-ი-ს		სულ-ს		ვინმეს
PV-Ver-ცლ-FUT.S3sg		სულ-DAT		DAT
ორობიექტიანი		DAT _{THEME}		DAT _{GOAL}
კონსტრუქცია: V				
θα βγάλει	την	ψυχή		κάποιον
FUT βγάλ-3sg	την Acc	ψυχή-Acc		GEN
ერთობიექტიანი		ACC _{THEME}		GEN
კონსტრუქცია: V				
выймет		душу		у/из кого-либо/чего-либо
FUT выйм-3sg		душ-Acc		
у/из PP კონსტრუქცია: V		ACC _{THEME}		GEN
will take out		smb's	soul ¹⁰⁶	[of smb.] from smb.
FUT take-3sg		GEN	soul-Nom	GEN
PP კონსტრუქცია: V			NOM _{THEME}	

¹⁰⁵ მიზნის არსებობა იგულისხმება ლარსონის მიერ შემოთავაზებული სქემის ფარგლებში: AGENT > THEME > GOAL > OBLIQUE (Larson 1988)

¹⁰⁶ ინგლისურ ენაში არსებობს აღნიშნული ერთეულის სხვა ვარიანტიც, როგორიცაა to put smb through the wringer

არჩევანი ამ ორ სემანტიკურ მნიშვნელობას შორის დამოკიდებულია კონტექსტზე, კერძოდ, იმაზე, თუ რომელი სახელი ქმნის ირიბობიექტიან ერთეულს. შდრ.: *სულს ამოაცლის კაცს და: ამოაცლის კაცს სულს*, მნიშვნელობა ერთი და იგივეა, და, ამდენად, მისი ასახვა ორგვარად შეიძლება: 1) *სული* – რეალურად *ადამიანის* კუთვნილებას წარმოადგენს და, შესაბამისად, მიცემითბრუნვიანი კონსტრუქცია ეფარდება პოსესიურობის გამომხატველ ევროპულ ენათა გენიტივის მნიშვნელობას (შედარებისას ვლინდება, რომ ზუსტად მსგავსი, გენიტივიანი კონსტრუქციებით შესაძლებელია ქართული იდიომის თარგმნა; 2) *სული* – როგორც ისეთი რამ, რაც ელევა და უქრება *ადამიანს*. ამ შემთხვევაში კი *ადამიანი* თვითონ წარმოადგენს მიზანს, ანუ იმას, ვინც განიცდის ზემოქმედებას (შედარებისას ვლინდება, რომ მსგავსი მნიშვნელობა მიცემითბრუნვიან ობიექტს ევროპულ ენებში შეეფარდება ზუსტად ორობიექტიანი ან წინდებულიანი ბენეფაქტივი), მაგრამ ქართულენოვანი იდიომის (მაგ.: 198) გადმოცემა ორობიექტიანი ბენეფაქტივით შეუძლებელია.

შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ ქართული იდიომის მიცემითბრუნვიანი ობიექტის ორგვარი მნიშვნელობა და უცხო ენაზე მისი თარგმნის შემთხვევაში ტრანსფორმაციის ორი ვარიანტი:

1. მიცემითბრუნვიანი ობიექტი გადმოიცემა წინდებულიანი ან ორობიექტიანი ბენეფაქტივის საშუალებით;
2. მიცემითბრუნვიანი ობიექტი გადმოიცემა პოსესიურობის აღმნიშვნელი გენიტივის საშუალებით.

სხვადასხვა ენაში ლექსიკური და სემილექსიკური დონის ერთეულები ავლენს უფრო მეტ მსგავსებას პოსტლექსიკური დონის იდიომებთან შედარებით როგორც მთლიანი კონსტრუქციის, ასევე ცალკეული კომპონენტების სემანტიკური მნიშვნელობის მხრივ.

შესწავლილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. ამა თუ იმ ქართულენოვანი იდიომის ესა თუ ის მორფოსინტაქსური ცვლილება განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება თარგმნის პროცესში როგორც ქართულიდან ახალბერძნულად, ინგლისურად ან რუსულად, ასევე პირუკუ. თარგმნის პროცესის სირთულე კი უკავშირდება როგორც იდიომის ცალკეული კომპონენტების სემანტიკურ მნიშვნელობას, ასევე მათ გრამატიკულ სტრუქტურასაც.

2. თუ ზმნური ან სახელური უცხოენოვანი იდიომის შემადგენლობაში გვხვდება ისეთი ერთეული, რომელიც ექვემდებარება კონვერსიას ან დატივის გადანაცვლებას, შესაძლებელი ხდება უცხოენოვანი იდიომური კონსტრუქციების ჩანაცვლება ქართულენოვანი კონსტრუქციებით და პირუკუ. შესაბამისად, შესაძლებელია გარკვეული დონის მორფოსინტაქსური მიმართებების გამოვლენა, კერძოდ: ა) წინდებულიანი ან ორობიექტიანი ბენეფაქტიური სტრუქტურა, როგორც წესი, ენაცვლება მიცემითბრუნვიან ირიბობიექტიან სტრუქტურას, და ბ) კონვერსიული ტრანსფორმაცია აისახება როგორც მორფოლოგიურად, ასევე სინტაქსურად და, შესაბამისად, მორფოლოგიურ დონეზე გამოიყენება იდიომის ზმნური კომპონენტების ვნებითი გვარის ფორმები, რასაც ახალბერძნულში ემსახურება სუფიქსი *-ομαι*, ხოლო ქართულში – აფიქსები *ი-* და *ე-*, -დ ან უნიშნო ვნებითის ფუძე, ხოლო სინტაქსურ დონეზე კონვერსიული ტრანსფორმაციის საფუძველს ზმნური კომპონენტის გარდამავლობა წარმოადგენს.
3. სხვადასხვა მორფოსინტაქსური ტრანსფორმაცია ართულებს იდიომის უცხო ენაზე გადმოცემის შესაძლებლობას. განსაკუთრებით, როცა საკითხი ეხება ისეთ ტრანსფორმაციას, როგორიცაა ახალი ბერძნული ან ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი დატივის გადანაცვლება, რომელიც არც ქართულს და არც რუსულს არ ახასიათებს და გადმოიცემა მიცემითბრუნვიანი ობიექტის სახით.
4. გადანაცვლების პარალელური ვარიანტები შეიძლება მივიჩნიოთ სხვადასხვა დონის მსგავს ფუნქციურ თავისებურებად, რომლის საფუძველს წარმოადგენს ზმნის გარდამავლობა. შესაბამისად, ახალი ბერძნულისთვის დამახასიათებელი ბენეფაქტივისა და ქართული მიცემითბრუნვიანი ირიბი ობიექტის ქცევას მსგავსი სინტაქსური საფუძველი აქვს.
5. ქართული იდიომის უცხო ენაზე თარგმნა, როგორც წესი, შეპირობებულია მისი მორფოსინტაქსური თავისებურებითა და სამიზნე ენის გრამატიკული სტრუქტურით. აღსანიშნავია, რომ ვერც კროსლინგვისტურ მსგავსებას და ვერც განსხვავებას ყველა სახის იდიომს ვერ მივუსადაგებთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი იდიომური გამოთქმების პოსტლექსიკურ დონეს ეხება.

3.4. 'ყოფნა' ზმნის ფუნქცია იდიომურ გამოთქმებში

იდიომური გამოთქმების შემადგენლობაში, იმისდა მიუხედავად, რამდენკომპონენტია ესა თუ ის იდიომი, გვხვდება მეშველზმნიანი – როგორც წართქმითი (*საქმე ჭადრაკულად არის, გაწამაწიაში არის, ნახშირჭმული არის* და ა.შ.), ასევე უკუთქმითი (*ვისიმე/რისამე ჭაჭანება აღარ არის, ბაიბურში არ არის, ჭკუაზე აღარ არის* და ა.შ.) ვარიანტებიც. ქართულში მეშველი ზმნის ფუნქციას ასრულებს ყოფნა ზმნის პირიანი ფორმა, რომელიც, კონტექსტიდან გამომდინარე, შეეზრდება სახელს ან ზმნას. მაგრამ თუ ზმნასთან იგი მეშველი ზმნის ფუნქციას ასრულებს, სახელთან მას, ძირითადად, ჩვეულებრივი ზმნის ფუნქცია აკისრია, რომელიც, თავის მხრივ, მართავს ფუნქციათა განაწილებას იდიომისა და თვით წინადადების ფარგლებში.

როგორც აღინიშნა, იდიომური გამოთქმების შემადგენლობაში ერთ-ერთი ზმნური კომპონენტის ფუნქციას სწორედ მესამე პირის *ყოფნა* ზმნა წარმოადგენს, რომლის სემანტიკა ფაქტობრივ გაცვეთილია. წინადადების ცენტრალურ ნაწილს, ჩვეულებრივ, შემასმენელი წარმოადგენს, შესაბამისად, ნებისმიერი ზმნური იდიომის განხილვა შესაძლებელი და მიზანშეწონილია წინადადების მთავარი წევრის (შემასმენლის) ფუნქციების შესწავლის გზით; მეტიც, ზოგიერთი იდიომი ფართოდ იყენებს მეშველ ზმნებს საკუთარი სემანტიკური ბირთვის შესაქმნელად (*ყაბულს არის, ბზესავით არის, ნახშირჭმული არის* და ა.შ.) (მაგ.: 199, 200):

(198) ნახშირჭმული არის – სამარცხვინო საქმე აქვს ჩადენილი: “ერთი ლამაზი, კოპწია რძალი და ტიტკო ძლიერ საექვო თვალით უყურებდენ ერთმანეთს, – ეტყობოდათ, **ნახშირჭმული იყვენ**, როგორც ამბობენ ასეთს შემთხვევაში” (ე. ნინოშ., “სიმონა”)

(199) ყაბული (ყაბულს) არის – თანახმაა, თანხმობას აცხადებს: “– და შალვას აჰხედა და უთხრა: – უთხარი, არსენა **ყაბულს არის-თქო**” (მ. ჯავახ., “არსენა მარაბდელი”)

მაგრამ აქვე ჩნდება ეჭვი, უნდა მივიჩნიოთ თუ არა იდიომებად მსგავსი ერთეულები, წინადადებაში შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციას რომ ასრულებენ. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ა. თაყაიშვილი, ზოგიერთ შემთხვევაში ფრაზეოლოგიზმები, “...მართალია, ძირითადად კარგავენ ზმნურობას,


მაგრამ *არის* ზმნის მოშველიებით იძენენ სახელადი შემასმენლის ფუნქციას: **დიდი გული მიეცა → დიდ გულზეა**, ე.ი. ჩავარდნილი ზმნის კონსტრუქციულ-გრამატიკულ თვისებებს იძენს არაზმნური ნაწილი და უწინდებურად გადმოსცემს ფრაზეოლოგიზმის იდეას. მაგრამ ეს მოსახერხებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ფრაზეოლოგიზმი მინიმუმ სამ წევრს მაინც შეიცავს” (თაყაიშვილი 1961, 25), თუმცა აქვე დავძენთ, რომ ამ და ბევრ სხვა მაგალითში ამოსავალი იდიომურობის მატარებელია სახელური ორკომპონენტიანი იდიომი და არა ზმნა. შესაბამისად, სამკომპონენტიანი იდიომის ზმნური კომპონენტის ცვლის ან დაკარგვის შემთხვევაში იდიომურობა არ იკარგება.

ჩვენს შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ორ-, სამ- და მეტკომპონენტიან ზმნურ იდიომურ გამოთქმებთან, რომლებიც არსებითად განეკუთვნება $N + V$ სქემას. მაგრამ ერთ-ერთი და წამყვანი ზმნური კომპონენტის ფუნქციას ‘ყოფნა’ ზმნა ასრულებს, რომლის შინაარსობრივი მხარეც მხოლოდ პირობითად შეიძლება შევაფასოთ. ‘ყოფნა’ ზმნის გაუჩინარების შემთხვევაში დარჩენილი ერთეულის მოთავსება მეტაფორულ სიტყვათა რიგში ვერ მოხერხდება მხოლოდ იმიტომ, რომ დამატებითი მეტაფორული მნიშვნელობის მატარებელი იგი არ არის. გარდა ამისა, აღნიშნული ერთეულების სინონიმებად შეცვლის შემთხვევაში წინადადების კონსტრუქცია არ იცვლება, ანუ შემასმენლის სახელად ნაწილს კვლავ შედგენილი შემასმენლის ფუნქცია ეკისრება (შდრ. *კვლავა, წინაა* და ა.შ.) (მაგ.: 201).

- (200) **წინ არის**¹⁰⁷ – გარკვეული წარმატება, პერსპექტივა მომავალი აქვს (სწავლაში, შრომაში...): “ქეშმარიტი გამარჯვება ჯერ **წინ არის**” (ე. ახვლედი, “დამარცხება და გამარჯვება”)

¹⁰⁷ აღნიშნული ერთეული ჩვეულებრივ ფრაზეოლოგიზმს წარმოადგენს, რომელსაც განსაზღვრულ კონტექსტში გადატანითი მნიშვნელობა ენიჭება

გრაფიკი 9: შენაცვლების პრინციპისათვის იდიომურ გამოთქმებში



სქემებში მოყვანილი ფრაზეოლოგიზმის (შდრ. *წინ არის – მომავალში არის*) განხილვა შეიძლება, როგორც ადგილის გარემოებისა და შემასმენლისა (ამ შემთხვევაში ლოგიკური ჯაჭვი ასე წარმოგვიდგება: გამარჯვება (რას შვრება?) არის (სად?) წინ (ე.ი. მეშველი ზმნა მართავს ქვემდებარეს). თუ დავუშვებთ მსგავსი სქემის არსებობას, მაშინ დროის გარემოების დაკარგვაც შესაძლებელი უნდა იყოს. მსგავსი მოდიფიკაცია შესაძლებელია ნებისმიერი სახის დროის გარემოების მიმართ, ჩვენს შემთხვევაში კი ეს შეუძლებელი ხდება (შდრ. *ჩემმარიტი გამარჯვება ჯერ ... არის*). აღნიშნული ერთეულის არსებობა კი მიუთითებს შიდა კავშირის დაუშლელობაზე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია იდიომური გამოთქმის სემანტიკური ერთიანობის თვალსაზრისით.

ჩანს, რომ *წინ* კომპონენტის ამოღება აზრს აკარგვინებს არა მხოლოდ იდიომურ გამოთქმას, არამედ მთლიან წინადადებასაც. გარდა ამისა, თუ საკითხი ეხება გამოთქმას და არა მხოლოდ მის სინტაქსურ კავშირს წინადადებაში, შეუძლებელი ხდება მისი შინაარსობრივი მხარის შენარჩუნებაც; კერძოდ, სუბსტიტუციის შემთხვევაში იდიომს უნდა გამოეცალოს სემანტიკური ერთიანობა.

მეორე სქემაში ვცადეთ იდიომური კომპონენტების (*წინ არის*) სინონიმებით შეცვლა (*მომავალში არის*) საერთო მნიშვნელობის შენარჩუნებით. ზმნური კომპონენტის სუბსტიტუცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ ქონა-ყოლის ზმნებით (შდრ. *წინ არის – წინ აქვს*).

შესაბამისად, აღნიშნული ორი კომპონენტის შედარებისას ვხედავთ, რომ მათ სხვადასხვა დონის რამდენიმე საერთო ნიშანი ახასიათებს: 1) სემანტიკური ერთიანობა; 2) სინტაქსური კავშირი (*წინ არის – მომავალში არის*). განსხვავებულ ნიშანს კი მათი მორფოლოგიური დონე წარმოადგენს (*წინ – ზმნისართია, ხოლო მომავალი – გაარსებითებული მიმღეობაა*). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფრაზეოლოგიურ ერთეული ბოლომდე გაქვავებულ ფორმას არ ავლენს, მსგავს ვითარებას ვხედავთ ‘ყოფნა’ ზმნის მქონე ჩვეულებრივ იდიომებშიც (მაგ.: *შორს არის, ცოტაც არის* და ა.შ.).

ძირითად საკითხს რომ მივუბრუნდეთ, შეგვიძლია თუ არა ‘ყოფნა’ ზმნის შემცველი ერთეულები იდიომებად მივიჩნიოთ? ამისათვის, კვლავ უნდა გავითვალისწინოთ, თუ რით არის განპირობებული გამოთქმის დაუშლელიობა: ქართული ენის სინტაქსური წყობით თუ უშუალოდ იდიომური გამოთქმის დაუშლელიობით. ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ამ გამოთქმების დაუშლელიობა გამოწვეულია ქართული ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსური წყობით სამკომპონენტიანი იდიომური გამოთქმების საპირისპიროდ, რომელთა დაუშლელიობა და, შესაბამისად, იდიომურობა უკავშირდება შემადგენელი კომპონენტების ერთიანობას (*ბრმის ბედი აქვს, დიდი გული აქვს, თავის ქერქში არ არის* და ა.შ.). შესაბამისად, მეშველი ზმნების მქონე ორკომპონენტიანი შესიტყვებების იდიომურ გამოთქმებად მიჩნევა, ჩვენი აზრით, უსაფუძვლო იქნება.

3.5. გრამატიკული სინონიმისათვის იდიომებში

ეს თავი ეხება სინონიმის, კერძოდ, ლექსიკურ-გრამატიკული სინონიმის პრობლემას და მის კვლევას იდიომებთან მიმართებით. ცნობილია, სინონიმები, სხვა ლექსიკური ერთეულების (ანტონიმების, ომონიმებისა და ა.შ.) მსგავსად ლექსიკური პარადიგმატიკის (ფოჩუა 1974) კვლევის საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, ორი ან მეტი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ერთმანეთთან დაკავშირებული ერთეული ქმნის განსაზღვრულ ჯგუფს, პარადიგმას, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკურიც.

კვლევისას ვცადეთ ჩვეულებრივი ლექსიკური სინონიმების განსაზღვრის ორი ძირითადი კრიტერიუმის გამოყენება იდიომატიკაში. ესენია: ა) სემანტიკური კრიტერიუმი, რომელიც უკავშირდება მნიშვნელობით მსგავსებას შესიტყვებების (ჩვენს შემთხვევაში, იდიომებს) შორის, და ბ) ურთიერთჩანაცვლების კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა კონტექსტში ერთი სიტყვის მეორით ჩანაცვლების საშუალებაში (თუმცა აღნიშნული კრიტერიუმი არ არის საკმარისი სინონიმის განსაზღვრისათვის), მაგ.: *ხელს აიღებს – თავს დაანებებს; პირზე ხელს ააფარებს – ხმას გააკმენდინებს* და ა.შ.

ლექსიკურ სინონიმურ რიგში ვლინდება სემანტიკურად ტევადი და სტილისტიკურად ნეიტრალური ერთი რომელიმე სიტყვა, რომელიც წარმოადგენს სინონიმური რიგის ბირთვს. მსგავსი ტიპის ლექსიკური ერთეული არა მხოლოდ უკავშირდება სხვა რომელიმე ერთეულის მნიშვნელობას, არამედ განისაზღვრება როგორც ენობრივი ერთეულის ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება იმავე ერთეულის სხვა ასპექტს, კერძოდ, მის გრამატიკულ გამოვლენას.

გრამატიკული სინონიმია, თავისი არსით, უფრო რთულ ცნებას წარმოადგენს, რადგანაც მასში ერთიანდება მორფოლოგიური, სინტაქსური და თვით ლექსიკური ასპექტიც კი ანუ, სხვაგვარად, გრამატიკული სინონიმია განიმარტება, როგორც სიტყვებისა და შესიტყვებების მნიშვნელობა, რომელიც ერთმანეთს უკავშირდება გრამატიკული მნიშვნელობის საფუძველზე (Пешковский 1930). ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ სინონიმის ასპექტები სხვადასხვანაირად ვლინდება მორფოლოგიასა და სინტაქსში, კერძოდ, თუ მორფოლოგიური მნიშვნელობა უკავშირდება ერთი და იმავე ერთეულის (სიტყვის) სხვადასხვა ფორმას, სინტაქსური

მნიშვნელობა გულისხმობს მინიმუმ ორი კომპონენტის ურთიერთობას. შესაბამისად, სინტაქსურ სინონიმებად მივიჩნევთ ერთეულებს, რომლებიც შინაარსობრივად ერთსა და იმავეს გამოხატავს და გვხვდება მსგავს ან განსხვავებულ სინტაქსურ კონსტრუქციებში, მაგ.: *ტანს ააგდებს – ტანს აიყრის; ტანი ააგდო – ტანი აიყარა; გულიდან ლოდს ააცლის – გულიდან ლოდს ჩამოხსნის (მოიშორებს); გულიდან ლოდი ააცილა – გულიდან ლოდი ჩამოხსნა (მოიშორა).*

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გრამატიკული სინონიმია უკავშირდება ამა თუ იმ შესიტყვების სემანტიკურ ბირთვს, ანუ, ცენტრალურ ნაწილს (მაგ.: *სახე (შუბლი, წარბები, გული) გადაეწმინდება (გაეშლება, გაეხსნება), გული (გუნება) გაუნათლდება, გულს გახსნის –* სიხარული, ნუგეში (ბირთვი). შესაბამისად, ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა მსგავსი ბირთვის გამოვლენა და ლექსიკური თუ გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) სინონიმის კვლევა იდიომურ გამოთქმებში.

მიღებული დეფინიციის თანახმად, იდიომი, ჩვეულებრივ, შედგება ერთიანი მნიშვნელობით შეკრული რამდენიმე კომპონენტისაგან, ამასთანავე, სხვა შესიტყვებებისაგან განსხვავებით, იდიომურ გამოთქმებში სემანტიკურად ძირითადი კომპონენტისა და მასზე დამოკიდებული ერთეულების გამოვლენა გართულებულია. იმის გათვალისწინებით, რომ იდიომური გამოთქმის ლექსიკური ბირთვი დამოკიდებულია მის საერთო მნიშვნელობაზე და არა რომელიმე კონკრეტულ კომპონენტზე, სინონიმის საკითხის განხილვა მართებულია იდიომის შემადგენელი სრულმნიშვნელოვანი სიტყვების ერთობლივი პარალელური შესწავლით.

კვლევის ძირითად მასალას წარმოადგენდა იდიომური გამოთქმები, ამოკრეფილი თ. სახოკიას, ქეგლ-ისა და ალ. ონიანის ლექსიკონებიდან. ამასთანავე, ზემოხსენებული ამოცანების გადაწყვეტა, მათ შორის, სინტაქსური კონსტრუქციების კვლევა საჭიროებს იდიომური გამოთქმების სინონიმური ბუდეების კვლევას კონკრეტულ კონტექსტში. ამისათვის სინონიმური ბუდეების გამოვლენის შემდეგ ისინი მოვიძიეთ კონკრეტულ სინტაქსურ კონსტრუქციებში, რომლებიც გამოვლინდა ქართული მხატვრულ ნაწარმოებების კორპუსის შესწავლის საფუძველზე.

კვლევისას ძირითადად ვცადეთ შემდეგი საკითხების გადაწყვეტა: ა) ზმნური იდიომების სინონიმური რიგებისა და ბუდეების გამოვლენა; ბ) მოპოვებული სინონიმური რიგებისა და ბუდეების შედარება და მათი წარმოქმნის საერთო

კანონზომიერების გამოვლენა, და გ) ლექსიკური და გრამატიკული სინონიმის გამოვლენა იდიომურ გამოთქმებში.

პრაქტიკული მასალის საფუძველზე შევქმენით ზმნური იდიომური გამოთქმების სამუშაო კორპუსი, რომლის კომპონენტური ანალიზის დროს გამოვავლინეთ საერთო სემანტიკური ბირთვის მქონე იდიომები. იდიომის კომპონენტური ანალიზი დაეყრდნო მათ განაწილებას ამა თუ იმ კონტექსტში, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სუბიექტსა და ობიექტზე, მათი გრამატიკული თუ ლექსიკური ნიშან-თვისებების გათვალისწინებით.

იდიომური გამოთქმების სინონიმური რიგების (მაგ.: *გველის ხვრელში გაძვრება - გველის ფხაში გაძვრება - ნემსის ყუნწში გაძვრება* [ყველაფრის გაკეთებას შეძლებს]; *სახე გაუნათდება - გული გაუნათდება - გონება გაუნათლდება* [გამხიარულდება]) ანალიზის დროს გამოვლინდა ბირთვული ელემენტების არსებობა, რომელთა საფუძველზედაც მოხდა იდიომების შედარება ერთმანეთთან. გარდა ამისა, კატეგორიული ბირთვის არსებობა გვაძლევს საშუალებას, ვიმსჯელოთ ლექსიკურ-გრამატიკულ მიმართებებზე. ცნობილია, რომ ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობა დამოკიდებულია სათანადო ცნებების გამომხატველი სიტყვების ლოგიკურ კავშირებზე, მაგრამ, როცა საკითხი ეხება იდიომს, რომლის შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობათა ჯამი არ უდრის მის ძირითად მნიშვნელობითს ბირთვს, მსჯელობა ლოგიკურ კავშირებზე გართულებულია. შესაბამისად, იდიომური გამოთქმის სინონიმური რიგების თავისებურებას, ერთი მხრივ, შეადგენს მისი მეტაფორულ-ლექსიკური მნიშვნელობა, რომლის ჩამოყალიბებაში ჩართულია შემავალი სემანტიკური კომპონენტების ესა თუ ის ნიშნები, ხოლო, მეორე მხრივ, მისი გრამატიკულ-სტრუქტურული მნიშვნელობა, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ინტენციურ მნიშვნელობაზე და შეესაბამება გამოსახატავი ერთეულის საგნობრივ-ლოგიკურ მიმართებას.

სამუშაო კორპუსის საფუძველზე გამოვლენილი სინონიმური რიგების კვლევისას გამოვლინდა, რომ ლექსიკურ-გრამატიკული ბუდის ¹⁰⁸ არსებობა დამოკიდებულია სემანტიკის ზოგად და კონკრეტულ თვისებებზე. ზმნური იდიომები, რომელთა შემადგენლობაში შესული ზმნები ხასიათდება უფრო ზოგადი

¹⁰⁸ გამოვლინდა 37 სინონიმური ბუდე, რომელშიც გაერთიანდა 2-დან (მინიმუმ) 6-მდე (მაქსიმუმ) ზმნური იდიომური გამოთქმა.

სემანტიკით, ქმნის უფრო ვრცელ სინონიმურ ბუდეებს (შდრ. *თავს აიგდებს, სიტყვას ჩამოაგდებს, გზას გაუგდებს; ანდერძს უგებს, დროს იგებს* და ა.შ.), და, პირიქით, თუ ზმნები ხასიათდება სემანტიკის უფრო ვიწრო მნიშვნელობით, მაშინ იქმნება უფრო ვიწრო სინონიმური ბუდეები, ან არ იქმნება საერთოდ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლექსიკურ-გრამატიკული სინონიმის გამოვლენა გულისხმობს არა მხოლოდ იდიომური გამოთქმების სემანტიკური კორელაციებისა და მსგავსი სემანტიკური ველების, არამედ მათი მორფოსინტაქსური კავშირების გამოვლენაში. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები: *ღამეს (ძილს) გაიტებს, ღამეს (ძილს) გაუტებს, ღამეს (ძილს) გაატეხინებს*¹⁰⁹.

მაგალითებიდან ჩანს, რომ ზმნას [გაიტებს, გაუტებს, გაატეხინებს] უკავშირდება ორი არსებითი სახელი [ღამე ან ძილი], რომლებიც, მიუხედავად მათ შორის სემანტიკური სხვაობისა, ერთსა და იმავე ზმნასთან შეხამებით ქმნიან საერთო “უძილობის” აღმნიშვნელ სინონიმურ ბუდეს. მაგრამ, თუ ლექსიკურად აღნიშნული ერთეულები ნამდვილად სინონიმებს წარმოადგენს, რამდენად შესაძლებელია გრამატიკულ სინონიმიაზე მსჯელობა? განვიხილოთ თითოეული ზემოხსენებული მაგალითი ცალ-ცალკე, მათი მორფოსინტაქსური კავშირების გათვალისწინებით. მორფოლოგიური სხვაობა გამოიხატება: ა) არსებითი სახელის ბრუნვასა (სხვაობაა: ღამე-ს [მიც. ბრუნვა] და ღამე [სახ. ბრუნვა]) და რიცხვში; და ბ) ზმნის კაუზატივში (სხვაობაა: გა-ა-ტეხ-ინებს-ს [-ინებს- შუალობითი კონტაქტის რთული ნიშანი] და გა-ი-ტეხ-ს / გაუტებს ფორმებს შორის), ქცევაში (სხვაობაა: გა-ი-ტეხ-ს [-ი- სასუბიექტო ქცევის ნიშანი] და გა-უ-ტეხ-ს [-უ- საობიექტო ქცევის ნიშანი]), ხოლო სინტაქსურად აღნიშნული ერთეულები ჩართულია ზმნისა და ობიექტების სინტაქსურ ურთიერთობაში. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ზმნის ამა თუ იმ ფორმის (გრამატიკული კატეგორიის) გამოყენება დამოკიდებულია მის პირიანობაზე, სხვანაირად რომ ვთქვათ, სუბიექტსა და ობიექტზე. კვლევისას არ განვიხილავდით ზემოხსენებული ზმნური იდიომური გამოთქმების ზეგავლენის შედეგად წარმოქმნილ სახელად იდიომურ გამოთქმებს, როგორცაა, მაგალითად: **გატეხილი**

¹⁰⁹ **ღამეს (ძილს) გაატეხინებს** – უძილოს ამყოფებს: “ავადმყოფის მოვლამ **ღამეები გაატეხინა**” (ქეგლ) **ღამეს (ძილს) გაიტებს** – უძილოდ გაატარებს ღამეს: “ვიფიქრე: **ღამე გაუტეხია**–მეთქი” (ა.ყაზბ., ქეგლ) **ღამეს (ძილს) გაუტებს** – არ დააძინებს, ძილს არ დააცლის: “ამ ფიქრებიდან მეღანია გადავიდა იმ ფიქრებზე, რომლებზედაც ასჯერ **გაუტეხია ძილი**: „გევიპარვი აქედან, დევიპარკვი საცხაო” (ე. ნინოშ., “პარტახი”); **ღამე გაუტეხია** – მეთქი... შემბრაღდა და ვეღარ გავაღვიძე” (ა. ყაზბ., “მოდღვარი”)

ღამე (მილი) – უძილოდ გატარებული: “**ღამე გატეხილი** იყო და მილს მისცემოდნენ ყველანი.” (ვ. ბარნ., “მიმქრალი შარავანდედი”), თუმცა სინტაქსურ სინონიმიაზე მსჯელობა შესაძლებელია მსგავსი სტრუქტურის შემთხვევაში, მაგ.: *ახსენდება, რომ ავადმყოფის მოვლამ ღამეები გაატეხინა - ახსენდება ავადმყოფის მოვლაში გატეხილი ღამეები*. ამ შემთხვევებში, სინტაქსურად სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციებთან გვაქვს საქმე, თუმცა საერთო სემანტიკა იგივე რჩება.


ახლა გადავხედოთ “მოკვლის” სემანტიკური ველის მქონე იდიომურ გამოთქმებს. ლექსიკურად აღნიშნული იდიომური გამოთქმების სინონიმებად მიჩნევა სავსებით შესაძლებელია, მართლაც: *(ვისიმე) სისხლში ხელს გაისვრის, საიქიოს გაისტუმრებს, სულს ამოხდის, სულს გააგდებინებს, სულს გააფრთხოვინებს, მზეს დაუბნელებს, მზეს გაუქრობს* და სხვ., თითქმის მსგავსი მნიშვნელობის მქონე იდიომებია, თუმცა მათი კონოტაციური მნიშვნელობა რამდენადმე განსხვავებულია. ამ მხრივ, ყველაზე ახლოსაა შემდეგი იდიომების სემანტიკური, მორფოლოგიური ფორმა და სინტაქსური კონტექსტი: *სულს გააგდებინებს და სულს გააფრთხოვინებს*, რადგანაც ერთსა და იმავე კონტექსტში მათი გამოყენება სავსებით შესაძლებელია, მაშინ როცა სხვა იდიომური გამოთქმების გამოყენება გამოიწვევს სინტაქსური კონსტრუქციის ცვლას. მაგრამ, კვლავ უნდა გავხაზოთ, რომ სინტაქსური სინონიმია არ გულისხმობს სხვადასხვა ერთეულების გამოყენებას, ანუ, უნდა გამოიყენებოდეს ერთი და იგივე ერთეული; შესაბამისად, ზემოხსენებული მაგალითები შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც ლექსიკური, მაგრამ არა-გრამატიკული პარადიგმები.

განვიხილოთ, აგრეთვე, “მოუთმენლობის” სემანტიკური ველის შემდეგი კონსტრუქციები: *მოთმინების ფიალას აავსებს, მოთმინების ფიალას აივსებს*. განვიხილოთ ზემოხსენებული იდიომები კონტექსტში: 1) ბოდმა-ვარამმა, ჭირმა და ვაებამ აავსო სოფლის გული, იწყო დუდილი სოფლის გულმა და **ფიალა მოთმინებისა აავსო**. (ს. მგალ., “ჯორ-ზაქარა”); 2) გავიდა ერთი დღე, ორი, სამი და **მოთმინების ფიალა რომ აივსო**, უჩამ იფეთქა. (ა. გეგენ., “ორეული”). ორსავე შემთხვევაში, სემანტიკურად თითქმის თანასწორ ერთეულებთან გვაქვს საქმე: თითოეული მათგანი აღნიშნავს *მოთმინების დაკარგვას*. მაგრამ კონსტრუქციული განხილვისას ვხვდებით, რომ, მიუხედავად საერთო სემანტიკური ველისა და არსებული კავშირებისა, აღნიშნული ერთეულები სემანტიკურადაც განსხვავდებიან, და აღნიშნული სხვაობა უკავშირდება კონკრეტულ გრამატიკულ კატეგორიებს, კერძოდ:

ა) გვარი (სხვაობა: ა-ა-ვს-ო (მოქმედებითი გვარი) და ა-ი-ვს-ო (ვნებითი გვარი). გარდა ამისა, სინტაქსურად პირველ წინადადებაში *აავსო* წარმოადგენს შემასმენელს, ხოლო *ფიალა მოთმინებისა*, მეორე წინადადებებისაგან განსხვავებით (სადაც, *მოთმინების ფიალა* - ქვემდებარეა), პირდაპირი დამატებას.

კვლევისას ყურადღება მიექცა ერთ მნიშვნელოვან კანონზომიერებას: შესწავლილ იდიომებს ლექსიკური სინონიმის თვალსაზრისით აქვთ მსგავსი, ოღონდ ოდნავ განსხვავებული კონოტაცია. მსგავსი ფაქტები შეინიშნება იდიომების გრამატიკული სინონიმის კვლევის დროსაც. მაგ.: *ბუზსაც ვერ აუფრენს*¹¹⁰ – ვერაფერს გაუბედავს (ვინმეს); *ბუზსაც ვერ ააფრენს*¹¹¹ – ცუდს არაფერს ჩაიდენს; მაგრამ არ არსებობს ფორმა **ბუზსაც ვერ აიფრენს*. შესაბამისად, ვიღებთ შემდეგ სინონიმურ სქემებს:

გრაფიკი 10: გრამატიკული სინონიმის შესაძლო ვარიანტები



ზემოხსენებული კონსტრუქციების განხილვისას ნათლად ვხედავთ, რომ *ბუზსაც ვერ აიფრენს* შესიტყვების შემთხვევაში მთელი ფრაზა კარგავს იდიომურობას. მისი არარსებობა კი გვაფიქრებინებს, რომ შეგვიძლია განვსაზღვროთ

¹¹⁰ “- ყაზარასთანები იმას ბუზსაც ვერ აუფრენენ; ვისთანაც გასვლია თავისი მიქარვები, ნენესთან ვერ გაუვა” (ს. მგალობ., “დემეტრეს სახლობა”)

¹¹¹ “თვით მამასახლისიც, როგორც ნასწავლ კაცს, მღვდლის შვილს და აზნაურს, პატივსა სცემდა და რჩევასაც ჰკითხავდა ხოლმე. უიმისოდ ბუზსაც ვერ ააფრენდა” (შ. არაგვ., “და-მმა”)

¹¹² შემოკლებანი: კომპ. - კომპონენტი, მირ. - მირითადი, დამოკ. - დამოკიდებული, არს. - არსებითი სახელი, მიც. - მიცემითი ბრუნვა.

ქცევის კატეგორია, როგორც იდიომურობის განმასხვავებელი ნიშანი (მაგ.: *სახელს გაიგდებს* [ცნობილი გახდება], *ყურს დაუგდებს* [მოუსმენს]), მაგრამ ვერ განვსაზღვრავთ მას, როგორც ლექსიკურ-გრამატიკული სინონიმის განმასხვავებელ ნიშანს.

აღნიშნული მაგალითების შედარებისას ვცადეთ იდიომური გამოთქმის კომპონენტთა პირობითი დაყოფა ძირითად და დამოკიდებულ კომპონენტებად. გამოირკვა, რომ კონოტაციური სხვაობა აღნიშნული იდიომის მნიშვნელობაში, არ არის დამოკიდებული ცენტრალურ კომპონენტზე (ბუზ-ს-აც). კონოტაციური სხვაობა დამოკიდებულია მეოთხე – ზმნურ კომპონენტზე, რომლის შედარების დროს ძირითად სხვაობას ქცევა წარმოადგენს (ა-ა-ფრენ-ს [-ა- ნეიტრალური ქცევის ნიშანი], და ა-უ-ფრენ-ს [-უ- საობიექტო ქცევის ნიშანი]). შესაბამისად, ლექსიკურადაც და გრამატიკულადაც გვაქვს თითქმის მსგავსი სინონიმური რიგები, რომელთა შორის არსებული ლექსიკური სხვაობა დამოკიდებულია გრამატიკულ სხვაობაზე, კერძოდ, ზმნის ქცევაზე: ნეიტრალური, სასუბიექტო და საობიექტო. ამასთანავე, ქცევა ვერ განისაზღვრება, როგორც ერთადერთი კონოტაციური სხვაობის განმაპირობებელი ნიშანი. ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორიების სიმრავლის კვალობაზე, ზმნური იდიომების სტრუქტურა ავლენს ლექსიკურ-გრამატიკული პარადიგმების ლაბილურობას და, შესაბამისად, ლექსიკურ-გრამატიკული სინონიმის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ზმნაზე დამოკიდებულ კატეგორიათა სიმრავლე.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იდიომურ გამოთქმებს ახასიათებთ საერთო გრამატიკული მნიშვნელობა, რომელიც უკავშირდება მასში შემავალი კომპონენტების (მეტყველების ნაწილების) მნიშვნელობას. მოსაზრება, თითქოს იდიომური გამოთქმების კომპონენტებს არ ახასიათებთ ცალკეული გრამატიკული მნიშვნელობა, ყველა შემთხვევაზე ვერ გავრცელდება, თუ გავითვალისწინებთ ზემოხსენებულ მიმართებებს სინონიმური კონსტრუქციების განხილვის დროს. მათი შეცვლა დასაშვებია წინადადების ლექსიკურ-გრამატიკული სინტაქსური ურთიერთობის ფარგლებში.

3.6. იდიომური გამოთქმის გაქვავების ხარისხთა იერარქია

იდიომური გამოთქმების დამუშავება წარმომშობი გრამატიკის კუთხით (კატცი და პოსტალი [1963], ვაინრაიხი [1969] და ფრეიზერი [1970]) ავლენს იდიომური ტრანსფორმაციების განსაზღვრული დონის იერარქიას, თუმცა მრავალი მეცნიერი კვლევის საწყის ეტაპზე ნებისმიერი სახის იდიომურ გამოთქმას განიხილავდა, როგორც განსაზღვრული დონის ტრანსფორმაციულ ანომალიას ან ისეთ ერთეულს, რომელიც ეწინააღმდეგება წარმომშობი გრამატიკის პრინციპებს.

მაგრამ სხვა ავტორების შრომებში იდიომური გამოთქმების განხილვისას ვხვდებით განსხვავებულ მოსაზრებებს იდიომური გამოთქმების სინტაქსური ტრანსფორმაციების შესახებ, კერძოდ, ჯ. კატცი და პ. პოსტალი განასხვავებენ ე.წ. ლექსიკურ და ფრაზულ იდიომებს; ლექსიკური იდიომების სინტაქსური სტრუქტურა დამოკიდებულია უმცირეს სინტაქსურ კატეგორიებზე, როგორიცაა არსებითი სახელი, ზედსართავი, ზმნა და ა.შ., ხოლო ფრაზული იდიომებისა – ისეთია, რომ არც ერთ სინტაქსურ კატეგორიას მათი მართვა არ შეუძლია (Katz 1963, 275-282).

წარმომშობი გრამატიკის ფარგლებში შექმნილი ვაინრაიხისეული თეორიის (Weinrich 1972) თანახმად, ის ტრანსფორმაციები, რომლებსაც ექვემდებარება ესა თუ ის იდიომი, განეკუთვნება ზედაპირული სტრუქტურის დონეს. აღნიშნულ მოსაზრებას ნაწილობრივ ვხვდებით მელჩუკთან (Mel'cuk 1996, 168), რომელიც ეთანხმება დ. ჰეისის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ ნებისმიერ იდიომს აქვს შიდა სინტაქსური სტრუქტურა, რომელიც ექვემდებარება სინტაქსურ წესებს ისევე, როგორც ნებისმიერი თავისუფალი შესიტყვება. შესაბამისად, თუ იდიომის შემადგენლობაში ზმნური კომპონენტი არ გვხვდება, იგი განიხილება როგორც 'მყარი შესიტყვება' ი. მელჩუკის კლასიფიკაციის მიხედვით.

ზემოხსენებული თეორიები ერთმანეთისგან განსხვავდება უშუალოდ იდიომური გამოთქმების ტრანსფორმაციული მოდელების სინტაქსური დონეების მხრივ. ნ. ჩომსკი (Chomsky 1980) არც ერთ ამ მიდგომას არ უარყოფს, უბრალოდ, კლასიკური წარმომშობი გრამატიკის ფარგლებში, იდიომი განიხილება როგორც სპეციალური ლექსიკური ფენომენი. ტრანსფორმაციული კუთხით ნებისმიერი შესიტყვება შეიძლება იყოს სიღრმისეული (Deep structure) ან ზედაპირული (Surface

structure) დონისა. და, მაშასადამე, ერთი მხრივ, არსებობს იდიომები, რომლებიც განიცდიან ტრანსფორმაციას (პასივიზაციას, ნომინალიზაციას და ა.შ.) და, შესაბამისად, განეკუთვნება როგორც სიღრმისეულ, ისე ზედაპირულ დონეს და, მეორე მხრივ – იდიომები, რომლებიც ზედაპირულ დონეზე ტრანსფორმაციას არ განიცდის და, ამდენად, მხოლოდ სიღრმისეული დონისაა.

ბ. ფრეიზერის კლასიფიკაცია (Fraser 1970) ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ იდიომი და მისი კომპონენტური მნიშვნელობა უნდა განიხილებოდეს ერთიანი სიღრმისეული სტრუქტურის ფარგლებში და ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს არა იმდენად იდიომის სემანტიკურ მნიშვნელობაზე, არამედ იმაზე, თუ რომელი ტიპის ტრანსფორმაციას არ განიცდის ესა თუ ის იდიომი. შესაბამისად, ფრეიზერს ჰქონდა შედგენილი ტრანსფორმაციული ‘გაყინულობის’ (გაქვავებულობის) ხარისხთა შვიდდონიანი იერარქიული სქემა:

L6 – შეუზღუდაობა (Unrestricted) [იდიომი ექვემდებარება ნებისმიერ ტრანსფორმაციას]

L5 – რეკონსტიტუცია (Reconstitution) [იდიომი ექვემდებარება მხოლოდ სინტაქსურ ტრანსფორმაციას, მაგ.: ნომინალიზაცია]

L4 – ამოღება (Extraction) [შესაძლებელია იდიომის ერთი რომელიმე კომპონენტის გადაადგილება, მაგ.: ნაწილაკების გადაადგილება ინგლისურში]

L3 – გადანაცვლება (Permutation) [იდიომის ორი თანმიმდევრული კომპონენტი იცვლის ადგილმდებარეობას, მაგ.: კითხვითი ტრანსფორმაციები ინგლისურში]

L2 – ჩასმა (Insertion) [შესაძლებელია ისეთი ერთეულის ჩასმა, რომელიც არ ეკუთვნის იდიომს, მაგ.: ირიბი ობიექტის გადანაცვლება]

L1 – განვრცობა (Adjunction) [შესაძლებელია ისეთი ერთეულის დამატება, რომელიც არ ეკუთვნის იდიომს, მაგ.: გერუნდივის ნომინალიზაცია ინგლისურში]

L0 – მთლიანი გაყინულობა (Completely Frozen) [შეუძლებელია რაიმე ტრანსფორმაცია]¹¹³

¹¹³ აღნიშნული კლასიფიკაციის ფარგლებში ბ. ფრეიზერთან (Fraser 1970) ვხვდებით შემდეგ მაგალითებს: L6 – შეუზღუდაობა (Unrestricted); L5 – რეკონსტიტუცია (Reconstitution) [crack the whip over, kill the goose that lays the golden egg, keep one's word]; L4 – ამოღება (Extraction) [break the ice, call attention to, hit the nail on the head]; L3 – გადანაცვლება (Permutation) [put down one's foot, let one's hair down, put on some weight]; L2 – ჩასმა (Insertion) [give ground to, do a good turn to, lend a hand to]; L1 –


აღნიშნული კლასიფიკაცია განასახიერებს იდიომური გამოთქმების შვიდდონიან სტრუქტურას ‘გაყინულობის’ (‘გაქვავებულობის’) დამავალი გრადაციით L6-დან L0-მდე და გულისხმობს, რომ ყველაზე გაყინული ერთეული L0-დონისაა, ხოლო ყველაზე ნაკლებად ‘გაყინული’ L6-დონისა. ამასთანავე, ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ყოველი მომდევნო დონე მოიცავს წინა დონის ტრანსფორმაციულ შესაძლებლობას. მაგრამ ამ კლასიფიკაციის არსი იმაში მდგომარეობს რომ, ბ. ფრეიზერის აზრით, იდიომური გამოთქმის არც ერთი ცალკე აღებული კომპონენტი მონაწილეობას არ იღებს მისი მთლიანი მნიშვნელობის შექმნაში (Fraser 1970, 30), რაც, თავის მხრივ, ართულებს იდიომური გამოთქმის სტრუქტურული მოდელების გამოვლენას.

ქართულენოვანი მასალის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე ნაკლებად გვხვდება ზუსტად L0 დონის, ანუ ე.წ. მთლიანად ‘გაქვავებული’ ერთეულები (მაგ.: *სულს აქეთ აბადია, ეშმაკსაც წაულია* და ა.შ.), ხოლო იდიომურობის შექმნას სტრუქტურული თვალსაზრისით განსაზღვრული წინაპირობა მოეპოვება.

ქართულ ენაში იდიომებისა და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური კომპონენტების გამოვლენისას, ძირითადად, ვეყრდნობოდით ბ. ფრეიზერის ‘გაყინულობის’ თეორიასა და ნ. ჩომსკის წარმომშობი გრამატიკის პრინციპებს. ქართულ იდიომებში შემავალი როგორც ზმნური (VP), ასევე სახელური (NP) კომპონენტები არაიდიომური შესიტყვებებისგან დიდ სხვაობას არ ავლენენ ტრანსფორმაციული და მორფოსინტაქსური თვალსაზრისით, თუმცა მათი მორფოსინტაქსური ნიშან-თვისებები ყოველთვის როდი განიცდის ტრანსფორმაციებს. სწორედ ამიტომაც ხდება მათი ‘გაყინულ’ ერთეულებად ჩამოყალიბება, ერთგვარი ‘კრისტალიზაცია’.

წარმომშობი გრამატიკა გულისხმობს რამდენიმე დონის არსებობას. ესენია: სიღრმისეული სტრუქტურა (Deep Structure), ზედაპირული სტრუქტურა (Surface Structure), ფონოლოგიური ფორმა (Phonological Form) და ლოგიკური ფორმა (Logical Form).

განვრცობა (Adjunction) [kick the bucket, burn the candle at both ends, shoot the bull]; L0 – მთლიანი გაყინულობა (Completely Frozen) [bleed one white, blow one’s cool, build castles in the air] და ა.შ.



სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურები წინადადების სინტაქსურ მხარეს ასახავს, ხოლო ფონოლოგიური ფორმა კი განასახიერებს წინადადების გარეგნულ მხარეს, ანუ იმას, თუ როგორ ხდება მისი წარმოთქმა ლოგიკურ ფორმაზე დაყრდნობით, ლოგიკური ფორმა კი ასახავს კავშირს წინადადების ზედაპირულ სტრუქტურასა და მის სემანტიკურ მნიშვნელობას შორის. ამასთან, ყოველი წინადადება წარმოგვიდგება ფუნქციონალური თავების პროექციის სახით ¹¹⁴, რომელთა ზმნურ კომპონენტს აქვს ფლექსიური თავისებები და, შესაბამისად, ენები ერთმანეთისგან განსხვავდება სწორედ ზმნური კომპონენტის ტრანსფორმაციის პარამეტრების საფუძველზე. ზმნური ტრანსფორმაციის თავისებურებათა განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწორედ ზმნის ფლექსიურ ბუნებას. ინგლისურში, როგორც წესი, ზმნა ძლიერი ფლექსიური თავისებურებით არ ხასიათდება, მაშინ როცა ქართული გამოირჩევა მტკიცედ, ჩამოყალიბებული მორფოლოგიით და, შესაბამისად, მინიმალისტური პროგრამის ფარგლებში, მორფოლოგიური ფლექსიით დატვირთულმა ერთეულმა უნდა გადაინაცვლოს თავში, რომელიც, თავის მხრივ, მართავს აღნიშნულ ფლექსიას. ინგლისური ენის მორფოლოგია ხასიათდება სუსტი ფლექსიურობით, ახალი ბერძნული და რუსული კი გამოირჩევა ძლიერი მორფოლოგიით.

როგორც აღინიშნა, ქართული ძლიერი ჩამოყალიბებული მორფოლოგიით ხასიათდება, შესაბამისად, ფლექსიურ შეწყობას (AGR), რომელიც გამოიხატება სახელისა და ზმნის შეწყობით პირსა და რიცხვში, უნდა ენიჭებოდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგანაც ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმის გათვალისწინებით, აღნიშნული ურთიერთობა აისახება არა მხოლოდ სუბიექტის,

¹¹⁴ წარმომშობ გრამატიკაში განიხილება პროექციის სამი დონე: X – მინიმალური პროექცია (ე.ი. თავი), X' – საშუალო პროექცია, XP (X'') – მაქსიმალური პროექცია (ე.ი. შესიტყვება).

არამედ ობიექტის დონეზედაც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული ენა შესიტყვების დონეზე გამოირჩევა კომპონენტთა თავისუფალი წყობით.

ბუნებრივია ისიც, რომ კლასიფიკაციის საფუძველს ქართული ენისათვის დამახასიათებელი მორფოსინტაქსური თავისებურება უნდა წარმოადგენდეს. ქართული იდიომის სტრუქტურა, როგორც წესი, გრამატიკულად დაშლადია და პარალელურად გვხვდება ისეთი იდიომური გამოთქმები, რომლებიც ითხოვენ კონკრეტული კომპონენტის არსებობას (მაგ.: 202, 203). აღნიშნული კომპონენტის შენაცვლების შემთხვევაში იდიომის მნიშვნელობაც ირღვევა.

(201) ტყემალზე ზის, ჭურში ზის – სემანტიკურად იდენტური ერთეულებია და ნიშნავს, რომ ვინმემ არ იცის, გარშემო რა ხდება, ყველაფერს ჩამორჩენილია, მაგრამ შეუძლებელია ისეთი კონსტრუქციის არსებობა, როგორიცაა **ტყემალზე ჩაჯდა ან *ჭურში დაჯდა*, მაშინ როცა *ჭურში ჩაჯდა ან ტყემალზე დაჯდა* წარმოგვიდგება დასაშვები ერთეულის სახით

(202) ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხს – ნიშნავს მეტად ცუდ და გაუვალ გზას, თუ ამ ერთეულის შემადგენლობაში სუბიექტის ადგილას, *ეშმაკის* მაგივრად, სხვა რომელიმე ერთეულს გამოვიყენებთ, იდიომი დაკარგავს იდიომურობას (შდრ. *კაციც კი ფეხს მოიტეხს*).


ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა ტიპის შემზღუდველებზე შეიძლება ვიმსჯელოთ ქართულენოვანი იდიომური გამოთქმების საფუძველზე? ქართული ენისათვის დამახასიათებელი სტრუქტურის გათვალისწინებით, შეიძლება დავასახელოთ შემდეგი შემზღუდველები, რომლებიც განაპირობებს იდიომური გამოთქმების, კერძოდ, ზმნური იდიომების ტრანსფორმაციულ შესაძლებლობებს: ა) ვერსიული (ე.ი. ქცევის) შემზღუდველები (Ver); ბ) ასპექტობრივი შემზღუდველები (Asp)¹¹⁵; გ) სუბიექტ-ობიექტის შეწყობის შემზღუდველები (AgrS, AgrDO, AgrIO)¹¹⁶.

¹¹⁵ ევროპული ენების შემთხვევაში ამ საფეხურს მოჰყვებოდა დროის შემზღუდველი (T), მაგრამ ქართულ იდიომურ გამოთქმას არ ახასიათებს გაქვავების უმაღლესი ფორმის არსებობა დროის შემზღუდველის გამოყენებით, შდრ. *ბავშვი შიშმა (კანკალმა, სიცივემ) აიტანა (*ბავშვი შიშს ააქვს), თავი მოაქვს (*თავი მოიტანა)* და ა.შ. აღნიშნული ერთეულები გაქვავებულობის იერარქიის ყველაზე მაღალ საფეხურს წარმოადგენს და შეგვეძლო გვევარაუდა, რომ აღნიშნულ მაგალითებში არსებობს დროითი შემზღუდველიც, რომელიც განაპირობებს იდიომის გაქვავებულობის ხარისხს, მაგრამ მსგავსი ტიპის მაგალითებში გაქვავებულობის ხარისხი დამოკიდებულია უფრო ასპექტის, ვიდრე დროის შემზღუდველზე.

¹¹⁶ ქართულ ზმნას ახასიათებს როგორც ერთპირიანი, ასევე ორპირიანი და სამპირიანი კონსტრუქციები, ამიტომაც მისი დამუშავებისას სასურველია ზმნასთან სახელის შეწყობის ჩვენება არა მხოლოდ სუბიექტთან (AgrS), არამედ პირდაპირ (AgrDO) და ირიბ (AgrIO) ობიექტებთანაც. სახელთა


ქართული ენის შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა სწორედ სუბიექტ-ობიექტური შემზღუდველების არსებობა ზმნურ იდიომურ გამოთქმებში, რადგანაც ქართულში მსგავსი ტიპის შეწყობა უკავშირდება: ა) ზმნის პოლიპერსონალიზმს, ბ) ზმნის გარდამავლობას; გ) სუბიექტ-ობიექტის ბრუნვების განაწილებას, კერძოდ, ნომინატივში მდგომ სუბიექტთან პირდაპირი და ირიბი ობიექტი მიცემითშია; ერგატივში მდგომ სუბიექტთან პირდაპირი ობიექტი ნომინატივშია, ხოლო ირიბი ობიექტი – დატივში (მსგავსი ტიპის კონსტრუქცია მხოლოდ აორისტში გვხვდება) და, საბოლოოდ, დატივში მდგომ სუბიექტთან პირდაპირი ობიექტი ნომინატივშია, ხოლო ირიბ ობიექტს, როგორც წესი, თანდებულიანი დატივი ახასიათებს (ევროპულ ენებში ობიექტი ბრალდებით ბრუნვას მოითხოვს). ამიტომაც, პროექტირების დონეების განსაზღვრისას ორპირიანი გარდამავალი ზმნური კონსტრუქციის შემთხვევაში პირდაპირი ობიექტის განხილვა შესაძლებელი იქნება ზმნის გვერდით, ანუ შემდეგნაირად:

გრაფიკი 11: ზმნურ კომპონენტთან სუბიექტ-ობიექტის შეწყობა



ხოლო სამპირიან გარდამავალ ზმნასთან კონსტრუქცია ასე გამოისახება:

შეწყობისათვის ტერმინი 'შეწყობა' (Agreement) გამოიყენება ჯ. პოლოკისა (Pollock 1989) და ნ. ჩომსკის (Chomsky 1991) მიერ მინიმალისტური პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული ზმნის ფლექსიური კატეგორიების ჭრილში (აღნიშნული თეორიის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე ზმნის სივრცეს მხოლოდ ორი ფუნქციონალური თავი წარმოადგენდა: C (კავშირი, წინადადების ტიპი, დაქვემდებარება) და Infl (ზმნური ფლექსია, ფინიტურობა, ნომინატიური ბრუნვის მიკუთვნება), შემდგომში მოხდა Infl კატეგორიის დაყოფა შემდეგ ერთეულებად: AgrS (სუბიექტთან შეწყობა, ნომინატიური ბრუნვის მიკუთვნება), T (დრო, ფინიტურობა) და AgrO (ობიექტთან შეწყობა, აკუზატიური ბრუნვის მიკუთვნება); დღეისათვის კი მეცნიერთა უმრავლესობა Infl კატეგორიის ფარგლებში აღიარებს შემდეგი ფუნქციონალური პროექციების არსებობას: AgrS, AgrO, AgrIO, T და ა.შ.




ევროპულ ენებში შემზღუდველები სხვაგვარი იქნება, კერძოდ: ა) ინგლისურშიც, ახალბერძნულშიც და რუსულშიც, მსგავს შემთხვევებში, განიხილავენ მხოლოდ სუბიექტის შეწყობას ნომინატიურ-აკუზატიური კონსტრუქციის ფარგლებში; ბ) დროისა შემზღუდველების ასახვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხშირად იფარგლება ამა თუ იმ იდიომური კონსტრუქციის 'მდგრადობა' კონკრეტული დროით; გ) ასპექტობრივ შემზღუდველთა არსებობაც სამსავე ენაში ივარაუდება; და, თუმცა ასპექტის კატეგორია საკმაოდ მნიშვნელოვანია ყველა ამ ენაში, იგი მაინც ჩამოუვარდება რუსულს კონსტრუქციის ჩამოყალიბებაზე ასპექტური ფორმების ზეგავლენაში.

ზემოხსენებული კლასიფიკაციის საფუძველზე ქართული იდიომური გამოთქმები სტრუქტურული ტრანსფორმაციების თვალსაზრისით შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

ჯგუფი 1 მოიცავს ისეთ იდიომურ გამოთქმებს, რომლებიც ტრანსფორმაციული თვალსაზრისით მდგრადობის ნაკლები ხარისხით ხასიათდება, მათ კატეგორიული შემზღუდველები არ ახასიათებთ; ამ ჯგუფის იდიომები თავისუფლად ექვემდებარება ქცევის, ასპექტობრივი, დროისა და სუბიექტ-ობიექტის შეწყობის ტრანსფორმაციებს:

გრაფიკი 12: პროექტირების პირველი დონე



ზმნა *ტებს* მიემართება სუბიექტ-ობიექტის შეწყობისკენ ასპექტისა და ქცევის კატეგორიების გავლით. იდიომური მდგრადობის ხარისხი ძალზე პირობითია, რადგანაც იგულისხმება აღნიშნული ერთეულის დროის, ასპექტობრივი და ვერსიული ტრანსფორმაციები (შდრ. *ღამეს ტებს* – *ღამეს იტებს*, *ღამეს უტებს*, *ღამეს გატებს*, *ღამეს გაუტებს*, *ღამეს გაიტებს*, *ღამე გატება* და ა.შ.). იდიომური გამოთქმის სახელური კომპონენტი *ღამეს* წარმოგვიდგება კონსტრუქციის პირდაპირი ობიექტის სახით, რომლის ბრუნვაც განპირობებულია და დამოკიდებულია ზმნაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევებში ობიექტის მრავლობითი რიცხვის ასახვა ზმნაში არ ხდება (შდრ. *ღამეს ტებს* – *ღამეებს ტებს*, *კბილს ლესავს* – *კბილებს ლესავს* და ა.შ.)


ამ ჯგუფში შემავალი იდიომური გამოთქმები ლექსიკურ-სემანტიკური მრავალფეროვნებით ხასიათდება: *ღამე(ებ)ს ტებს*, *ნიღაბს ხდის*, *ჭკუას კარგავს*, *კბილ(ებ)ს ლესავს*, *სიმწრის ოფლს ასხამს*, *გულს სტკენს* და ა.შ.

ჯგუფი 2 გულისხმობს, რომ იდიომური გამოთქმები იზღუდება ქცევის კატეგორიის ზეგავლენით და, შესაბამისად, ამ ჯგუფის იდიომური მდგრადობის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე პირველში. ნეიტრალური ქცევის ფორმა გულისხმობს, რომ პირდაპირი ობიექტი არავის ეკუთვნის და მოქმედებაც არავის სასარგებლოდ არ ხორციელდება (მაგ.: 205); სასუბიექტო ქცევის ფორმა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის სუბიექტს და მოქმედებაც ხორციელდება სუბიექტის სასარგებლოდ (მაგ.: 206); საობიექტო ქცევის ფორმა კი გულისხმობს, რომ მოქმედება მიმართულია ირიბი ობიექტის სასარგებლოდ და სათანადო კონსტრუქციას განაპირობებს მასში ირიბი ობიექტის მონაწილეობა (მაგ.: 207);

გარდაუვალი კონსტრუქციის შემთხვევაში, რომელსაც მოეპოვება მხოლოდ სუბიექტი და ირიბი ობიექტი, იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს საობიექტო ქცევის ფორმით. ჩვენი თვალთახედვით, 'მდგრადობის' ასახვის კუთხით აღნიშნული დონე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, რადგანაც ქცევის კატეგორიის მეშვეობით, როგორც ეს სამართლიანადაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, სახელური შესიტყვება უკავშირდება ირიბ ობიექტს (Harris 1981)

გრაფიკი 13: პროექტირების მეორე დონე (ა)


(204)



გულისყურს ადევნებს


იდიომის ზმნური კომპონენტი *ადევნებს* იზღუდება ქცევის კატეგორიის მქონე ვარიანტით, რომელიც გულისხმობს იდიომური კონსტრუქციის მდგრადობის ხარისხის შეცვლას მხოლოდ ნეიტრალური ქცევის კატეგორიის ფარგლებში. აღნიშნულ იდიომს არც სასუბიექტო და არც ნეიტრალური ქცევის ფორმები არ მოეპოვება **გულისყურს იდევენებს* ან **გულისყურს უდევენებს*; შესაძლებელია მისი ტრანსფორმაციული ცვლილება ასპექტისა და დროის კატეგორიების ფარგლებში იდიომურობის დაუკარგავად (შდრ. *გულისყურს აადევნებს*, *გულისყურს აადევნებდა* და ა.შ.). აღნიშნული ორპირიანი კონსტრუქცია არ გულისხმობს ირიბი ობიექტის არსებობას და ეს უკანასკნელი არ იგულისხმება არც იდიომურობის შემქმნელი ნეიტრალური ქცევის კატეგორიის შემთხვევაშიც.

გრაფიკი 14: პროექციების მეორე დონე (ბ)



იდიომის ზმნური კომპონენტი *იგდებს* იზღუდება სასუბიექტო ქცევის კატეგორიის მქონე ვარიანტით, რომელიც გულისხმობს იდიომური კონსტრუქციის მდგრადობის ხარისხის შეცვლას მხოლოდ სასუბიექტო ქცევის კატეგორიის ფარგლებში. აღნიშნულ იდიომს არც ნეიტრალური და არც საობიექტო ქცევის ფორმები არ ახასიათებს **თავს აგდებს* ან **თავს უგდებს*; შესაძლებელია მისი ტრანსფორმაციული ცვლა ასპექტისა და დროის კატეგორიების ფარგლებში იდიომურობის დაუკარგავად (შდრ. *თავს აიგდებს*, *თავი აიგდო* და ა.შ.). სასუბიექტო ქცევის ზმნები მხოლოდ ორპირიანია და გარდამავალი.

გრაფიკი 15: პროექტირების მეორე დონე (გ)




იდიომის ზმნური კომპონენტი *უგდებს* ექვემდებარება ტრანსფორმაციებს სხვადასხვა ზმნური კატეგორიების მიხედვით, მაგრამ იზღუდება საობიექტო ქცევის კატეგორიის ვარიანტით, იდიომური გამოთქმა გაქვავებულია საობიექტო ქცევის ფორმით; პარალელურად მას არც სასუბიექტო და არც ნეიტრალური ქცევის ფორმები არ მოეპოვება **ყურს აგდებს* ან **ყურს იგდებს* და შეიწყობას ირიბ ობიექტს სამპირიანი ზმნის კონსტრუქციაში, ხოლო სახელური კომპონენტი *ყური* წარმოგვიდგება კონსტრუქციის პირდაპირი ობიექტის სახით, რომლის ბრუნვა შეპირობებულია ზმნის ფორმით. ამასთანავე, საობიექტო ქცევის ფორმა გულისხმობს ირიბი ობიექტის სასარგებლოდ მიმდინარე ან მასზე ორიენტირებულ მოქმედებას და, შესაბამისად, განაპირობებს ზმნის მიერ ირიბი ობიექტის მართვას ქცევის კატეგორიის გავლით.

ქცევის კატეგორიით შეზღუდულ დიდ ჯგუფში ერთიანდება შემდეგი სახის იდიომური გამოთქმები: *სიტყვას ათამაშებს, თვალებს აბრიალებს, განგაშს ატებს, პირს იტკბარუნებს, მასხარად იგდებს, აბუჩად იგდებს, თმას იგლეჯს, ეჭვს იღებს, გულს უფუჭებს, ყურს უგდებს* და ა.შ.

ჯგუფი 3 გულისხმობს, რომ იდიომური გამოთქმები იზღუდება როგორც ქცევის კატეგორიით, ისე ასპექტის კატეგორიითაც, რაც, შესაბამისად, ზრდის იდიომური მდგრადობის კოეფიციენტსაც:

გრაფიკი 16: პროექციების მესამე დონე

(207)



იდიომის ზმნური კომპონენტი *ამოუღებს* ექვემდებარება სხვადასხვა ტრანსფორმაციებს გარკვეული კატეგორიის შემზღუდველებზე დაყრდნობით, როგორიცაა ზემოთ განხილული ქცევისა და ასპექტის ფორმები; ბუნებრივია, რომ მსგავსი იდიომების ზმნის უსრულასპექტიანი ფორმა – თუნდაც ქცევის ნიშნის დართვით – ცალკე ვერ შექმნის იდიომურობას (შდრ. **იღებს სულს*, **აღებს სულს* და ა.შ.). აღნიშნული იდიომის ზმნური კომპონენტი ითხოვს კონკრეტულ, კერძოდ, სასხვისო ქცევის მქონე ფორმას (შდრ. *სულს უღებს*), რომელსაც ერთვის ასპექტის კატეგორია. გარდა ამისა, ქართულში ასპექტის კატეგორიის ერთ-ერთი ფუნქცია მომავალი დროის გამოხატვაა, მაგრამ ეს წესი საყოველთაო არ არის; სრული ასპექტის


ფორმა შეიძლება ანტაგონისტურად დაპირისპირებულ დროებს (მომავალი-წარსული) ჰქონდეს (შდრ. *კამარას გააკეთებს (შეკრავს) – კამარა გააკეთა (შეკრა) და ა.შ.*)¹¹⁷. ზემოთ მოყვანილი სახელური კომპონენტი სული წარმოადგენს კონსტრუქციის პირდაპირ ობიექტს, რომლის ბრუნვაც შეპირობებულია ზმნის ფორმით. ამასთანავე, აღნიშნული კონსტრუქცია გულისხმობს ირიბი ობიექტის არსებობას და, შესაბამისად, ზმნის მიერ ირიბი ობიექტის მართვა ხდება საობიექტო ქცევის ფორმის გავლით.

ამ ჯგუფში ერთიანდება შემდეგი სახის იდიომური გამოთქმები: *ძილს გაუკრთობს, ენას მიუტანს, კარებს მიუკეტავს, ცეცხლს მოუკიდებს, ხმას დაუწევს, ძალას ჩაუდგამს* და ა.შ.

ჯგუფი 4 გულისხმობს, რომ ზემოხსენებულ შემზღუდველებს ემატება დროისა და სუბიექტ-ობიექტის მართვა-შეთანხმების შემზღუდველი, რომელიც ქცევისა და ასპექტობრივ შემზღუდველებთან ერთად ზრდის იდიომურობის მდგრადობის ხარისხს. აღნიშნული ჯგუფის ფარგლებში იდიომი ექვემდებარება ტრანსფორმაციებს ქცევის, ასპექტისა და დროის კატეგორიების თვალსაზრისით; ამასთანავე, კონსტრუქციის შემადგენლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენპირიანია ესა თუ ის ზმნა და რა სახის ქცევის ფორმები ახასიათებს მას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, ევროპული ენებისაგან განსხვავებით, ქართულში დროის კატეგორია ძლიერ შემზღუდველად არ გამოიყენება: პროეცირების მეოთხე დონის იდიომის ზმნური კომპონენტი, როგორც წესი, იზღუდება მყოფადისა და ნამყოს ფორმებით. ე.ი. ამ დონის იდიომებს აწმყოს ფორმები ნაკლებად ახასიათებს. ამავე დონის უფრო გაქვავებულ ერთეულებს წარმოადგენს ისეთი იდიომები, რომელთა შემადგენელი კომპონენტებია ნეგაციის აღმნიშვნელი ნაწილაკები (შდრ. *ბუზს ვერ აუფრენს, ყურებზე ხახვი არ დააჭრას, წარბსაც არ შეიხრის* და ა.შ.).

¹¹⁷ დაწვრილებით იხ. 3.2.1 ასპექტის კატეგორიისათვის ზმნურ იდიომურ გამოთქმებში

გრაფიკი 17: პროექტირების მეოთხე დონე



იდიომის ზმნური კომპონენტი *გაიახლებს*¹¹⁸ ექვემდებარება ტრანსფორმაციებს განსაზღვრული ტიპის შემზღუდველებზე დაყრდნობით, როგორიცაა ქცევის, ასპექტისა და დროის კატეგორიები; აღნიშნული იდიომის სტრუქტურა დამოკიდებულია სასუბიექტო ქცევაზე, სრულ ასპექტზე და ნაწილობრივ მომავალ ან წარსულ დროზე. ბუნებრივია, რომ მსგავსი იდიომის სხვა ტიპის სტრუქტურა იდიომურობას ვერ შექმნის (შდრ. **ლოგინს გაუახლებს*, **ლოგინს გააახლებს*, **ლოგინებს გაიახლებს* და ა.შ.). სახელური კომპონენტი *ლოგინს* წარმოგვიდგება პირდაპირი ობიექტის სახით, რომლის ბრუნვაც სუბიექტის სინტაქსური ფუნქციის გათვალისწინებით განპირობებულია და დამოკიდებულია ზმნაზე. ბუნებრივია, რომ

¹¹⁸ ბუნებრივია, რომ აღნიშნულ ზმნას სხვა კატეგორიებიც ახასიათებს, როგორიცაა გვარი, კონტაქტი და ა.შ. უბრალოდ, ვცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა მხოლოდ იმ კატეგორიებზე, რომლებიც ყველაზე მეტად მდგრადობას განაპირობებს.

ორპირიანი ზმნური კომპონენტი არ გულისხმობს ირიბი ობიექტის არსებობას და, შესაბამისად, სქემაშიც გათვალისწინებული არ არის მისი ურთიერთობა ირიბ ობიექტთან.

ბუნებრივია, რომ სამპირიანი ზმნური კომპონენტის შემთხვევაში, რომლის შემადგენელ ნაწილსაც საობიექტო ქცევის მქონე ზმნური კომპონენტი შეადგენს, კონსტრუქცია განაპირობებს ზმნის მიერ ირიბი ობიექტის მართვას საობიექტო ქცევის კატეგორიის გავლით. იდიომის ზმნური კომპონენტი დაექვემდებარება განსაზღვრული ტიპის შემზღუდველების ზეგავლენას; ბუნებრივია, რომ ამ ტიპის იდიომები შემზღუდველთა ცვალების შედეგად იდიომურობას კარგავენ.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამ დონეზე თავს იჩენს უარყოფის, ნეგაციის ცნებაც, კერძოდ, შესაძლებელია უკუთქმითი ზმნური კონსტრუქციების ჩამოყალიბებაც და თუმცა უკუთქმითობა იდიომურობის შემქმნელ მთავარ კომპონენტად არ გვევლინება, მდგრადობის იერარქიაში მას ყველაზე მაღალი საფეხური უკავია (მაგ.: 210, 211)

(209) ბუზსაც ვერ აუფრენს – ვერაფერს გაუბედავს: “– ყაზარასთანაები იმას **ბუზსაც ვერ აუფრენენ**; ვისთანაც გასვლია თავისი მიქარვები, ნენესთან ვერ გაუვა” (ს. მგალობ., “დემეტრეს სახლობა”)

(210) ყურებზე ხახვი არ დამაჭრა(ს) – ვერაფერს დამაკლებს, ვერაფერს მიზამს, ვერაფერს მავნებს: “თუ ზურგი არა გქავა, შენ შენს გზაზედ წადი-მეთქი, თორემ... – თორემ... მე ვიცი, **ყურებზედ ხახვი არ დამაჭრა**” (ილია, “ოთარაანთ ქვრივი”)

იდიომის ზმნური კომპონენტი *აუფრენს*, *დააჭრას* ექვემდებარება სხვადასხვა ტრანსფორმაციებს გარკვეული სახის შემზღუდველთა თვალსაზრისით, როგორიცაა ქცევის, ასპექტის, დრო-კილოსა და სუბიექტ-ობიექტის შეთანხმება-მართვის ფაქტორი; სახელური კომპონენტი *ბუზი*, *ხახვი* წარმოგვიდგება კონსტრუქციის ობიექტის სახით, რომლის ბრუნვაც დამოკიდებულია ზმნურ კომპონენტზე, თუმცა ნეგაციის გარეშე, მსგავსი ტიპის კონსტრუქცია იდიომურობას მოკლებულია (შდრ. **ბუზსაც აუფრენს*, **ყურებზე ხახვი დამაჭრა(ს)* და ა.შ.).

ამ ჯგუფში ერთიანდება შემდეგი სახის იდიომური გამოთქმები: *თვალს წაუხდენს*, *ლოგინს გაიახლებს*, *გულის ბუხარს ამოიყრის*, *თვალებს გადმოანათებს*, *ფეხს ჩაადგმევინებს*, *ხმას ჩაიწყვეტს*, *ენას ჩაუგდება*, *ცეცხლზე წყალს დაუსხამს*,

ფათერაკს წაეკიდება, თავს წაიღებს, ხელს წაუმართავს, ბუზს ვერ აუფრენს, ყურებზე ხახვი არ და(მ)აჭრას და ა.შ.

აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, შევეცადეთ პასუხი გაგვეცა იმ კითხვაზე, თუ როგორია გრამატიკული 'მდგრადობის' იერარქია იდიომებში, ქართული ზმნის მორფოსინტაქსური თავისებურებებიდან გამომდინარე. ამ მიზნით, შესაბამისად, გამოიყო იდიომური გამოთქმის შესაძლო პროექტირების დონეები. შიდასინტაქსური სტრუქტურის ანალიზით გამოვლინდა კავშირი 'მდგრადობის' იერარქიასა და ქართული ზმნური კონსტრუქციის მორფოსინტაქსურ თავისებურებებს შორის.

4. იდიომური გამოთქმების სემანტიკური ანალიზი

სპეციალისტთა საერთო აზრით, იდიომური გამოთქმის ცენტრალურ ნაწილს მისი სემანტიკური მნიშვნელობა წარმოადგენს, თუმცა არც მისი მორფო-სინტაქსური ფუნქციების უგულებელყოფა შეიძლება. სემანტიკისა და სინტაქსის მჭიდრო კავშირი ნათლად აისახება იდიომურ გამოთქმებში.

იდიომი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, განიმარტება, როგორც შესიტყვება, რომლის მნიშვნელობაც არ უდრის მის შემადგენელ კომპონენტთა მნიშვნელობათა ჯამს. ამ თვალსაზრისით, იდიომური გამოთქმის სემანტიკა განსხვავდება იმ გაგებისგან, რომელიც გვექნებოდა, თუ მას მივუსადაგებდით იმ წესებს, რომლებიც ჩვეულებრივ სემანტიკას განასხვავებს (Tronenko 2003, 23). აღნიშნული დეფინიცია, ავტორთა უმრავლესობის (თაყაიშვილი 1961, 40; Fraser 1970, 22; Weinrich 1969, 211; Tronenko 2003, 23; Μότσιοι, Στοιχεία Λεξικολογίας 1994, 60 და სხვ.) აზრით, მართებულია, თუმცა მეცნიერთა შორის დავაა ისეთ საკითხზე, როგორიცაა: არის თუ არა იდიომის შემადგენელი ნაწილები დამოუკიდებელი მნიშვნელობის მატარებელი ერთეულები და, შესაბამისად, არის თუ არა რაიმე კავშირი იდიომური გამოთქმის საერთო სემანტიკურ მნიშვნელობასა და მისი კომპონენტების მნიშვნელობებს შორის?

ა. თაყაიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ, თავისუფალი შესიტყვებისაგან განსხვავებით, რომელშიც კომპონენტების შეკავშირება დანაწევრებულ გაგებას იძლევა, იდიომური გამოთქმა ერთ ზოგად ცნებას ასახავს (თაყაიშვილი 1961, 29). მეცნიერთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ იდიომს არაკომპოზიციური (non-compositional) ხასიათი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ იდიომის შემადგენელ ცალკე აღებულ სიტყვებს კავშირი არა აქვთ იდიომის მნიშვნელობასთან. ცხადია, ტერმინი კომპოზიციურობა/არაკომპოზიციურობა პირობითია, ვინაიდან არც ერთი იდიომი არ განიხილება, როგორც სრული, აბსოლუტურული კომპოზიტი.

ზემოხსენებული თვალსაზრისი ტრადიციულად მიღებულია ენათმეცნიერებაში, განსაკუთრებით კი – ბოლო წლების ფსიქოლინგვისტურ გამოკვლევებში (Bobrow 1973; Cutler 1979). ამ თვალსაზრისის მიხედვით, იდიომი წინადადებაში მოქმედებს როგორც სემანტიკური და სინტაქსური ერთეული, ანუ,

სხვაგვარად რომ ვთქვათ, იდიომი არის სემანტიკურად დაუშლელი და წინადადების ერთ-ერთი წევრის როლს ასრულებს.

ტრადიციული (“არაკომპოზიტური”) მიდგომის ფარგლებში აღნიშნულია, რომ, თუ ცნობილია იდიომის მნიშვნელობა, მაშინ არ არსებობს მისი მნიშვნელობის შემადგენელ კომპონენტებად დაშლის შესაძლებლობა (Vega-Moreno 2001, 74). მაგალითად, როდესაც გვესმის იდიომი *ფეხები გაფშკა ან კირზე შეჯდა*, ანდა *სიტყვა ბანზე ააგდო* და ა. შ., რეალურად კი არ ვშლით ამ იდიომს, არამედ მას ერთიანი მნიშვნელობით აღვიქვამთ, როგორც: *მოკვდა, გაჯიუტდა, საუბრის თემა განზრახ შეცვალა* და ა. შ. სინტაქსური თვალსაზრისით, აღნიშნული იდიომური გამოთქმები, როგორც წესი, ტრანსფორმაციის შედარებით მცირე ალბათობით ხასიათდება. ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად, როგორც წესი, მოჰყავთ იდიომი *kick the bucket* (*ფეხები გაფშკა, ფეხები გაჭიმა, მოკვდა*, სიტყვასიტყვითი თარგმანი კი არის: *სათლს ფეხი ჰკრა*), რომელიც პასივში გადაყვანისას კარგავს იდიომურობას: **the bucket was kicked*.¹¹⁹

იდიომის არაკომპოზიტურობის თეორიის ფარგლებში რამდენიმე ჰიპოთეზაა წამოყენებული იმის მიხედვით, თუ როგორ აღიქვამს ადამიანის ტვინი იდიომის მნიშვნელობას: სიტყვასიტყვით, გამოთქმის იდიომურობისა თუ ორივეს ერთდროულად ფიქსირების გზით.

მაშასადამე, აღინიშნება რამდენიმე ჰიპოთეზა:

1. სიტყვასიტყვითი ჰიპოთეზა (literal first hypothesis);
2. თანადროული დამუშავების ჰიპოთეზა (simultaneous processing hypothesis);
3. ფიგურალური ჰიპოთეზა (figurative first hypothesis).

სიტყვასიტყვითი ჰიპოთეზა 1973 წელს წამოაყენეს ს. ბობროვმა და ს. ბელმა თავიანთ ნაშრომში “იდიომური გამოთქმების გაგებისათვის” (Bobrow 1973). ამ თეორიის მიხედვით, სიტყვასიტყვითი გაგება აუცილებელია და მუდამ იდიომურ მნიშვნელობას წინ უსწრებს. ავტორების თვალსაზრისით, იდიომები ჩვეულებრივი მენტალური ლექსიკონიდან განსხვავებულ იდიომურ ლექსიკონში ინახება. შესაბამისად, ვიღებთ შემდეგ მოდელს: მსმენელი/მკითხველი ჯერ იდიომის სიტყვა-

¹¹⁹ ვარსკვლავით (*) აღინიშნება იდიომურობას მოკლებული ვარიანტები.

სიტყვით მნიშვნელობას აღიქვამს, შემდეგ მის ინტერპრეტაციას უკუაგდება და, საბოლოოდ, სათანადო ახსნას იდიომურ ლექსიკონში ეძებს. ამ ჰიპოთეზას, ცხადია, ყველა მეცნიერი არ იზიარებს და მრავალი ალტერნატიული თვალსაზრისიც არსებობს (Sperber 1981; Gibbs 1995; Recanati 2004). ჩვენი აზრით, აღნიშნული ჰიპოთეზა ძალიან მნიშვნელოვანია და, შესაძლოა, საკმაოდ ზუსტ სურათს ასახავს, როცა საუბარი მეორე/უცხო ენის ათვისებას ეხება. ბუნებრივია, რომ ადამიანის ტვინში ზუსტად ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს. ჯერ უცხოური იდიომი სიტყვასიტყვით ითარგმნება, შემდეგ კი – ამ თარგმანის მნიშვნელობა უკუიგდება და ბოლოს იდიომთა ლექსიკონში შესაფერისი მნიშვნელობითი თარგმანი მოიძიება.

აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ასეთი მსჯელობა ისეთ იდიომურ გამოთქმებს ეხება, რომელთაც ზუსტი ეკვივალენტი მშობლიურ ენაში არ მოეპოვებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი პროცესი, ჩვენი აზრით, არ დაფიქსირდებოდა. ასე, მაგალითად, ქართული იდიომის – *ენას კბილი დააჭირე*, მიახლოებითი თარგმნისას ინგლისურად ვიღებთ *bite your tongue!* (ენაზე იკბინე!), რუსულში *прикусить язык* (ენაზე კბენა), ბერძნულში *δάγκωσε τη γλώσσα σου!* (ენაზე იკბინე!). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულშიც გვაქვს იდიომი *ენაზე იკბინა*, რაც ნიშნავს: ენა მოიკვნითა, უცბად გაჩუმდა და ინანა, რომ თქვა: “შემოხაზა და *ენაზე იკბინა*, რადგან ენამორღვეულ მასპინძელს ყველანი გაოცებით და შიშით დააშტერდნენ” (მ. ჯავახ., “არსენა მარაბდელი”). ამავე მნიშვნელობით გამოიყენება ზემოთ მოცემულ ენებში *bite your tongue!*, *прикусить язык*, *δάγκωσα τη γλώσσα μου*. *ენას კბილი დააჭირე* იდიომის შემთხვევაში, შეიძლება არ გვქონდეს ზუსტი ეკვივალენტი მორფოლოგიური თუ სინტაქსური თვალსაზრისით, სამაგიეროდ სხვა ენებში სემანტიკურად მსგავსი იდიომური მნიშვნელობის მქონე ერთეული გამოიყენება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ იდიომის თარგმნისას მეორე/უცხო ენის მატარებელს/შემსწავლელს პრობლემა არა აქვს, ე. ი. სიტყვასიტყვითი თარგმანის აუცილებლობა თავიდანვე შეიძლება უგულებელვყოთ. სხვა შემთხვევაში, როცა საქმე ეროვნულად მარკირებულ იდიომს ეხება, სიტყვასიტყვითი ჰიპოთეზის დამადასტურებელი პროცესი ნათლად ფიქსირდება. ლაპარაკია ისეთ იდიომებზე, როგორიცაა, მაგალითად, ქართ. *სიქის გაცლა* (*სიქას გააცლის*), *ჩაილულის წყალს დაღვებს...* ინგლ. *sow one's wild oats, carry coals to Newcastle*, რუს. *бесструнная*

балалайка, сиднем сидеть, ახ. ბერძნ. *πήγε η ψυχή μου στην Κούλουρη, σου ψήνει το ψάρι στα χείλη* და ა. შ.

რაც შეეხება მშობლიური ენის იდიომების ათვისებასა და გაგებას, აქ ჩვენი აზრით, სრულიად საპირისპირო პროცესი მიმდინარეობს. ამიტომ მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს იდიომის აღქმისადმი მიდგომა მშობლიური ენის მატარებელსა და მეორე/უცხო ენის შემსწავლელს შორის. ამასთან დაკავშირებით, ჯ. ლიონტასი აღნიშნავს: "...რაც შეეხება მეორე ენის შემსწავლელთ, როგორც ჩანს, ისინი, პირველი ენის შემსწავლელთაგან განსხვავებით, სრულიად საწინააღმდეგო პროცესს მიჰყვებიან. ეს შეეხება მათ მიმართებას იმ "გრძელი სიტყვების" ¹²⁰ მიმართ, პრაგმატულ კონტექსტში რომ ქმნიან მათს მნიშვნელობას. სანამ ჩაერთვებიან "განვრცობილი მნიშვნელობის" აღმოჩენის პროცესში, ისინი ჯერ სიტყვასიტყვით მნიშვნელობას ეძებენ. ეს პროცესი აძლევს მათ საშუალებას, ჩასწვდნენ, თუმცა, შესაძლოა, არცთუ ყოველთვის სწორად, მოლაპარაკის/მწერლის მიერ იდიომისთვის მინიჭებულ მნიშვნელობას, და მხოლოდ ამის შემდეგ ქმნიან ისინი "ლემას" თავიანთ მენტალურ ლექსიკონში იმისათვის, რომ შემდგომში გამოიყენონ აღნიშნული იდიომა" (Liontas 2001, 24)

თანადროული დამუშავების ჰიპოთეზის მიხედვით, რომლის ავტორებიც დ. სვინი და ა. კატლერი გვევლინებიან (Swinney 1979) ადამიანის ტვინში მიმდინარეობს როგორც იდიომის სიტყვასიტყვითი, ასევე მისი ფიგურალური მნიშვნელობის დამუშავების პროცესი. იდიომა წარმოგვიდგება ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულის სახით, ოღონდ წინა თეორიისაგან განსხვავებით, ის ჩვეულებრივ მენტალურ ლექსიკონში თავსდება. მაშასადამე, როგორც კი მსმენელი/მკითხველი იდიომს წააწყდება, მაშინვე მის გონებაში პარალელურად ორივე პროცესი ჩაირთვება და მალევე გადაირთვება ხატოვნად აღქმაზე: ადამიანს ხომ იდიომის აღსაქმელად ჩვეულებრივ სიტყვაზე მეტი დრო არ სჭირდება.

დასასრულ, უნდა შევხებით ფიგურალურ ჰიპოთეზას, რომელიც 1980 წელს რ. გიბსმა (R. Gibbs 1980) წამოაყენა. მისი აზრით, იდიომა არის ლექსიკური ერთეული, რომლის იდიომური მნიშვნელობის აღქმაც უკავშირდება უშუალოდ ადამიანის

¹²⁰ ავტორი იდიომებს "გრძელ სიტყვებს" უწოდებს. მისი აზრით, იდიომები სხვა არაფერია, თუ არა "გრძელი სიტყვები", რომელთა ხატოვანი მნიშვნელობაც უშუალოდაა განპირობებული ჩვენს მენტალურ ლექსიკონში, და რომლებიც მოკლებულია შიდა სინტაქსურ და სემანტიკურ სტრუქტურას.

მენტალურ ლექსიკონს, და იდიომის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის აღქმა სულაც არ არის საჭირო. ეს იმას ნიშნავს, რომ იდიომის ხატოვანი დამუშავება ადამიანის ტვინში უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე სიტყვასიტყვითი; ამიტომაც მოსალოდნელია, რომ სიტყვასიტყვითი დამუშავება შეიძლება საერთოდ არც იყოს საჭირო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ თეორიის მიხედვით, იდიომური მნიშვნელობა არა მხოლოდ წინ უსწრებს სიტყვა-სიტყვითს, არამედ საერთოდ ერთადერთია, თუმცა თავისთავად შემდეგდროინდელ ნაშრომებში რ. გიბსი (R. Gibbs, 1992) ცვლის თავის მოსაზრებას, მაგრამ იდიომური მნიშვნელობის უპირატესობას მაინც არ უგულებელყოფს.

ზემოთ ჩამოთვლილ თეორიებს საერთო ნიშან-თვისება აერთიანებს: იდიომი მიჩნეულია ერთიანი მთლიანი მნიშვნელობის მქონე ლექსიკურ ერთეულად; სხვაგვარად რომ ვთქვათ, იდიომური გამოთქმა დაუშლელ ერთეულს წარმოადგენს. ცხადია, აქ ლაპარაკია, რა თქმა უნდა, სემანტიკურ, და არა სინტაქსურ დაუშლელობაზე. ამის მაგალითად ა. თაყაიშვილს მოჰყავს იდიომი *თმა ყალყზე წაუვიდა*, რომელიც სიტყვათა რიგსაც იცვლის *წაუვიდა თმა ყალყზე* და ლექსიკურ შემადგენლობასაც *თმა ყალყზე დაუდგა*, მაგრამ, რაც მთავარია, მისი სემანტიკური ერთიანობა ამით არ იცვლება. ამიტომ “დაუშლელობის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ სწორედ იდიომის სემანტიკური მთლიანობა, ერთი ცნების გამომხატველობა” (თაყაიშვილი 1961, 31). ამგვარად, არა-კომპოზიტური თეორიის მთავარი მიდგომა არის იდიომის მთლიანობაში აღქმა, რაც ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია იდიომური გამოთქმების კვლევისას. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც, როგორიცაა, მაგალითად, იდიომის დრეკადობა, მისი ექსპრესიულობა, სინტაქსურ წესთა ერთობლიობა და სხვ., მაგრამ მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად მაინც მისი კონცეპტუალური გადმოცემის მრავალფეროვნება (რთული შედგენილობა) და სემანტიკური ერთიანობა უნდა დარჩეს.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში თავი იჩინა იდიომების არაკომპოზიტურობაში ეჭვის შეტანის ტენდენციამ (Nunberg 1994; Bach 1980; Cacciari 1991-1995; Gibbs 1980-1997). ამ თეორიის მიხედვით, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში იდიომების მნიშვნელობა რამდენამდე მაინც დამოკიდებულია მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობაზე. ინგლისურენოვან ლიტერატურაში ამის დასამტკიცებლად მოყვანილია ისეთი მაგალითები, როგორიცაა: *spill the beans*

(საიდუმლოს გამჟღავნება, სიტყვასიტყვით: ლობიოს დაფანტვა), to break the ice (ყინული დაიძრა ან პირველი ნაბიჯი გადაიდგა ან დაძაბულობა მოიხსნა, სიტყვასიტყვით: ყინულის გატეხა) და სხვ., რომლებშიც იდიომის მნიშვნელობა დამოკიდებულია მისი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობაზე – სიტყვასიტყვითზე თუ მეტაფორულზე. ასეთ იდიომს დეკომპოზირებად, ანუ „დაშლად“ (decomposable) იდიომს უწოდებენ, ხოლო თვით ამ თეორიას დეკომპოზიციურობის, ანუ „დაშლადობის“ ჰიპოთეზას (decompositional hypothesis). ამ თეორიის შემქმნელები – გ. ნიუნბერგი და მისი კოლეგები მიიჩნევენ, რომ იდიომურობა უფრო მეტად სემანტიკური მოვლენაა, ვიდრე სინტაქსური. ამიტომაც იდიომების ტიპოლოგია უნდა განიხილებოდეს მათი კომპოზიტიურობის დონის შესაბამისად. ავტორები აღნიშნავენ, რომ “ფრაზულ იდიომთა უმრავლესობა სემანტიკურად კომპოზიტიურია, და თვით იდიომურობის მოვლენაც თავისი ბუნებით ფაქტობრივ სემანტიკურია” (Nunberg 1994, 491).

ე. ბახის აზრით, იდიომის სტრუქტურის ანალიზი უნდა განხორციელდეს მისი ხატოვანი შინაარსის დანაწევრების გზით. ამის საილუსტრაციოდ ე. ბახს მოჰყავს იდიომი *let the cat out of the bag*, რომელსაც აქვს *საიდუმლოს გამხელის/გამჟღავნების* (*reveal the secret*) მნიშვნელობა (სიტყვასიტყვით: კატის ჩანთიდან/ტომრიდან ამოშვება). აქ *the cat* შეესაბამება *the secret*-ს, ხოლო *let out of the bag* – *reveal*-ს (Bach 1980, 322-323).

მსგავსი მაგალითი აქვს მოცემული ნ. ტრონენკოს (Tronenko 2003, 24): *to break the ice*, რომელიც ახსნილია, როგორც *სოციალური დაძაბულობის მოხსნა* (*to disperse social tension*), რომელშიც *to break* შეესაბამება სიტყვას *to disperse* ”მოხსნა”, ხოლო *the ice* სიტყვას – *social tension* ”სოციალური დაძაბულობა”. ასეთ შემთხვევებში შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია იდიომის შემადგენელი ნაწილების რეფერენციული ავტონომიურობის საფუძველზე. აღნიშნული ფაქტი კი საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იდიომური გამოთქმების მდგრადობის დონეების დასადგენად.

იდიომის შემადგენელი ნაწილები, როგორც წესი, მოკლებულია დამოუკიდებელ დენოტაციას და რეფერენციულ ავტონომიურობას. ამიტომ, ის იდიომი, რომელიც ხასიათდება ამგვარი ავტონომიურობით ნაკლებად გაქვავებულია სინტაქსური თვალსაზრისით და იდიომის მრავალფეროვანი ცვალების საშუალებას

იძლევა. ასე, მაგალითად, ინგლისურში აუცილებელია სუბიექტის გარკვეული რეფერენციული ავტონომიურობა იმისათვის, რომ შეიძლებოდეს იდიომის ვნებითად გადაქცევა (პასივიზაცია) (Tronenko 2003, 24). კინაიდან ზემოთ აღნიშნული იდიომური გამოთქმა ხასიათდება აღნიშნული ავტონომიურობით, დასაშვებია იდიომის პასივიზაცია: *the ice was broken*, ანალოგიურად პასივიზაცია დასაშვებია შემდეგ იდიომურ გამოთქმაშიც: *spill the beans* → *the beans were spilled*, ან თუნდაც რ. ბახის მიერ აღნიშნულ იდიომშიც: *let the cat out of the bag* → *the cat is out the bag*¹²¹. მაგრამ პასივიზაცია შეუძლებელია *kick the bucket*-ის ტიპის იდიომურ გამოთქმებში.

აქტივიდან პასივში გადაყვანის თვალსაზრისით, ქართული ენისათვის დამახასიათებელი იდიომური გამოთქმები ლაბილურობით, მეტი მოქნილობით ხასიათდება (მაგ.: 212).

(211) ნერვები აუშალა → ნერვები აეშალა; ნიადაგს ა/უმზადებს → ნიადაგი (უ)მზადდება, გულზე გახეთქა → გულზე გასკდა, გზას აძლევს → გზა მიეცა, სულს ამოადრობს → სული გასძვრა და სხვ.

რა თქმა უნდა, მსგავს შემთხვევებში ინდოევროპული ენებისათვის დამახასიათებელ პასივიზაციაზე ვერ ვიმსჯელებთ, თანაც ზოგიერთ ინდოევროპულ ენაში პასივიზაციის შედეგად შეიძლება თავისუფალი შესიტყვება მივიღოთ (მაგ.: 213) ან სრულიად სხვა მნიშვნელობა (მაგ.: 214)

(212) რუსულ ენაში: *собаку съесть* (ჭიპი აქვს მოჭრილი) → *собака была съедена, пальчики оближешь* (თითებს ჩაიკვნეტ) → *пальчики облизаны, места себе не находит* (ადგილს ვერ პოულობს) → *место не найдено*¹²² და ა.შ.;

¹²¹ ამ იდიომში პასივის ახსნა შეიძლება მისი იდიომური მნიშვნელობიდან გამომდინარე (*reveal the secret*-ის ანალოგიით), რადგანაც შეგვიძლია ეს იდიომი შესაბამის შემადგენელ კომპონენტებად დავშალოთ (Bach 1980, 323). როდესაც იდიომი არ იშლება შემადგენელ კომპონენტებად, მისი პასივიზაცია შეუძლებელია, როგორც *kick the bucket*-ის შემთხვევაში ("გარდაცვალება", სიტყვასიტყვით: "ვედროზე ფეხის კვრა") ან *hit the ceiling*-ის ("გაბრაზება", სიტყვასიტყვით: "ჭერზე დარტყმა/ცემა").

¹²² მსგავს შემთხვევებში იდიომს ეცლება იდიომური შინაარსი. ამის მიზეზია, ა. თაყაიშვილის აზრით, რუსული ფრაზეოლოგიის პასივში გადაყვანისას კომპონენტების ცალ-ცალკე გააზრება, რაც იწვევს კონსტრუქციის დაშლას. მაგალითად: *бить баклуши* (კოდალას უსტვენს) – *он бил баклушами целыми днями* (თაყაიშვილი 1961, 125); დ. დობროვოლსკის აზრით, რუსული იდიომების პასივში გადაყვანა შესაძლებელია იმ შემთხვევებში, როცა პასივში მდგომი ობიექტი ქვემდებარედ იქცევა და ინარჩუნებს განსაზღვრულ სემანტიკურ დამოუკიდებლობას, ანუ რეფერენციულ ავტონომიურობას, მაგალითად: *сломать лед* (დაძაბულობის მოხსნა) – *лед был сломлен* ან *объявить бой* (ომის გამოცხადება, ბრძოლა) – *был объявлен бой*, რასაც ვერ ვიტყვით იდიომზე: *бить баклуши* (Добровольский 2005)

(213) ახალ ბერძნულ ენაში: $\mu\omicron\upsilon\varsigma\ \mu\acute{\alpha}\rho\iota\varsigma\epsilon\ \tau\omicron\upsilon\varsigma\ \psi\chi\acute{\eta}$ (გულს მიღონებს) $\rightarrow \mu\acute{\alpha}\rho\iota\varsigma\epsilon\ \eta\ \psi\chi\acute{\eta}$ (ბედი გამიშავდა), $\alpha\nu\omicron\iota\gamma\alpha\ \tau\omicron\upsilon\varsigma\ \kappa\alpha\rho\delta\acute{\iota}\alpha$ (გულს გადავუშლი) $\rightarrow \alpha\nu\omicron\iota\gamma\epsilon\iota\ \eta\ \kappa\alpha\rho\delta\acute{\iota}\alpha$ (გულს უხარია) და სხვ.¹²³

იდიომის კომპოზიტურობის თეორიის მთავარი დამსახურება ისაა, რომ, რომელ ჰიპოთეზასაც უნდა მივემხროთ, ნებისმიერ შემთხვევაში გასათვალისწინებელია იდიომის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა როლი იდიომის მნიშვნელობის აღქმაში. ჩვენთვის გასაზიარებელია ა. თაყაიშვილის დებულება, რომლის მიხედვითაც “...კომპონენტებს გარკვეული წვლილი მიუძღვით [გამოთქმის] ზოგადი მნიშვნელობის განვითარებაში. განსაკუთრებით ეს ითქმის ხატოვანი იდიომების მიმართ, რომლებსაც ასოციაციური კავშირი თავის ამოსავალთან დღესაც აქვთ. იდიომის ზოგადი აზრი თავისუფალი შესიტყვების პოტენციას შეადგენს, მისი კომპონენტების სიტყვასიტყვით მნიშვნელობათა ჯამის ზოგადი ანარეკლია“ (თაყაიშვილი 1961, 42-44) და, შესაბამისად, იდიომის მნიშვნელობა დამოკიდებულია კომპონენტების სიტყვასიტყვით მნიშვნელობაზე.

იდიომი მოტივირებული შესიტყვებაა და, ცხადია, მისი მნიშვნელობაც გარკვეულწილად მოტივირებული უნდა იყოს. ვ. თელიას აზრით, ზუსტად “აღნიშნული მნიშვნელობა იმ ხატოვნებისა, *tertium comparationis*, მატარებელია, რომელიც იდიომური მნიშვნელობის ტოლფასია. ეს სახე არა მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ მნიშვნელობა მისგანაა ნაწარმოები, არამედ რეალობასაც ასახავს (თუ, რა თქმა უნდა, ეს სახე სათანადოდ აღიქმება ენობრივი გარემოს მიერ)” (Телия 1996, 84). იდიომის მოტივაციის საფუძველი ამა თუ იმ ენისათვის დამახასიათებელი გარემოს ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოცემულ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების ენობრივი ჩვეულებითაა განპირობებული. იდიომის მოტივაცია არის ზუსტად ის მოვლენა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დაიძებნოს კავშირი იდიომის ფიგურალურ მნიშვნელობასა და მისი შემადგენელი კომპონენტების სიტყვასიტყვით მნიშვნელობებს შორის; ა. ონიანის აზრით კი, “ასეთი სახის გამოთქმებში მოტივაციის მიკვლევა და კომპონენტების მნიშვნელობათა გარკვევა მხოლოდ იდიომის წარმოშობას გვიხსნის, არაფერს გვეუბნება თანამედროვე ეტაპზე ამ იდიომისათვის

¹²³ მოყვანილი მაგალითებით სულაც არ გვსურს იმის თქმა, რომ ამ ენებში პასივიზაციის მხოლოდ ასეთი შემთხვევები დასტურდება; უბრალოდ, ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ამგვარი ტენდენციებიც არსებობს.


დამახასიათებელი მნიშვნელობის შესახებ” (ონიანი, ქართულ-სვანური იდიომატიკის საკითხები 1954, 48).

კომპოზიტურობის თეორიის ფარგლებში წამოყენებულია ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც, იდიომის კომპოზიტურობის დამამტკიცებელ ერთ-ერთ არგუმენტს ზუსტად მოტივაცია წარმოადგენს. კერძოდ, დ. გერაერტსი აღნიშნავს, რომ იდიომის კომპოზიტურობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება **მოტივაციასა და იზომორფიზმს**. “მოტივაცია არის მოვლენა, რომლის საშუალებითაც შეიძლება დადგინდეს კავშირი მთელი ფრაზის ფიგურალურ მნიშვნელობასა და მისი კომპონენტების სიტყვასიტყვით მნიშვნელობებს შორის, ხოლო იზომორფიზმი არის ის მოვლენა, რომლის საშუალებითაც იდიომის ფიგურალური მნიშვნელობა შეიძლება გადანაწილდეს მის შემადგენელ კომპონენტებზე” (Geeraerts 1995, 61). ის იდიომი, რომელიც მოტივირებულია და იზომორფული, შესაბამისად “კომპოზიტური” იქნება, ხოლო რომელიც არა – “არაკომპოზიტური”.

მოტივაციაზე ბევრი რამეა დამოკიდებული კონცეპტუალური მეტაფორის ჰიპოთეზის თვალთახედვით, რომელიც რ. გიბსმა წამოაყენა. შემდგომ, როგორც აღვნიშნეთ, გიბსმა შეცვალა თავისი შეხედულება იდიომის “არაკომპოზიტურობასთან” დაკავშირებით და, ჯ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის ნაშრომზე (Lakoff 1980) დაყრდნობით, ახალი თეორია შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც ადამიანი ენას იყენებს მოტივირებულად გონებაში წინასწარ არსებული მეტაფორული სქემების შესაბამისად, ე. ი. “ისეთი იდიომის აღქმა, როგორიცაა *spill the beans*, ორი მეტაფორის მოტივაციის შედეგია: *გონება კონტეინერია* (mind is a container), ხოლო *იდეები ფიზიკური ობიექტებია* (ideas are physical entities)” (Vega-Moreno 2001, 78). ამ თეორიის მიხედვით, უპირატესობა ენიჭება მხოლოდ იდიომის ფიგურალურ მნიშვნელობას, რომელიც მიჩნეულია ერთადერთ სწორ ვარიანტად, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა კი უგულებელყოფილია. ცხადია, მსგავსი პოზიცია უკიდურესობას წარმოადგენს, ამიტომაც სხვადასხვა მკვლევრის შრომებში იგი სერიოზულად არის გაკრიტიკებული. მაგრამ, კრიტიკის მიუხედავად, თანამედროვე ენათმეცნიერებაში ის საკმაოდ პოპულარულია და იდიომის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის უპირატესობას ეჭვქვეშ აყენებს (Vega-Moreno 2001; Gibbs 1994-1997; Keysar 1999).

იდომის ხატოვანი შინაარსის აღქმისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლისემიის მოვლენას, რადგანაც ერთი და იგივე შესიტყვება შეიძლება იდიომადაც აღვიქვათ და თავისუფალ შესიტყვებადაც. ზოგიერთი მეცნიერი, ამაში ომონიმის მოვლენას ხედავს, ზოგიერთი კი – პოლისემიისას. აღნიშნული საკითხი დაწვრილებით აქვს განხილული ა. თაყაიშვილს თავის ნაშრომში: “ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები” (თაყაიშვილი 1961, 47-53), რომელშიც განხილულია ენათმეცნიერებაში არსებული სხვადასხვა თვალსაზრისი ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ ყურადღებას მხოლოდ ორ თვალსაზრისზე გავამახვილებთ: ერთის მიხედვით, “ესაა ომონიმური შესიტყვებანი, ერთმა განაპირობა მეორის გამოვლენა: თავისუფალმა შესიტყვებამ მიიღო ფრაზეოლოგიური ერთეულის ხატოვანება და ამჟამად მათ შორის ომონიმური დამოკიდებულებაა” (Виноградов 1977, 353), ხოლო მეორის თვალსაზრისით, ესაა პოლისემიის ნიმუში: “იდომი თავისუფალ შესიტყვებათა გადატანითი მნიშვნელობით ხმარების შედეგია. ამასთან, აზრობრივი კავშირი ამ ორი ქცევისა სულ მთლად გაწყვეტილი არაა. ამდენად, აქ უნდა ვილაპარაკოთ არა ომონიმიაზე, არამედ პოლისემიაზე” (Баранаш 1953, 55).

აღნიშნული თვალსაზრისები იმას მოწმობს, რომ მეცნიერებაში დღემდე არ არის დაზუსტებული ომონიმისა და პოლისემიის ცნებები. ამას ჯერ კიდევ სამოციან წლებში აღნიშნავდა ა. თაყაიშვილი, მაგრამ თანამედროვე ენათმეცნიერებაშიც გრძელდება კამათი ამ საკითხების ირგვლივ. თანამედროვე ლინგვისტიკის ტენდენციების გათვალისწინებით აღნიშნული საკითხი იმ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, რომ ტრანსფორმაციული გრამატიკების ფარგლებში აუცილებელია სიტყვების ომონიმური ან პოლისემიური დამოკიდებულებების განსაზღვრა, რადგანაც მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ უნდა აღიქმებოდეს სინტაქსური ტრანსფორმაციის დროს ესა თუ ის სიტყვან როგორც ცალკე აღებული ლექსიკური ერთეული, მეთაური (lexical heading) ლექსიკური ერთეული თუ ორი ლექსიკური ერთეული. აღნიშნულ პრობლემას ჯერ კიდევ 1972 წ. ჩომსკი ეხებოდა (Chomsky 1972). მისი თვალსაზრისით, სიტყვა *book*-ის სხვადასხვა მნიშვნელობა უნდა განიხილებოდეს ცალ-ცალკე ერთი ლექსიკური ერთეულის ფარგლებში, მაშინ როცა სიტყვა *bank*-ის მნიშვნელობები სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულს ქმნის. სქემის სახით, აღნიშნული მაგალითი ასე გამოიყურება (Nunberg 1994, 151):



უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი დღესაც აქტუალურია ტრანსფორმაციული და ე. წ. წამყვანკომპონენტური სტრუქტურული გრამატიკის (head-driven phrase structure grammar, HPSG) ფარგლებში, თუმცა ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ომონიმისა და პოლისემიის გამიჯვნა ფორმალურ დონეზე მრავალ სირთულეს იწვევს და ყოველთვის სწორი ახსნის საშუალებასაც არ იძლევა (Nunberg 1994, 151).

რაც შეეხება იდიომურ გამოთქმებს, კვლავ ა. თაყაიშვილი უნდა დავიმოწმოთ: “იდიომი არ შეიძლება იყოს ომონიმური მისი პირველსახის, თავისუფალი შესიტყვების მიმართ... იდიომი ხომ ფორმითაც და წარმოშობითაც “დავალებულია” თავისუფალი შესიტყვებისაგან...” (თაყაიშვილი 1961, 49-50)

ასევე ხშირ შემთხვევაში არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი განსხვავება სიტყვის მეტაფორულსა და პოლისემიურ მნიშვნელობებს შორის. ასე, მაგალითად, ა. თაყაიშვილს მიაჩნია, რომ იდიომსა და თავისუფალ შესიტყვებას შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორიც სიტყვის მეტაფორული გადააზრებისას. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ბ. ფოჩხუა: მისი აზრით, პოლისემიიდან გამოსარიცხია ისეთი ფაქტები, რომლებშიც ნათლად არ ჩანს “გადატანა”; მისი აზრით: “შერწყმა მთელი გამოთქმის მეტაფორული ხმარების შედეგად ხდება მეტწილად მაშინ, როდესაც გამოთქმაში შემავალი ცალკე სიტყვის მნიშვნელობის გაბუნდოვანების გამო მთელი გამოთქმის მნიშვნელობაც ბუნდოვანდება და, ამრიგად, მეტაფორისათვის აუცილებელ ორგეგმიანობის თვისებას კარგავს” (ფოჩხუა 1974, 293).

როდესაც ვმსჯელობთ პოლისემიაზე იდიომურ გამოთქმებში, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ: ა) იდიომის პოლისემიური დამოკიდებულება თავისუფალი შესიტყვების მიმართ; ბ) იდიომის კომპონენტთა პოლისემიური მნიშვნელობა, რაც შესიტყვებას იდიომურობას ანიჭებს და გ) იდიომის, როგორც ერთი მთლიანის პოლისემიურობა, რომლის მნიშვნელობების დადგენა კონტექსტში ხდება¹²⁴.

¹²⁴ იდიომის აღქმის თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონტექსტს. ეს დასტურდება როგორც მშობლიურ, ასევე მეორე/უცხო ენის ათვისებისას. მეორე/უცხო ენის მაგალითზე ეს უფრო მკაფიოდ ჩანს. არაერთი ექსპერიმენტი ჩატარებული იდიომების თარგმანზე მეორე/უცხო ენის ათვისებისას, რომელთა შედეგებიც ნათლად გვიჩვენებს, რომ შემსწავლელები უფრო სწორად თარგმნიან იდიომებს მაშინ, როცა მოცემულია იდიომის გამოყენების შესაბამისი კონტექსტი. მსგავსი

ბუნებრივია, რომ, რანაირადაც უნდა იყოს დაშორებული იდიომი თავისუფალი შესიტყვების პირველადი მნიშვნელობისაგან, კავშირი მათ შორის მაინც არსებობს. უდავოა ისიც, რომ იდიომი მეორეულია, ანუ კვლავ წარმოებადი, ე.ი. დროთა განმავლობაში თავისუფალმა შესიტყვებამ დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა. სავარაუდებელია, რომ იდიომური გამოთქმის შემადგენელ კომპონენტებს, რომელთაც მოეპოვებათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, დროთა განმავლობაში სხვა მნიშვნელობაც დაემატა და პოლისემიურობა შესძინა მას. აქ იგულისხმება, რა თქმა უნდა, კომპოზიტური იდიომები და არა ისეთი გაქვავებული გამოთქმები, რომლებშიც შემადგენელი კომპონენტების დამოუკიდებელი მნიშვნელობის მიგნება ჭირს, როგორიცაა, მაგალითად, *თმა ყალყზე აუვიდა, აინუნშიც არ მოსდის, აღჩუს (აღჩუზე) უჯდება კოჭი* და სხვ.

სწორედ იდიომის პოლისემიურობაზეა დაფუძნებული თანამედროვე ენათმეცნიერებაში არსებული ე. წ. კონფიგურაციის, ანუ ფრაზით გამოწვეული პოლისემიის ჰიპოთეზა (Configuration or Phrase-Induced Polysemy /PIP/) (Cacciari 1988-1993; Glucksberg 1993-2001). ამ თეორიის მიხედვით, კომპოზიტური იდიომების შემადგენელი კომპონენტები პოლისემიური ხდება. ასე, მაგალითად, იდიომში (*spill the beans*) spill-ს აქვს “გამომჟღავნების” დამატებითი მნიშვნელობა, ხოლო beans-ი შეიცავს “საიდუმლოს” ფიგურალურ მნიშვნელობას. ამ თვალსაზრისის მიხედვით, “ისეთი იდიომების გაგება, როგორიცაა “spill the beans”, დამოკიდებულია იდიომის შემადგენელი კომპონენტის შესაბამისი მნიშვნელობის შერჩევაზე, ისე რომ, სიტყვების მოცემული თანმიმდევრობა აღიქმება კონფიგურაციულად” (Vega-Moreno 2001, 78). იდიომის გაგება იწყება მისი სიტყვასიტყვითი აღქმით, შემდეგ გონებაში

სახის ექსპერიმენტები არაერთხელ გვაქვს ჩატარებული (ჩვენს კოლეგასთან - ს. ბერიკაშვილთან ერთად) თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში, ახალი ბერძნული ფილოლოგიის განყოფილების სტუდენტებთან, რისი შედეგებიც ასახულია კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებებსა და სტატიებში: 1) Lobzhanidze I., 2010, “Διαπολιτισμική άποψη των ιδιωτισμών στα Νέα Ελληνικά, Ρωσικά και Γεωργιανά”. *Πρακτικά 5^{ης} Συνάντησης Εργασίας Μεταπτυχιακών Φοιτητών του Τμήματος Φιλολογίας*, Αθήνα: Εθνικό και Καποδιστριακό Πανεπιστήμιο Αθηνών, 186-192; 2) Lobzhanidze I. & S. Berikashvili, 2008, “Comparative Analysis of Greek and Georgian Idiomatic Expressions”. *Phasis, Greek and Roman Studies*, Vol. 11, Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies, 6-14; 3) Lobzhanidze I. & S. Berikashvili, 2009, “Η διδασκαλία των ιδιωτισμών σε μη ελληνόφωνους φοιτητές”, მოხსენება წაკითხულია საერთაშორისო კონფერენციაზე: Η διδασκαλία της Ελληνικής γλώσσας (ως πρώτης/μητρικής, δεύτερης/ξένης), Πανεπιστήμιο Δυτικής Μακεδονίας, Νυμφαίο Φλώρινας, Ελλάδα და სხვ. მანამდე რამდენიმე წლით ადრე ასეთი ექსპერიმენტი ჩატარა არიზონის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯ. ლიონტასმა და აღწერა იგი მითითებულ ნაშრომში: “That’s all Greek to me! The comprehension and interpretation of Modern Greek phrasal idioms”. *The Reading Matrix* Vol. 1, 2001, გვ. 1-30.

წარმოქმნება გამოთქმის წინასწარ გამზადებული მნიშვნელობა – ე. წ. კონფიგურაცია და ხდება გამოთქმის იდიომური გააზრება. გარკვეული დროის განმავლობაში ეს პროცესი პარალელურად მიმდინარეობს, მერე კი ადამიანის ტვინი იდიომურ მნიშვნელობას ირჩევს. უფრო მეტიც, ვინაიდან იდიომი ხშირად დამოკიდებულია კონტექსტზე, მსმენელს/მკითხველს ესმის მნიშვნელობითი კონსტრუქციის (კონფიგურაციის) არსებობა იდიომური გამოთქმის პირველი ან მეორე სიტყვის გაგების/ნახვისთანავე. სხვანაირად აღნიშნულ სიტყვებს “იდიომურ გასაღებსაც” უწოდებენ.

ამ თეორიის ავტორები სამი სახის იდიომებს გამოყოფენ:

- 1) ბუნდოვანი იდიომები (მაგალითად, *kick the bucket*), რომლის მნიშვნელობიდან არ ჩანს, თუ რით არის იგი განპირობებული. ამ იდიომებს სხვაგვარად არაკომპოზიტური შეიძლება ვუწოდოთ. ქართული არაკომპოზიტური იდიომის მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ: *აშას კვრა, აბუჩად აგდება, იხტიბარს არ იტებს* და სხვ.;
- 2) კომპოზიტური იდიომები, რომელთა იდიომური მნიშვნელობა შეიძლება გადანაწილდეს მის შემადგენელ კომპონენტებზე (მაგალითად, *spill the beans*). ქართული კომპოზიტური იდიომების მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: *გულის ყელში მობჯენა, შიშის ჭამა, ფიანდაზად დაგება* და სხვ.
- 3) კვაზიმეტაფორული (ანუ ალუზიური) იდიომები (მაგალითად, *carry coals to Newcastle*). მსმენელი/მკითხველი იგებს ამ იდიომების სიტყვასიტყვით მნიშვნელობას და აღიქვამს მათ, როგორც იდიომური გამოთქმის კონცეფციის პროტოტიპულ ნიმუშებს. ქართული კვაზი-მეტაფორული იდიომების მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ: *კაკას ხიდი გაიარა, ჩაიღურის წყალი დალია* და სხვ.

ე. ვეგა-მორენოს აზრით, ამგვარ დაყოფაში კვაზიმეტაფორული იდიომების ანალიზი ძალიან ჰგავს ჩვეულებრივი მეტაფორული სიტყვების ანალიზს. ასე, მაგალითად, ნომინალურ მეტაფორაში: *my job is a jail* (ჩემი სამსახური ციხეა). როგორც ცნობილია, მეტაფორისათვის აუცილებელია ორპლანაიანობა, ანუ ორმაგი მიმართება: პირდაპირი და ხატოვანი ფიგურალური. ამგვარად, ზემოთ მოცემულ მაგალითში პირდაპირი მნიშვნელობა (“ციხე”) არის საფუძველი მეორე, უფრო

განზოგადებული, ფიგურალური მნიშვნელობისა (“სასჯელაღსრულების ადგილი”). ანალოგიურად განიხილება კვაზი-მეტაფორული იდიომებიც; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს არის იდიომისა და მეტაფორის ინტუიციურად (და შესაძლოა ისტორიულადაც) დაკავშირების საინტერესო ცდა (Vega-Moreno 2001, 79).

აღნიშნული კლასიფიკაცია საინტერესოა, თუმცა მასში გათვალისწინებულია მხოლოდ იდიომის სემანტიკური აღქმა, რომელიც ეფუძნება მის დაშლადობა-დაუშლელობას; იდიომის სემანტიკური მთლიანობა აქ თითქმის უგულებელყოფილია. ამ თვალსაზრისით, მსგავსი კლასიფიკაციები სხვა მეცნიერთა შრომებშიც გვხვდება. კერძოდ, ტ. ვასოვისა და მისი კოლეგების მიერ შემოთავაზებულია კლასიფიკაცია (Nunberg 1983, 102-115), რომელიც ხაზს უსვამს იდიომის სინტაქსური ქცევის დამოკიდებულებას მის სემანტიკურ მნიშვნელობაზე. ავტორები გვთავაზობენ შემდეგ კლასიფიკაციას:

- 1) არაკომპოზიტური იდიომები (მაგალითად, *kick the bucket*). იდიომური მნიშვნელობა ეკუთვნის მთლიან ფრაზას და, ამიტომაც, იდიომის პასივში გადაყვანა, ისევე როგორც იდიომიდან ცალკეული კომპონენტის ამოღება შეუძლებელია;
- 2) პირობითი მეტაფორები (მაგალითად, *spill the beans*). იდიომური მნიშვნელობა შეიძლება გადანაწილდეს იდიომის შემადგენელ კომპონენტებზე, მაგრამ ამ კომპონენტებს იდიომის გარეშე დამოუკიდებელი იდიომური მნიშვნელობა არ გააჩნიათ. შესაბამისად, იდიომისეული ზმნის პასივში გადაყვანა, ერთ-ერთი კომპონენტის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა და იდიომის მოდიფიკაცია შესაძლებელია ზედსართავი სახელის მეშვეობით;
- 3) კომპოზიტური იდიომების (მაგალითად, *pull strings*). იდიომური მნიშვნელობა შეიძლება გადანაწილდეს იდიომის შემადგენელ კომპონენტებზე. შესაბამისად, აღნიშნულ კომპონენტებს შეიძლება ჰქონდეთ დამოუკიდებელი იდიომური მნიშვნელობა იდიომის გარეშეც. შესაძლო სინტაქსური ცვლილებები აქ იგივეა, რაც მეორე ჯგუფში, ოღონდ დამატებით დაშვებულია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების გამოყენება (Nunberg 1994, 102-115; Tronenko 2003, 25-26).

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ენათმეცნიერებაში თვალსაზრისთა ერთიანობა არ შეინიშნება იდიომების კომპოზიტურობასთან დაკავშირებული კლასიფიკაციებთან დაკავშირებით. სხვადასხვა მეცნიერთან ერთი და იგივე იდიომი შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომპოზიტურად ან არა. ეს თავისებურება დამოკიდებულია ამა თუ იმ კლასიფიკაციის ძირითად პრინციპებზე. ბუნებრივია, რომ ყველა აღნიშნული კლასიფიკაცია საფუძვლად იღებს ინგლისური ენისათვის დამახასიათებელ ცვლილებებს იღებს. ქართულისთვის შესაფერისი კლასიფიკაციის შემუშავება კი ქართული იდიომების სპეციფიკიდან უნდა გამომდინარეობდეს. აქ გასათვალისწინებელი იქნება როგორც იდიომის სემანტიკური მხარე, ასევე ის სინტაქსურ-ტრანსფორმაციული ცვლილებები, რომლებიც შეიძლება ახასიათებდეს ამა თუ იმ იდიომს.

ბუნებრივია, რომ ლექსიკური ერთეულების იდიომური სემანტიკის გასაგებად დეკომპოზიტურობის ჰიპოთეზა ძალზე მნიშვნელოვანია, ასევე მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ თვალსაზრისად გვესახება იდიომის პოლისემიურობის თეორია. ამ თეორიიდან ამოსვლით, იდიომი დამოკიდებულია თავისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობაზე და თითქმის ყველა შემთხვევაში ამოსავალია სიტყვა-სიტყვითი, შემდეგ კი – იდიომური მნიშვნელობა. იდიომი თავისუფალი შესიტყვების მიმართ პოლისემიურ დამოკიდებულებაშია. ასევე, იდიომური მნიშვნელობის განსხვავება სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისაგან დამოკიდებულია იდიომის კომპონენტების პოლისემიურობაზე. აღსანიშნავია, რომ თვით იდიომური გამოთქმაც, თავის მხრივ, შესაძლებელია იყოს პოლისემიური (მაგ.: 215-218):

(214) ხელის დადება – 1) საცოლედ დანიშვნა ქალისა; 2) დანაშაულის დაბრალება; 3) წამლობა ავადმყოფისა; 4) მღვდლად კურთხევა;

(215) თვალის დახუჭვა – 1) დაძინება; 2) სიკვდილი; 3) გაპატიოსნება მიცვალებულისა; 4) განგებ დაუნახაობა ყველასათვის აშკარა და საჩინოსი.

მსგავსი სახის მაგალითები სხვა ენებშიც გვხვდება (მაგ.: 219-220):

(216) βάζω χέρι (სიტყვასიტყვით “ხელს ვდებ”) 1) მოპარვა; 2) დახმარების გაწევა; 3) ხელი ურევია;

(217) κλείνω τα μάτια (სიტყვასიტყვით “თვალს ვხუჭავ”) 1) სიკვდილი; 2) მოტყუება; 3) განგებ დაუნახაობა ყველასათვის აშკარა და საჩინოსი.

ამგვარად, იდიომური გამოთქმების ანალიზისას გვერდს ვერ ავუვლით პოლისემიურობის მოვლენას, ოღონდ აქ, ისევე როგორც ზემოთ აღინიშნა¹²⁵, უნდა განვასხვაოთ პოლისემიურობის სხვადასხვა დონე.

¹²⁵ იხ. გვ. 181-192.

4.1. იდიომების ლექსიკური დონეები

იმის გათვალისწინებით, რომ საერთოდ ფრაზეოლოგიური ერთეულისა და, კერძოდ, იდიომის კროსლინგვისტური თავისებურების საფუძველს წარმოადგენს როგორც მისი სტრუქტურული, ისე სემანტიკური მხარეც; განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭეთ ამ ერთეულების სინტაქსურ ქცევასა და ტრანსფორმაციულ შესაძლებლობებს, ხოლო კროსლინგვისტური სემანტიკური მნიშვნელობის საკვლევად ყურადღება მივაქციეთ შემდეგ საკითხებს: ა) იდიომათა ე. წ. “თემატურ ჯგუფებს” (იგულისხმება სომატური, ზოომორფული, ბიბლიურ-მითოლოგიური და სხვა ჯგუფები) და, ბ) კროსლინგვისტური ეკვივალენტების ტიპებს, ანუ იდიომების სხვადასხვა ენაზე თარგმნისას მათს შესატყვისთა მოძიებას და, ზოგადად, იდიომების კონტრასტულ ანალიზს.

ერთ-ერთ პრობლემას, რომელსაც მთარგმნელი აწყდება, წარმოადგენს იდიომური გამოთქმების ტრანსფორმაცია წყარო-ენიდან (L1) სათარგმნელ ენაზე (L2) გადმოცემისას. ბუნებრივია, რომ თარგმანის პროცესში მთარგმნელები სხვადასხვა ხერხს იყენებენ. ამასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე თეორია. ერთი მათგანია ვ. უილსის მიერ შემოთავაზებული ე. წ. პირდაპირი ხერხი: სესხება, კალკირება და სიტყვასიტყვითი თარგმანი, ასევე – ირიბი ხერხები: ტრანსპოზიცია (transposition, μετάταξη), მოდულაცია (modulation, μετατροπή), ეკვივალენტობა (equivalence, ισοδυναμία), ადაპტაცია (adaptation, προσαρμογή) (Vinay 1958-1977; Wilss 1982; Παρίδου 1998), ისევე როგორც პ. ნიუმარკის მიერ შემოთავაზებულ ხერხებს შორის აღსანიშნავია სესხება, ტრანსპოზიცია მათ შორის – ნეიტრალიზაცია (ჩანაცვლება უფრო ნეიტრალური სიტყვებით), ან მხატვრული თარგმანი, გამოტოვება, გავრცობა, პარაფრაზი და, საბოლოოდ, მსგავსი სინონიმური ან საპირისპირო სიტყვების გამოყენება (Newmark 1988). ყველა ამ ხერხის მოშველიება რელევანტურია იდიომური გამოთქმების უცხო ენაზე გადმოცემისას.

ტრანსპოზიცია გულისხმობს გრამატიკულ ცვლილებებს, ანუ წყარო-ენის მეტყველების ნაწილების, ანდა სინტაქსურ-სინტაგმური სტრუქტურების გარდაქმნას სამიზნე ენის სხვა “სინონიმურ”, ასე ვთქვათ, მსგავს მეტყველების ნაწილებად ან ანალოგიურ ტრანსფორმირებად სინტაქსურ-სინტაგმურ სტრუქტურებად, მაგალითად, ქართული იდიომა *ენას იკიდებს* ბერძნულში მხოლოდ *πρασιζω* ზმნით

გადავა, რომელიც გრამატიკული თვალსაზრისით ქართულ იდიომში დადასტურებული ზმნური კომპონენტის იდენტურია, მაგრამ მოიცავს მთლიანად ორკომპონენტიანი იდიომის მნიშვნელობას.

მოდულაცია გულისხმობს საერთო მნიშვნელობის შენარჩუნებას, ოღონდ სტრუქტურული და კომპონენტური მნიშვნელობის შეცვლას, რის შედეგადაც ფრაზის სემანტიკური მნიშვნელობა ორსავე ენაზე ადეკვატურად აღიქმება, შდრ. *ყელამდე სავსე – δεν του λείπει τίποτα* (=არაფერი აკლია), *წისქვილს ააბრუნებს will start a long-winded story* (=მოჰყვება გაუთავებელ ლაპარაკს), *აინუნშიც არ აგდებს he обращать на кого-либо внимания* (=არაფრად მიიჩნევს, უგულებელყოფს) და სხვ.

ეკვივალენტობა (შესატყვისობა) ყველაზე ნათლად სწორედ იდიომებში, ფრაზეოლოგიზმებში, ანდაზებსა და აფორიზმებში ჩანს. ეკვივალენტობა შეიძლება იყოს ფორმალური ან ფუნქციონალური. ფორმალური ეკვივალენტობის შემთხვევაში, სამიზნე ენაში დადასტურებული ესა თუ ის შესიტყვება რაც შეიძლება ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს წყარო-ენის შესიტყვებას, ხოლო ფუნქციონალური ეკვივალენტობის შემთხვევაში სამიზნე ენის ესა თუ ის შესიტყვება მკითხველზე/მოსაუბრეზე იმ შთაბეჭდილების ახდენს, რომელიც შეესაბამება წყარო-ენაში დადასტურებულ ერთეულს. ამ ორ მიდგომას შორის განსხვავება ის არის, რომ პირველ შემთხვევაში ყურადღება წყარო-ენაზეა გამახვილებული, ხოლო მეორე შემთხვევაში – სამიზნე ენაზე.

პირველ შემთხვევაში, ძირითადად, გვაქვს სიტყვასიტყვითი თარგმანი, რომელიც დასაშვებია სამიზნე ენაში, შესაბამისად, მკითხველი მნიშვნელობას კი იგებს, მაგრამ სტრუქტურულადაც და სემანტიკურადაც ეძებს უფრო მისაღებ ერთეულს. მაგალითად, ბერძნული იდიომი *ρίχνα λάδι στη φωτιά* (ცეცხლზე ნავთს ასხამს) ინგლისურად სიტყვასიტყვით ითარგმნება: *I throw oil on the fire* – მსგავსი ტიპის იდიომი ინგლისურში არსებობს, თუმცა ინგლისურენოვანი მოლაპარაკე უფრო გამოიყენებს სხვა ერთეულს, კერძოდ, *I add fuel to the fire (flame)*.

მეორე შემთხვევაში კი საყურადღებოა, თუ რა დონეზე გვსურს შესაბამისობის მიღება: შინაარსის, სტილის, ფორმის, ფუნქციის, ტექსტის, კომუნიკაციის, პრაგმატიკისა თუ სხვა რომელიმე დონეზე (Koller 1981). ეკვივალენტობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაგმატული იდიომების თარგმნისას. ფუნქციონალური ეკვივალენტობის მაგალითად კი შეიძლება დასახელდეს

ქართული იდიომი *სიხარულით ფეხზე (აღ)არა დგას*, რომელიც ბერძნულში შემდეგნაირად გადმოვა: *πετάει απ' τη χάρὰ* (სიხარულით დაფრინავს).

ადაპტაცია იმ შემთხვევაში გვაქვს, როცა შესაბამისი ერთეული სამიზნე ენაში არ მოიპოვება. ამ გზით მთარგმნელი ცდილობს ტოლფასი სიტუაციის შექმნას, რომ შესიტყვებამ მკითხველზე/მოსაუბრეზე იგივე ზეგავლენა მოახდინოს, რაც წყარო-ენაში, შდრ. რუსული იდიომის *в копеечку влететь (обойтись)* ნებისმიერ სხვა ენაზე თარგმნისას შესაძლებელია ორნაირად: ან უბრალოდ მნიშვნელობის გადმოცემით, როგორიცაა *ძვირად დაუჯდა - will cost dear*, ან ამავე მნიშვნელობის სხვა გამოთქმის მოძიებით, როგორიცაა *μου κόστιζε ο κούκος αηδόνι* (გუგული ბულბულის ფასად დამიჯდა).

მაგალითებიდან ჩანს, რომ არ არის აუცილებელი ერთი და იმავე იდიომის სხვადასხვა ენაში გადმოსაცემად ერთი და იგივე ტექნიკა გამოვიყენოთ, ვინაიდან ის, რაც არ ითარგმნება ერთ ენაზე, ან რისი ადაპტირებული ვარიანტიც შეუძლებელია, მოვიძიოთ ერთ ენაში, შეიძლება ითარგმნოს მეორეში, ან მოვიძიოთ სათანადო ვარიანტი. ამიტომაც გამოვლენილი კავშირების ასახვა შესაძლებელია შემდეგი

სქემების სახით: 1) $X(L_1) \rightarrow X(L_2...L_4)$; 2) $X(L_1) \nearrow Y(L_2)$; 3) $X(L_1) \rightarrow Y(L_2...L_4)$; 4) $X(L_1) \searrow X(L_3...)$

$X(L_1) \rightarrow Z(L_2...L_4)$, სადაც L_1 ასახავს წყარო-ენას (აქ ქართულს), $L_2...L_4$ – სამიზნე ენას (მაგ., ინგლისურს, ახალ ბერძნულს, რუსულს და ა.შ.), $X(L_1)$ – წყარო-ენის ელემენტია, $X(L_2)$, $X(L_3)$, ანდა $X(L_4)$ – სამიზნე ენების ლექსიკური დონის იდიომური ელემენტები, $Y(L_2)$, $Y(L_3)$ ან $Y(L_4)$ – სამიზნე ენების სემილექსიკური დონის იდიომური ელემენტები, ხოლო $Z(L_2)$, $Z(L_3)$ ან $Z(L_4)$ – სამიზნე ენების პოსტლექსიკური დონის იდიომური ელემენტები.

განსაკუთრებულ სიფრთხილეს ითხოვს ე.წ. ეროვნული ნიშნით მარკირებული იდიომები, რომელთა შესაბამისი ეკვივალენტები შეიძლება რომელიმე ერთ ენაში დადასტურდეს, მეორეში კი – არა. ასე, მაგალითად, მკვლევარი ო. მიგაჩოვა ახალ-ბერძნული და რუსული იდიომური გამოთქმების შედარებისას ეროვნული თვალსაზრისით მარკირებულად მიიჩნევს იდიომთა გარკვეულ ჯგუფს, რომელიც სხვა ენაზე არ ითარგმნება და ეკვივალენტი არც სხვა ენებში დაიძებნება (Мигачева 1997). სხვა იდიომთა შორის იგი ასახელებს იდიომს *είναι διαβόλου κάλτσα* (ეშმაკის

წინდაა), რომელსაც, ეკვივალენტი რუსულში არ მოეპოვება, მაშინ როცა ქართულში დასტურდება იდიომი – *ეშმაკის ფეხი*, რომელიც ფაქტობრივ, ახალბერძნული იდიომის სემილექსიკური დონის ვარიანტია (Lobzhanidze 2008).

ზოგადად ფრაზეოლოგიური ერთეულების, კერძოდ, იდიომების თარგმნა ამა თუ იმ ენაზე საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს. ეს იმით აიხსნება, რომ ესა თუ ის იდიომი ამა თუ იმ ხალხის მსოფლმხედველობის ასახვისა და ეროვნული ხასიათის მატარებელი ერთეულია. იდიომური გამოთქმის ძირითად თავისებურებას მისი ექსპრესიულობა, ხატოვანება და ეროვნულ-სპეციფიკური ნიშნები წარმოადგენს, რაც განსაზღვრულ სირთულეს უქმნის იდიომური გამოთქმების თარგმნასაც.

იდიომური გამოთქმების თარგმნისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონტექსტს, რომელშიც გამოიყენება ესა თუ ის იდიომური ერთეული. იდიომების კვლევისას არაერთი ექსპერიმენტი ჩატარებულა იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კონტექსტური, სხვაგვარად – ფრეიმული თავისებურების გათვალისწინება იდიომების აღსაქმელად და უცხო ენაზე გადმოსაცემად. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით აქტუალურია, როცა საკითხი ეხება ე.წ. პოსტლექსიკური დონის იდიომებს. შესაბამისი კონტექსტის არსებობის შემთხვევაში წინადადების სინტაქსური წყობა და იდიომის ამოსავალი (სიტყვასიტყვითი) მნიშვნელობის გაფართოებით უფრო ადვილი ხდება თარგმნას და იდიომის მეტაფორული მნიშვნელობის აღქმა (Liontas 2001, 21), რაც, მართლაც, უფრო ადვილია კონტექსტში, ვიდრე მაშინ, როცა წარმოდგენილია ცალკე, კონტექსტის გარეშე.

ბუნებრივია, რომ, თუ კონტექსტიდან გამომდინარე, ერთსა და იმავე იდიომს სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება, აღნიშნული თავისებურება უნდა აისახოს თარგმანშიც. შდრ., მაგ., ბერძნული იდიომი *τα βάζω μαζί του* ან *τα βάζω με κάποιον* – *ვეჩხუბები, ვბრაზდები* (სიტყვასიტყვით: *რაღაცას ვდებ ერთად, ან რაღაცას ვდებ ვიღაცასთან*) კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობას იღებს. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ორ ამონარიდს ბერძენი მწერლის ნიკოს კაზანძაკისის რომანიდან ”ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის” (Καζαντζάκης 1964), რომელშიც აღნიშნული იდიომი სხვადასხვა კონტექსტში გვხვდება და, შესაბამისად, სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს (მაგ.: 219-220):

(218) “Το Νικολιό ένιωσε ξαφνικά να ξεχειλίζει η δύναμή του, στράφηκε γύρα να δει με ποιόν να ξοδέψει τη δύναμη που του περίσσευε. Ερημιά. Μήτε άντρας να πιαστούν, μήτε γυναίκα να τη ρίξει κάτω, τα πρόβατα είχαν ξαπλώσει κάτω από τα πουρνάρια, στον ίσκιο, χαχόλικα και ειρηνικά. ντροπή **να τα βάλεις μαζί τους.** ”
 (“ნიკოლიომ მოულოდნელად ძალის მოზღვაება იგრძნო, მიმოიხედა, ვინმე ხომ არ არის გვერდით, რომ შეიძლებოდეს ზედმეტი ძალის დახარჯვაო. არავინ. არც კაცია, რომ შეებრძოლო, არც ქალია, რომ ძირს დააგდო. თხები ნახა ბუჩქის ძირას, ჩრდილში, ლაღად და მშვიდობიანად ეძინათ. **მათთან ჩხუბი სირცხვილია, გაიფიქრა**”)

(219) “– Φτάνει πια, Κατερίνα, κάμε έλεος, μην πειράζεις τους ανθρώπους, αποκρίθηκε ο Γιαννακός. Θαρρείς πως δε σε πρόφτασα χτες βράδυ, που έπαιζες το μάτι στο Μανολιό; **Με αυτό το αθώο πλάσμα** τώρα **θα τα βάλεις**, αθεόφοβη; Δεν τον λυπάσαι;” (“კმარა, კატერინა, შემიბრალე, ხალხს ნუ აწუხებ, – უპასუხა იანაკოსმა. – შენ რა გგონია? აკი თვალი ვერ შეგასწარი გუშინ, როცა მანოლისს უთვალთვალებდი? ამ გულუბრყვილო არსებასთან გინდა ახლა **დაამყარო სასიყვარულო კავშირი**, უნამუსო? არ გეცოდება?”).

პირველ შემთხვევაში ეს იდიომი ‘*ჩხუბის*’ მნიშვნელობით გამოიყენება, ხოლო მეორე შემთხვევაში – ‘*სასიყვარულო კავშირის*’ მნიშვნელობით. ამგვარად, იდიომის თარგმნისას ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მისი კონტექსტში განხილვა უნდა მივიჩნიოთ.

გარდა ამისა, ძალიან ბევრ ფრაზეოლოგიურ ერთეულს ახასიათებს პოლისემიურობა, რის გამოც იგი სხვა ენაზე იგი რამდენიმე ვარიანტით შეიძლება გადმოიცეს, ეს კი ბუნებრივად ართულებს თარგმნის პროცესს. ასე, მაგალითად, რუსული იდიომი *подлить масло в огонь* ქართულში რამდენიმე ვარიანტით შეიძლება გადმოვიდეს, *ცეცხლზე წყალს ვასხამ*, *ცეცხლზე ნავთს ვასხამ*, *ცეცხლ-ნავთში ვატარებ*, *ცეცხლს ვუკიდებ*, *ცეცხლის ალში ვატარებ*, *ცეცხლს გავუჩენ* და ა. შ. რა თქმა უნდა ეს იდიომები ზუსტი ეკვივალენტები არ არის, ზუსტ ეკვივალენტებად პირველი ორი შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ, კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყენებოდეს ამა თუ იმ თარგმანში. ანალოგიურად, ეს იდიომი სხვადასხვაგვარად შეიძლება ითარგმნოს ბერძნულ და ინგლისურ ენებშიც: *ρίχνω λάδι στη φωτιά* (*ცეცხლზე ზეთს ვასხამ*), *ανάβω φωτιά* (*ცეცხლს ვანთებ*), *βάζω φωτιά*

(*ცეცხლს ვუკიდებ*) და *add fuel to the fire* (*ცეცხლს ნავთს ვუმატებ*), *add fuel to the flames* (*აღს ნავთს ვუმატებ*), *set fire* (*ცეცხლს ვუკიდებ*) და სხვ.

კონტექსტიდან გამომდინარე, უნდა შემუშავდეს სპეციალური კომბინაციური ჯგუფები, რომლებშიც აისახება კონკრეტული იდიომის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების შესაძლებლობა. აღნიშნული ჯგუფების გამოვლენა, ძირითადად, პარალელური კორპუსების საშუალებით ხორციელდება. მაგალითისთვის მოვიყვანთ დ. დობროვოლსკის მიერ ჩატარებულ კვლევას რუსული და გერმანული ენების იდიომური მასალის კონტრასტული ანალიზის მიმართულებით, რომელშიც ავტორს გამოყოფილი აქვს იდიომური გამოთქმების სხვადასხვა კონტექსტზე გათვლილი სპეციალური ჯგუფები (Dobrovolskij 2000). ე. ნაიდას მიხედვით: “კონტექსტთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ ლექსიკური მნიშვნელობის რელევანტურობა, რომლის კლასიფიცირების საფუძველს კონტექსტის ტიპები წარმოადგენს. ეს მიდგომა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი კომბინატორული მიდგომა უფრო გამოსადეგია პარადიგმატული რიგის თვალსაზრისით” (Nida 1997). სასურველი იქნებოდა ამ მიდგომით იდიომური გამოთქმების ბილინგვური ლექსიკონების შედგენაც, სადაც გამოთვლილი იქნებოდა ამა თუ იმ იდიომის გამოყენების კონტექსტი. შესაბამისად, ამგვარ ბილინგვურ ლექსიკონებში შესაძლებელი იქნება იდიომის ან სიტყვის პოლისემიურობის განსაზღვრა, ვინაიდან სამიზნე ენის განსხვავებული გამოყენება არ დადასტურდება წყარო-ენაში (Dobrovolskij 2000, 180-182).

იდიომის სწორად სათარგმნელად გათვალისწინებულ უნდა იქნეს, ერთი მხრივ, ის ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს იდიომი, ხოლო მეორე მხრივ, ის ზემოქმედება, რომელსაც იგი ახდენს მსმენელზე/მკითხველზე/მოსაუბრეზე, ანუ მნიშვნელობა ენიჭება იდიომის როგორც რეფერენციულ, ასევე პრაგმატულ დანიშნულებას (referential and pragmatic purpose) (Newmark 1988, 104). ზოგ მეცნიერს მიაჩნია, რომ იდიომის თარგმნისას უპირატესობა ზუსტად პრაგმატულ დანიშნულებას უნდა მიექცეს, ვინაიდან ზუსტად ის არის “განმსაზღვრელი” იდიომში (Μπατσალიα 2010, 300).

იდიომის თარგმნის აუცილებელ პირობად უნდა მივიჩნიოთ მისი კომპოზიტურობა. ამ შემთხვევაში “ხელშესახები უნდა იყოს კავშირი გამოთქმის ამოსავალსა და ზოგად მნიშვნელობას შორის, ანუ ნათლად უნდა ჩანდეს გამოთქმის

მოტივაციის კვალი”. სხვაგვარად რომ ვთქვათ, “თარგმნას, ძირითადად, ექვემდებარება ხატოვანი იდიომები, რომლებშიც გაწყვეტილი არაა კავშირი მეტაფორიზაციის საფუძველსა და შედეგს შორის” (თაყაიშვილი 1961, 109).

ფაქტია, რომ ნებისმიერი ორი ენის იდიომური მასალის შეპირისპირებისას ვლინდება სხვადასხვა მთარგმნელობითი დონეების გამოყოფის შესაძლებლობა, რამდენადაც: ა) არსებობს იდიომები, რომლებიც მრავალი ენისათვისაა გასაგები და, შესაბამისად, მათი თარგმანიც პრობლემას არ წარმოადგენს. ძირითადად, ეს საერთო წყაროდან (როგორიცაა ბიბლია, მითოლოგია და ა.შ.) სხვადასხვა ენაში გადასული საყოველთაოდ ცნობილი იდიომებია; ბ) გვაქვს იდიომები, რომლებიც ნაწილობრივ მსგავსი სემანტიკით ხასიათდება და ამიტომაც ასევე, დაუბრკოლებლად ექვემდებარება თარგმანს; გ) არსებობს იდიომები, რომლებიც დასტურდება ამა თუ იმ კონკრეტულ ენაში, მაგრამ არ გვხვდება სხვა ენებში და განეკუთვნება ე.წ. ეროვნული ნიშნით მარკირებულ ერთეულებს.

საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში მსგავსი იდიომური გამოთქმების არსებობის გათვალისწინებით, იდიომებს ვყოფთ შემდეგ ლექსიკურ დონეებად: 1. ლექსიკური დონე (იდიომური გამოთქმების შედარებისას გვაქვს მსგავსი ლექსიკური ერთეულები ქართულსა და უცხო ენებში); 2. სემილექსიკური დონე (შედარებისას გვაქვს ნაწილობრივ მსგავსი ლექსიკური ერთეულები ქართულსა და უცხო ენებში), და; 3. პოსტლექსიკური დონე (შედარებისას გვაქვს განსხვავებული ლექსიკური ერთეულები).

თარგმნისას ძირითადი სირთულებები, რა თქმა უნდა, მეორე და მესამე ჯგუფის იდიომებთან გვხვდება. პირველი ჯგუფის იდიომების შემთხვევაში შეგვიძლია ვიმსჯელოთ კონოტაციური და სტრუქტურული მნიშვნელობის სრულ დამთხვევაზე სხვადასხვა ენაში. ამიტომაც ამ ჯგუფის იდიომების თარგმანის შესრულებისას, როგორც წესი, სირთულებები ნაკლებად ჩნდება (მაგ.: 221, 222).

(220) სულით და გულით; душой и сердцем; with heart and soul; με ψυχή και με καρδιά;

(221) ხელი დაიბანა; wash one's hands of it; νίπτω τὰς χεῖρας μου; умыть руки;

აქ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ, რაც უფრო მეტ ენაში არსებულ იდიომურ მასალას ვუდარებთ ერთმანეთს, მით უფრო ნაკლები ალბათობაა სრული ეკვივალენტების მოძიებისა. მაგალითად, ქართული იდიომის – *სულით და გულით* –

სრულ სემანტიკურ და სტრუქტურულ ეკვივალენტად შეიძლება ჩაითვალოს რუსული ვარიანტი *душой и сердцем (всей душой, всем сердцем)*, ხოლო სტრუქტურულად – ნაწილობრივ და სემანტიკურად სრულ ეკვივალენტებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ინგლისური *with heart and soul* და *ახალბერძნული με ψυχή και με καρδιά*. ასევე, სტრუქტურულად ნაწილობრივ და სემანტიკურად სრულ ეკვივალენტებად შეგვიძლია მივიჩნიოთ მაგალითი 223; იგი ოთხსავე ენაში დასტურდება და საერთო წყაროდან – ბიბლიიდან მომდინარეობს. ცხადია, არსებობს სხვა მაგალითებიც, რომლებსაც საერთო წყარო არ ახასიათებთ, მაგრამ მათი რაოდენობა ნაკლებია და, როგორც წესი, მსგავსი ერთეულები კონკრეტულ ჯგუფებს განეკუთვნება, როგორიცაა სომატური იდიომები (მაგ.: 223)

(222) გულს უხსნის (გულს უშლის); to open one's heart (to someone); ανοίγω την καρδιά (σε κάποιον); раскрыть сердце (открыть сердце).

მთარგმნელობითი თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია სემილექსიკური (ნაწილობრივ მსგავსი, მაგ.: 224) და პოსტლექსიკური (განსხვავებული, მაგ.: 225) დონეების გარჩევა.

(223) რაც სულსა და გულს სურს; to one's heart's content (everything you could desire); ό,τι (όσο) τραβάει η ψυχή κάποιου; что твоей душе угодно (сколько душе угодно).

(224) აინუნშიც არ აიგდებს, ჩაიღურის წყალი დალია და ა.შ.

პოსტლექსიკურად შეიძლება მივიჩნიოთ ის იდიომები, რომლებიც სხვა ენებში არ დასტურდება და მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ ხასიათს ატარებს. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტ სირთულეს ზუსტად ამ უკანასკნელი ჯგუფის იდიომების გადმოცემისას ვაწყდებით. ეს სირთულეები ჩნდება არა მხოლოდ თარგმნისას, არამედ უცხო ენის შესწავლის დროსაც. იდიომური გამოთქმების მეორე ენით გადმოცემისას, მეცნიერები, ასხვავებენ გამოთქმის ენობრივ მნიშვნელობას (linguistic meaning), სიტყვასიტყვითს (literal meaning) და მწერლის/მთქმელის მნიშვნელობას (speaker/writer meaning) (Liontas 2001, 1). გამოთქმის **ლინგვისტური მნიშვნელობას** უწოდებენ იმ მნიშვნელობას, რომელიც სემანტიკურად ახასიათებს ამა თუ იმ გამოთქმას იმ ხალხის კულტურაში, რომელიც ამ ენაზე მეტყველებს, მაშინ როცა მწერლის ან მთქმელისეული მნიშვნელობა შეიძლება განსხვავებული იყოს გამოთქმის ლინგვისტური მნიშვნელობისაგან, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რა

მნიშვნელობას ანიჭებს მას მწერალი/მთქმელი – სიტყვასიტყვით თუ ფიგურალურს. სწორედ ამ მნიშვნელობათა შორის კავშირის დამყარების უნარზე დამოკიდებული იდიომის სწორი აღქმა. მეტაფრაზეოლოგიის ან მეორე ენის შესწავლის ფარგლებში იდიომების აღქმა პრაგმატულ კონტექსტში ხორციელდება, შემსწავლელნი ჯერ სიტყვასიტყვით მნიშვნელობას ეძებენ, ხოლო შემდეგ – იდიომურს. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც მენტალური მთარგმნელობითი მექანიზმი (mental language-translator device) იდიომის პირდაპირ აღქმაში მათ ხელს უშლის (Liontas 2001, 24-25).

ამიტომაც ნებისმიერი მეორე ენის სწავლებისას ან მეორე ენაზე თარგმნისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მესამე ჯგუფის – ე. წ. პოსტლექსიკური დონის იდიომურ გამოთქმებს. იმისათვის, რომ გამოგვევლინა, რამდენად ძნელია პოსტლექსიკური დონის იდიომების გადმოცემა უცხო ენაზე, ჩავატარეთ მცირე ექსპერიმენტი, კერძოდ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ახალი ბერძნული განყოფილების მეოთხე კურსის სტუდენტებთან (რომელთაც ენის ფლობის დონე შედარებით მაღალი აქვთ), შემოვიტანეთ იდიომური გამოთქმები (რომლებიც მოცემული იყო გარკვეულ ენობრივ კონტექსტში) და ვთხოვეთ მიეწერათ, მათი აზრით, რომელი ქართული გამოთქმა შეესაბამება ამა თუ იმ ახალბერძნულ იდიომს. ამით ჩვენ გვსურდა გამოგვევლინა, თუ რა სირთულეს ვხვდებით იდიომური გამოთქმების გაგების თვალსაზრისით და რამდენად შეესაბამება ქართული მსოფლმხედველობა და ამა თუ იმ იდიომის აღქმა კონტექსტურ სიტუაციას ახალბერძნულში. სტუდენტთა უმრავლესობამ სწორი შესატყვისები მოიძია, ძირითადი სირთულეები გამოვლინდა ახალი ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი ე. წ. ეროვნულად მარკირებული ერთეულების თარგმნისას (მაგ.: 226-229)

(225) **Βγάζω παρά με ουρά** – ბევრ ფულს აკეთებს (სიტყვასიტყვით: გამოაქვს პარასი (თურქული ლირას უმცირესი ერთეული) კუდით): “Θα της εξασφαλίζε μόρφωση κι άνετη ζωή. Την εποχή εκείνη έβγαζε παρά με ουρά” (Βλαχόπουλος, Στ., Λεξικό των Ιδιωτισμών της Νέας Ελληνικής);

(226) **Δεν δίνω έναν παρά** (αδιαφορώ, δε δίνω σημασία) – ყურადღებას არ აქცევს რამეს ან ვინმეს (სიტყვასიტყვით: ერთ პარასსაც არ მივცემ): “Σαν άνθρωπος που ξέρει τη δουλειά του και τη σπούδασε στο ιερατικό σχολείο της Λιέγης, έναν παρά

δεν έδινε για τους ιερούς σκοπούς της Σταυροφορίας ο Βαλδουίνος” (Βλαχόπουλος, Στ., Λεξικό των Ιδιωτισμών της Νέας Ελληνικής);

(227) **Στοιχίζουν ο κούκος αηδόνι** – ძვირად უჯდება (სიტყვასიტყვით: გუგული ბულბულის ფასი ღირს): “Προπαντός τα παπούτσια στοιχίζουν ο κούκος αηδόνι” (Δεμίρη-Προδρομίδου, Ε., Η γλώσσα των ιδιωτισμών και των εκφράσεων);

(228) **Είναι φωτιά και λάμρα** – ცეცხლის ფასი უკიდია (სიტყვასიტყვით: ცეცხლი და სიცხეა): “Προπαντός τα παπούτσια είναι φωτιά και λάμρα. Γι’ αυτό δεν ψάνισα τίποτα” (Δεμίρη-Προδρομίδου, Ε., Η γλώσσα των ιδιωτισμών και των εκφράσεων) და სხვ.

შესაბამისად, ამ სახის იდიომების განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ იდიომის ლექსიკური მნიშვნელობა, არამედ ენებს შორის არსებული კულტურული პარალელებიც. ამიტომაც მსგავს შემთხვევებში მიზანშეწონილი არ არის იდიომის სიტყვასიტყვითი გადმოცემა (ვინაიდან სათარგმნელ ენაში აღნიშნული იდიომები არ არსებობს), მკითხველზე/მსმენელზე შესაბამისი ეფექტის მოსახდენად, მსგავსი ტიპის იდიომების გადმოცემა ხდება მხოლოდ მათ ლექსიკური მნიშვნელობის კუთხით. მაგალითად, ახალბერძნული იდიომის: *φτιάχτηκαν με την ψυχή στο στόμα* გადმოცემა ქართულად მიზანშეწონილია კონოტაციური მთარგმნელობითი ტექნიკის გამოყენების გზით, რის შედეგადაც მივიღებთ შემდეგს: *ძლივს/გაჭირვებით აშენდა*. თვით იდიომი მსგავს კონტექსტში საერთოდ გამოტოვებულია და ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც მისი სიტყვასიტყვითი ქართული თარგმანი *სულით პირში აშენდნენ* არათუ ვერ მოახდენს მკითხველზე/მსმენელზე შესაბამის ეფექტს, არამედ სრულ უაზრობას წარმოადგენს. აღნიშნული მაგალითი ნათელყოფს კავშირს იდიომური გამოთქმის ხატოვნებასა და კულტურული მიმართების ელემენტებს შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მთელი რიგი იდიომური გამოთქმები, რომლებიც ლექსიკური კომპონენტების მიხედვით თითქოს ერთი და იგივეა სხვადასხვა ენაში, მაგრამ მათი მნიშვნელობა სრულიად განსხვავებულია. ასე, მაგალითად, ქართულ გამოთქმას *გული ამოხტომაზე/ამოვარდნაზე*, რომელსაც ნერვიულობის მნიშვნელობით ვიყენებთ ხოლმე, ინგლისურში მიესადაგება შემდეგი ერთეული: *my heart jumped*, რომელსაც ‘შიშის’ მნიშვნელობით იყენებენ (*trembled from fear, terror*), ბერძნულში – *η καρδιά μου χοροπηδάει*, ‘სიხარულის’

მნიშვნელობით, ხოლო რუსულში *сердце выпрыгивает* ორივე მნიშვნელობით გვხვდება (сердце от страха/от радости выпрыгнуло из груди).

ცნობილია, რომ ერთი და იმავე საგნის მნიშვნელობა სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვანაირად შეიძლება აღიქმებოდეს. ეს, რა თქმა უნდა, ბევრ გაუგებრობას იწვევს კულტურათშორისი ურთიერთობის დონეზე და, ამგვარად, არა მხოლოდ იდიომის ერთიანი სემანტიკური მნიშვნელობა შეიძლება აღიქმებოდეს სხვაგვარად, არამედ მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობაც. ასე, მაგალითად, რუსულ იდიომში – *вносить свою лепту во что-то* – სიტყვა *лепта* შეიძლება ბერძნულ სიტყვას *λεπτό*-ს დავუკავშიროთ, მაგრამ ბერძნულში მსგავს კონტექსტში აღნიშნული სიტყვა არ გამოიყენება. აღნიშნული იდიომი ქართულად ითარგმნება როგორც *წვლილის შეტანა*, ბერძნულად გადმოიცემა ერთი სიტყვით მხოლოდ *συμβάλλω* ან იდიომით *προσφέρω τον οβολό μου* (სიტყვასიტყვით: *ვთავაზობ ჩემს ობოლს* (ობოლი – ფულის ერთეულია), ხოლო ინგლისურად – *the widow's mite*. ის ფაქტი, რომ ეს იდიომი ითარგმნება სხვადასხვა ენაზე, იმის მანიშნებელია, რომ აღნიშნულ ენებში არსებობს მსგავსი თემატური ველი, რომელიც ხაზს უსვამს ამ იდიომის ექსტრალინგვისტური ფორმის არსებობას.

იდიომური გამოთქმების შესწავლის შედეგად ვლინდება მათი მიმართება სათანადო ქვეყნის ეროვნულ კულტურასთან, მის ისტორიულ გარემოსთან, ხალხის მსოფლმხედველობასთან, რელიგიასა და ტრადიციასთან, ასევე, ისეთ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან, როგორიცაა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები და ა. შ. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება სემანტიკური მსგავსების, ტიპოლოგიური პარალელებისა და გეოგრაფიული თუ ისტორიულ-კულტურული რეალიებისა და კონტაქტების საფუძველზე სხვადასხვა სახის იდიომური გამოთქმების განხილვა, როგორიცაა, პირველ ყოვლისა, სომატური, აგრეთვე ბიბლიურ-მითოლოგიური და სხვ. იდიომები.

4.2. იდიომების კომპონენტთა ლექსიკური ანალიზი

შეხვედრის სიხშირის თვალსაზრისით, ყველა სახის იდიომებს სჭარბობს ე.წ. სომატური იდიომები, იგულისხმება ისეთი იდიომები, რომელთა სახელური

კომპონენტი ადამიანის სხეულის რომელიმე ნაწილის აღმნიშვნელ არსებით სახელს წარმოადგენს (ცხრილი 14). სულ განხილულია 46 სომატური იდიომი. ამოსავლად ავიღეთ ქართული ენისათვის დამახასიათებელი იდიომური მასალა, ხოლო შემდეგ მას მივუსადაგეთ ინგლისური, ახალბერძნული და რუსული იდიომატიკა. ამას ხაზს ვუსვამთ იმ მიზნით, რომ თავი ავარიდოთ გაუგებრობას, რადგანაც აღნიშნულ ინდოევროპულ ენებში შეიძლება არსებობდეს სხვა სომატური იდიომები.

ცხრილი 14: სომატური იდიომების კომპონენტების სია

ქართული	რაოდენობა	ინგლისური	ბერძნული	რუსული
გული	709 ერთეული	heart	καρδιά	сердце
თვალი	566 ერთეული	eye	μάτι	глаз
ხელი	556 ერთეული	hand	χέρι	рука
თავი	522 ერთეული	head	κεφάλι	голова
ფეხი	285 ერთეული	leg	πόδι	нога
სისხლი	139 ერთეული	blood	αίμα	кровь
ენა	128 ერთეული	tongue	γλώσσα	язык
პირი	109 ერთეული	mouth	στόμα	рот
კბილი	85 ერთეული	tooth	δόντι	зуб
ყური	81 ერთეული	ear	αυτί	ухо
თითი	62 ერთეული	finger	δάχτυλο	палец
ყელი	62 ერთეული	throat	λαιμός, λάρυγγι	горло
ცხვირი	61 ერთეული	nose	μύτη	нос
მუხლი	59 ერთეული	knee	γόνατο	коллено
წარბი	52 ერთეული	brow	φρύδι	бровь
კისერი	48 ერთეული	neck	λαιμός	шея
ზურგი	43 ერთეული	back	πλάτη	спина
ტვინი	40 ერთეული	brain(s)	μυαλό (ά)	мозг (и)
მხარი	38 ერთეული	shoulder	ώμος	плечо
მუცელი	31 ერთეული	stomach	κοιλιά	живот
შუბლი	24 ერთეული	forehead	μέτωπο	лоб
თმა	22 ერთეული	hair	μαλλιά	волос
კუჭი	21 ერთეული	stomach	στομάχι, στόμαχος	желудок
ტუჩი	21 ერთეული	lips	χείλη	губы
სახე	19 ერთეული	face	πρόσωπο	лицо
ტანი	19 ერთეული	body	σώμα	тело
მკლავი	12 ერთეული	arm	χέρι (από την παλάμη ως τον ώμο)	рука (от кисти до плеча)
ძვალი	13 ერთეული	bone	κόκαλο	кость
ფრჩხილი	12 ერთეული	nail	νύχι	ноготь
კოჭი	10 ერთეული	ankle	σφυρό	лодыжка

ქართული	რაოდენობა	ინგლისური	ბერძნული	რუსული
ულვაში კეფა	10 ერთეული	moustache back of (human) head	μoustάκι ινίο	усы затылок
წელი (წელეები)	7 ერთეული	waist (guts,entrails)	μέση (έντερα)	талия (кишки)
ღვიძლი	4 ერთეული	liver	ήπαρ, σπέντι	печень
ყბა	4 ერთეული	jaw	σάγονι	челюсть
ძარღვი	4 ერთეული	vein, blood vessel, tendon	φλέβα, αγγείο, τένοντας	вена, кровеносный сосуд, сухожилие
ლოყა	3 ერთეული	cheek	μάγουλο	щека
ტერფი	3 ერთეული	sole	πέλμα, πατούσα	стопа
მარჯვენა	2 ერთეული	right hand	δεξί χέρι	правая рука
თემო	2 ერთეული	hip	μηρός	бедро
წამწამი	2 ერთეული	eyelash	βλεφαρίδα	ресница
ჭიპი	2 ერთეული	navel	ομφαλός	пупок
თხემი	1 ერთეული	crown (of head)	βρέγμα (της κεφαλής)	темя
მაჯა	1 ერთეული	wrist	καρπός	запястье
მკერდი	1 ერთეული	breast	στήθος	грудь
ძუძუ	1 ერთეული	woman's breast	στήθος, βάζι	грудь

ამათგან ქართულ ენაში ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი სომატური ერთეულები: *გული, თვალი, ხელი, თავი*; შემდეგ: *ფეხი, სისხლი, ენა* ხოლო მერე *პირი, კბილი, ყური*. სტატისტიკურად სომატური იდიომებიდან ეს სახელები ყველაზე ხშირად დასტურდება. გარდა ამისა, ქართულში ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა ერთი იდიომი ორ სომატურ სახელს მოიცავს (მაგ.: 230)

(229) **გულზე ხელს** დაიკრევს – გულზელდაკრეფილი, უსაქმურად გაჩერდება, იგლოვებს; **ენაზე კბილს** დაიდგამს – უცებ შეწყვეტავს ლაპარაკს; **თვალებზე ხელს** დაიფარებს – განგებ არ დაინახავს ვინმეს; **სისხლის** დაიდებს **კისრად** – კაცის მოკვლისათვის აგებს პასუხს, სამაგიეროს მოსთხოვს ვინმეს; **ენა მუცელში** ჩაუვარდება – ხმას ჩაიწყვეტს, თავზე ხელს აიღებს – თავზე ხელაღებული და სხვ.

გასარკვევია, როგორ გადმოიცემა ეს იდიომები სხვა ენაზე და რამდენად ხერხდება სხვა ენებშიც ამ სომატური კომპონენტების შენარჩუნება? მაგალითად, იდიომი *გულზე ხელს დაიკრევს*, რაც ‘უსაქმურად გაჩერებას’ ან ‘გლოვას’ ნიშნავს,

ინგლისურად ასე ითარგმნება: *to fold one's hands* ან *to sit on one's hands* 'უსაქმურად გაჩერების' მნიშვნელობით (სიტყვასიტყვით: ხელების მოკეცვა ან ხელებზე დაჯდომა). პარალელურად შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვა მსგავსი იდიომი, რომელიც საერთოდ არ შეიცავს სომატურ კომპონენტს – *to lie on one's oars* (სიტყვასიტყვით: '(ვისიმე) ნიჩბებს დააწვება'). საინტერესოა, რომ გულზე ხელის დაკრეფა პირდაპირი მნიშვნელობით ინგლისურად იქნება *to fold one's arms on one's chest* (სიტყვასიტყვით: მკერდზე ხელების დაკრეფა). როგორც ვხედავთ, იდიომის ადეკვატურ თარგმანში ერთ-ერთი სომატური კომპონენტი (კერძოდ, **გული**) იკარგება, ხოლო პირდაპირ, სიტყვასიტყვით თარგმანში იგი იცვლება სხვა მონათესავე სომატური ერთეულით, როგორიცაა **მკერდი**. ამასთან, პირდაპირ თარგმანში **ხელის** მაგივრად გამოყენებულია სიტყვა **მკლავი** (arm), ხოლო იდიომში მიესადაგება **ხელი** (hand). აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სომატური იდიომების განხილვისას ქართულში ცალ-ცალკე გვხვდება სიტყვა *მკლავისა და ხელის* შემცველი იდიომები (მაგ.: 231).

(230) **მკლავი** უჭრის – ძალ-ღონე შესწევს; **ხელს** გაუმართავს (მისცემს) - ხელს შეუწყობს, დაეხმარება და ა.შ.

ანალოგიური მდგომარეობაა ინგლისურშიც, ხოლო ბერძნულსა და რუსულში სიტყვა *მკლავი* საერთოდ არ არსებობს და, შესაბამისად, აღნიშნული სხვაობაც არ ჩანს.

ახალ ბერძნულში იდიომი **გულზე ხელს დაკრეფს** შემდეგნაირად ითარგმნება: *κάθομαι (μένω) με σταυραμένα χέρια* (სიტყვასიტყვით: გადაჯვარედინებული ხელებით ვზივარ/ვრჩები), ხოლო რუსულა: *сидеть сложа руки*. როგორც ჩანს, ამ იდიომის თარგმნისას ერთ-ერთი სომატური კომპონენტი იკარგება. ზმნურ კომპონენტად თითქმის ყველგან გვხვდება ზმნა *ზის* (*κάθομαι, сидеть, to sit*). აღნიშნული ზმნა ქართულშიც შეიძლება შეგვხვდეს, თუ გამოვიყენებთ შესიტყვებას: *გულზელდაკრეფილი ზის*, თუმცა გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ორი სახელური სომატური კომპონენტის მქონე იდიომების თარგმნისას არც ერთი კომპონენტი არ იკარგება, შდრ. **გულზე ხელის დადებით** (გულახდილად); *to put hand on heart*; *βάζω το χέρι στην καρδιά*; *положа руку на сердце*.

ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი იდიომები, რომელთა ერთ-ერთ კომპონენტს ქართულში *მარჯვენა ხელი* წარმოადგენს. მსგავსი ტიპის იდიომებში არსებითი სახელი *ხელი* გამოტოვებულია, და მის ადგილას გაარსებითებული ზედსართავი

მარჯვენა გამოიყენება. მსგავსი მოვლენა არც ერთ სხვა (ჩვენ მიერ განხილულ) ენაში არ გვხვდება. ორივე კომპონენტი, როგორც წესი, შენარჩუნებულია. ერთი მათგანი გამოიტოვება მხოლოდ მაშინ, როცა შესიტყვებაში სიტყვა *ხელი* ერთხელ უკვე ნახსენებია. *მარჯვენასთან* დაკავშირებული იდიომები სხვა ენებში მხოლოდ *მარჯვენა ხელით* შემოიფარგლება: *მარჯვენა ხელი* (ერთგული, საიმედო პიროვნება); *right-hand man*; *είναι το δεξί χέρι*; *правая рука кого-либо*, მაგრამ ქართულში სხვა იდიომებიც გვხვდება (მაგ.: 232)

(231) *მარჯვენა* მოგტყდეს – (მსურს, რომ/ნეტავ) დაიღუპო, საქმეში დაზარალდე, დაიჩაგრო; *მარჯვენას* მოიჭრის – მუშაობის უნარს წაართმევს საკუთარ თავს (ფიცის); *მარჯვენას* აქნევს – დაუსვენებლად/დაუღალავად მუშაობს; *მარჯვენას* ჩამოაცლის – წაართმევს არსებობისათვის საჭირო უმთავრესი საშუალებას და ა.შ.

სხვა ენებზე მსგავსი იდიომების თარგმნის შემთხვევაში *მარჯვენას*, ჩვეულებრივ, *ხელი* ენაცვლება, ასე, მაგალითად, *მარჯვენა მოგტყდეს* გამოთქმის თარგმნისას რუსულში და ბერძნულში გვაქვს სიტყვა *ხელი*, ინგლისურში კი მსგავსი იდიომი არ დასტურდება, ამიტომაც აქ მხოლოდ მთლიანი მნიშვნელობის თარგმნით შემოვიფარგლებით: [კარგი იქნება, რომ] *მარჯვენა მოგტყდეს* (დაიღუპო, საქმეში დაზარალდე, დაიჩაგრო); *may your hands wither*; *чтоб у тебя руки отсохли*; *να σου κοπεί το χέρι αν...*. საინტერესოა, აგრეთვე, რომ, ამ უკანასკნელი რუსული გამოთქმის მსგავსად, ქართულში სხვა იდიომური გამოთქმაც დასტურდება, კერძოდ, *ხელი გაგიხმეს*, რაც რუსულის თითქმის ზუსტ ეკვივალენტს წარმოადგენს, ხოლო ბერძნულში გვაქვს სხვა მსგავსი გამოთქმაც – *მარჯვენას მოიჭრის* (საკუთარ თავს მუშაობის უნარს წაართმევს), ბერძნულად კი აღნიშნულ იდიომს რამდენადმე განსხვავებული კონოტაცია ახასიათებს: *να σου κοπεί το χέρι αν...* (სიტყვასიტყვით: *ხელი მოგეჭრას თუ...*), თუმცა მის პარალელურად გვხვდება ზუსტად ქართული იდიომის ანალოგი *ας μου κοπεί το χέρι* ან *να κοπεί το χέρι μου*. საინტერესოა ისიც, რომ ბერძნულში არის სათანადო გამოთქმა: *στο δεξί σου χέρι* (სიტყვასიტყვით: *მარჯვენა ხელზე*), რაც ნიშნავს: *მარჯვნივ*.

ერთ იდიომში ორი სომატური სახელი ხშირად ორივეს შემცველი კომპოზიციით იცვლება, როგორიცაა, მაგალითად, *თავ-პირი*, *თავ-ფეხი* და მისთ.

გვაქვს დეფისით გაფორმებული სხვა კომპოზიტები (მაგ.: 233) და ისეთებიც, რომლებიც მის გარეშე გვხვდება (მაგ.: 234)

(232) ვირის **თავ-ფეხი** – მცირე რამ, უსარგებლო, უმნიშვნელო; **თავ-პირის** მტვრევა – ჩხუბი, ცემა-ტყეპა; **ხელ-ფეხის** შეკვრა – თავისუფალი მოქმედების საშუალების წართმევა; **გულ-ღვიძლს** დაუთუთქავს – გულს ატკენს, ძალიან შეაწუხებს და ა.შ.

(233) **ცხვირპირი** ჩამოსტირის – დაღრეჯილია, გაუცინარი; **მხართემოზე** წამოწოლა (გვერდზე წამოწოლა) – უსაქმურობა, სიზარმაცე

ამ იდიომების თარგმნისას ზოგიერთის ეკვივალენტი სხვა ენებშიც დასტურდება, ზოგისა კი – არა, ასე მაგალითად, გამოთქმა **ხელ-ფეხის** შეკვრა ჩვენ მიერ განხილულ თითქმის ყველა ენაში დასტურდება: *to bind smb. hand and foot*; *να δέσεις κάποιον χειροπόδαρα*¹²⁶; *связать кого-л. по рукам и ногам*, ხოლო **თავ-პირი** და **ცხვირ-პირი** თითქმის არც ერთ ენაში არ გვხვდება. ასე რომ, გამოთქმების – **თავ-პირი ჩამოსტირის** ან **ცხვირ-პირი ჩამოსტირის** – მხოლოდ საერთო, ერთიანი მნიშვნელობების თარგმანით შეიძლება და უნდა შემოვიფარგლოთ: *smb. is woebegone* ან *smb. is miserable*; *κάποιος είναι στενοχωρημένος*; *быть опечаленным*. თუმცა შესაძლებელია, აღნიშნული გამოთქმების სხვა მიახლოებითი მნიშვნელობის მქონე იდიომებით გადმოცემა, როგორიცაა, მაგალითად: *hang one's head* (სიტყვასიტყვით: **თავის ჩამოკიდება**); *lose heart* (სიტყვასიტყვით: **გულის დაკარგვა**); *χάνω το θάρρος μου* (სიტყვასიტყვით: **ვაჟკაცობას ვკარგავ**); *κάνω τα μούτρα, κατεβάζω τα μούτρα* (სიტყვასიტყვით: **ხიფათს ვაკეთებ, ხიფათს ჩამოვუშვებ**); *вешать голову* (სიტყვასიტყვით: **თავის ჩამოკიდება**).

ქართული იდიომების: **თავ-პირის მტვრევით**, **თავ-პირის გლეჯით** ან **ცხვირ-პირის მტვრევით** თარგმნა შესაძლებელია ასევე მიახლოებითი იდიომების მოხმობის გზით: *at breakneck speed* ან *at breackneck pace* (სიტყვასიტყვით: **კისრის მტვრევის სიჩქარით**); *τρέχοντας με τα τέσσερα* (სიტყვასიტყვით: **ოთხით** (იგულისხმება **ფეხი**) **სირბილით**); *сломая голову* (სიტყვასიტყვით: **თავის მტვრევით**). ნათელია, რომ ქართული იდიომის სომატური კომპონენტის – **თავ-პირის** ან **ცხვირ-პირის** ადგილს სხვა ენებში განსხვავებული სომატური კომპონენტი იკავებს, როგორიცაა:

¹²⁶ სიტყვა **ხელ-ფეხი** კომპოზიტით გადმოიცემა მხოლოდ ბერძნულში, სხვა ენებში კი იგი ცალ-ცალკე მდგომ ერთეულებად გვევლინება

ინგლისურში – *კისერი*, ბერძნულში – *ფეხი*, ხოლო რუსულში – *თავი*. ამათგან ქართული იდიომის სემანტიკა ყველაზე ახლოსაა რუსულ იდიომთან, ინგლისური იდიომი კი შეიძლება სხვა ქართულ იდიომს მივუსადაგოთ: *კისრის მტვრევით*, *კისრის ტეხით*, რომელიც მის ზუსტ ეკვივალენტს წარმოადგენს. ქართული იდიომები – *კისრის მტვრევით*, *კისრის ტეხით* – პოლისემიურია. მსგავსი მნიშვნელობის მატარებელია ინგლისური იდიომიც *at breakneck pace*, *at breakneck speed*, რომელიც მაღალი, სახიფათო სიჩქარით მოძრაობას აღნიშნავს. ახალბერძნულშიც არსებობს იდიომი *σπάζοντας το κεφάλι* (სიტყვასიტყვით: თავის მტვრევით), მაგრამ მას სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, იგი დაფიქრების, ბევრი ხანგრძლივი ფიქრის მნიშვნელობით გამოიყენება.

სომატური კომპონენტების შემცველ იდიომებში შეიძლება ისეთი შემთხვევებიც შეგვხვდეს, როცა ქართულში ერთი სომატური კომპონენტი გვაქვს, ხოლო სხვა ენებში – ორი. მაგალითად, ქართულ იდიომში *თითებზე ჩამოითვლება* ნიშნავს: ცოტაა, ბევრი არ არის. ერთი კომპონენტია *თითი*, ხოლო მის ინგლისურ და ბერძნულ თარგმანში ორი სომატური კომპონენტი გვხვდება: *თითი* და *ხელი* – *can count something on the fingers of one hand*; *μετρούνται στα δάχτυλα του ενός χεριού* (ცალი ხელის თითებზე/თითებით დაითვლება); რუსულში კი, ქართულის მსგავსად, ერთი კომპონენტი გამოიყენება: *на пальцах можно сосчитать*.

ყურადღებას იქცევს იდიომი *თხემით ტერფამდე* (რაც ნიშნავს: მთლად, მთელი სხეულის სიგრძეზე), რომლის გარდა ქართულში მსგავსი სემანტიკის რამდენიმე სხვა იდიომი გამოიყენება: *თავიდან ფეხებამდე (ბოლომდე)*, *თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე*, ხოლო ინგლისურში – მსგავსი მნიშვნელობის მქონე ორი იდიომი: *from head to foot* (სიტყვასიტყვით: თავიდან ფეხამდე) და *from head to toe* (სიტყვასიტყვით: თავიდან ფეხის წვერამდე), ბერძნულში კი – ერთი: *από την κορυφή ως τα νύχια* (სიტყვასიტყვით: წვერიდან (თხემიდან) ფრჩხილებამდე), რუსულშიც ერთი კომპონენტი გვაქვს: *с головы до ног* (სიტყვასიტყვით: თავიდან ფეხებამდე). ნათელია, რომ ენათა უმრავლესობაში იდიომის *თავიდან ფეხებამდე* მეორე კომპონენტი, როგორც წესი, *ფეხს* უკავშირდება, მისი ვარიაციული რიგი კი შემდეგნაირია: *ტერფი*, *ფეხი* ან *ფეხის ფრჩხილი*.

ფრჩხილი სხვა იდიომებშიც ხშირად გვხვდება (მაგ.: 235)

(234) **ფრჩხილი** არ წამოსტკივებია - თავის დღეში ავად არ გამხდარა; (ვინმეს) **თითის ფრჩხილადაც** არ(ა) ღირხარ - სულ არაფერი ხარ იმასთან შედარებით; **სული ფეხის ფრჩხილებში** გაეპარა - არც კი გაუგია, ისე ჩუმად მოკვდა, საშინლად შეეშინდა, შიშისაგან სული განუტევა; **ფრჩხილისოდენა (ფრჩხილის ტოლა)** - ოდნავი, სულ მცირე და სხვ.

მაგალითებიდან ჩანს, რომ აუცილებელი არ არის, *ფრჩხილი* ყოველთვის ორი სომატური კომპონენტის შემცველ იდიომებში გვხვდებოდეს. თვით ორკომპონენტიათაგანშიც კი შესაძლებელია ერთ-ერთი კომპონენტის უგულებელყოფა, ასე, მაგალითად, იდიომი *თითის ფრჩხილადაც არა ღირს*, შეიძლება *თითის* გარეშეც შეგვხვდეს: (ვინმეს) *ფრჩხილადაც არ ღირდა*; მაგრამ შეიძლება ამ იდიომის თარგმნისას სხვა ენებში თვით კომპონენტი *ფრჩხილი* საერთოდ არ მონაწილეობდეს: *he/she cannot hold a candle to...* ან *he/she is not fit to hold a candle to...* (სიტყვასიტყვით: *არ შეუძლია (ვიღაცასთან) სანთლის დაჭერა*); *δεν τον φτάνει ούτε στο μικρό του το νυχάκι* (სიტყვასიტყვით: *მის პატარა ფრჩხილსაც კი ვერ სწვდება*); *в подмётки не годится кому-либо* ან *мизинца не стоит* (სიტყვასიტყვით: (ვინმეს) *ტერფად (ფეხსაცმლის ძირად) არ ვარგა*, ან: *ვინმეს ნეკადაც/ნეკის თითადაც არ ღირს*).

მაგალითებიდან ჩანს, რომ ორი სომატური კომპონენტის შემცველ იდიომებში, თუ ერთ-ერთი კომპონენტი *ფეხთან* არის დაკავშირებული; თარგმნის დროს, როგორც წესი, *ფეხთან* დაკავშირებული კომპონენტი არ იკარგება.

ორი სომატური კომპონენტის მქონე იდიომებში ორსავე კომპონენტს შეიძლება ჰქონდეს აგრეთვე *ყველაფრის* გაგება, თუკი აღნიშნული კომპონენტები მნიშვნელოვანი გრძნობის ორგანოებს აღნიშნავენ. ეს ეხება ისეთ სიტყვებს, როგორიცაა *თვალი, ყური, გული, თავი* (მაგ.: 236, 237).

(235) **ყური იყო და თვალი** – ყველაფრის მიმხედვარი, ყველაფერზე პასუხისმგებელი იყო, ყველაფერს თვალყურს ადევნებდა; *რა გინდა სული*¹²⁷ და *გული*! – ყველაფერია, რასაც (გულით) ინატრებ;

(236) **με χέρια και με πόδια** – ყველანაირად, ყველა ხერხის გამოყენებით, ორივე ხელით (უფრო იშვიათად, ხელ-ფეხით) (სიტყვასიტყვით: *ხელ(ებ)ით და*

¹²⁷ რა თქმა უნდა, *სული* სომატური არ არის, მაგრამ მაინც, ასეა თუ ისე, ადამიანის სხეულთან არის დაკავშირებული.

ფეხ(ებ)ით); με *νόχια* και με *δόντια* – ყველანაირად, ყოველგვარი საშუალებით (სიტყვასიტყვით: ფრჩხილებით და კბილებით).

სომატურ იდიომებს შორის გვხვდება ბიბლიური ხასიათის იდიომებიც, რომლებიც უშუალოდ ბიბლიური სიუჟეტებიდან მომდინარეობს (მაგ.: 238-240) და, შესაბამისად, მათი თარგმნა სირთულეს არ წარმოადგენს, ასეთებია:

(237) თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ; an **eye** for an **eye**, a **tooth** for a **tooth**; ένα μάτι για ένα μάτι, ένα δόντι για ένα δόντι; око за око, зуб за зуб;

(238) მეორე ლოყის მიშვერა; to turn the other **cheek**; γύρισε το άλλο μάγουλο; подставить другую щеку;

(239) ხელს დაიბანს; wash one's **hands** of it; νίπτω τας χείρας μου; умыть руки.

ძირითადად, აღნიშნული შესიტყვებები სემანტიკურად იდენტურია, სხვაობა მათ შორის უმნიშვნელოა და შესიტყვებას მნიშვნელობას არსებითად არ უცვლის. პირველ მაგალითში ქართულ იდიომსა და მის უცხოენოვან ეკვივალენტებს შორის სხვაობა საერთოდ არ არის, მეორეში კი სხვაობას ის ქმნის, რომ ქართულ იდიომში გვხვდება სიტყვა *მეორე*, ხოლო თარგმანებში – *სხვა*, რაც აიხსნება იმით, რომ რუსულშიც და ინგლისურშიც აღნიშნულ ერთეულებს (другой/-ая/-ое; the other) ორ-ორი მნიშვნელობა აქვს: მეორეც და სხვაც (შდრ. *ერთი მეორეს არ გამოორიცხავს – одно другого не исключает, one does not exclude the other*). მესამე მაგალითში სხვაობა უფრო სტრუქტურული ხასიათისაა, კერძოდ, ინგლისურ იდიომში სიტყვა *ხელი* მხოლოდობითია, სხვა ენებში კი – მრავლობითში.

მეორე ჯგუფის იდიომები განეკუთვნება უფრო სემილექსიკურ და პოსტლექსიკურ დონეებს. როგორც წესი, საერთო საფუძველი მათ არ გააჩნიათ, ხოლო მათი შექმნა თითოეული ერის, ხალხის მსოფლმხედველობითს აღქმას უკავშირდება. მაგალითად, ქართული იდიომის *ღვთის ხელი ურევია* შესატყვისი საანალიზო ენებიდან მხოლოდ ახალბერძნულ ენაში თუ მოიძებნება – ο Θεός έβαλε το χέρι του (სიტყვასიტყვით: ღმერთმა თავისი ხელი დაადო), მაშინ როდესაც ინგლისურად და რუსულად მისი გადმოცემა შესაძლებელია შემდეგნაირად: *God put his hands on...* (სიტყვასიტყვით: ღმერთმა თავისი ხელები დაადო) და *Господь приложил свою руку* (სიტყვასიტყვით: ღმერთმა თავისი ხელი მიადო).

ქართული იდიომი *ეშმაკის ფეხი* ბერძნულ ენაში შესაბამისი იდიომით გადმოვა *είναι διαβόλου κάλτσα* (სიტყვასიტყვით: *ეშმაკის წინდა*), ხოლო ინგლისურსა

და რუსულში – შესიტყვებებით: *cunning little devil* (სიტყვასიტყვით: ცბიერი პატარა ეშმაკი) და *хитрый как дьявол* (სიტყვასიტყვით: ეშმაკივით გაიძვერა).

შეიძლება ისეთი შემთხვევებიც შეგვხვდეს, როცა ქართული სომატური იდიომი ბიბლიური კომპონენტის გარეშე სხვა ენაზე ბიბლიური იდიომით გადმოიცემა (მაგ.: 241)

(240) შენს პირს შაქარი; από το στόμα σου και στον Θεόν τ'αυτί (სიტყვასიტყვით: შენი პირიდან ღმერთის ყურში)¹²⁸.

როგორც აღინიშნა, სომატური იდიომების ერთი ნაწილი განეკუთვნება პოსტლექსიკურ დონეს, ანუ, სხვაგვარად, მათ ე.წ. ეროვნული ან სოციალური ნიშნით მარკირებული მნიშვნელობა ახასიათებთ (მაგ.: 242)

(241) სისხლის ალაზანი¹²⁹ – დიდძალი სისხლის ღვრა; ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო¹³⁰ – დიდი უბედურებისა, და ტანჯვა-წამების დრო; ყურებზე ხახვი არ დამაჭრა¹³¹ – ვერას დამაკლებ, ვერ მომერევი, შენი მუქარა შენთვის შეინახე და ა.შ.

ამ სამიდან პირველი ორი ისტორიულ-გეოგრაფიული რეალიების ამსახველია, მესამე კი – სოციალურის; სისხლ კომპონენტის შემცველი ზოგიერთი იდიომი უკავშირდება გარკვეულ რეალიებს, მათ შორის, საკუთარ სახელებს, ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, ზოგი – რაიმე ისტორიულ მოვლენას, ზოგიც – ძველ ტრადიციებსა და ადათ-წესებს. ნათელია, რომ ასეთი იდიომების თარგმნისას იდიომატური მნიშვნელობის თარგმნით უნდა შემოვიფარგლოთ (მაგ.: 243, 244).

¹²⁸ ერთი შეხედვით თითქოსდა ბერძნულენოვან იდიომს შეგვიძლია მივუსადაგოთ ქართული იდიომი *ღმერთმა გისმინოს*, მაგრამ რეალურად ბერძნულენოვანი იდიომის ვარიანტის სემანტიკური მნიშვნელობა ამას არ აღნიშნავს, მისი თარგმანის უფრო სწორ ვარიანტს სწორედ *შენს პირს შაქარი* წარმოადგენს, რომელიც გამოიყენება, როცა ვინმე სხვას კარგს ამბავს მოუტანს და ასეთ პირს ენას უქებენ ამ სიტყვებით.

¹²⁹ “კახეთში უდიდესი მდინარეა ალაზანი. აქედან ყოველი სითხის სიმრავლის გამომხატველია მდინარე ალაზანი” (სახოკია 1979, 579).

¹³⁰ “ნუგზარი იყო არაგვისა და მთიულეთის ერისთავი (XVII საუკ.). ნუგზარ ერისთავმა მოიწადინა ფშავ-ხევსურთა დაქვემდებარება, მათი დამოწმება. გაიმართა სასტიკი ბრძოლა, უზომო სისხლისღვრა... დღეს ეს თქმა დარჩენილია არაგვის ხეობაში და სინონიმია საერთო დიდი უბედურებისა და ტანჯვა-წამებისა”

¹³¹ “ძველად, მონობის გარეგანი და წაუშლელი ნიშანი იყო სხეულის საჩინო ადგილას ისეთი ორგანოს მოჭრა, რომელსაც ორგანიზმის ფუნქციებისათვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა და ფიზიკურ მუშაობას ხელს არ უშლიდა, ასეთი ორგანო იყო ყური. ამიტომ მონებად გადასაქცევ ტყვეებს ყურებს დააჭრიდნენ ხოლმე. ხოლო წამოსული სისხლის შესაჩერებლად, დეზინფექციისა და ნაიარვეის შესახორცებლად ჭრილობაზე ხახვს წმინდად დააჭრიდნენ. ასე რომ, თქმა: “ყურებზე ხახვის დაჭრა” გადატანითად, სურათ-ხატოვნად ნიშნავს: მონად გახდომას.” (სახოკია 1979, 725).

(242) **სისხლის** ალაზანი; great bloodshed; μεγάλη αιματοχυσία; большое кровопролитие;

(243) ნუგზარ ერისთვის დროსაო, **სისხლის** წვიმების დროსაო; in times of great torment; σε μια περίοδο αναταραχών; во времена больших несчастий;

სომატურ იდიომებში მრავალ იდიომს *სიკვდილის* მნიშვნელობა აქვს. როგორც წესი, სიკვდილის თემატურ ველთან დაკავშირებული სომატური ერთეულები განსხვავებულია: *გული, კბილი, თვალი, კისერი, მუცელი, პირი, ფეხი, ყური, ყელი* და სხვა (მაგ.: 245)

(244) მიწამ ჩაიკრა **გულში** – (მკვდარი) დაიმარხა მიწაში; სული **კბილით** უჭირავს – სიკვდილის პირასაა; მეტად უჭირს; **პირი** იმ ქვეყნისაკენ აქვს მიბრუნებული – სიკვდილის პირასაა, მალე არ მორჩება, მოკვდება; სული **ფეხის ფრჩხილებში** გაეპარა – 1. უჭუმრად, შეუმჩნევლად, ჩუმად მოკვდა; 2. საშინლად შეეშინდა; 3. შიშისაგან სული განუტევა და ა.შ.

მსგავსი იდიომების თარგმნა რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული რადგანაც სიკვდილის სემანტიკური ველის მქონე იდიომის უცხოენოვან ერთეულს სულ სხვა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, ქართული იდიომი – *სული კბილით უჭირავს* – ახალბერძნულად შესაძლებელია შემდეგნაირად გადმოიცეს: *κρατά την ψυχή στα δόντια*, რაც ქართული იდიომის თითქოსდა ლექსიკური დონის ერთეულს წარმოადგენს, მაგრამ აღნიშნულ იდიომს ახალბერძნულში სულ სხვა მნიშვნელობა ენიჭება, კერძოდ: *მაგრად ვდგავარ*. შესაბამისად, აღნიშნული ქართული იდიომი ბერძნული იდიომით კი არ უნდა ითარგმნოს, არამედ მისი მნიშვნელობა თავისუფლად გადმოიცეს: *κοντεύω να πεθάνω* ან *ψυχομαχάω* (სიტყვასიტყვით: ახლოს ვარ სიკვდილთან, სულს ვებრძვი, სულთმობრძავი ვარ). ინგლისურად აღნიშნული იდიომი შემდეგნაირად ითარგმნება: *hang on by the skin of one's teeth* (სიტყვასიტყვით: კბილის კანით ჩამოკიდება). ყველაზე ახლოსაა ამ მნიშვნელობასთან მისი რუსული შესატყვისი: *держатъ душу зубами* (*სული კბილით უჭირავს*), რომლის პარალელურად შესაძლებელია შემდეგი ერთეულების გამოყენებაც: *испустить дух* ან *дышать на ладан* (სიტყვასიტყვით: სულის ამოშვება, საკმეველზე სუნთქვა). ნათელია, რომ ქართული იდიომის სომატური კომპონენტი (ანუ *კბილი*) შენარჩუნებულია ინგლისურსა და რუსულ თარგმანში, სამაგიეროდ, მისი ბერძნულენოვანი ვარიანტი, მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა,

განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია. თუმცა ზემოხსენებული ერთეულის პარალელურად გვხვდება სხვა ლექსიკური დონის სომატური იდიომებიც (მაგ.: 246)

(245) ცალი ფეხი სამარეში მიდგას (მიდგია) – მალე მოვკვდები, დიდხანს ვერ ვიცოცხლებ; have one foot in the grave ან with one foot in the grave (სიტყვასიტყვით: ცალი ფეხი სამარეში მაქვს ან ცალი ფეხით სამარეში [ვარ]); με το ένα πόδι στον τάφο ან με το ένα πόδι στο λάκκο (სიტყვასიტყვით: ცალი ფეხით სამარეში ან ცალი ფეხით საფლავის ორმოში); одной ногой в могиле стоять (სიტყვასიტყვით: ცალი ფეხით სამარეში დგომა).

ნათელია, რომ სხვაობა აღნიშნულ ერთეულებს შორის მეტად უმნიშვნელოა და სომატური ერთეული ყველგან შენარჩუნებულია.

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა იდიომი ყველა ენაში დასტურდება, ოღონდ სომატური კომპონენტის გარეშე. მაგალითად, *ფეხების გაფშეკა*; *to kick the bucket* (სიტყვასიტყვით: ვედროს არტყამს); *πινάζω τα πέταλα* (სიტყვასიტყვით: ვაქნევ/ვისვრი/ვაგდებ ნალებს); *откинуть копыта* ან *протянуть ноги* (სიტყვასიტყვით: ნალების გადაგდება ან ფეხების გაფშეკა). შესაბამისად, აღნიშნული მაგალითებიდან ლექსიკური დონის ერთეულები მხოლოდ ქართულსა და რუსულში გვხვდება. თუმცა ზემოხსენებული ერთეულების გარდა, რუსულ ენას ბევრი სხვა მსგავსი სემანტიკის მქონე ერთეულიც ახასიათებს: *сыграть в ящик*, *дать дуба*, *отдать концы*, *скопиться*, *окочуриться*, *коньки отбросить* და სხვ. ახალბერძნულში კი გვაქვს სხვა ტიპის იდიომებიც, კერძოდ, *απλάνω την αριδα*¹³² *μου*, რომლებიც სიტყვასიტყვით *ფეხების გაფშეკას*, *ფეხების გაჭიმვას/გაშლას* ნიშნავს, მაგრამ მისი იდიომური მნიშვნელობა განსხვავებულია, ის *დასვენების*, *წამოწოლას*, *სიზარმაცეს* აღნიშნავს.

ქართულში გვაქვს ისეთი იდიომებიც, რომელთაც პოლისემიური მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, იდიომს – *სული ყელში ებჯინება* – რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1) სიკვდილი უახლოვდება, დიდ გაჭირვებაშია; 2) წუხდება, უზომოდ ბრაზდება; 3) ვერ ითმენს.

ახლა გადავხედოთ უცხოენოვანი იდიომური გამოთქმების ქართულად გადმოცემის პრინციპებს:

¹³² აქ სიტყვა *πρόδι*-ს ნაცვლად გამოყენებულია ხალხური სიტყვა *αριδα*, რაც ასევე ფეხს ნიშნავს.

- (246) 1) I've life in me yet (სიტყვასიტყვით: სიცოცხლე ჯერ კიდევ ჩემშია) 2) to have a frog in one's throat¹³³ ან to have a lump in one's throat¹³⁴ (სიტყვასიტყვით: ბაყაყის ქონა ყელში ან გუნდის ქონა ყელში), 3) I'm fed to the teeth ან I'm fed up (სიტყვასიტყვით: (მე) სავსე ვარ კბილებამდე ან, უბრალოდ: მე სავსე ვარ).

თარგმანიდან ჩანს, რომ ინგლისურში სომატური ერთეულის – სიტყვა *ყელის* გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მეორე (2) მნიშვნელობის გადმოსაცემად. საინტერესოა ისიც, რომ მესამე (3) მნიშვნელობის გადმოცემისას ინგლისურში *ყელს* სხვა სომატური ერთეული – *კბილები* ენაცვლება.

- (247) 1) του βγαίνει η ψυχή – სული ამოსდის (სიტყვასიტყვით: სული ამოსდის), 2) με φέρνει κάποιος ως το λαιμό ან με φέρνει κάποιος στο αμύν ან με βγάξει κάποιος απ' τα ρούχα μου – ყელში ამომიყვანა (სიტყვასიტყვით: ყელამდე ამოვყავარ ვინმეს, ან ამინამდე მივყავარ ვინმეს, ან ტანსაცმლიდან გამოვყავარ ვინმეს) 3) μου κάθεται στο λαιμό ან φτάνει ο κόμπος στο χτένι ან φτάνει το μαχαίρι στο κόκαλο – კისერზე აზის (ვინმეს), კისერზე აწევს (ვინმეს) (სიტყვასიტყვით: ყელში მიზის, ან კვანძი სავარცხელს აღწევს, ან დანა ძვალს აღწევს).

ბერძნულში სომატური ერთეული *ყელი* შენარჩუნებულია მეორე და მესამე მნიშვნელობის გადმოცემისას, ხოლო მესამე მნიშვნელობის გადმოცემისას იდიომში *μου κάθεται στο λαιμό* – სიტყვა *ყელს* შეიძლება შეენაცვლოს სხვა სომატური ერთეული *στομάχι*, რაც პირდაპირი მნიშვნელობით *კუჭს*, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით *მუცელს* ნიშნავს. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი მნიშვნელობის გადმოცემისას, თარგმანში შენარჩუნებულია სიტყვა *სული*, ხოლო სომატური ერთეული დაკარგულია.

- (248) 1) душу вымотать – სულის შეწუხება (სიტყვასიტყვით: გაწვალება, სულის ამოხვევა), 2) ком к горлу подступил – ბოღმა ყელში ამოუვიდა (სიტყვასიტყვით: გუნდა ყელში ამოუვიდა), 3) сыт по горло – ყელამდე სავსეა (სიტყვასიტყვით: ყელამდე ნაჭამი).

¹³³ ეს გამოთქმა უფრო ხშირად "შიშისაგან შეწუხების" მნიშვნელობით გამოიყენება, თანაც, მას აქვს მეორე სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობა: to be unable to speak (საუბრის შეუძლებლობა).

¹³⁴ აღნიშნული იდიომის კონოტაციური მნიშვნელობაა: შეწუხება/გაბრაზება იმ დონემდე, ადამიანს რომ ტირილი მოუნდეს. არაფორმალურ, სასაუბრო ენაში ისიც, *frog in one's throat*-ის მსგავსად, საუბრის შეუძლებლობის მნიშვნელობით გამოიყენება.

რუსულ თარგმანშიც მეორე და მესამე მნიშვნელობის გადმოცემისას *ყელი* შენარჩუნებულია; პირველი მნიშვნელობის მქონე იდიომში კი, ახალბერძნულის მსგავსად, სიტყვა *სული* შენარჩუნებულია, ხოლო სომატური ერთეული – დაკარგული.

ქართულში ამ იდიომის მეორე მნიშვნელობის შესაბამისი სხვა იდიომებიც გვაქვს, სადაც იდიომის ყველა კომპონენტი შენარჩუნებულია, მხოლოდ სიტყვა *სული* სხვა კომპონენტებით ჩანაცვლებულია. შდრ., *სისხლი ყელში გვებჯინება – ბრაზითა და ჯავრით ვსკდებით, გულის მობჯენა ყელში – ძალზე გაჯავრება*.

ბევრი ისეთი იდიომი გვხვდება, რომელიც *შიშთან* არის დაკავშირებული (მაგ.: 250)

(249) *სული ფეხის ფრჩხილებში* გაეპარა – არც კი გაუგია, ისე ჩუმად მოკვდა, საშინლად შეეშინდა, შიშისაგან სული განუტევა; *გული* გაუსკდა – შეშინება; *თმა* ყალყზე დაუდგა – მეტისმეტად შეშინება, შეძრწუნება; *სისხლი* გაემრა – შეეშინდა და სხვ.

მსგავსი მნიშვნელობის მქონე უამრავი სხვა იდიომიც არსებობს. აღნიშნული იდიომები, როგორც წესი, სომატური კომპონენტის შემცველი არ არის, შდრ., *სული გააფრთხო, ფერი ეცვალა, შიშისაგან სული წაუვიდა* და სხვ. ასეთ იდიომებში ერთ-ერთ კომპონენტად, ძირითადად, *სული* ან *გული* გვხვდება, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლება. შესაბამისად, სხვა ენებზე თარგმნისას ან ერთი, ან მეორე სიტყვა გვხვდება, შდრ., *სული ფეხის ფრჩხილებში გაეპარა*¹³⁵ (*გული გაუსკდა*) – *he suddenly had his heart in his boots* ან *bring smb.'s heart into his mouth* (სიტყვასიტყვით: *უცერად მისი გული ჩეჩმებში აღმოჩნდა, ან გული პირში ამოუვიდა*) – *πήγε η ψυχή (η καρδιά) στην Κούλουρη*¹³⁶ (*του κόπηκαν τα πόδια, άγασε το αίμα του, άλλαξε το χρώμα*)¹³⁷

¹³⁵ აქ განვიხილავთ ამ იდიომური გამოთქმის მხოლოდ იმ მნიშვნელობას, რომელიც *შიშთან* არის დაკავშირებული და რომლითაც იგი უტოლდება მეორე გამოთქმას: *გული გაუსკდა*.

¹³⁶ ბერძნული იდიომი *πήγε η ψυχή στην Κούλουρη* ეროვნულად მარკირებული ერთეულია, რომელიც ქვეყნის ისტორიული წარსულით არის განპირობებული. კულური ბერძნული კუნძულის – სალამინას ანტიკური სახელია. ეს კუნძული უძველესი დროიდანვე თავშესაფარს წარმოადგენდა ატიკის მცხოვრებთათვის ომისა და სხვა უბედურებების დროს. თანამედროვე ენაშიც შემორჩენილია შიშის მნიშვნელობით, რომელიც ადამიანებს აიძულებდა საკუთარი სახლ-კარის მიტოვებას და სალამინას კუნძულზე გახიზნას.

¹³⁷ ფრჩხილებში მოცემული ბერძნული იდიომები ამავე მნიშვნელობის მქონეა, მაგრამ ესენი უფრო სხვა ქართულ იდიომებს შეესაბამება, კერძოდ *του κόπηκαν τα πόδια* – *ფეხები მოეკეცა, άγασε το αίμα του* – *სისხლი გაემრო, άλλαξε το χρώμα* – *ფერი ეცვალა*.

(სიტყვასიტყვით: *სული (გული) კულურიზე წაუვიდა*) – *душа ушла в пятки* ან *сердце упало* (სიტყვასიტყვით: *სული ტერფებში წაუვიდა ან გული ჩაუვარდა*).

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულსა და მოცემულ ენებში *სულის* გაგება განსხვავებულია. საანალიზო ინდოევროპულ ენებში განსხვავებულია *soul* და *spirit*, *ψυχή* და *πνεύμα*, *душа* და *дух*. შესაბამისად, იდიომურ გამოთქმებშიც იგულისხმება ადამიანის არსების ღვთაებრივი მხარე, მისი შინაგანი სამყარო (Berikashvili 2010).

ბუნებრივია, რომ ყველა სომატური იდიომის ცალ-ცალკე გარჩევას ვერ მოვახერხებთ, ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ მთარგმნელობითი თვალსაზრისით საინტერესო ერთეულებზე (მაგ.: 251, 252).

(250) **თვალის დახამხამებაზე** – ერთ წამში, უცბად, ხელად; *in a twinkling of an eye* (სიტყვასიტყვით: *თვალის მომენტში*); *σ'ένα βλεφάρισμα του ματιού* (სიტყვასიტყვით: *თვალის ერთ დახამხამებაზე*); *в мгновение ока* ან *не успел и глазом моргнуть* (სიტყვასიტყვით: *თვალის მომენტში ან თვალის დახამხამებაც კი ვერ მოასწრო*).

ნათელია, რომ სომატური ერთეული *თვალი* ყველა თარგმანში შენარჩუნებულია, ბერძნულსა და რუსულში *თვალის დახამხამება* გვაქვს, ინგლისურსა და რუსულში – *თვალის მომენტი*. გარდა ამისა, ინგლისურში ძალიან გავრცელებულია ამავე მნიშვნელობით სხვა გამოთქმა *before you could say Jack Robinson* ¹³⁸ (სიტყვასიტყვით: *სანამ შეძლებდი ჯეკ რობინსონის წარმოთქმას*), ინგლისურის ზეგავლენით მსგავსი ფრაზა გაჩნდა ახალ ბერძნულშიც: *ώσπου να πεις κύμινο* (სიტყვასიტყვით: *სანამ იტყვი კვლიავს*). თუმცა ბერძნულ იდიომს გავრცელების ის არეალი, რაც მის ინგლისურ ვარიანტს ახასიათებს, არ გააჩნია.

(251) **ხუთი თითივით იცის** – კარგად იცის; *know smb. (or smth.) as one knows his ten fingers* ან *I know it like the back of my hand* (სიტყვასიტყვით: *ვიცნობდე ვიღაცას ან ვიცოდე რაღაცა, როგორც ვიცი ჩემი ათი თითი ან ჩემი ხელისგულივით ვიცი*); *τα παίζω στα δάχτυλα* (სიტყვასიტყვით: *თითებზე*

¹³⁸ ამ ფრაზის წარმომავლობა დღესდღეობით უცნობია. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ის უნდა უკავშირდებოდეს ისტორიული პირის არსებობას, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით ძალიან სწრაფი იყო ან რომლის სახელის წარმოთქმას ძალიან დიდი დრო სჭირდებოდა. ეს ფრაზა XVIII საუკუნის ბოლოს გაჩნდა, მაგრამ მისი ეტიმოლოგია დღემდე უცნობია, თუმცა არაერთი მცდელობა ყოფილა მისი ახსნისა. დაწვრილებით იხ. <http://www.phrases.org.uk/meanings/jack-robinson.html>

ვათამაშებ); *знать как свои пять пальцев* (სიტყვასიტყვით: ჩემი ხუთი თითივით ვიცი).

სავსებით ნათელია, რომ ქართულსა და რუსულს ზუსტი ეკვივალენტები აქვთ, ინგლისურში კი *ხუთი თითი ან ათი თითით* ან, კიდევ, *ხელისგულით* იცვლება, ხოლო ბერძნულში *თითებით თამაშზეა* საუბარი. თუმცა *ხელის* ერთ-ერთი ელემენტი მაინც შენარჩუნებულია. ამავე ფიგურალური მნიშვნელობის მქონეა სხვა გამოთქმებიც (მაგ.: 253).

(252) წყალივით იცის – კარგად იცის; *to be (dead) nuts on...* (სიტყვასიტყვით: გაგიჟებული ¹³⁹ იყო რაღაცაზე); *τα μασά κάτι τέτοια* ან *τα μασά αυτά* (სიტყვასიტყვით: ვლექავ ასეთ რაღაცეებს ან ვლექავ ამას); *собаку съест на чём-лини* (სიტყვასიტყვით: ძალღი ვჭამე ამაზე).

ქართული იდიომი *გამოსაშვები სისხლი უნდა გამოუშვას* გამოიყენება ამ მნიშვნელობით: *გასაკეთებელი საქმე უნდა გაკეთდეს*; მსგავსი მნიშვნელობის მქონე იდიომები სხვა ენებშიც არსებობს, ოღონდ მათი კონოტაცია ოდნავ განსხვავებულია. თუ ქართულში ყურადღება ეთმობა იმას, რომ *საქმე ჩვენი გასაკეთებელია* (*უნდა გავაკეთოთ*), სხვა ენებში დასტურდება შემდეგი მნიშვნელობით: *მოსახდენი უნდა მოხდეს*. როგორ წესი, სომატური კომპონენტი შენარჩუნებული არ არის: *every bullet has its billet* (სიტყვასიტყვით: თითოეულ ტყვიას თავისი ნებართვა აქვს), - *ό,τι βρέξει ας κατεβάρσει* ან *μια ψυχή που είναι να βγει, ας βγει* (სიტყვასიტყვით: რაც უნდა იწვიმოს, ჩამოუშვას ან გამოსასვლელი სული, უნდა გამოვიდეს), - *чему быть, того не миновать* ან *от судьбы не уйдешь* (სიტყვასიტყვით: *მოსახდენი არ აგცდება ან ბედს ვერ წაუხვალ*).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ზემოაღნიშნული ზოგიერთი იდიომის და სხვა მაგალითების თარგმანი:

ცხრილი 15: ქართული სომატური იდიომები და მათი თარგმანი

ქართული	ინგლისური	ბერძნული	რუსული
გული	heart	καρδιά	сердце
<i>გულზე ხელს დაიკრევს</i>	<i>to fold one's hands, to sit on one's hands</i>	<i>κάθομαι ან μένω με σταυραμένα χέρια</i>	<i>сидеть сложа руки</i>
<i>გულზე ხელის დადება</i>	<i>to put hand on heart</i>	<i>βάζω το χέρι στην καρδιά</i>	<i>положа руку на сердце</i>
<i>გულს (გადა)უშლის</i>	<i>to open one's heart to</i>	<i>ανοίγω την καρδιά</i>	<i>раскрыть (кому-либо)</i>

¹³⁹ ფრაზა *გაგიჟებულის* სიტყვასიტყვითი თარგმანია: *მკვდარი თხილი*

ქართული (უღებს, უხსნის)	ინგლისური <i>sb, to bare one's soul</i>	ბერძნული	რუსული <i>сердце; излить кому-либо душу, отводить душу</i>
გული ყელში ეგჯინება	<i>to have a frog in one's throat, to have a lump in one's throat</i>	με φέρνει κάποιος ως το λαιμό, με φέρνει κάποιος στο αμύν σδ με βγάζει κάποιος απ' τα ρούχα μου	ком (клубок) к горлу подступил (подкатился)
გული უსკდება	<i>he suddenly had his heart in his boots, to bring sb's heart into his mouth</i>	πήγε η ψυχή (η καρδιά) στην Κούλουρη	душа уходит в пятки; сердце падает (у кого-либо)
ენა ენაზე იკბენს	tongue <i>to bit one's tongue</i>	γλώσσα δαγκώνω τη γλώσσα μου	язык прикусить язык
ენაზე კბილს დააჭერს (მოუჭერს)	<i>to bit one's tongue</i>	δαγκώνω τη γλώσσα μου	прикусить язык
ენას დაიმოკლებს	<i>keep one's tongue between one's teeth</i>	φάε (δάγκωσε, κατάπιε) τη γλώσσα σου!	держать язык за зубами
ენა უჭრის	<i>his tongue is hanged well enough (infl.) gift of the gab</i>	γλιστράει η γλώσσα του	иметь хорошо подвешенный язык
ენა აქვს წაგდებული	<i>one's tongue runs nineteen to the dozen</i>	ροδάνι πάει η γλώσσα του, η γλώσσα του έκοβε και έραβε, καταπίνω τη γλώσσα	не уметь держать язык за зубами
